N51 (497) 17/XII-23/XII-2009 ფასი 1 ლარი

გზა

რა საგურნალო საშუალებები უნდა გამოვიყენოთ „ღორის გრიპის“ დროს

„საქართველოს დედოფალი“ და მსოფლიოს საუკეთესო ათეულში მოხვედრილი ქართული სილამაზე

რატომ დაანახვეს მაკა ასათიანს ინვალიდის ეტლიდან სამყარო

„როცა უნდა მაშინ მოდის, იმიტომ, რომ თავხედია“

ნიკო გომელაურის დაუპატიჟებელი სტუმარი

100 წლის პოეტი

„ტრაგიკული ამბავი“, რომელიც ბაადურ წულაძეს საახალწლოდ აცნობეს

„მედვედევმა ჭიქა ღიმილით მომიჭახუნა და მითხრა,— ვსიო ბუდეტ ხარაშო“

რა დაუტოვა ირაკლი აბაშიძემ შვილებს

ISSN 1987 - 5029

როგორ ანებივრებს ორსულ „შინაბერას“ „ცისფერი ზვიგენი“

იყიდეთ ერთხელ, იკითხეთ მთელი წელი!

„კვირის პალიტრა“
გთავაზობთ
სხვადასხვა სახის
კედლის მოსახევ
კალენდრებს



№51 (497)
17 — 23 დეკემბერი. 2009 წ.
ფასი 1 ლარი

■ მინიატიურები 5
„არასპრავედლივი ხელი“ და დიხლოფოსით „აწეული“ სადღეგრძელო

■ ჭრელი მსოფლიო 6

■ ერთი მიწის შვილები 7

■ ფაქტი და კომენტარი 9

■ პერსონა 12
ქართველი დალაი-ლამა ანუ ეშინია თუ არა „ღორის გრიპის“ პაატა იმნაძეს

■ საუკუნის ტოლი 14

■ კრიმინალი 15

■ მსახიობი 19
საახალწლოდ „მორთმეული“ „ტრაგიკული ამბავი“

■ ტანდემი 21
როგორ ანებივრებს ორსულ „შინაბერას“ „ცისფერთვალება ზვიგენი“

■ სცენა 23
„მოსკოვი 1812 — ერთად“ — რუსულ-ქართული კონფლიქტის მოგვარების ფრანგული იდეა

■ პრემიერა 25
აბსურდული კომედია „ბრავოს“ სცენაზე

■ კონკურსი 26
მსოფლიოს საუკეთესო ათეულში მოხვედრილი ქართული სილამაზე

■ გემოვნება 28
მოკლული მწყერი, ჟურნალისტის სამხედრო სამოსი და ტრამვაის ნოსტალგია

■ ამპლუა 29
უშტატოდ მუშაობის 50 წლის სტაჟი

■ ვარსკვლავები 31

■ რაკურსი 33
დედაპიცა

ქვეყანა

25 წლის შემდეგ გახსნილი მკვლელობა

სერიული მკვლელის სენსაციური აღიარებით, ძალოვნებმა 25 წლის წინ ჩადენილი დანაშაული გახსნეს. ვენერა ობოლაშვილი აღიარებს, რომ ქმარი 1984 წელს მოკლა, ამის შემდეგ უპრობლემოდ აგრძელებდა ცხოვრებას და მკვლელობისთვის პასუხი არავის მოუთხოვია. როგორც ირკვევა, იგი მატარებლის გამცილებელი იყო და ქმარი სწორედ ვაგონიდან გადააკდო.

6

სახე

როგორ ანებივრებს ორსულ „შინაბერას“ „ცისფერთვალება ზვიგენი“

კარგა ხანია, რაც „კომედი შოუს“ მსახიობებმა — თათია სულუაშვილმა და ნიკა არაბიძემ საკმაოდ წარმატებული ეკრანული წყვილი შექმნეს: ისინი სახასიათო პერსონაჟებს — შინაბერა პედაგოგსა და „ნახევრად ათლეტური“ აღნაგობის ნიკოლოზს განასახიერებენ.

19

ცხოვრება

დედიკო

ჩემი მეგობარი, რომელზეც დღევანდელი „სიტუაცია“ უნდა ავაგო (ამას წინათ მოგიყევით მის შესახებ, მანქანა რომ აჩუქა დედამ მზითვად), შუაგულ ჩოხატაურში გაიზარდა და ნაღდი გურულია. უკვე 15 წელია, თბილისში ცხოვრობს, მაგრამ გურული კილოთი ლაპარაკობს და შინდა გითხრათ, რომ ძალიანაც უხდება.

33

ფაქტები

შურისძიება

„გეფიცები, გაოცებული ვარ დედაშენის საქციელით. საინტერესოა, ასეთი რა ნახა იმ კაცში, რომ მისმა სიყვარულმა შვილებისადმი სიყვარული გადაწონა? თან, ნათესავს გაჰყოლია... რა ვიცი, მართლა არ მესმის მისი! ისე, არც მამა მოგექცათ კარგად — კი არ უნდა გადაკარგულიყო, არამედ ორმაგი სიყვარული უნდა გამოემჟღავნებინა თქვენ მიმართ და ის სითბო, რაც დედამ დაგაკლოთ, მას უნდა ამოევსო.“

85

- თქვენთვის, ქალბატონებო! 35
- სიტუაცია 37
- კონსულტაცია 38
- ნერილი „გზას“ 40
- ობიექტივი 42

  სვანეთმა ამერიკელები „დაიპყრო“
- ანტიდეპრესანტი 44
- ტაძარი 44
- ეს სამყარო 46
- ფავორიტები 48
- შეუცნობელი 50
- ავტო 52
- ჯანმრთელობა 54
- შთამომავლობა 57

  „შენ დაგიტოვებ ყველაზე ლამაზს, ყველაზე ძვირფასს, რაც გამაჩნია“...
- სულის სიმტკიცე 61

  „ჩემთვის ბარიერი არ არსებობს, ყველგან ავდივარ და შევდივარ“...
- თინეიჯერული პონტები 64
- ნვეთი პოეზია 67
- ქართული დეტექტივი 68

  გოჩა მანველიძე. ძმები (გაგრძელება)
- მინირომანი 72
- დოკუმენტური პროზა 75
- გულახდილი დიალოგი 76

  მე — ფსიქოლოგი (გაგრძელება)
- რომანი 78

  სვეტა კვარაცხელია.
  სევდის სურნელი (დასაწყისი)
- რეალური 82
- გზავნილები 85
- ყველა ერთისათვის 90
- მობილი-ზაცია 92
- მოზაიკა 97
- ერუდიტი 100

  ნიკო გომელაურის თავხედი და ცელქი მუზა
- გასართობი 102
- ასტროლოგია 104
- სკანვორდი 105
- საფირმო კროსვორდი 106

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
ბამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გზაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე
დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სამყარო



თვალების ფერი: თქვენი ასტროლოგიური დიაგნოზი

თვალების ფერს ბევრი რამის თქმა შეუძლია ადამიანის ხასიათზე, მის შინაგან ენერგეტიკასა და იმაზეც, თუ როგორი უნდა იყოს მისი მეორე ნახევარი, ასტროლოგები კი გვეუბნებიან, რომ ადამიანის თვალებში პლანეტების ფერთა მთელი პალიტრაა ასახული.

41

ადამიანი



„შენ დაგიტოვებ ყველაზე ლამაზს“...

„დედისა და მამის სიყვარულისა და ქორწილის ამბავს მივუბრუნდეთ. მოკრძალებული ქორწილი უნივერსიტეტის (ამჟამინდელი ჭავჭავაძის) ქუჩაზე, შინ ჰქონიათ. დედა ხშირად ჰყვებოდა, — იმ დღიდან ყველაზე კარგად, სტუმრად მოწვეული დები იშხნელების სიმღერა დამამახსოვრდაო“.

57

ბიბლუსი

შეხვედრები სტალინთან

— მაპატიეთ... როგორც ჩანს, თქვენთვის არასასიამოვნოა ჩემი საზოგადოება... ასეა? თუ გსურთ, წავალ, — ფიქრი მისმა ხმამ გამაწყვეტინა.

აი, ახლა კი უნდა ვუპასუხო, თორემ უზრდელობაში ჩამეთვლება! გამშრალი ტუჩები გავილოკე და ოდნავ აღელვებული ხმით ვუპასუხე:

— ა-რა... რატომ უნდა წახვიდეთ?

67

ტაიმ-აუტი



ნიკო გომელაურის თავხედი და ცელქი მუზა

„როცა თავად უნდა, მაშინ მოდის და თავხედი სწორედ ამიტომაა. ის ხშირად ცელქობს კიდეც, თავისუფალია. სიმართლე გითხრა, არ ვზივარ და არ ვუხმობ, მაგრამ დიდი ხნით მაინც არ მტოვებს“.

97

„არასპრავედლივი ხელი" და დიხლოფისით „აწეული" სადღეგრძელო

შესავლის ნაცვლად **მავანმა მკითხველმა, რასაც ახლა მოგახსენებთ, იმის წაკითხვის შემდეგ იქნებ, ხელი აიქნიოს და — რა გააწყალა ამ კარგა ხნის წინ გარდაცვლილი ბებიამისის ხსენებით გულიო?! — თქვას, მაგრამ მომკალით და, ვიღაც ნახევრად „აჭრილმა" იტალიელმა რომ გაუქანა „მძიმე საგანი" სენიორ ბერლუსკონის და „ზედ შიგ" ცხვირ-პირში სთხლიშა, სწორედ ბებიაჩემის ნათქვამი გამახსენდა, შევარდნაძეზე ტერაქტის შემდეგ (განცხადება ჰქონდა დაწერილი პენსიის მომატებაზე და არ მოუმატეს): „ვინცხამ მე არ გამახარა, არც ერთმა არ გეიხარა! არ დამიწყევლია, თვარა არც გადარჩებოდა!..."**

არა, სადისტი არა ვარ, არც იმ „მსროლელის" ინტერნეტ-ფან-კლუბის წევრობას ვაპირებ (უკვე 60000 ყოფილან) და, როგორც ოჯახში აღზრდილმა ადამიანმა, ისიც ვიცი, რომ 72 წლის კაცს, როგორი ჩათლახიც უნდა იყოს, „მძიმე საგანი" (მით უმეტეს, ეკლესიის ფიგურა) არ უნდა ჩასცხო, მაგრამ ღმერთო, შეგცოდე და, დიდად არ მიდარდია...

იცით, პირველი, რაც ამ კადრების ნახვის შემდეგ გავიფიქრე, რა იყო?.. რა და, — ნეტავ, პუტინს როგორი რეაქცია ჰქონდა-მეთქი?! ძმაკაცი გაულახეს, „არასპრავედლივი ხელი მიარტყეს" (ხელი კი არა, ის ფიგურა 5,2 კგ ყოფილა!), ეს ნახევარ მსოფლიოს „უყურებს" და „აბაროტის აღება" არ შეუძლია!!! აუ, რას დალევდა ბოღმისგან!.. ბარემ, ბოლომდე ვიფანტაზიოროთ და წარმოვიდგინოთ, რას უზამდნენ იმ ტარტალიას („მსროლელის" გვარია; ვაჰ, მეგრელი ხომ არ არის?!), ეს ამბავი რუსეთში რომ მომხდარიყო!!! წარმოიდგინეთ?.. თუმცა ამას ფანტაზიის დიდი გაქანება არც უნდა — გაადებილებდნენ ცემით (ის ტარტალია მართლა ყოფილა ადრე, ფსიქიატრის აღრიცხვაზე)! მაგრამ ყველაზე ცუდი ის არის, რომ რუსებზე ვღადაობთ და ანაკლიაში ჩვენს მიშიკოს ერთმა გამწარებულმა ქართველმა „სიმბოლურად", გაცილებით მსუბუქი საგანი (ფეხსაცმელი) რომ სტყორცნა, ის კაცი სად არის?! მეც ბოდიშს ვიხდი მის წინაშე და ჩემს კოლეგებსაც მოვუწოდებ — იქნებ მისი ასავალ-დასავალი დაადგინონ და გვამცნონ (ამას „პროვოკაციის" გარეშე ვამბობ), რადგან მაშინ, როგორც მახსოვს, პრეზიდენტის დაცვამ სასტიკად სცემა და მეორე დღეს პოლიციის ვერც ერთ განყოფილებაში ვერ იპოვეს...

როგორც იტყვიან, ეს ყველაფერი — არაფერი, მაგრამ პუტინსა და დალევაზე გუშინ რუსულ საიტებზე გავრცელებული ერთი „თავზარდამცემი" (რუსებისთვის) ინფორმაცია გამახსენდა (თუმცა ბრჭყალები არც არის საჭირო, ნახევარ რუსეთს შეიძლება, მართლაც, გული გაუსკდეს): 2010 წლის 1-ელი იანვრიდან რუსეთის მთელ ტერიტორიაზე იკრძალება 89 მანეთზე (დაახლოებით 5-6 ლარი იქნება) იაფი არყის გაყიდვა!!! არა, პუტინი რასაც სვამდა, იმასვე დალევს და რასაც მიირთმევდა, იმასვე მიირთმევს (ანუ, კახურად რომ ვთქვათ... თქვენც ხომ ხვდებით); მაგრამ ამ გაგანია ზამთარში ეს იგივეა, რაც შარშან ევროპას გაუკეთა, უარესიც: ევროპას გაზი გადაუკეტა, თავის ხალხს — „კისლოროდი"!!!

ისე, ხომ გახსოვთ თბილისური უშუქობის პერიოდი, ხალხი რომ ამბობდა, — დენი ბევრია, მაგრამ „ნავთის მაფია" ბლოკავს, რომ ნავთი გააძვიროსო... რუსეთშიც შესაძლოა, „დიხლოფოსის მაფია" და „ტუფლის მაზის მაფია" ჩალიჩობს! აბა, ამ ყინვაში ბუზი არ იქნება და თოვლჭყაპშიც ფეხსაცმელს ნაკლებად წმენდენ. ჰოდა, დალევს ვანია და ვასია პუტინის სადღეგრძელოს დიხლოფოსით, მიაყოლებს „ტუფლის მაზს" და „იქნება გაღიმებული"... მერე ალბათ, „სუფრაზე", პოლიტიკაზეც ისაუბრებენ — რა საზიზღარია ქართული ღვინო, როგორი გაჭირვებული ქვეყანაა საქართველო და მაინც რა უმადურია, რომ „უფროსი ძმის" გვერდით ყოფნა არ უნდა, როგორ ჩაგრავენ ქართველები ოსებს და აფხაზებს და ა.შ.

ოსებზე გამახსენდა: იმავე რუსულ საიტებზე კიდევ ერთი თავშესაქცევი ამბავი ამოვიკითხე (ჩვენთვის თავშესაქცევი, თორემ ცხინვალში შესაძლოა, ზეიმობენ): მოსკოვში ერთმანეთს შეხვდა ორი „პირველი ლედი" — რუსეთის და სამხრეთ ოსეთის!!! შეხვედრის დეტალები არ ხმაურდება, მაგრამ ნაღდად ვიცი: ეს ხაბიძგინის გამოცხობას ასწავლიდა, ის კი ლენინის მავზოლეუმის სანახავად წაიყვანდა... კიდევ, ის ვიცი, რომ ჩრდილოეთ ოსეთი-ალანიას პრეზიდენტის ცოლმა ამ ფაქტის შემდეგ, ქმარს პანჩურები ურტყა და განცხადება შეიტანა განქორწინებაზე...

P.S. **რუსეთის ხელისუფლებამ რაღაც „მედიაფორუმი" მოაწყო და სხვებს შორის, ქართველი ჟურნალისტებიც მიიწვიეს. მედვედევიც იქ ეგდო (დიახ, ეგდო — ზოგიერთი ჩვენი ვაიკოლეგის გასაგონად ვამბობ!) და ჭკუის დარიგებასაც არ დაგვზარდა — ქართველები რომ უყვარს, მაგრამ მიშა რომ უნდა მოვიშოროთ, ეს ტექსტი ძველია; ახალი ზოგიერთის „ახალი სახეა", რომელზეც სულ უფრო მკვეთრად იხატება რუსული ნაკვთები...**

P.P.S. **ნეტავ, ის წიგნი სად წაიღო მედვედევმა?..**

პროვოკატორი

იტალიის პრემიერ-მინისტრს კბილები ჩაუმტვრიეს

სილვიო ბერლუსკონის უცნობმა სახეში სუვენირი — დუომოს ტაძრის მოზრდილი მაკეტი ესროლა, რის შედეგადაც იტალიის პრემიერმა ორი კბილი დაკარგა. თავდასხმა მილანის ცენტრში, დუომოს მოედანზე პრემიერის გამოსვლის შემდეგ მოხდა. „მათ მე მონსტრად გამოვყავარ, მაგრამ სულაც არ ვარ ასეთი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ კარგად გამოვიყურები და მეორეც, წესიერი ადამიანი გახლავართ“, — განაცხადა თავის გამოსვლაში ბერლუსკონიმ. თავდასხმის შემდეგ ქვაფენილზე გაშხლართული, სახედასისხლიანებული პრემიერი თანმხლებმა პირებმა წამოაყენეს და ავტომანქანაში ჩასვეს. პოლიციამ უკვე დააპატიმრა თავდამსხმელი — 42 წლის მასიმო ტარტალია, რომელიც არსებული ცნობებით, ფსიქიკურად დაავადებულია. ■

ჰოლანდიაში „თხის გრიპს“ ებრძვიან

ჰოლანდიელებს მსოფლიოში „ღორის გრიპად“ წოდებული H1N1 ვირუსი არ ანაღვლებთ, მათ „თხის გრიპის“ უფრო ეშინიათ, რომელიც ადამიანზე ცხოველიდან ვრცელდება და ისეთივე სიმპტომები აქვს, როგორიც „ღორის გრიპს“: თავის და სახსრების ტკივილი, მაღალი ტემპერატურა და დაღლილობის შეგრძნება. „მესამე წელია, ეს უპრეცედენტო დაავადება ამ ქვეყანას აწუხებს. იგი შინაური ცხოველების ჯოგში, როგორც წესი, გამრავლების პერიოდში ჩნდება. ამ ინფექციის მატარებლები სხვა ქვეყნის თხებიც არიან, მაგრამ ინფექციამ მუტაცია მხოლოდ ჰოლანდიაში განიცადა, რაც მედიკოსებისთვის ამოუხსნელ დილემად რჩება“, — აცხადებს ერთ-ერთი გამოცემა. დღეისათვის „თხის გრიპით“ 2300 ადამიანია ინფიცირებული. ჰოლანდიის ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა გადაწყვიტეს, ქმედითი ღონისძიებები გაატარონ და ინფექციის მატარებელი რამდენიმე ათეული ათასი თხა გაანადგურონ. ■

მსოფლიოს ულამაზეს ქალად 23 წლის გიბრალტარელი აღიარეს

იოჰანესბურგში გამართული სილამაზის კონკურსის — „მის მსოფლიო 2009“-ის გამარჯვებული გიბრალტარის წარმომადგენელი, კაიენ ალდორიო გახდა. 23 წლის გოგონამ მაყურებელთა განსაკუთრებული სიმპათია საცურაო კოსტიუმების დეფილეს შემდეგ დაიმსახურა. „სიტყვები არ მყოფნის. უბრალოდ, ძალიან ბედნიერი ვარ“, — განაცხადა ალდორიომ გამარჯვების შემდეგ. ■

მკვლელი სპილო

ნეპალში მკვლელ სპილოს ეძებენ. მიუხედავად იმისა, რომ გიგანტურმა ცხოველმა უკვე 11 ადამიანი, მათ შორის, 2 ქალი და 7 წლის გოგონა გასრისა, მონადირეებს მისთვის სერიოზული ზიანის მიყენება აუკრძალეს. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილმა სპილო სიბრძნის ღმერთის — განეშის განსახიერებად მიიჩნია და ერთ-ერთი ახალგაზრდა მამაკაცი იმ დროს დაიღუპა, როდესაც ცხოველს თაყვანს სცემდა: ის უშიშრად, ხელში

ყვავილების აცმით მიუახლოვდა გიგანტურ ცხოველს, მაგრამ მისი მირთმევა ვერ მოასწრო — სპილომ იგი ხორთუმით ჰაერში ასწია და მიწაზე დაანარცხა. უბედური შემთხვევების შემდეგ, მოსახლეობამ მას „მკვლელი ურჩხული“ უწოდა, რომლისგან დასაცავადაც კვამლი და დაფდაფები გამოიყენეს. ხელისუფლებამ მოსახლეობას მოუწოდა, მარტო არ იარონ და ტყეს არ მიუახლოვდნენ, ხოლო მეტყევეებს დაავალა, ჯუნგლებში მიაგნონ ცხოველის კვალს, მაგრამ არ მოკლან, რადგან მას „გადაშენების პირას მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის დაცვის საერთაშორისო კონვენცია იცავს“. ■

ინდოეთში ახალი შტატი შეიქმნა

ინდოეთის მთავრობამ ქვეყნის სამხრეთით მდებარე შტატ ანდხრა-პრადეშის ორ ნაწილად გაყოფის შესახებ გამოაცხადა. რამდენიმედღიანი დაძაბული დაპირისპირებისა და მასობრივი საპროტესტო აქციების შემდეგ, სახელმწიფოს შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში ახალი შტატის — ტელაგანგის ჩამოყალიბების პროცესი დაიწყება. ახალი შტატი ანდხრა-პრადეშის ჩრდილოეთ ნაწილის ათ ოლქს მოიცავს და მისი მოსახლეობა დღეისათვის 35 მილიონ ადამიანს შეადგენს. ■

ქვეყანა

ნამდვილი აფხაზური არჩევნები თბილისში

როცა აფხაზეთში არალეგიტიმურ პრეზიდენტს ირჩევდნენ, საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მცხოვრები აფხაზები შეიკრიბნენ და საჯაროდ განაცხადეს საკუთარი არჩევანის შესახებ, სიმბოლურად, საარჩევნო ურნაც კი დადგეს, სადაც საგანგებოდ მომზადებულ ბიულეტენზე სახელწოდებით — „ჩემი აფხაზური არჩევანი“ — გულნაკლულ, მაგრამ მაინც იმედიან ჩანაწერებს აკეთებდნენ. იგივე უფლება მოწვეულ სტუმრებსაც მიანიჭეს...

ალტერნატიული არჩევნების ორგანიზატორი გახლდათ არასამთავრობო ორგანიზაცია „აიცინხარა“ ანუ „ერთი მიწის შვილები“, რომელიც ენგურს გამოღმა მცხოვრებ ეთნიკურ აფხაზებს აერთიანებს. მათი შვილები თბილისში აფხაზურ სკოლებში სწავლობენ. მართალია, ხმის უფლებით ჯერჯერობით არ სარგებლობენ, მაგრამ თავიანთი პოზიცია უკვე აქვთ, ეს კი ყველაზე უკეთ მათი წერილებიდან ჩანს, რომლებიდანაც ზოგს უცვლელად გაგაცნობთ.

ემა ტუხიაშვილი

„ომი — საზარელი მხეცი“: „ძალიან ბევრ ბავშვს და მათ შორის მეც, ძალიან გვიყვარს „ომობანას“ თამაში. ბევრი ფილმი მაქვს ნანახი ბრძოლებისა და ომების თაობაზე. უფროსებისგან ბევრჯერ მომისმენია, თუ რა ტკივილი და ზიანი მოაქვს ომს ადამიანებისთვის. დაბადებულიც არ ვიყავი, როდესაც აფხაზეთში ომი დაიწყო. ჩემი მშობლებისგან და ახლობლებისგან გამიგონია, როგორი კარგი ცხოვრება ჰქონდათ ომამდე ქართველებსა და აფხაზებს, როგორი კარგი მეზობლობა და მეგობრობა ჰქონდათ. ბევრი იყო ქართველებისა და აფხაზებისგან შემდგარი ოჯახი. არავის არაფერი აკლდა, მაგრამ მათ შორის პატარა შეხლა-შემოხლას საშინელ მასშტაბებამდე მიუღწევია. მახსენდება პირველ კლასში ნასწავლი, კლდიაშვილის მოთხრობა „ლომი და ხარები“, სადაც საზარელმა მხეცმა მეგობრები ერთმანეთს დააშორა. ჯერ ერთი გაანადგურა და შემდეგ — მეორე. ვინ და როდის დაამარცხებს მხეცს? როდის დასრულდება ეს ყველაფერი? მინდა, ამ კითხვებს რაც შეიძლება მალე გაეცეს პასუხი. აფხაზეთის არასრული, №8 საჯარო სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლე რადიონ ქარჩავა“.

„მწვანე ჭირისუფალი“: „ვინ იცის, მერამდენედ აფრთხილებს პაპა გაიოზი ბავშვებს, კვიპაროსის ხეს თავი დაანებეთ და ტოტებს ნუ ამტვრევთო. არადა, აგვისტოს სიცხეს გამოქცეული პატარები ამ ერთადერთ მწვანე მეგობარს აფარებენ თავს. ვერც გაამტყუნებ ცელქებს, ქალაქის გარეუბანში, კორპუსის სიახლოვეს ხე არ დგას, ამ უშველებელი კვიპაროსის გარდა. პაპა გაიოზს კარგად ახსოვს, ან რა დაავიწყებს იმ ავბედით დღეს?! სოხუმის დაცემა ლუკამ შეატყობინა: ჩვენი ასეული უკვე ტოვებს ქალაქს, მალე კელასურში ვიქნებით და ყველანი მზად იყავით, ამაღამვე ვტოვებთ ჩვენს სახლ-კარსო. ყველაზე ბუნდოვნად ეს სამზადისი ახსოვს. შორს ისევ ისმოდა ქვემეხების ყრუ გუგუნი. ლუკა ეზოში აქოშინებული შემოვარდა, ყვიროდა: ძალიან ახლოს არიან, იჩქარეთო! ბრმა ტყვიამ მოუსწრო ბიჭს. უკვე გამოცდილი მეომარი საკუთარ ეზოში, მამის თვალწინ ჩააჩოქა მტრის ტყვიამ. შემდეგ ყველაფერი წყვდიადში ჩაიძირა. საიდანღაც ესმოდა ქალების ტირილი, ბავშვების კივილი. 25 წლის შვილის სიცოცხლე ძალაგამოცლილი ხელებით მიაბარა საკუთარი ეზოს მიწას. საფლავზე ჯვრის გაკეთებაც ვერ გაბედა. ეზოს კუთხეში კვიპაროსის ორი პატარა ნერგი ეგულებოდა. ორივე მოგლიჯა, ერთი შვილის საფლავზე დარგო, მეორე რატომღაც, უბეში შეინახა. არ უნდოდა ერთადერთი ვაჟის საფლავის დატოვება. სამუდამოდ გამოკეტა მშობლიური სახლის კარი და დაადგა გაუსაძლის გზას უგულოდ, უსიხარულოდ. ბოლო გაჩერება ახალგორი აღმოჩნდა. ქალაქის განაპირას, ოთხსართულიანი კორპუსი შეურჩიეს. ადრე თურმე საბჭოთა ჯარისკაცებს ეკუთვნოდა. რაც იქიდან აეყარნენ და წავიდნენ, შენობა უკაცრიელი გახდა, მაგრამ საკუთარი მიწიდან ლტოლვილმა 25-მა ოჯახმა იქაურობა გამოაცოცხლა. კორპუსი ხრიოკ ადგილას იდგა. გაიოზმა

შპს „ბოლნისი აგროტექნიკსი“

იყიდება სოფლის მეურნეობის ტექნიკა

ვღებულობთ შეკვეთებს

მის: ბოლნისი, აღმაშენებლის 15

☎ 899-53-20-06; 891-33-77-03

www.bolnisagro.ge

e-mail: info@bolnisagro.ge

აფხაზეთიდან წამოღებული კვიპაროსი იქვე, შენობის სიახლოვეს, პატარა ბორცვზე დარგო. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. მხოლოდ უსაშველო დარდი და მწუხარება დარჩა უცვლელი. კვიპაროსი გაიზარდა და გაშალა ტოტები და მთელი ეზო ჩრდილით დაფარა. კენწერო კი პირდაპირ მეოთხე სართულს უყურებს. საცქერი კი ბევრია" (ამ მოგონების ავტორს საკუთრი ვინაობა არ მიუთითებია).

„ჩემი თვალით დანახული აფხაზეთი": „მე აფხაზეთში დავიბადე და იქ ექვსი წელი ვცხოვრობდი. ჩემი ცხოვრება იქ შეუძლებელი იყო, რადგან ქართულ სკოლაში მინდოდა, მესწავლა. ამის საშუალება იქ არ იყო. აფხაზეთში ქართული სკოლები აღარ არის, ამიტომ მშობლებმა ჩემი თბილისში წამოყვანა გადაწყვიტეს. თვითონ კი იქ დარჩნენ, რადგან ჩემთან ერთად მშობლებს აქ ცხოვრების საშუ-

ალება არ ჰქონდათ. აქ მე ნათესავებთან ერთად ვარ და ისინი კი იქიდან მეხმარებიან. ჩვენი დაშორება ძალიან მტკივნეული იყო, დედის ცრემლები ახლაც მახსენდება და მეც ცრემლებით მევსება თვალები. მშობლების გარეშე ყოფნა ძალიან მიჭირს, მაგრამ ასეთი ცხოვრება გვარგუნა ამ უსამართლობამ. ჩემი თვალით დანახული აფხაზეთი არის გადამწვარი, გაჩანაგებული. მშობლების გარეშე დარჩენილი ბავშვები, მამა-პაპათა მიტოვებული საფლავები, განადგურებული ქართული სკოლები, იქაურობა ტყედ არის ქცეული. დაუნდობელმა მტერმა გაანადგურა და გააუბედურა იქაურობა. მე ძალიან მიყვარს და მენატრება ჩემი კუთხე. მე მჯერა, რომ ჩვენ დავბრუნდებით, ქართული იდეებით აღზრდილი ახალგაზრდები. ისევ აღორძინდება ცხოვრება, ისევ აყვავდება ჩემი ლამაზი კუთხე. ისევ ერთად ვიცხოვრებთ ოჯახის წევრები, საქართველოსთან გაერთიანებულ, გაბრწყინებულ აფხაზეთში. ღმერთი მოწყალეა, ზემოდან გადმოგვხედავს და ეს ასეც იქნება. აფხაზეთის მე-8 საჯარო სკოლის მესამე კლასის მოსწავლე რობერტ კიკორია".

თამარ მუკბა, *„აიცინხარას" გამგეობის წევრი:*

— სოხუმი 1993 წელს დავტოვე, მაშინ, როცა საოხუმი დაეცა და სხვებთან ერთად, მეც სვანეთის უღელტეხილით გადმოვედი. მაშინ 17 წლის ვიყავი და აბსოლუტურად ყველაფერი ნათლად მახსოვს. თუკი რამე უბედურება მოხდა იქ, ყველაფერი ჩემი თვალით ვნახე. 17 წელი სოხუმში ვიცხოვრე და აგერ უკვე 17 წელია, თბილისში ვარ. ძალიან მიყვარს თბილისიცა და თბილისელებიც, მაგრამ იმდენად დიდი ნოსტალგია მაქვს სოხუმელების, ვისთან ერთადაც გავიზარდე, იმდენად მენატრებიან, რომ ძლივს ვერევი ამ გრძნობას.

— როგორც ვიცი, 3 შვილის დედა ხართ. შვილებიც აფხაზები არიან?

— ისინიც ისეთივე აფხაზები არიან, როგორიც მე: მამით აფხაზი ვარ, დედით — ქართველი, ჩემი შვილები კი — პირიქით. მიმაჩნია, რომ მათ ისევე უნდა იცოდნენ აფხაზური ენა, როგორც ქართული იციან. შერეული ქართულ-აფხაზური ოჯახები ყველა თაობაშია და ამას ომმაც ვერ შეუშალა ხელი... როცა ომი დაიწყო, მამა უკვე გარდაცვლილი იყო. ასე რომ, სოხუმში მამის საფლავი მაქვს, რომელსაც ვერ ვპატრონობ, რაც დიდი გულისტკივილია ჩემთვის.

— როგორც ვიცი, სოხუმში, თქვენს სახლში ახლა სხვა ცხოვრობს...

— თავიდან მინდოდა, გამეგო, ვინ არიან ის ადამიანები, ვინც ჩემს მამაპაპისეულ სახლს დაეპატრონა და ალბათ ჩემ მაგივრად ხმაც მისცა არჩევნებში. შემდეგ ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე, რომ ამის გარკვევა არ ღირდა. იმედი მაქვს, ყველაფერი მოგვარდება, ყველაფერი თავის კუთვნილ ადგილს დაუბრუნდება და მირჩევნია, არ ვიცოდე იმ ადამიანის ვინაობა, ვინც ჩემს სახლში დაბინავდა...

— ენგურს მიღმა ალბათ აფხაზი ნათესავები გყავთ. თუ გაქვთ მათთან ურთიერთობა?

— ძირითადად, ინტერნეტით ვურთიერთობთ. ამდენი წელია, ერთმანეთი არ გვინახავს, მაგრამ შემიძლია, გითხრათ, მოუთმენლად ველი მათთან შეხვედრას; ისინი ასევე ელიან ჩვენთან შეხვედრას.

— თქვენი ორგანიზაცია ახალი დაფუძნებულია. როგორ ფიქრობთ — რის გაკეთებას შეძლებთ?

— სხვათა შორის, როცა იქ მყოფმა აფხაზებმა ამ ორგანიზაციის დაარსების შესახებ შეიტყვეს, მათი პირველი რეაქცია — გაკვირვება იყო: განა მანდ, საქართველოში, ამდენი აფხაზიაო?!. მას შემდეგ, რაც ორგანიზაცია დავაფუძნეთ, ენგურს აქეთ მცხოვრები აფხაზების მოძიება და მათი აღრიცხვა დავიწყეთ. სტატისტიკური მონაცემები მოვიძიეთ, მაგრამ სრულყოფილი არ აღმოჩნდა. მაგალითად, მე და რამდენიმე ჩემი აფხაზი მეგობარი იქ ჩაწერილი არ ვიყავით. საღღეისოდ გვაქვს ზუსტი მონაცემები 3 ათასი აფხაზის შესახებ. სოციალურ-ჰუმანიტარული პროგრამების განხორციელებას ვაპირებთ. ამ პროგრამაში შერეული, აფხაზურ-ქართული ოჯახებიც მოხვდებიან. ამიტომ გვჯერა, ისე შევალთ აფხაზეთში, რომ იქ შეგვეგებებიან კიდეც.

თეა კოტუა, *„აიცინხარას" დამფუძნებელი:*

— ამ ბოლო დროს აფხაზეთიდან ბევრი ჩემი მეგობარი გადმოვიდა აქ საცხოვრებლად. სხვათა შორის, აგვისტოს ომის შემდეგ ბევრმა აფხაზურმა ოჯახმა დატოვა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორია. ვხვდებოდით ერთმანეთს, ჩვენს სატკივარს ვუზიარებდით, ბავშვობის წლებს ვიხსენებდით. ამ შეხვედრებმა დაგვარწმუნა, რომ გასაყოფი არაფერი გვაქვს. გადავწყვიტეთ, დაგვეარსებინა არასამთავრობო ორგანიზაცია და ამით საერთო საქმე გვეკეთებინა. ამ ორგანიზაციამ უკვე მოახერხა საცხოვრებელი ფართობით აფხაზეთიდან გადმოსულთა დაკმაყოფილება. აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტროს დახმარებით, რამდენიმე აფხაზს თბილისში გადაუდებელი ოპერაცია გაუკეთეს. აფხაზეთი ისევ აფხაზებმა უნდა დავიბრუნოთ. ოჩამჩირეში ვცხოვრობდით, ცხაკაიას ქუჩაზე და პუშკინის ქუჩაზეც გვქონდა სახლი. ორივე სახლი დაბომბვის დროს მიწასთან გასწორდა. მაგრამ მთავარია, მიწა დაგვხვდეს და თავიდან დავიწყებთ ცხოვრებას.

— 4 შვილის დედა ხართ, მეუღლეც აფხაზი გყავთ?

— ჩემი მეუღლე იმერელი გახლავთ, წარმოშობით — საჩხერიდან... დაახლოებით ერთი კვირის წინ სოხუმში გაიმართა ქორწილი, სადაც პატარძალი ქართველი იყო, ნეფე — აფხაზი. სხვათა შორის, აფხაზეთში, ქორწილში ნეფე-დედოფლის შემოსვლა დღესაც „დაისით" იწყება, ქართულ სიმღერებს უსმენენ, იქ ნამდვილი ჰიტია ზუმბას სიმღერა — „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!"

ვაჟა მანია, *მომღერალი:*

— სოხუმში დავიბადე. 3 წლის ვიყავი, როდესაც აფხაზეთი მშობლებთან ერთად, დავტოვე. პატარა გახლდით, მაგრამ ფრაგმენტული მოგონებები აფხაზეთზე მეც შემომრჩა. მაგალითად, კარგად მახსოვს ჩვენი სახლი სოხუმში, ქუჩები მახსოვს... ვალდებულიც ვიყავი ჩემი ხალხის წინაშე, დღეს მოვსულიყავი და აფხაზურად მემღერა. იმედი მაქვს, ასეთი ღონისძიებებითა და ერთმანეთთან უფრო მჭიდრო ურთიერთობით, აუცილებლად დავიბრუნებთ აფხაზეთს.

— **საინტერესოა, „ჯეოსტარს“ თუ უყურებენ აფხაზეთში და იქ თუ გყავს გულშემატკივარი?**

— როცა „ჯეოსტარში“ ხალხური სიმღერის ტურზე აფხაზური სიმღერა შეასრულე, დარბაზში აფხაზეთიდან ჩამოსული ორი ადამიანი იჯდა. კონცერტის შემდეგ მოვიდნენ ჩემთან და გამეცნენ. ასე რომ, გამოდის, „ჯეოსტარს“ აფხაზეთშიც უყურებენ...

ეკატერინე მარშანია, *„აიკინხარას“ გამგეობის წევრი:*

— მამით აფხაზი ვარ, დედით — ქართველი. აფხაზეთი 1991 წელს დავტოვეთ. მამაც ჩვენთან ერთად წამოვიდა და თბილისშია დაკრძალული. სხვათა შორის, მამას რომ ჰკითხავდნენ, — ეროვნებით ვინ ხარო? — ასეთ პასუხს აძლევდა: ეროვნებით აფხაზი ვარ, მშობლიური ენა კი — ქართულიაო. ასე რომ, ის იყო აფხაზი და მაშასადამე, იყო ქართველი. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, ჩვენ იქ ვართ, სადაც უნდა ვიყოთ. სოხუმში ჩვენს სახლში არავინ ცხოვრობს. მეზობლები და ნათესავები ჰპატრონობენ. ყოველი მათი სატელეფონო ზარი იწყება სიტყვებით: ეკა, ეს ხომ შენი ქალაქიაო!.. ვიცი, რომ იქ არიან აფხაზები, რომლებიც გველოდებიან. რა თქმა უნდა, ორივე მხარემ მსხვერპლი გაიღო, იყო წყენა, შუღლი, მაგრამ უნდა მივუტევოთ ერთმანეთს და გავერთიანდეთ.

— **არ ვიცოდი, თუ თბილისში 3 აფხაზური სკოლა არსებობდა...**

— ერთი ასეთი სკოლა ახლა ბათუმშიც იხსნება. ჩვენს შვილებს აფხაზურ ენას ვასწავლით და სხვათა შორის, ჩვენც ვაპირებთ აფხაზური ენის დაუფლებას.

გიორგი ბარამია, *აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე:*

— რა თქმა უნდა, მივესალმები ამ ორგანიზაციის დაფუძნებას, რადგან სწორედ მათ — ეთნიკურმა აფხაზებმა უნდა მოახერხონ თავიანთ აფხაზ ნათესავებთან, მეგობრებთან პირდაპირი კონტაქტების დამყარება, რეალური სურათის შექმნა — რა ხდება დანარჩენ საქართველოში, რა განწყობაა აფხაზების მიმართ... ამას წარმატებით აკეთებენ. 17 წლის განმავლობაში ხალხმა, რომელიც აფხაზეთში ცხოვრობდა, ვერავითარი წინსვლა ვერ დაინახა, — მხედველობაში მაქვს სოციალური სფერო; ამიტომ, მოხდა უპრეცედენტო რამ: თვით აფხაზებმა, ოჯახებიანად დატოვეს თავიანთი სახლკარი, წინაპრების საფლავები და ენგურს გამოღმა გადმოვიდნენ. ეს არ არის ერთიორი ოჯახი, თითქმის 10 ოჯახია! ინფორმა ცია გვაქვს, რომ წამოსვლა სხვებსაც სურთ. აფხაზები ხვდებიან, რომ მათი მიწა-წყალი სამხედრო-პოლიტიკურ ინტერესებს ეწირება. რა თქმა უნდა, რუსეთი შეეწინააღმდეგება პირდაპირი კონტაქტების დამყარებას აფხაზებსა და ქართველებს შორის, მაგრამ ამ ტენდენციასა და ნებას უკვე ვეღარაფერი შეაჩერებს. ■

„აუცილებლად ვკითხავდი: როდის გაიყვანს ჯარს?“

„რის საფუძველზე ამტკიცებ, რომ დედამიწის ზურგზე არსებობს სამხრეთ ოსეთი? შეგიძლია, დაასახელო თარიღი, როდესაც შენი წინამორბედების მიერ ოსეთად წოდებული ტერიტორია საქართველოს შემადგენლობაში შევიდა? ის თუ იცი, რომ ძალიან ბევრ ადამიანს შეუძლია, დაასახელოს თარიღი, როდესაც რუსეთმა ჩეჩნეთი ძალით დაიპყრო და რუსეთის შემადგენლობაში შეიყვანა?“ — ეს ის კითხვებია, რომლებიც „სახალხო ფრონტის“ ლიდერის, ნოდარ ნათაძის აზრით, მოსკოვში ჩატარებულ, ევროპულ-აზიური მედიის ფორუმზე ქართველ ჟურნალისტებს რუსეთის პრეზიდენტისთვის უნდა დაესვათ. ბატონი ნოდარის გარდა, ბევრი ქართველი უკმაყოფილოა მოსკოვში მიწვეული ქართველი ჟურნალისტების მიერ მედვედევისთვის დასმული კითხვებით...

„კარგად ვხედავ, რა იმალება მოსკოვის მიმზიდველ წინადადებებში“

ნათუნა ბახტურიძე

მუხრან მაჭავარიანი, *პოეტი:*

— ჩემი აზრით, პრესის წარმომადგენელი ყველგან უნდა წავიდეს, სადაც დაუძახებენ და თავისი პოზიცია დააფიქსიროს. მივესალმები ყველა იმ ჟურნალისტს, ვინც მოსკოვში გამართულ მედიაფორუმზე წავიდა, მაგრამ ძალიან გამიკვირდა, რომ არც ერთმა მათგანმა არ ჰკითხა მედვედევს, — რა უნდა უცხო ქვეყნის ანუ რუსეთის ჯარს ჩვენს ტერიტორიაზე და რა უფლებით გვედავებიან ჩვენს ისტორიულ მიწა-წყალს? ჯარის შეყვანას არც ავღანეთსა და ერაყში ვემხრობი. ყველა სახელმწიფოს აქვს უფლება, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს საკუთარი პრობლემები. მე რომ იქ ვყოფილიყავი, მედვედევს იმასაც ვკითხვადი, — რის საფუძველზე ადასტურებს, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი ქვეყანაა და რა საბაბით ერევა აფხაზი ხალხის საშინაო საქმეებში?

ია ანთაძე, *ჟურნალისტი:*

— არ მინდა, იმაზე ვილაპარაკო — უნდა წასულიყვნენ თუ არა ქართველი ჟურნალისტები მოსკოვში გამართულ ფორუმზე. მგონია, რომ ყველა ადამიანმა ინდივიდუალურად უნდა გადაწყვიტოს, სად წავა და რატომ წავა. პირადად მე ასეთ ღონისძიებაში მონაწილეობას არ მივიღებდი, მაგრამ ამის მიზეზი მოღალატედ შერაცხვის შიში ნამდვილად, არ იქნებოდა. უბრალოდ, ვიცი, რომ ასეთ რამეს აზრი არა აქვს. მოსკოვში გამართულ მედიაფორუმში მონაწილე ჟურნალისტი ანი მიროტაძე ამბობს, რომ ქართველები ძალიან კარგად იქცეოდნენ და ზუსტადაც რომ საჭირო კითხვებს სვამდნენ. მინდა აღვნიშნო, რომ ანი მიროტაძეს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, თავისი კითხვები აქვს, მე კი — ჩემი... ზოგიერთმა ჟურნალისტმა ისიც თქვა, რომ კითხვის დასმის საშუალება არ მიეცა,

ზოგმა დასვა, მაგრამ მისი კითხვა ტელევიზიებმა არ გააშუქეს. ეს ამბავი სულაც არ მიკვირს, იმიტომ, რომ რუსეთი ისეთივე ავტორიტარული ქვეყანაა, როგორიც საქართველო. პირადად არანაირი კითხვა არ მაქვს არც მედვედევთან და არც სააკაშვილთან, იმიტომ, რომ ზუსტად ვიცი, რომელ კითხვას რა პასუხს გასცემენ. იმის იმედი რომ მქონდეს, ერთი ან მეორე სანახევროდ მაინც იქნებოდა გულწრფელი, ჰომ კარგი, მაგრამ... ამ შემთხვევაში აზრი არაფერს აქვს.

ნოდარ ნათაძე:

— მე იცით, რა მაინტერესებს?.. თუ ქართველმა ჟურნალისტებმა იცოდნენ, რომ მათთვის სასურველი კითხვების დასმის საშუალებას არ მისცემდნენ, რას გარბოდნენ მოსკოვში?! მე მათ ადგილზე ან საერთოდ არ წავიდოდი, ან ფორუმის ორგანიზატორებს პირობას ჩამოვართმევდი, რომ კითხვების დასმაში ხელს არ შემიშლიდნენ და მედვედევს ისეთ რაღაცებს შევეკითხებოდი, რომ მთელი მსოფლიოს სასაცილოდ გავხდიდი. რაში მაინტერესებს, გამარტივდება თუ არა სავიზო რეჟიმი რუსეთ-საქართველოს შორის?! უფრო მეტსაც გეტყვით: საერთოდ არ მინდა იმ სახელმწიფოსთან ურთიერთობა, რომელსაც ჩემი ქვეყნის 25% აქვს ოკუპირებული. ნებისმიერმა თავმოყვარე კაცმა იცის, რომ არავითარი ურთიერთობის დამყარება არ შეიძლება იმ კაცთან, რომელიც მისი ცოლის საყვარელია. როგორც ჩანს, ქართველების ნაწილმა თავმოყვარეობა სულ დაკარგა.

ნინო გურდული, *მსახიობი:*

— მე ვფიქრობ, რომ მედვედევმა ქართველი ჟურნალისტები ფორუმზე იმიტომ მიიწვია, რომ დემოკრატი მმართველის იმიჯის მორგება სურდა. არა მგონია, ამ ღონისძიებამ ჩვენს ქვეყანას რაიმე შედეგი მოუტანოს. მე თუ მკითხავთ, საერთოდ არ ჰქონდა მნიშვნელობა, წავიდოდნენ თუ არა იქ ქართველი ჟურნალისტები. მე რომ ამ მედიაფორუმზე ვყოფილიყავი, მედვედევს აუცილებლად ვკითხავდი: როდის გაიყვანს ჯარს ჩვენი ტერიტორიიდან და რა შემთხვევაში შეცვლის თავის გადაწყვეტილებას აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით?

მამუკა ღლონტი, *ტელეკომპანია „მაესტროს“ ხელმძღვანელი:*

— ჩემი აზრით, ქართველ ჟურნალისტებს მედვედევისთვის უნდა ეკითხათ, რამდენი დაუჯდა რუსეთს საქართველოს ყველა სტრატეგიული ობიექტის ყიდვა, განსაკუთრებით — „ენგურჰესის“.

სოსო ციცვაძე, *პოლიტოლოგი:*

— ვერ ვხდები, რა იყო ქართველი ჟურნალისტების მოსკოვში წასვლის მიზანი, იმიტომ, რომ მედვედევსაც და პუტინსაც ჩვენთვის საინტერესო ყველა კითხვაზე სტანდარტული პასუხები ყოველთვის წინასწარ აქვთ გამზადებული. ჟურნალისტების ადგილზე რომ ვყოფილიყავი, წასვლამდე მოვითხოვდი სრულ ინფორმაციას და წინასწარ გავარკვევდი, რას შეცვლიდა ჩემი ქვეყნის სასიკეთოდ ფორუმზე წასვლა.

— თქვენი აზრით, რა იყო მედიაფორუმზე ქართველი ჟურნალისტების მიწვევის მიზანი და რამდენად გულწრფელი იყო მედვედევი, როდესაც ამბობდა, რომ ზემო ლარსის გამშვები პუნქტის გახსნისა და პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის აღდგენის საკითხებში დაბრკოლებას ვერ ხედავს?

— დღეს რუსეთს ჟანგბადივით სჭირდება ევროპის წინაშე რეაბილიტაცია და მშვიდობისმყოფლის იმიჯი. მოსკოვმა ყველაფერს მიაღწია, რაც უნდოდა: პრაქტიკულად მიიერთა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონები და იქ სამხედრო ბაზების აშენება დაიწყო. ახლა კი, ევროპისთვის თვალის ასახვევად, ქართველებთან კეთილმეზობლურ ურთიერთობაზე ალაპარაკდა. მსოფლიოს საზოგადოებას იმაშიც არწმუნებს, რომ თავის მხრივ, საქართველოც ეგუება აფხაზეთისა და ცხინვალის დაკარგვას და რუსებთან ურთიერთობის დარეგულირებას იწყებს.

— ურთიერთობის დარეგულირებისა და დიალოგის შედეგად რას შეიძლება ველოდოთ?

— ეს ადრეც ცხადი იყო, მაგრამ მოსკოვში ჩატარებულ მედიაფორუმზე კვლავ დადასტურდა, რომ დღეს რუსეთი სოხუმისა და ცხინვალის დავიწყების სანაცვლოდ, თავის ბაზარზე „ბორჯომისა“ და ღვინის შეტანას (ისიც — მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობით) და სავიზო რეჟიმის გამარტივებას გვთავაზობს. ისინი დიალოგს მხოლოდ იმ პირობით გვთავაზობენ, თუ ჩვენს კუთვნილ ტერიტორიებს საბოლოოდ დავივიწყებთ. რუსეთის ეს მზაკვრული სტრატეგია ერთობ გამჭვირვალე და პრიმიტიულია, მაგრამ რატომღაც, ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე ე.წ. დიალოგის ანკესზე წამოეგო.

— იმ ფაქტს როგორ ახსნით, რომ მედვედევის ინიციატივა პრეზიდენტმა სააკაშვილმა დადებითად შეაფასა და განაცხადა, — ქართული მხარე მზადყოფნას გამოთქვამს, აღდგეს საჰაერო მიმოსვლა და გაიხსნას ზემო ლარსის საგუშაგოო?

— მედვედევის ეს განცხადებები პოზიტივია იმ თვალსაზრისით, რომ რუსეთი ჩვენ მიმართ მტრულ განწყობილებას აღარ ავლენს და გარკვეულ გარანტიას გვაძლევს, რომ ახლო მომავალში მისი მხრიდან აგრესია აღარ იქნება მოსალოდნელი. მაგრამ მე ერთი რამ მაფიქრებს. რამდენიმე დღის წინ, თემურ იაკობაშვილმა თქვა: ჩვენი კონცეფციის განხორციელებაში მთავარი როლი სახალხო დიპლომატიამ უნდა შეასრულოსო. მე, ადამიანი, რომელიც 30 წლის განმავლობაში მეცნიერულ დონეზე ვსწავლობ დიპლომატიის ისტორიას, გეუბნებით, რომ ეს არის ზღაპარი. ასეთი მწვავე კონფლიქტების დროს სახალხო დიპლომატიას მხოლოდ მეორეხარისხოვანი როლის შესრულება შეუძლია. მთავარ გადაწყვეტილებებს მხოლოდ მჭიდროდ მიხურულ კარს მიღმა, მმართველი ძალების წარმომადგენლები იღებენ. გარდა ამისა, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ დიპლომატია კარგია, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც იცი, რას მიიღებ შედეგად. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მოსკოვთან დიალოგით გამორიცხულია. რუსეთთან დიალოგი მხოლოდ იმ შემთხვევაში შედგება, თუ ჩვენ ცხინვალისა და სოხუმის დაკარგვას შევეგუებით. თუ ქართველებს ღვინისა და „ბორჯომის“ გაყიდვა ტერიტორიების დაკარგვად გვიღირს, მაშინ მე ვეღარაფერს ვიტყვი.

— ეი. დიპლომატიურ მოლაპარაკებას აზრი არა აქვს... პრობლემის ძალისმიერი მეთოდით გადაჭრა ჩვენ არ შეგვიძლია... აბა, რა უნდა ვქნათ?

— მოსკოვს გარკვეულ დონემდე უნდა ავყვეთ თამაშში, რათა ევროპამ არ გვისაყვედუროს. ხომ ხედავთ, რა ხდება: ნატო და ევროკავშირი აშკარად მოგვიწოდებენ რუსეთთან დიალოგისკენ; ბოლო დროს, შეფარვით, ვაშინგტონიც ამას გვირჩევს. ამიტომ, მოსკოვს უნდა დავეღაპარაკოთ, მაგრამ ძალიან ფრთხილად უნდა ვიმოქმედოთ. მე კარგად ვხედავ, რა იმალება მოსკოვის მიმზიდველ წინადადებებში. ახლა საქართველოს ხელისუფლება ძალიან რთული დილემის წინაშე დგას და დიდი გონიერების გამოჩენა სჭირდება იმისთვის, რომ კრემლის მიერ მზაკვრულად დაგებულ მახეში არ გაებას.

— რამდენად შესაძლებელია, რომ ქართულმა მხარემ თავის სასარგებლოდ გამოიყენოს სულ ახლახან აფხაზეთში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შედეგი?

— როგორ უნდა გამოიყენოს?

— პრეზიდენტის სავარძელი ისევ ბაღაფშმა შეინარჩუნა, რომელსაც აფხაზები ანტიეროვნულ პიროვნებად მიიჩნევენ. როგორ ფიქრობთ — ეს ფაქტი ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილების მიზეზი არ გახდება?

— ხშირად, სასურველს რეალობად აღვიქვამთ. დღეს აფხაზები რუსებისგან ბევრ რამეს მარტო იმის გამო მოითმენენ, რომ ქართველების რევანშის ეშინიათ. წარმოგიდგენიათ, რა მოხდება იქ, როდესაც დევნილები დაბრუნდებიან და დაინახავენ, რომ მათი სახლ-კარი განადგურებილია, ნივთები კი — მიტაცებული?.. ამას ძალიან ბევრი ექსცესი მოჰყვება, რაც აფხაზებმა მშვენივრად იციან. გარდა ამისა, არაეროვნულ პიროვნებად ბაღაფშის გამოცხადების ამბავიც გაზვიადებულია. მისი ქმედებები აფხაზების დიდ ნაწილს მართლაც, არ მოსწონს, მაგრამ არც ადრე სარგებლობდა სრული მხარდაჭერით. პირველი არჩევნების დროს, რომელიც 5 წლის წინ ჩატარდა, ბაღაფშზე ამბობდნენ — პროქართულიაო, ახლა ზედმეტი პრორუსულობისთვის აკრიტიკებენ. ასეა თუ ისე, ხალხმა ადრეც მას დაუჭირა მხარი და ახლაც. სხვათა შორის, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება მის სახელთან არის დაკავშირებული. ისე, ბაღაფშის ადგილზე ვინც უნდა ყოფილიყო, ისევე „გადაულოცავდა“ რუსეთს ყველაფერს, როგორც მან გააკეთა, იმიტომ, რომ სხვა გზა არ ექნებოდა... ■

ხომ გიყვართ კითხვა?

ჩაერთეთ აქციაში 31 დეკემბრამდე

„ჩვენ გჩუქნით წიგნებს!“

გამოიწერეთ 1 წლით ჟურნალი „გზა“ და მედია სახლ „პალიტრის“ კიდევ 1 გამოცემა, აირჩიეთ საჩუქრად გამომცემლობა „პალიტრა L“-ის 3 ბესტსელერიდან ერთ-ერთი:

„დედამიწა“

„ცხოველები“

„მსოფლიოს დიდი ატლასი“

ავტომატურად თქვენ ხდებით **„დიდი მხატვრების“** სერიის ხელმომწერი

მონე კლიმტი და ვინჩი

მედია სახლ „პალიტრის“ გამოცემები:

დასახელება	1 ეგზ. ფასი	ეგზ. რაოდენობა 1 წლის მანძილზე	ფასი 1 წლით
კვირის პალიტრა	**1.00**	**52**	**52.00**
სიტყვა და საქმე	**1.00**	**260**	**260.00**
სიტყვა და საქმე (კატალოგი)	**2.00**	**52**	**104.00**
ყველა სიახლე	**1.00**	**52**	**52.00**
გზა	**1.00**	**52**	**52.00**
რეიტინგი	**1.00**	**52**	**52.00**
არსენალი	**1.50**	**26**	**39.00**
კარიბჭე	**1.00**	**26**	**26.00**
ოჯახის მკურნალი	**1.00**	**26**	**26.00**
კარუსელი	**0.60**	**52**	**31.20**
საბავშვო კარუსელი	**1.00**	**52**	**52.00**
გოგონდი	**5.00**	**12**	**60.00**
ლელო	**0.60**	**312**	**187.20**
ათიანი	**5.00**	**12**	**60.00**
ოსკარი	**1.00**	**52**	**52.00**
ლიტერატურული პალიტრა	**2.00**	**12**	**24.00**
Georgian Journal	**2.00**	**52**	**104.00**

დამეკავშირდით:
პრესისა და წიგნების მაპრსელების საამქროს „ელვა.ჯი“

www.elva.ge

T: 38 26 73; 38 26 74

ადგილზე მიტანა შესაძლებელია თბილისის ფარგლებში. რაიონულ ცენტრებში. წიგნისა და გამოწერილი გამოცემების მიღება შეგიძლიათ „ელვა.ჯი“-ს საბითუმო გაჭრობის წერტილებში. აღნიშნული წერტილების მდებარეობა დააზუსტეთ ოპერატორთან.

ქართველი დალაი-ლამა ანუ ეშინია თუ არა პაატა იმნაძეს „ღორის გრიპის“

ზოგიერთი ჟურნალისტი მას დალაი-ლამას ადარებს; მეგობრები კეთილ, უწყინარ ადამიანად მიიჩნევენ; იგი ცოლ-შვილისთვის მზრუნველი მეუღლე და მამაა. მიუხედავად იმისა, რომ კოლეგები მისი პროფესიონალიზმით აღფრთოვანებული არიან და მსოფლიო ორგანიზაციებიდან თუ ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტიდან უამრავი სიგელი აქვს მიღებული, თავად მიიჩნევს, რომ უბრალო ადამიანია, რომელმაც სამსახურს უამრავი დრო შეალია და ოჯახის წევრებს მათი წილი სითბო მოაკლო. „გული მწყდება, ჩემს შვილებს (15 წლის ტყუპი გოგონა მყავს) მეტი დრო რომ არ დავუთმე და სხვა, ნორმალური მამებივით, მათთან ერთად ზოოპარკში, ცირკსა ან თეატრში უფრო ხშირად არ დავდიოდი. ყველაფერი პროფესიას შევწირე. ახლა ამას ძალიან ვნანობ“, — ამბობს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორი პაატა იმნაძე.

ხათუნა ბახტურიძე

ჩემს რესპონდენტებს შორის ის ერთ-ერთი ყველაზე თავმდაბალი და თვითკრიტიკული ადამიანი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ თავზე ლაპარაკი ძალიან უჭირს, ინტერვიუზე უარი მაინც არ მითხრა. სხვათა შორის, არც უხერხული კითხვებისთვის აურიდებია თავი. ბატონი პაატა განათლებით ექიმი-პედიატრია, მაგრამ როგორც თავად ამბობს, ყველაზე მეტად, ეპიდემიოლოგია აინტერესებს.

— თქვენი ნაცნობი ჟურნალისტები დალაი-ლამას რატომ გადარეულან?

— ის ჟურნალისტი, რომელმაც დალაი-ლამას შემადარა, ჩემი ნაცნობი არ არის. მეტსაც გეტყვით — ჩემს ინტერვიუებს ისე აქვეყნებს, არც კი მელაპარაკება.

— ეს როგორ ხდება?

— აბა, რა გითხრათ, მეც ეგ არ მიკვირს?! ზუსტად ვიცი, რომ ამ ადამიანს საერთოდ არ დავლაპარაკებივარ, არადა, გაზეთში ვითომდა ჩემთან ჩაწერილ ინტერვიუს ვკითხულობ.

— ჟურნალისტებზე გაბრაზებული ხართ?

— სულაც არა. ყველა ერთნაირი ხომ არ არის?! გარდა ამისა, არც იმ გოგონაზე ვარ გაბრაზებული, რომელიც რაღაც სისულელეებს ჩემს ნათქვამად ასაღებს.

— მან დალაი-ლამას რა ნიშნით შეგადარათ?

— ასე თქვა, — პაატა იმნაძე ერთადერთია, ვისაც „ღორის გრიპის“ არ ეშინია ანუ დალაი-ლამასავითაა.

— „ღორის გრიპის“ მართლა არ გეშინიათ?

— მართლა არ მეშინია!

— რატომ?

— თქვენთვის „ღორის გრიპი“ და ჩვენთვის H1N1 ჩვეულებრივი გრიპის ვირუსია. უბრალოდ, მან ძველი ვირუსები ჩაანაცვლა და საშიშიც არაფერია.

— ძველი ვირუსებისგან რითი განსხვავდება?

— თითქმის არაფრით.

— ადრე გრიპის ვირუსი სიკვდილს რომ არ იწვევდა?!

— მერწმუნეთ, ყველანაირი გრიპის გართულება ფატალურ შედეგს იწვევს. გრიპი ყველას გადაგვიტანია, თანაც ისე, რომ ექიმისთვის არც კი მიგვიმართავს. ჟოლოიანი ან ლიმონიანი ჩაითა და მსგავსი საშუალებებით თავადვე გამოვჯანმრთელებულვართ. მთავარი ის გახლავთ, რომ როგორც სხვა, ისე ამ გრიპის დროსაც, ფილტვების ანთების ნიშნებს თუ შევნიშნავთ, მაშინვე ექიმს მივმართოთ. დღეს იმ ადამიანების უმრავლესობა, რომელსაც გრიპი აქვს, ლაბორატორიულ ანალიზებს იტარებს, არადა, ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს არც პაციენტისთვის და არც — ექიმისთვის. დღეს სხვა სახის გრიპი აღარ არსებობს, მხოლოდ „ღორის გრიპია“, ამიტომ კარგი იქნება, თუ ლაბორატორიებში სირბილს თავს დაანებებთ და მაშინვე მკურნალობას დაიწყებთ. ჩვენ გვყავდა ერთი პაციენტი, რომელიც ლაბორატორიული ანალიზის პასუხის მოლოდინში რეანიმაციაში წასაყვანი გახდა. ლაბორატორიულ ანალიზს მხოლოდ ჩვენთვის, ვირუსოლოგებისთვის აქვს მნიშვნელობა. ესეც იმიტომ, რომ ვიცოდეთ, ქვეყანაში რა სახის ვირუსები გავრცელდა. ხალხი პანიკაში ტყუილად ჩავარდა. მთავარია, ავადმყოფმა თავის დროზე მიმართოს ექიმს. მსუბუქი და საშუალო სიმძიმის გრიპი საშიში არ არის, ამის გადატანა ზამთარში ყველას მოგვიწევს.

— აბა, უკრაინაში რატომ დაილუპა ამდენი ადამიანი?

— ჩვენ ერთი რამ გვავიწყდება — უკრაინაში ორმა მილიონმა, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი ოცდასამ მილიონზე მეტმა ადამიანმა უკვე გადაიტანა გრიპის ვირუსი. თქვენ, ჟურნალისტები მხოლოდ ნეგატიურ მოვლენებს აშუქებთ. ფატალური შედეგები ნამდვილად არის, მაგრამ წელს გაცილებით ნაკლებია, ვიდრე გასულ წლებში სეზონური გრიპის დროს ყოფილა. უკრაინაში 50 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. ჰოდა, ჩვეულებრივი ამბავია, რომ ამდენ ადამიანს შორის ვიღაცამ დაგვიანებით მიმართოს ექიმს და ვიღაცას გრიპი გაურთულდეს.

— ნიღაბი ვირუსისგან რამდენად დაგვიცავს?

— ძალიანაც კარგად დაგვიცავს. ჩვენ ნიღბის გაკეთებას მას ვურჩევთ, ვისაც მსუბუქი გრიპი აქვს, რადგანაც ვირუსს, პირველ რიგში, სწორედ ის ავრცელებს, ხოლო ადამიანი, რომელსაც მაღალი სიცხე აქვს, სახლიდან არ გამოდის და შესაბამისად, ვირუსსაც ვერ გაავრცელებს. ზუსტად ვიცი, ჩემს ამ რჩევას მსუბუქი გრიპით დაავადებული ადამიანები არ გაითვალისწინებენ, ამიტომ მაღალი რისკის ჯგუფის მქონეებს ძალიან ვთხოვ — ქუჩაში ნიღბის გარეშე არ გამოვიდნენ.

— მაღალი რისკის მქონე ადამიანებში ვის გულისხმობთ?

— ფეხმძიმე ქალებს და იმ ადამიანებს, რომლებსაც გულ-სისხლძარღვთა, ასთმისა და ფილტვების ქრონიკული დაავადებები აქვთ. ამ ადამიანებს გრიპის გადატანა ძალიან გაუჭირდებათ. დანარჩენები კი უბრალოდ, მოვერიდოთ ახლო კონტაქტებს და თუ ვინმე ახველებს ან აცემინებს, პირში ნუ ჩავუძვრებით.

— თავად თუ ატარებთ ნიღაბს?

— ნიღაბს მხოლოდ მაშინ ვატარებ, როდესაც ლაბორატორიაში ვარ და ავადმყოფისგან გამოსაკვლევ მასალას ვიღებ.

— H1N1 ვირუსს „ღორის გრიპი“ რატომ დაარქვეს?

— გრიპის ვირუსს გენეტიკური შემადგენლობა აქვს. გრიპების უმრავლესობა ფრინველის ანუ ქათმისაა. H1N1-ს „ღორის გრიპი“ იმიტომ დაარქვეს, რომ მასში იყო ორი — ღორისთვის, ერთი — ადამიანისთვის და ერთიც, ფრინველისთვის დამახასიათებელი ვირუსის გენომის ნაწილი. გრიპის ვირუსის ყველაზე ცუდი თვისება ის გახლავთ, რომ იგი ყოველწლიურად, ცოტათი იცვლება, მაგრამ ათი, ორმოცდაათი წლის ინტერვალში ძალიან იცვლება და პანდემიაც სწორედ მაშინ იწყება. აი, ახლა ზუსტად ის პერიოდია, როდესაც ვირუსმა

მნიშვნელოვანი სახეცვლილება განიცადა.

— „ღორის გრიპს“ თუ არ ჩავთვლით, ბოლო პანდემია როდის იყო?

— ბოლო პანდემია 1970 წელს, ჰონკონგის ვირუსის სახელით გახლდათ ცნობილი, მანამდე კი იყო აზიური გრიპი, კიდევ უფრო ადრე — ესპანური...

— ადრე გრიპის ვირუსებს ქვეყნების სახელს რატომ არქმევდნენ?

— რატომღაც, ადრე გრიპის ვირუსს იმ ქვეყნის სახელს არქმევდნენ, საიდანაც პანდემია იწყებოდა. ამ პრინციპით, H1N1-ს „ღორის“ კი არა, მექსიკური გრიპი უნდა ერქვას.

— თქვენ რამდენად ეთანხმებით გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ყველა ვირუსი ხელოვნურად იქმნება?

— არ ვეთანხმები. ვირუსოლოგია, როგორც დარგი, საერთოდ არ არსებობდა, როდესაც ესპანური გრიპი გავრცელდა. გრიპის პანდემია XVIII საუკუნეშიც კია აღწერილია. თუმცა, დღეს ვირუსოლოგია, გენური ინჟინერია ძალიან განვითარდა და ვირუსებისა თუ ბაქტერიებისთვის გარკვეული თვისებების შეცვლა, შემდეგ კი მათი ბიოლოგიურ იარაღად გამოყენებაა შესაძლებელი.

— უცხოურ პრესაში უკვე დაიწერა, რომ რუსეთმა „ღორის გრიპი“ უკრაინის წინააღმდეგ, ბიოლოგიურ იარაღად გამოიყენა...

— ეს აბსურდია. უკვე გითხარით, რომ წელს გრიპმა მუტაცია განიცადა და ის მხოლოდ უკრაინაში ან საქართველოში კი არა, მთელ მსოფლიოში გავრცელდა. მეტსაც გეტყვით, „ღორის გრიპის“ გამო რუსეთში გაცილებით მეტი ადამიანი დაიღუპა, ვიდრე უკრაინაში.

— ბატონო პაატა, შიდსი თუა ხელოვნური ვირუსი?

— არა, ამასაც ის ამერიკელი მეცნიერი ამტკიცებდა, ვინც „ღორის გრიპზე“ ამბობს, — ხელოვნურიაო. ეს კაცი (მისი გვარის დასახელებისგან თავს შევიკავებ) ძალიან ექსცენტრიკული ვირუსოლოგია და მას სამეცნიერო წრეებში დიდად არ აფასებენ.

— კი, მაგრამ ცნობილია, რომ ამ ვირუსით თავდაპირველად, მხოლოდ განსხვავებული ორიენტაციის ადამიანები და ნარკომანები ავადდებოდნენ, რომელთა გამოსაჯანსაღებლად ამერიკის ხელისუფლება არანაირ ზომებს არ იღებდა.

— რეიგანის მთავრობამ ამ სენით დაავადებულებს ყურადღება იმიტომ არ მიაქცია, რომ შიდსი მხოლოდ გეებისა და ნარკომანების დაავადებად მიიჩნია, მაგრამ გარწმუნებთ, ეს ვირუსი ხელოვნური არ არის. რეიგანის ამ პრობლემისადმი დამოკიდებულებას არაჰუმანურობად და დისკრიმინაციად მივიჩნევ. ადრე შიდსი მართლაც, მხოლოდ გეებისა და ნარკომანების დაავადება იყო, დღეს კი ყველა ადამიანის პრობლემა გახდა.

— მაშინ იქნებ, აგვიხსნათ, როგორ წარმოიშვა ეს ვირუსი?

— XX საუკუნეში შიდსთან ერთად ორმოცამდე ინფექციური, გადამდები დაავადება გაჩნდა. ეს უმთავრესად, იმის ბრალია, რომ დღეს სახეობათა შორის ბარიერები ხშირად ირღვევა.

— რას გულისხმობთ?

— ადრე ადამიანებს ასეთი უზარმაზარი ფერმები არ ჰქონდათ და არც ასე მჭიდროდ იყვნენ დასახლებულნი. სახეობათა შორის ბარიერები ძირითადად, მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში ანუ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ირღვევა ხოლმე. იქ ადამიანები იმ ფერმებთან ახლოს ცხოვრობენ, სადაც მილიონობით ცხოველი და ფრინველი ბინადრობს. გარდა ამისა, ახალი ვირუსების გამოჩენას იმ ფაქტმაც შეუწყო ხელი, რომ ადამიანი ახლა ისეთ ადგილებში შედის, რომლებსაც ადრე ახლოსაც არ ეკარებოდა. ძველად, ჯუნგლებში სხვადასხვა სახის ვირუსული დაავადებისგან მთელი ტომი ისე იხოცებოდა, რომ ამის შესახებ კაციშვილი ვერაფერს იგებდა. შიდსი და ის სხვა 40 ახალი ვირუსული დაავადება ჩვენ ახლა აღმოვაჩინეთ, მაგრამ ბუნებაში ყოველთვის იყო.

— შიდსის ვირუსის დამარცხებას რამდენად შესაძლებლად მიიჩნევთ?

— შიდსის ვაქცინაზე დღეს ძალიან სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს და სერიოზული პერსპექტივებიც იკვეთება. ექიმები გულხელდაკრეფილები ნამდვილად არ არიან.

— ბატონო პაატა, ეს პედიატრი კაცი ეპიდემიოლოგიით რატომ დაინტერესდით?

— უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კლინიცისტად დავიწყე მუშაობა, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ეს საქმე არ მიზიდავდა, ამიტომ ასპირანტურაში მიკრობიოლოგიის განხრით გავაგრძელე სწავლა, მერე კი მოლეკულური ბიოლოგიით დავინტერესდი და აღმოჩნდა, რომ ეს სფერო ყველაზე მეტად მიზიდავდა.

— პროფესიამ თქვენს პიროვნებაზე რაიმე გავლენა თუ მოახდინა?

— კი. ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ვცდილობ, ადამიანები არასოდეს მოვატყუო, რათა შემდეგ მათი ნდობა არ დავკარგო. ეს თვისება სისხლსა და ხორცში გამიჯდა და ახლა ვცდილობ, მხოლოდ სიმართლე ვთქვა. შეიძლება, ერთი შეხედვით არ ჩანს, მაგრამ სინამდვილეში, ძალიან რთული პროფესია მაქვს. როდესაც რუტინულ სამუშაოს ვასრულებთ და იმუნიზაციის პროგრამაზე ვმუშაობთ, ჩვენით არავინ, მათ შორის, არც პრესა და ტელევიზია არ ინტერესდება. არადა, სწორედ რუტინულად შესრულებული სამუშაოს ანუ იმუნიზაციის პროგრამის შედეგია, რომ ვაქცინები იქმნება, ასიათასობით ბავშვი იცრება და ცუდად აღარ ხდება. აღარავის ახსოვს, რომ ერთ დროს დიფტერია და ყვავილი ადამიანებს მუსრს ავლებდა. ჯერ კიდევ ოთხმოცდაათიანი წლების პერიოდში, როდესაც ჩვენი ქვეყანა დანგრეული და გაპარტახებული იყო, იმუნიზაციის პროგრამა შეუფერხებლად მიმდინარეობდა, მაგრამ ამას არავინ აღნიშნავდა, რადგანაც მაშინ ყველა კმაყოფილი იყო. ჩვენ ხალხთან ლაპარაკი მხოლოდ მაშინ გვიწევს, როდესაც ქვეყანაში რაღაც ცუდი ხდება.

— ვირუსების გარდა კიდევ რა გაინტერესებთ?

— ბაქტერიები.

— ლიტერატურას თუ კითხულობთ?

— მხოლოდ პროფესიულ ლიტერატურას ვკითხულობ, სხვა დანარჩენისთვის დრო აღარ მრჩება.

— დრო არც მეგობრებისთვის გრჩებათ?

— ვცდილობ, მეგობრებისთვის დრო გამოვნახო.

— მათთან ერთად რითი ერთობით?

— ლაპარაკით. მათთან ერთად წყნარ გარემოში ჯდომა მიყვარს. ასეთ დროს შეიძლება, ცოტა დავლიო კიდეც. ქეიფი, გრძელი სადღეგრძელოები და გაუთავებელი სმა არ მიყვარს.

— თქვენი მეუღლე რა პროფესიისაა?

— ვფიქრობ, ჩემი მეუღლე — მაკა მეძმარიაშვილი საკმაოდ კარგი მხატვარია. მგონი, სხვებიც ასე ფიქრობენ. მისი სურათები კაბინეტშიც მაქვს დაკიდებული. სხვათა შორის, მაკამ თავის ავსტრალიელ და ესპანელ მეგობართან ერთად, გამოფენაც მოაწყო.

— მისი გულის მოგება როგორ მოახერხეთ?

— კარტის თამაშით.

— ეს როგორ?

— ვიცოდი, რომ კარტის თამაში უყვარდა, ამიტომ ძალიან ხშირად ვეთამაშებოდი. არადა, ბანქოს ვერ ვიტან.

— კარტს სად ეთამაშებოდით?

— მასთან სახლში დავდიოდი, მის მეგობრებთან ერთად.

— კარტის თამაში დიდხანს დაგჭირდათ?

— უჰ, ძალიან დიდხანს, დაახლოებით, ერთი წელი.

— ეს ბევრი დროა?

— კი, აბა რა! ადრე ქალის გულის მოსაგებად ამდენი დრო არ მჭირდებოდა.

— ეი. ოჯახის შექმნამდე რომანები გქონდათ?

— კი, საკმაოდ ხშირად.

— შეგიძლიათ, რომელიმე გაიხსენოთ?

— კი, მაგრამ ვერც ერთს ვერ გამოვყოფ — ყველა ქალი მახსენდება, ვინც ოდესმე მყვარებია.

— ყველა კარგად გახსენდებათ?

— კი, ყველა ძალიან კარგად მახსენდება, მათ შორის ისინი, ვინც მიმატოვა.

■

100 წლის სიცოცხლის რეცეპტი

ბატონ ნიკოლოზ ჯმუხაძეს 9 დეკემბერს 100 წელი შეუსრულდა. სოლიდური ასაკის მიუხედავად, ნიკოლოზ ბაბუა თავს შესანიშნავად გრძნობს, მეხსიერებაც არ ღალატობს და თავს გადახდენილ ამბებსაც ხალისით იხსენებს. მეუღლე სამიოდე წლის წინ გარდაეცვალა და მისი გახსენებისას ცრემლს ვერ იკავებს. შვილების ხუმრობას, მამა, ახალი ცოლი უნდა მოგგვაროთო, ღიმილით პასუხობს, — რაღა დროს ჩემი ცოლია, მაგაზე არ იფიქროთ, როცა დრო იყო, ცოლიც მყავდა და ქალებიც აქეთ მეხვეწებოდნენ, მეც უარს არ ვეუბნებოდიო. მიუხედავად იმისა, რომ გარეთ ხშირად ვერ გადის, ახალ ამბებს ტელევიზიით იგებს, შვილებზე უკეთ იცის ყველა სიახლე და საქართველოს ბედზეც ხშირად ბჭობს. ალბათ ჩემი სტუმრობით ძალიან გავახარე. დამლოცა და თავის ასაკამდე მიღწევა მისურვა.

ელენე გასილიძე

— ამბროლაურის რაიონიდან ვარ, სოფელ ნიკორწმინდიდან. პროფესიით აგრონომ-ეკონომისტი გახლავართ, „დამსახურებული აგრონომის“ წოდებაც მაქვს მიღებული. გაგრაში 30 წელი დურგლად ვმუშაობდი, შემდეგ სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მეორე მსოფლიო ომშიც ვიბრძოდი, ჰოსპიტალში მოხვედრის შემდეგ ფრონტზე აღარც დავბრუნებულვარ. ჯერ 392-ე დივიზიის ვეტერანთა საბჭოს ხელმძღვანელი ვიყავი, მისი დაშლის შემდეგ ვაკის რაიონში ვეტერანთა საბჭო შევქმენი, მისი თავმჯდომარე ვიყავი და რამდენიმე წელია, რაც გავთავისუფლდი. „ღირსების“ ორდენოსანიც გახლავართ. სოფლის მეურნეობის სამინისტროში მუშაობისას ხშირად დავდიოდი რაიონებში და ვამოწმებდი მათ მუშაობას. მახარაძეში (*ოზურგეთი. — ავტ.*) „ემტეესის“ (*სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სადგური. — ავტ.*) დირექტორი შევამოწმე. მათი მუშაობა არ მომეწონა და დავწერე, რა დარღვევაც ჰქონდათ. განიხილა კოლეგიამ და გაუკვირდათ, შეღავათი რომ არ მივეცი. ჩემზე უთქვამთ, ვერ მიეცით ამ კაცს ქრთამი, 500 მანეთიო?! — ვერ გავუბედეთ, არ იღებს ქრთამსო, — უპასუხიათ. ქრთამი მართლა, არასოდეს ამიღია. არაფერი მაკლდა, თორემ თუ რამე უჭირს ადამიანს, ქრთამს ყველა იღებს, — თუ, რა თქმა უნდა, არ დაიჭირეს (*იცინის*)...

— ალბათ გინდათ, რომ ისევ კომუნისტები იყვნენ სათავეში...

— არა, მათი დრო წავიდა. კომუნიზმი მანამდე იყო კარგი, სანამ ქვეყნის სადავეები სტალინს ეპყრა ხელთ, თორემ შემდეგ ყველაფერი ტყუილზე იყო დაფუძნებული და დაინგრა კიდეც ის წყობილება. აბა, როცა არაფერი გაქვს და გაიძახი, ყველაფერი რიგზე მაქვსო, ნორმალურია?! დღეს ზოგს ბევრიც აქვს, მაგრამ არ ამხელს და მათ რაღა ადიდგულებდათ (*იღიმება*)?!

— ბატონო ნიკოლოზ, მეუღლე როგორ გაიცანით?

— ჩემი მეუღლე ქუთაისში, პრაქტიკაზე ყოფნისას გავიცანი. მარო თავის მეგობარ სომეხ გოგოს მირიგებდა, მათ ოჯახშიც მიმიყვანა, მაგრამ რომ ვნახე, არ მომეწონა და აღარ შევირთე, რითაც ჩემი მომავალი მეუღლე ძალიან გავანაწყენე. ალბათ რაიმე საჩუქარს დაჰპირდნენ, თუ იმ გოგოს გამირიგებდა (*იცინის*)... სავალდებულო სამხედრო სამსახური რომ მოვიხადე, მაროსთან მოვაწერე ხელი. არაჩვეულებრივი მეუღლე იყო, 71 წელი ვიცხოვრეთ ერთად, 94 წლის გარდაიცვალა და მარტო დამტოვა...

— ახლა ის მითხარით, როგორ მიაღწიეთ ამ ასაკს? განსაკუთრებულად თუ უფრთხილდებოდით თავს?

— არა, უბრალოდ, სიგარეტი არასოდეს მომიწევია... მინდა, ბევრმა ადამიანმა მიაღწიოს 100 წლამდე, მაგრამ სამწუხაროდ, უმრავლესობა მაქსიმუმ, 80-85 წლამდე ცოცხლობს. ბაბუაჩემი 105 წლის გარდაიცვალა, მამაჩემი — 103-ის. ჩვენს გვარში ბევრმა გადააბიჯა 100 წელს... ბოლო პერიოდში კი 100 წლამდე მიღწეული ადამიანები ჩემს სოფელში უკვე აღარავინაა. ალბათ ეს იმის ბრალიცაა, რომ მატერიალურად ვერ ვართ გამართული, მაგრამ თავად ადამიანმაც უნდა შეუწყოს ხელი საკუთარ ჯანმრთელობას. მაგალითად, ჩემმა ბიძაშვილმა ჭამით მოიკლა თავი (*იღიმება*): კაცი 30 კატლეტს რომ შეჭამს, რა მოუვა?!. მის ძმას წნევა ჰქონდა და მაინც სასმელს ეტანებოდა. თუ თავად არ შეუწყვე საკუთარ ჯანმრთელობას ხელი, ისე არაფერი გამოვა. ერთხელ ნათესავს გავყევი ექიმთან და მეც გამსინჯეს. ექიმმა მითხრა, — ნეტავ, შენი ღვიძლი მომცა, ძალიან ჯანმრთელი ხარო! ბაბუ, რამდენი ჭიქაც ამიწევია, ყველა რომ დამელია, 100 წლამდე კი არა, 80 წლამდეც ვერ მივაღწევდი. საჭმელსაც რეჟიმით მივირთმევ, რაც ჩემი ოჯახის წევრებს ძალიან უკვირთ. რეჟიმით ჭამას დიდი მნიშვნელობა აქვს, ორგანიზმიც ეჩვევა წესრიგს.

— უკვე 100 წელი გირულდებათ და ალბათ, ბევრ სტუმარს ელოდებით...

— კი, აბა, რა! სტუმრებს ველოდები და მინდა, რომ მათაც ჩემს ასაკამდე იცოცხლონ. პრეზიდენტსაც ველოდები და თუ მოვა, გამახარებს. ახლა ქუდი რომ მახურავს, მიშას საარჩევნო კამპანიის დროინდელია და ხუთიანი აწერია ზედ (*იცინის*). მე მომწონს ჩვენი პრეზიდენტი. აი, ჩემი რძალი კი განაწყენებულია მასზე — სამსახურიდან დაითხოვა და (*იღიმება*)... მიშა 4 საათს ისე ილაპარაკებს, სიტყვაც არ შეეშლება; რაც მთავარია, „შპარგალკაში“ არ იყურება. ძალიან კარგი მეხსიერება აქვს. როგორც პრეზიდენტი, საქმესაც აკეთებს. ადამიანი როცა რამეს აკეთებს, ხელი კი არ უნდა შეუშალო, უნდა დაეხმარო, რომ უფრო მეტი გააკეთოს. ქართველებს ერთმანეთის მტრობა და მოშურნეობა გვახასიათებს და არ არის კარგი. მიშას ბუშისათვის ჯარი რომ არ მიეშველებინა ერაყის ომში, ამერიკა „კაპიკსაც“ არ გამოიმეტებდა ჩვენთვის. სახელმწიფომ სახელმწიფოს უნდა შეუწყოს ხელი, თორემ ფეხი თუ

ერთმა მეორეს, ასე არაფერი გამოვა. აბა, პუტინსა და მედვედევს ჩვენი განადგურება რომ სურთ, ასეთი ხალხი საერთოდ არ უნდა არსებობდეს პოლიტიკაში! როგორც ადამიანი, ძალიან მეცოდება პუტინი: ამბობენ, კასპში ცხოვრობდა და საქართველოდან გულნატკენია წასულიო; ალბათ იმიტომაც ვეჯავრებით, მაგრამ მისნაირი ბოროტი ადამიანი სახელმწიფოს სათავეში არ უნდა იყოს.

მერიამ იუბილარს ერთჯერადი დახმარება გაუწია

— ტელევიზორს ხშირად უყურებთ?

— კი, ყველა გადაცემას ვუყურებ. ზოგი მომწონს, ზოგი — არა... ზოგიერთი რამის ტელევიზიით ჩვენება ძალიან არ მომწონს. არ უნდა გააშიშვლონ ადამიანები... ვისაც მოსწონს, უყუროს, ჩვენი ნება არაა, რას შევხედავთ და რას — არა?! ხომ გაგიგონია: ზოგს მღვდელი მოსწონს და ზოგსაც — მღვდლის ცოლიო. ყველას მოსაწონ გადაცემებს ვერ გაუშვებენ და ჩვენც ავარჩიოთ კარგი და მას ვუყუროთ, ასე არ არის?!

— მართალს ბრძანებთ. ახალგაზრდობა თუ მოგწონთ, როგორი თაობა ეზრდება ქვეყანას? ხშირად ამბობენ, კარგი თაობა არ მოდისო...

— მშვენიერი ახალგაზრდობა მოდის, ნიჭიერი თაობაა, მაგრამ ერთი დიდი პრობლემა გვაქვს — ნარკომანები მომრავლდნენ. ცუდია, რომ ცხოვრებისეული პრობლემები ახალგაზრდებს ნარკომანობისკენ უბიძგებს. ამაზე გული ძალიან მტკივა.

— როგორ უნდა მოიქცნენ ადამიანები, დიდხანს და ჯანმრთელად რომ იცხოვრონ?

არაჩვეულებრივი მეუღლე იყო, 71 წელი ვიცხოვრეთ ერთად

— ჯანმრთელი ცხოვრების რეცეპტი რა თქმა უნდა, არ მაქვს (*იცინის*), მაგრამ ჩემ გარშემო მყოფებს ვეტყვი: ბევრი სმა-ჭამა არ ვარგა, უკეთესია, თუ ფეხით დიდხანს ივლიან სუფთა ჰაერზე. გორში, ჯარში ყოფნისას, ალპინიზმის კურსებიც გავიარე. კლდეებზე დავცოცავდი. თავს უნდა მივხედოთ და ჯანმრთელადაც ვიქნებით.

P.S. საუკუნის ასაკს მიღწეულ ნიკოლოზ ჯმუხაძეს დაბადების დღეს თბილისის მერიის წარმომადგენელი ესტუმრა, მიულოცა და საჩუქრად, ერთჯერადი ფულადი დახმარება — 400 ლარი გადასცა. ■

მარტოხელებზე მონადირე ქალი

და 25 წლის შემდეგ გახსნილი მკვლელობა

სერიული მკვლელის შემზარავი აღიარება

15 დეკემბერს თბილისში სამართალდამცველებმა 3 ადამიანის მკვლელობის ბრალდებით 55 წლის ქალი დააკავეს. მას მკვლელობებთან ერთად, ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენებაშიც ედება ბრალი. გამოძიების მტკიცებით, ვენერა ობოლაშვილი მარტოხელა ადამიანებთან კონტაქტში შედიოდა, მათი ნდობის მოპოვებას ახერხებდა და ქონების დასაუფლებლად, მკვლელობასაც კი არ ერიდებოდა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ქალი ირწმუნება, რომ მარტო მოქმედებდა და სხვის დაუხმარებლად შეძლო 2 მამაკაცის და ერთი ქალის მოკვლა. უკვე ცნობილია მისი შემზარავი აღიარებითი ჩვენებები, სადაც დეტალურად და აუღელვებლად იხსენებს სისასტიკით ჩადენილ დანაშაულებს. არის თუ არა ფსიქიკურად გაწონასწორებული ვენერა ობოლაშვილი, ამას ალბათ გამოძიება ექსპერტიზის მეშვეობით დაადგენს. მაგრამ ის ისე დეტალურად ჰყვება საკუთარი ნამოქმედარის შესახებ, რომ ერთი შეხედვით, შეურაცხადობაში ეჭვის შეტანის საფუძველიც კი არ არსებობს.

როგორც ირკვევა, ვენერა ობოლაშვილი ოფიციალურად სამჯერ ყოფილა დაქორწინებული და მისი პირველი მსხვერპლი მისი მეუღლე — 1941 წელს დაბადებული იური იურკინი გამხდარა.

სერიული მკვლელის სენსაციური აღიარებით, ძალოვნებმა 25 წლის წინ ჩადენილი დანაშაული გახსნეს. ვენერა ობოლაშვილი აღიარებს, რომ ქმარი 1984 წელს მოკლა, ამის შემდეგ უპრობლემოდ აგრძელებდა ცხოვრებას და მკვლელობისთვის პასუხი არავის მოუთხოვია. როგორც ირკვევა, იგი მატარებლის გამცილებელი იყო და ქმარი სწორედ ვაგონიდან გადაგდო:

— მესამე მასივში ვცხოვრობდი ჩემს კანონიერ მეუღლესთან, იური იურკინთან ერთად. 1984 წლის 22 აპრილს ჩვეულებრივად, რეისზე მივდიოდი. ქმარმა მითხრა: მოსკოვში მეც წამოვალ, დიდი ხანია, იქ არ ვყოფილვარო. — წამოდი-მეთქი. რუსეთის ტერიტორიაზე ვართ, მატარებელი ტაგანროგიდან გავიდა და როსტოვამდე აკრეფილი სიჩქარით მიდის. 3 საათი არსად ჩერდება. ავდექი, გავედი და მეზობელი ვაგონის გასასვლელი გადავკეტე; მხოლოდ გამცილებელს შეეძლო, იქიდან გაეღო; მერე იურის დავუძახე: მოდი, გინახავს, აქ როგორ მიდის მატარებელი-მეთქი? მოვიდა. ახლოს, ახლოს მოდი-მეთქი. რომ მოვიდა, ვკარი ხელი და ჩავაგდე ქვეშ; მატარებელმა გადაუარა; მე ის იმის შემდეგ აღარ მინახავს. რომ ჩამოვედი, ძებნაც გამოვაცხადე. მილიციაში განვაცხადე, არ დაბრუნდა-მეთქი. მას შემდეგ ჩემთვის მშვიდად ვცხოვრობდი იმ ბინაში და ბოლოს მისი ბინა 4.000 დოლარად გავყიდე“, — ამბობს დაკავებული ქალი.

ის ამ დანაშაულისთვის არ დასჯილა და ალბათ ამიტომაც, მორიგი ბოროტმოქმედებაც უპრობლემოდ ჩაიდინა. ქალი კიდევ ერთი მამაკაცის მკვლელობას აღიარებს და აღნიშნავს, რომ მისი მორიგი მსხვერპლი 2008 წელს შეარჩია. სამართალდამცველები არ გამორიცხავენ, რომ სერიულ მკვლელს ამ შუალედში სხვა მკვლელობებიც ჰქონდეს ჩადენილი. ამ კუთხით გამოძიება აქტიურად მუშაობს. ჯერჯერობით კი ცნობილია, რომ მისი მსხვერპლი — 1951 წელს დაბადებული ანატოლი კალინკა გახდა. როგორც ირკვევა, კალინკასთან არაოფიციალურ ქორწინებაში იმყოფებოდა. ჩანაფიქრი ამჯერადაც, მსხვერპლის ქონების დაუფლება იყო. ამ გზით კალინკას გაყიდული ბინის თანხა, 50.000 დოლარი მიითვისა.

„ანატოლი კალინკა მოძველებიჭო ტიპი იყო, ციხეში ნაჯდომი. ერთხელ ქუჩაში შემთხვევით შემხვდა, მომესალმა და მითხრა: რა კარგია, რომ შეგხვდიო! — ასე რატომ გაგიხარდა ჩემი ნახვა? ცოლი არ მოგიყვანია-მეთქი? — ვკითხე. — არა, დედაჩემი დაბერდა, მამა გარდამეცვალაო. თავისი ამბავი მომიყვა და მითხრა: ახლა მინდა, საბურთალოზე ბინა გავყიდო, საცხოვრებელ ადგილს შევიცვლი, დაბალფასიან ბინას ვიყიდი და ფულიც დამრჩებაო. მთხოვა, იქნებ გაყიდვაში დამეხმაროო. დავთანხმდი და ვუთხარი: გენაცვალოს ჩემი თავი, მოგეხმარები, ზუსტად ყიდვა-გაყიდვაზე ვმუშაობ-მეთქი. ის სამოთახიანი ბინა ვაჟა-ფშაველაზე 50.000 დოლარად გავყიდეთ, მეზობელმა იყიდა“, — ჰყვება ბრალდებული ქალი და მკვლელობის დეტალებზეც უპრობლემოდ საუბრობს: „ანატოლის თევზაობა უყვარდა... იმ დღეს ერთად მოვდივართ, ხელში ჯოხი ავიღე, იქნებ ძაღლი შემხვდეს-მეთქი. მოვდივართ და ეს ისევ მეჯიჯღინება, არ ვიცი, რა უნდა, ჩხუბობს. უცებ თავში გამიელვა:

ამას ხომ არ ვუტირო დედა? რა უნდა ბოლოს და ბოლოს-მეთქი?!. ისე მომიშალე ნერვები, რომ ცუდად გავხდი-მეთქი, — ვუთხარი და იქვე, ხიდის მოაჯირს მივეყრდენი, ცოტათი შევტრიალდი... მერე უცებ ხელკეტი, რომელიც ხელში მეჭირა, ორჯერ მთელი ძალით თავში ჩავარტყი. ის წინ წამოვიდა, ჩემკენ, იქცეოდა და ზედ დამეყუდა... ანატოლი სუსტი, მაღალი ბიჭი იყო. ხმა არ ამოუღია, ალბათ გონება დაკარგა. არ ვიცი, ასეთი დიდი ძალა საიდან მოვიდა... ძალა მოვიკრიბე, მას ფეხებში მოვკიდე ხელი, ფეხებით ავწიე და ხიდიდან წყალში გადავაგდე. მერე რომ გადავიხედე, მომეჩვენა, რომ ცურავდა. გავიფიქრე, ხომ არ გადავხტე და ამოვიყვანო-მეთქი? მაგრამ მალევე გავიფიქრე: არა, რა, მოგიკვდა პატრონი-მეთქი, — და წყალმა წაიღო“, — უამბო გამოძიებას ვენერა ობოლაშვილმა და ის ადგილიც უჩვენა, საიდანაც

ანატოლი კალინკა გადააგდო. ბუნებრივია, ეს დანაშაულიც გაუსსნელი დარჩა.

ობოლაშვილმა მორიგი მსხვერპლის ძიება დაიწყო და არც გასჭირვებია. გამოძიების მტკიცებით, იგი მარტოხელა ადამიანებთან კონტაქტში ადვილად შედიოდა. ამჯერად, 79 წლის მარია არზამასევას ქონების დაუფლება გადაწყვიტა. მარტოხელა მოხუცს უზრუნველ სიბერეს ჰპირდებოდა. აბა, რას იფიქრებდა მოხუცი, თუ რა ჩანაფიქრი ჰქონდა?! ვენერა ობოლაშვილი მოხუცის ბინაში ცხოვრობდა. ამბობს, რომ მას არაფერს აკლებდა. არ უარყოფს, რომ მისი ბინის გაყიდვა უნდოდა და რომ მოხუცი სწორედ ამის გამო მოკლა. მარია არზამასევა 2009 წლის 6 სექტემბერს მოკლა და შემდეგ მისი ბინა 20.000 დოლარად გაყიდა. ამაზრზენია ამ ნაწილში მიცემული მისი აღიარებითი ჩვენება:

„რაც შეეხება მარია არზამასევას, იგი 6 სექტემბერს, კვირას მოვკალი. დეიდა მარია ძალიან მიყვარდა. ის ჩემთვის დედასავით იყო. მასაც ვუყვარდი და მეც მიყვარდა. ვუთხარი: ვალები მაქვს, მაწუხებენ, ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს; ხომ არ გაკლებ რამეს, სიკვდილამდე თან გადაგყვები, მოდი, ეს სახლი გავყიდოთ-მეთქი. მითხრა: შენ რა, შეიშალეო?! მე — არა, შენ შეიშალეთქი! ტახტიდან წამოვაგდე და კედლისკენ გავაქანე; ჯერ კომოდზე მივარტყმევინე თავი, მერე ყელში წავუჭირე და ვუთხარი: ახლა მე შენ სულს გაგაფრთხობინებ, შე ძველო ძუკნა-მეთქი! — რას აკეთებ? შენ საერთოდ შეიშალეო? — მკითხა. მხრებზე ხელი მოვკიდე და ვუთხარი: მე კი არა, შენ შეიშალე-მეთქი. ჯერ გარდერობზე მივახეთქე თავით, მერე კედელზე მივარტყმევინე თავი. მან პირი გააღო, მივხვდი, ყვირილს აპირებდა და აღარ დამზოგავდა, ამიტომ წავავლე ყელში ხელი და რაც ძალი და ღონე მქონდა, მოვუჭირე. ჩემი დედობილი სახეზე აწითლდა, ჭარხლის ფერი დაედო. ხელი გავუშვი, გავიფიქრე, — ვაიმე, დავახრჩვე-მეთქი... დავარდა. სახეზე ხელი შემოვარტყი, გამოვათრიე, ტახტზე ზურგით მივაყუდე. თავს ვეღარ აჩერებდა — ხარ ერთ, ხან მეორე მხარეს გადაუვარდა. ვიფიქრე, ხომ არ აფერისტობს-მეთქი? ტელევიზორზე პატარა სარკე იდო, ის სარკე ავიღე და ტუჩებზე დავადე — მაინტერესებდა, სუნთქავდა თუ არა. ორთქლით შევამოწმე — სუნთქავდა. შე აფერისტო, — ვუთხარი, ყელში თოკი წავუჭირე და მოვახრჩვე“, — ჰყვება ობოლაშვილი. ამის შემდეგ მან ცხედრის გადამალვაც სცადა. ირწმუნება, რომ მოკლული ქალის ცხედარი ხევში მარტომ გადააგდო და ეს არც გასჭირვებია:

„ეს ყველაფერი მარტომ გავაკეთე, არ გამჭირვებია. მარია ტანად პატარა ქალი იყო. მკვლელობის შემდეგ ის „მოვკეცე“... გარეთ, აივანზე ბევრი თოკი ჰქონდა, იმით შევკარი და ჩანთაში ჩავდე. შორს ვერ წავიღე ცხედარი, რადგან მძიმე იყო და ხევში გადავაგდე“, — დასძენს მკვლელობაში ბრალდებული. მან სამართალდამცველები სწორედ იმ ადგილას მიიყვანა, სადაც ცხედარი გადააგდო. როგორც ირკვევა, მოკლული ქალის დასახიჩრებული სხეული ძალოვნებმა მკვლელობიდან ცოტა ხანში იპოვეს და ის, როგორც უპატრონო მოხუცი, ისე დაკრძალეს. ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა და გამოძიება დაიწყო. სამართალდამცველებმა მოხუცის მომვლელზე მიიტანეს ეჭვი და დააკავეს. თუმცა მანამდე მან არზამასევას ბინის გაყიდვა მოასწრო.

ეს ის დანაშაულებია, რომლებსაც ობოლაშვილი აღიარებს. გამოძიება კი ვარაუდობს, რომ შესაძლოა, მას სხვა მკვლელობებიც ჰქონდეს ჩადენილი. ბინის ჩხრეკისას სამართალდამცველებმა ერთ წერილს მიაგნეს. ობოლაშვილი ვინმე ჯემალს სწერს, რომ მასთან შეხვედრა სურს და ღმერთზე სასაუბროდ, ბინაში მიაკითხავს. ვინ არის ჯემალი და ხომ არ გახდებოდა იგი ვენერა ობოლაშვილის მორიგი მსხვერპლი? — ამ და სხვა შეკითხვებს გამოძიება გასცემს პასუხს. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, სერიულ მკვლელს სამუდამო პატიმრობა ემუქრება. ■

თბილისის საქალაქო სასამართლო ყოფილი პოლიტპატიმრის, ირაკლი დოკვაძის ბედს მალე გადაწყვეტს. ცოტა ხანში გაირკვევა, მოსამართლე ეკა არეშიძე ცნობს თუ არა მას დამნაშავედ. შეგახსენებთ: დოკვაძეს თბილისში, ფალიაშვილის ქუჩაზე 25 აპრილს მომხდარ დანაშაულში ედება ბრალი. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, 30 წლამდე პატიმრობა ემუქრება. ახალგაზრდა ცოლქმარს — გოჩა კვირჭიშვილსა და მის 6 თვის ფეხმძიმე მეუღლეს, ელზა გულიაშვილს მათივე სახლში ბოროტმოქმედმა ჩაქუჩით თავი გაუტეხა, დასისხლიანებული იქვე მიაგდო და მიიმალა.

ოთახში აღმოჩნდა ნივთმტკიცება — სისხლით მოსვრილი ჩაქუჩი. დაზარალებულები სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს. საკეისრო კვეთის წყალობით, ჩვილი სიკვდილს გადაურჩა. გიორგი 2 კგ წონის დაიბადა, უმწიფრობის გამო კარგა ხანს იაშვილის კლინიკაში სპეციალურ აპარატზე ჰყავდათ მიერთებული. ელზას ქალა ტვინის ღია ტრავმა აღენიშნებოდა, დაზიანებული ჰქონდა შუბლის ტვინის ძვლოვანი ნაწილი და რბილი ქსოვილი. გადარჩენის შანსი მინიმალური იყო. ოპერაცია ჩატარდა, ელზა გადარჩა. ის ამჟამად თავის სახლშია და თავისუფლად გადაადგილდება, მაგრამ ვერ მეტყველებს. რაც შეეხება გოჩა კვირჭიშვილს, მასაც თავის დაზიანება ჰქონდა. გოჩას მეტყველება დაუბრუნდა, მაგრამ პარალიზებულია. კვირჭიშვილი სასამართლო პროცესზე რეანიმობილით მიიყვანეს...

კვირჭიშვილმა ბრალდებული ირაკლი დოკვაძე დანაშაულში ამხილა. ისინი უახლოესი მეგობრები იყვნენ. ერთმანეთი წლების წინ, ციხეში გაიცნეს და მას შემდეგ მეგობრობდნენ. ისიც დადგენილია, რომ ამ დანაშაულის დღეს დოკვაძე მათთან სტუმრად იმყოფებოდა. თავდაპირველად, დაკავებულ დოკვაძეს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობაში სდებენ ბრალს. მაგრამ შემდეგ, მისივე ჩვენების საფუძველზე, 376-ე მუხლით წაუყენეს ბრალი. პოლიციაში მოწმედ მიყვანილი დოკვაძე ამბობდა: გოჩა კვირჭიშვილი რძლის, აწ გარდაცვლილი ძმისცოლის მოკვლას აპირებდა, სახლში შემსრულებელიც ჰყავდა, სახელად ოთო, რომელსაც 20.000 დოლარს უხდიდა; მას ხელში იარაღი ეჭირა და ისინი ერთად დავტოვე ბინაშიო. დოკვაძე ოთოს აღნაგობასაც აღწერს. ამბობს, რომ ის 35 წლამდე ასაკის, საშუალოზე ცოტა მაღალი, შავგვრემანი, ცოტა მელოტია და ქუდით დადის. გამოძიების პროცესში დოკვაძე ფოტორობოტის შექმნასა და ოთოს ვინაობის დადგენას ითხოვდა, მაგრამ ამას ვერ მიაღწია. დოკვაძე კვირჭიშვილების სახლში იმ დღეს ყოფნას ახლაც ადასტურებს, მაგრამ კატეგორიულად უარყოფს მომხდარ დანაშაულთან კავშირს

„როგორ დავადო ხელი დოკვაძეს, როცა ჩემი და ამბობს, რომ მას თავში არ ჩაურტყამს?!“

სკანდალურმა ჩვენებამ შესაძლოა, ყველაფერი შეცვალოს

და გამართლებას ითხოვს. დადგინდა, რომ კვირჭიშვილებს რძალთან ბინის გამო უთანხმოება მართლაც ჰქონდათ და დავა სასამართლომდე იყო მისული. ეს ფაქტი არც დაზარალებულის ადვოკატებმა — ნანა და თამარ გოჩელაშვილებმა უარყვეს. მაგრამ ამბობენ, რომ პრობლემა მოგვარებულია და საქმე სასამართლოშიც მორიგებით დასრულდა.

ჟურნალ „გზაში“ ამ ფაქტის შესახებ უკვე ვწერდით და გოჩა კვირჭიშვილის ჩვენებაც გამოქვეყნდა. მაშინ ადვოკატები — დები გოჩელაშვილები ამბობდნენ, რომ ელზა გულიაშვილი მათი ნათლულია და ამიტომ იცავდნენ მათ. თუმცა გულიაშვილის დებს სერიოზული პრეტენზიები აქვთ ადვოკატებთან: კატეგორიულად აცხადებენ, რომ გოჩელაშვილები მათ ინტერესს არ იცავენ, ამიტომ უნდობლობას უცხადებენ.

სასამართლო სხდომაზე სკანდალური ჩვენება მისცეს ელზა გულიაშვილის დებმა. მეგი, ნათია და შორენა გულიაშვილები უკვე დაიკითხნენ. სწორედ მათ აღმოაჩინეს ბინაში მომაკვდავი, ფეხმძიმე ელზა. გულიაშვილების ჩვენებებმა დამატებით, უამრავი კითხვა წარმოშვა და ბევრი რამ ეჭვქვეშ დააყენა.

სასამართლო სხდომაზე მოწმედ დაკითხულმა შორენა გულიაშვილმა აღნიშნა, რომ განსასჯელ ირაკლი დოკვაძეს არ იცნობს. ელზა გულიაშვილი და გოჩა კვირჭიშვილი შემზარავ ფაქტამდე 8 თვის ადრე დაქორწინდნენ. შორენას არც ის დაუმალავს, რომ დებს გოჩა სიძედ არ მოსწონდათ, მაგრამ როცა ელზა გაჰყვა, ამ ფაქტს შეეგუვნენ. არ გამორიცხავს, რომ გოჩამ ელზა ანგარებით შეირთო. გოჩას დედა ამბობდა, — 44 წლის კაცს ცოლი რად უნდაო?! — და წინააღმდეგი იყო მათი ქორწინების. „არ მინდოდა, ასეთ ოჯახში შესულიყო ჩემი და. ელზას სუფთა ბიზნესი ჰქონდა, კარგი რეპუტაცია, საკმაოდ მაღალი ხელფასი, ვფიქრობ, ეს იყო გოჩას ინტერესი; მას მართალია, უძრავი ქონება ჰქონდა, მაგრამ ყოველდღიური შემოსავალი არ გააჩნდა. ელზა ამბობდა, რომ არ უყვარდა, მაგრამ ვფიქრობ, გოჩა აშანტაჟებდა და ამიტომ გაჰყვა. შეიძლება, — დებს რამეს მოვუწყობო, — ემუქრებოდა, არ ვიცი. ახალი გათხოვილი იყო, როცა მასთან მივედით და ვკითხე, თუ გიყვარდა, რატომ არ მითხარი-მეთქი?— ნუ ლაპარაკობ, შეიძლება, აქ მოსასმენი აპარატი იყოს ჩართულიო, — მითხრა. რაც გოჩას გაჰყვა, ჩვენთან იშვიათად მოდიოდა, მაგრამ ჩვენ ვაკითხავდით“, — ამბობს შორენა გულიაშვილი და იმ დღეს ასე იხსენებს:

„25 აპრილს, დილის 11 საათზე ელზას სახლის ნომერზე დავურეკეთ და ვთხოვეთ, ჩვენთან სახლში მოსულიყო. როგორც წესი, უარი თქვა და გვითხრა, თქვენ ამოდითო. ელზას მეგიმაც დაურეკა, თქვა, გოჩას სახლში ვიღაც მეგობარი ჰყავსო. ჩვენ გველოდებოდა. ელზა ძალიან აქტიური და მოძრავი ადამიანია, მაგრამ ბოლო დროს ყველაფერზე რატომღაც, უარს ამბობდა. როგორც ჩანს, გოჩა არ უშვებდა. სულ ამბობდა, — მირჩევნია, თქვენ ამოხვიდეთო. 4 საათს 15 წუთი აკლდა, უკვე ფალიაშვილის კუთხეში ვიყავით და ელზა მობილურზე არ გვპასუხობდა. სანამ მანქანა გადავაყენეთ, მობილური ვიღაცამ უკვე გათიშა. ელზას ტელეფონი გამორთული არასდროს ჰქონია, ძალიან შეშფოთდით. რამდენიმე წუთში ბინის კართან ვიდექით და როცა არავინ გაგვიღო, ძალიან ავღელდით. მათი ბინის გასაღები მხოლოდ 3 ადამიანს ჰქონდა — ცოლ-ქმარს და გოჩას დედას, იზო გაბუნიას. მეგი იზოსთან, ქვედა სართულზე ჩავიდა, რომ გასაღები გამოერთმია, მე ზემოთ, კართან დავრჩი. იზომ თქვა, — არ ვიცი, გასაღები სად არისო, — არადა, სხვა დროს სულ კართან ეკიდათ. იქნებ ავტოფარეხში არიან და კარს იმიტომ არ აღებენო, — უთხრა მეგის და ავტოფარეხში უშვებდა, ისიც იქითკენ მიდიოდა. ზემოდან ვუყვირე, — იქ რა გინდა, გასაღები გამოართვი-მეთქი. არ ვიცი, ჩემს დას რატომ გზავნიდა „პადვალში“; ფაქტია — უნდოდა ჩვენი დაცალკევება და ალბათ მერე უფრო მოგვერეოდნენ... მოვთხოვე, ჩქარა გასაღები მოეცა. როგორც იქნა, მოძებნა, ნელ-ნელა ამოიარა კიბე, კარში გასაღები შეარჭო, თქვა, ვერ ვაღებო, გასაღები ისევ უკან გამოაძვრინა და ხელში დაიჭირა. გასაღების მოცემას ვთხოვდი. მიხვდა, თავს არ დავანებებდი და ამის შემდეგ თვითონ გააღო კარი. ბინაში პირველი თვითონ შევიდა. იზო გაბუნია თავის ჩვენებაში ამბობს, რომ ზემოდან, შვილის გაურემონტებელი ოთახებიდან ხმაური და ბრაგუნი მოესმა და როცა ის სახლში შევიდა, ლოგიკურია, სწორედ იმ მხარეს უნდა წასულიყო. მაგრამ იქით არ წასულა, გარემონტებული ბინის მხარეს წავიდა. მე ვეძახდი ელზას. „ვანა“-ტუალეტის კარი შევაღე. მეგი გასარემონტებელი ოთახის გასასვლელი კარისკენ წავიდა და დაიძახა, — ვაიმე, ელზაო! რომ შევედი, მეგის ეჭირა ელზას გადახლეჩილი თავი და ყვიროდა. ერთმანეთს შევეშველეთ და მოვახერხეთ, საწოლის კუთხეში დაგვწვინა. ვცდილობდი მისი კბილების გახსნას. თითები აღარ მემორჩილებოდა. ვყვიროდი, — კოვზი მომიტანეთ-მეთქი! თავის განძრევა არ შეიძლებოდა, მეშინოდა, ინფექცია არ შეჭრილიყო. კოვზი არავინ მომაწოდა. იზომ ასეთ თავგადახლეჩილ გოგოს წყალი გადაასხა. ავეფარე: რას აკეთებ-მეთქი?! მეგი „სასწრაფო“, „სასწრაფოს“ გაიძახოდა. ამასობაში ჩვენი პატარა და, ნათიაც მოვიდა... როცა ჩვენ მივედით, ელზას ჯერ გონება დაკარგული არ ჰქონდა. ვფიქრობ, ფაქტი ახალი მომხდარი იყო, სისხლი თავიდან წვეთავდა. 5 წუთით მისვლა რომ დაგვეგვიანა, ელზა დღეს ცოცხალი აღარ იქნებოდა. ჩვენი საზრუნავი იყო, როგორმე საავადმყოფოში ცოცხალი მიგვეყვანა და გადაერჩინათ“, — ჰყვებოდა პროცესზე შორენა გულიაშვილი. მისი თქმით, იმ დროს მისი სიძე იქ არავის უნახავს. შორენა გულიაშვილი არ გამორიცხავს, რომ როცა კარი შეაღეს, იმ დროს დამნაშავე ჯერ კიდევ ბინაში იმყოფებოდა.

„ამ დროს ყველა ოთახი შემოიარა იზომ, მათ შორის, ის გაურემონტებელი ოთახებიც. შეუძლებელია, მისი შვილი, გოჩა იმ დროს დასახიჩრებული რომ ყოფილიყო, იქ მას არ დაენახა. გაურემონტებელი სამზარეულო, სადაც გოჩა იპოვეს, კარიდანაც კი ჩანს. ფაქტია, ამ ქალმა ყველა ოთახის კარი მოხურა და უკან გამობრუნდა, კარის გასაღები კი ჯიბეში ჩაიდო. სავარაუდოდ, მკვლელი იმ დროს სახლში უნდა ყოფილიყო, ის გარეთ ვერანაირად ვერ გავიდოდა. ალბათ მან მერე დატოვა იქაურობა სხვა გასასვლელით“, — ამბობს იგი და დასძენს, რომ სიძის დაზიანების ფაქტი საავადმყოფოში ერთი საათის შემდეგ შეიტყო. მისი მტკიცებით, ელზა კარს არავის გაუღებდა, მათ შორის — ქმრის მეგობრებსაც კი.

„როგორც წესი, სახლში გოჩა აღებდა კარს. სულ რაღაცის ეშინოდა... როცა ჩემი და ასეთ მდგომარეობაში ვნახე, პირველი რეაქცია იყო — ხომ არ მოხდა ქურდობა? მოვათვალიერე იქაურობა, არეული არაფერი იყო. კუთხეში, თაროზე გოჩას ოქროს ბეჭედიც დავინახე. არ ვიცი, გოჩამ რა ვითარებაში მიიღო დაზიანება. ერთს გეტყვით, იზოს თავისი შვილი იქ დაგდებული რომ ენახა, რეაქცია ექნებოდა. იზო გვეუბნებოდა, ზედმეტი არაფერი თქვათო. არ ვიცი, ამ ქალს რა ჰქონდა ჩაფიქრებული. გოჩა „არამიანცის“ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სიძის ნახვის საშუალებასაც არ გვაძლევდნენ გოჩას მეგობრები, ამბობდნენ, რომ ეს იზოს დავალება იყო. გამცენ პასუხი — რატომ არ მიშვებდა იზო გაბუნია ჩემს სიძესთან? ექიმმა, როცა გოჩას მდგომარეობა ვკითხე, მიპასუხა: ჩაკაკუნებული და მოზომილი არ მინახავს, მას მარტო ძვალი აქვს დაზიანებული და 6 თვეში თავისუფლად გაივლისო. რამდენჯერმე გამიმეორა — ჩაკაკუნებული და მოზომილი არ მინახავსო. მითხარით, ეს რას ნიშნავდა? ერთადერთხელ ვნახე გოჩა, ის გონზე იყო, ხელიც მომიჭირა, თვალებიც გაახილა. არ

ვიცი, რატომ იცავდნენ გოჩას ცოლისდებისგან, ლოგიკას ვერ ვხედავ ამაში. დღემდე არ მინახავს გოჩა. ადვოკატს წერილიც კი გავატანეთ მასთან, ყველანაირად ვცდილობდით მისთვის ხმის მიწვდენას, მაგრამ ვერ მოვახერხეთ", — აღნიშნავს შორენა გულიაშვილი.

როგორც ირკვევა, ამ ფაქტის შემდეგ, კვირჭიშვილების და გულიაშვილების ოჯახებს შორის ურთიერთობა დაიძაბა. ელზა გულიაშვილს შვილიც წაართვეს და ის დღეს კვირჭიშვილებთან იზრდება.

„ბავშვის გადარჩენასაც არავინ ელოდა. დეიდები თავს ვევლებოდით, არაფერს ვაკლებდით. ამ ადვოკატებმა მოგვატყუეს, გვითხრეს, ელზას ქმედუუნარობაზე საბუთები შეიტანეთ, მეურვეობის უფლებას თქვენ მოგცემენ და ბავშვის პრობლემა მოგვარდებაო. ჩემი და დადიოდა ამ საბუთების მოსაგვარებლად. მართალია, არ არსებობს დოკუმენტი, რომელიც ოფიციალურად ადასტურებს, რომ ელზა ქმედუუნაროა, მაგრამ ბავშვი მაინც წაგვართვეს. წარმოიდგინეთ, დედას შვილი წაართვეს და დღემდე მისი ნახვის საშუალებას არ აძლევენ. ამას ელზა ძალიან განიცდის, ტირის. მას თუ შეუძლია, მე მომეფეროს, თავის შვილსაც მოეფერება! მითხარით, რატომ არ გვანახვებენ ბავშვს?! ბავშვის სურათი ტელეფონში ნახა და იტირა. ითხოვდა: გოჩას დაურეკეთ, მისი ხმა მინდა მოვისმინოო, — მაგრამ ესეც ვერ მოხერხდა. არ ვიცი, ასე რატომ ხდება. იმ დღის შემდეგ ბევრი ინციდენტი მოხდა და ამის დამალვა არ შემიძლია", — განაცხადა დაზარალებულის დამ და სხვა კონკრეტული ფაქტებიც მოიტანა. მისი მტკიცებით, კვირჭიშვილები ელზა გულიაშვილს თავის ნივთებსაც კი არ აძლევენ:

„გვინდოდა, ელზას მანქანა წამოგვეყვანა და გაგვეყიდა, რადგან წამლის ფული არ გვქონდა. ერთი დღის წამალი 800 ლარი გვიჯდებოდა. ამის საშუალება არ მოგვცეს: მანქანა ჩემმა დებმა რომ წამოიყვანეს, პატრულში უჩივლეს. შემდეგ გოჩას ძმაკაცები გვევაჭრებოდნენ, მანქანა მოიყვანეთ და იზო წამლების ფულს მოგცემთო. რომ მივიყვანეთ, გვითხრეს: აწი დაგვიანებულია და ფულს ვერ მიიღებთო. ჩვენი ბიძაშვილებიც იქ რომ არ ყოფილიყვნენ, ალბათ ჩემს დას, მეგისაც მოკლავდნენ... მეორე დამ, ნათიამ ბავშვის ნახვა რომ დააპირა, იზომ ისე სცემა, დღემდე ინახავს თავის ბღუჯა თმას... ბევრჯერ ვცადეთ ბავშვის ნახვა, მაგრამ უშედეგოდ. მითხარით — 72 წლის ბებია უფრო კარგად მოუვლის ბავშვს თუ 3 ახალგაზრდა დეიდა? რატომ არ უნდა ჰყავდეს შვილი დედას? ელზას ბავშვი არ უნახავს, ეს ადამიანობაა?!" — კითხულობს შორენა გულიაშვილი. მან ისიც დაადასტურა, რომ კვირჭიშვილებს რძალთან უთანხმოება ჰქონდათ:

„ბინის გამო დიდი კონფლიქტი იყო. ჩემი და და ჩვენც წინააღმდეგი ვიყავით, ეს დავა სასამართლომდე მისულიყო. ობოლ ძმისშვილებს ბინას როგორ ართმევთ?! — ეს კითხვა გოჩასთვის ბევრჯერ დაგვისვამს. — ჩემს ძმისშვილებს დედამისზე მეტად როგორ არ უნდა ვუყვარდეო?! — ამბობდა გოჩა. მისგან მომისმენია, რძალს გავაქრობ, მოვკლავო. მის ყველა გამონათქვამს სერიოზულად აღვიქვამდი, მაგრამ ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, რომ ჩემს სიძეს ამის გაკეთება შეეძლო... არ ვიცი, ეს ფაქტი რატომ მოხდა. გოჩას მიმართ შეიძლებოდა, ბევრს ჰქონოდა მტრობა, მაგრამ ჩემს დას მტერი არ ჰყოლია. არ ვიცი, რატომ მიკლავდნენ ელზას... ფინანსურად ყველა გვეხმარებოდა, მაგრამ კვირჭიშვილებისგან არაფერი მიგვიღია. ჩემი ფული მათ სეიფში იყო, ეს გოჩამ იცოდა და ის 1.500 დოლარი, რომელიც 2 დღის წამლის ფული იყო, ისიც არ მოგვცეს. სასიკვდილოდ გაწირეს ჩემი და. ისიც ფაქტია, იმ დღეს ჩემი დის საკრედითო ბარათებიდან 5.000 ლარია გამოტანილი. გოჩამაც აღიარა, რომ ეს ფული გამოიტანა, მაგრამ რისთვის სჭირდებოდა, არ ვიცი".

შორენა გულიაშვილი დარწმუნებულია, რომ მისი და, ელზა მალე სიმართლეს თავად იტყვის და ყველაფერს ფარდა აეხდება: „მინდა, ელზამ თავისი სათქმელი თვითონ თქვას. მალე დადგება ეს დღე და ელზა იტყვის სიმართლეს... კვირჭიშვილები ითხოვდნენ მათ სახლში ელზას წაყვანას და ამბობდნენ, ჩვენთან იქნება და ჩვენ ვუმკურნალებთო. ჩემს დას ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავტოვებდი იქ, საფრთხის ქვეშ", — დასძენს შორენა გულიაშვილი.

მისი ჩვენებიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ შორენამ უფრო მეტი იცის მომხდარზე, მაგრამ ამაზე საუბარი თავად არ სურს და უნდა, სიმართლე საზოგადოებამ და სასამართლომ თავად დაზარალებულ ელზა გულიაშვილისგან შეიტყონ. ფაქტია, ჯერჯერობით ელზა გულიაშვილი სასამართლოს ჩვენებას ვერ მისცემს, რადგან ის გამართულად ვერ მეტყველებს. მაგრამ როგორც ჩანს, ელზა ოჯახს მიმიკით აგებინებს თავის სათქმელს.

ყველაზე სკანდალური — მეგი გულიაშვილის რეპლიკა იყო. უკვე დაკითხულ მეგის მოსამართლემ რეპლიკის უფლება მისცა. მინდა, არაფერი გამომრჩეს და ამ საქმის ირგვლივ ყველაფერი გავიგოო, — თქვა მოსამართლემ და მეგის მისცა სიტყვა.

„მითხარით, რა ვქნა?.. როცა დოკვაძის სურათი ვაჩვენე ჩემს დას და ვკითხე, ელზა, ჩაქუჩი მან ჩაგარტყა-მეთქი? — თქვა, — ამან არ ჩამარტყა, მაგრამ ის იქ იყოო. როგორ დავადო ხელი დოკვაძეს, როცა ჩემი და ამას ამბობს?! ელზა ძალიან შეშინებულია, კარის ზარზეც კი საშინელი რეაქცია აქვს. მაგრამ ის მაინც იტყვის სიმართლეს", — დასძინა მეგი გულიაშვილმა. დები იმასაც ამბობენ, რომ საავადმყოფოში ვიღაცებს ელზას მოკვლაც კი უნდოდათ.

„მითხარით — როგორ შეიპარა რეანიმაციაში, იქ, სადაც არავის უშვებდნენ, ჩემი სიძის მუშა, ვინმე შხუილა და რა უნდოდა მას იქ? არ გამოვრიცხავ, რომ ელზას სიკვდილი უნდოდათ. მეც მეშინია რაღაცების", — თქვა მოწმემ და პროკურორის კითხვას, — ვისი გეშინიაო? — ასე უპასუხა: „გოჩასი მეშინია, დოკვაძე კი აქ ზის. ფაქტია — ელზა გაკავებული ჰყავდათ და ურტყამდნენ; ამას მისი დაზიანებაც ადასტურებს. თქვი, ვინ გეხმარებოდა ჩემი დის მოკვლაში და რატომ კლავდით?" — მიმართა განსასჯელ დოკვაძეს.

„მე რომ იქ დავრჩენილიყავი, ეს ამბავი არ მოხდებოდა. გოჩამ სასამართლოზე თქვა, ნეიროქირურგი ვარ და ვიცი, ელზა საღ გონებაზე არასდროს იქნება და მას ვერასოდეს დაჰკითხავთო", — ისროლა რეპლიკა დოკვაძემ.

შორენა გულიაშვილისთვის ეს ინფორმაცია მოულოდნელი აღმოჩნდა. ის დარწმუნებულია, რომ ამ ფაქტის მიღმა რაღაც სერიოზული იმალება:

„ალბათ გოჩას უნდა, რომ მან ხმა არასდროს ამოიღოს. მისგან ყველაფერია მოსალოდნელი. მაგრამ ელზა ჩვენებას აუცილებლად მისცემს. ამ საქმის მიღმა რაღაც ძალიან დიდი იმალება და იქნებ, თქვენ გაარკვიოთ. ელზა იმ ოჯახიდან დაზარალებულია, მას არ ჰყავს დამცველი, რადგან ჩვენ ადვოკატის აყვანის საშუალებაც არ გვაქვს, ეს ადვოკატები კი ჩვენს ინტერესს არ იცავენ, ამას ხმამაღლა ვაცხადებ".

სასამართლოზე ისიც გაირკვა, რომ გოჩა კვირჭიშვილმა საქართველო დატოვა და სამკურნალოდ ისრაელში წავიდა. დოკვაძემ რეისის ნომერიც კი მიაწოდა სასამართლოს. ესეც მოულოდნელი ინფორმაცია აღმოჩნდა გულიაშვილებისთვის.

ერთ-ერთმა დამ თავის ჩვენებაში ისიც თქვა, — იზო გაბუნიამ გვითხრა, გოჩა წავკისშია წასულიო. აინტერესებთ, რატომ ცდილობდნენ მათთვის კვალის აბნევას? და კიდევ, ბევრ კითხვას სვამენ. მაგრამ მათი ჩვენებიდანაც დარჩა გაურკვეველი: თუ კვირჭიშვილი გარეულია მისი ცოლის მიმართ ჩადენილ დანაშაულში, მაშინ თვითონ როგორღა მიიღო დაზიანება?

გულიაშვილების სკანდალური ჩვენების შემდეგ, განსასჯელის ადვოკატებმა კიდევ ერთი მოწმის დაკითხვა მოითხოვეს — კვირჭიშვილების მეზობლის დამხმარე ქალბატონის, რომელიც ასევე, მომხდარის თვითმხილველია. ადვოკატები — ლუნა ჯიჯელავა და ვლადიმერ ტაბაღუა გოჩა კვირჭიშვილის ჩვენებას ეჭვქვეშ აყენებენ. გოჩა ამბობს, რომ სამზარეულოდან ფანჯარა გააღო და მექორწილეებს დაუძახა; სწორედ ამის შემდეგ დაინახა, როგორ ჩაარტყა დოკვაძემ თავში ჩაქუჩი. ადვოკატების მტკიცებით, ფანჯარასთან მაგიდა ისე იყო მიდგმული, რომ მისი გაღება შეუძლებელი იყო.

ასევე იმ მოწმის დაკითხვით უნდა გაირკვეს, როდის იპოვეს რეალურად, დაშავებული გოჩა კვირჭიშვილი. შუამდგომლობას კატეგორიულად არ დაეთანხმა პროკურორი და კვირჭიშვილის ადვოკატები. მაგრამ მოსამართლემ მაინც დააკმაყოფილა. „გულიაშვილების ჩვენების შემდეგ ახალი გარემობები გამოიკვეთა. იმის დადგენის მიზნით, რამეს ხომ არ მალავს იზოლდა გაბუნია, მიმაჩნია, რომ უნდა დაიკითხოს მოწმე უნდილაშვილი", — თქვა მოსამართლემ.

მომავალ სასამართლო სხდომაზე განსასჯელი ირაკლი დოკვაძეც დაიკითხება. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ■

რუბრიკა მოამზადა თეა ხურცილავამ

სახე

60 სერია — ორ კვირაში ანუ საახალწლოდ „მორთმეული“ „ტრაგიკული ამბავი“

ტელესერიალში — „ჟამი ყვავილობისა“ — მონაწილე მსახიობებს შორის, ერთ-ერთი გამორჩეული, უდავოდ, ბატონი ბაადურ წულაძეა. სწორედ ამით იყო განპირობებული ჩვენი განზრახვა, მსახიობს შინ ვწვეოდით და როგორც ტელესერიალზე, ასევე ქართულ კინოში მიმდინარე ბოლოდროინდელ პროცესებზეც გვესაუბრა. მუდამ საინტერესო რესპონდენტმა — ბატონმა ბაადურმა არც ახლა გაგვიცრუა იმედი, უფრო მეტიც — თავიდანვე ახალი ამბითაც გაგვაოცა.

ნათია ჟვანია

— ტრაგიკული ამბავი უნდა გითხრათ: სერიალი „ჟამი ყვავილობისა“ იხურება. როგორც თავიდან იყო ჩაფიქრებული, სულ 120 სერია უნდა გასულიყო ეთერში. მისი ჩვენება დაახლოებით მარტის ბოლოს უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ „ჟამი ყვავილობისა“ საკმაოდ მაღალრეიტინგული იყო და მისი პოპულარობა უფრო და უფრო მატულობდა, სპონსორებმა სერიალის ხელმძღვანელებს აცნობეს, — ფულს ვეღარ მოგცემთო.

— **რატომ?**

— როგორც მე გავიგე, უთქვამთ, — ის ფული მომავალ არჩევნებს უნდა მოვახმაროთო. ამის გამო, რაც სცენარით იყო გათვალისწინებული ანუ 60-მდე სერიის მასალა უნდა შეამცირონ და 2 კვირაში, საახალწლოდ ფილმი დაასრულონ. სამაგიეროდ, დაგვპირდნენ, რომ არჩევნების ჩატარების შემდეგ, ახალ სერიალს დააფინანსებენ...

— **სერიალის დახურვის გამო გული გწყდებათ?**

— მსახიობი ვარ და შესაბამისად, შეჩვეული ვარ იმ აზრს, რომ ხან მექნება სამუშაო და ხან — არა, მაგრამ ცუდი ის არის, რომ ამ სერიალის გამო, რამდენიმე შემოთავაზებაზე უარი ვთქვი. იგივე გააკეთეს სერიალში მონაწილე სხვა მსახიობებმაც. გარდა ამისა, გრიმიორები და სხვა მომსახურე პერსონალიც უმუშევარი დარჩა. ასე ხომ არ შეიძლება?! ასეთი რამ არც ერთ სახელმწიფოში არ ხდება. თუ პროექტის რეიტინგი დაბალია და მაყურებელი არ ჰყავს, მას მხოლოდ იმ შემთხვევაში დახურავენ. არჩევნების გამო პოპულარული სერიალის დახურვა კი — დიდი აბსურდია... როგორ შეიძლება, ხელისუფლებამ ბიზნესმენს უკარნახოს, ფული რაში უნდა დააბანდოს?! მოკლედ, ახლა აქტიურად ვმუშაობთ და 25 დეკემბერს გადაღების უკანასკნელი, ტრაგიკული დღე იქნება. ისე, სერიალის ხელმძღვანელებს დიდი გეგმები ჰქონდათ, ამბობდნენ, სერიალი ბოლომდე ასეთი რეიტინგული თუ იქნება, ზაფხულში მეორე ნაწილსაც გადავიღებთო, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

— **ბატონო ბაადურ, როგორ მოხვდით ამ სერიალში?**

— საერთოდ, სერიალების დიდი მოყვარული არა ვარ, ამის „სპეციალისტი“ — ჩემი დაა... ტელეფონით დამიკავშირდნენ და ამ სერიალში თამაში შემომთავაზეს. მაშინვე ის ვიკითხე, — ისეთი მაიმუნობა ხომ არ იქნება, ახლა რომ გადის ეთერში და „კონსერვირებული“ სიცილი ადევს-მეთქი?.. მიპასუხეს, — არა, ეს ჩვეულებრივ მელოდრამაზე აგებული, საპნის ოპერაა. ამ წინადადებას სიამოვნებით დავთანხმდი. თეატრალურსა და სახელმწიფო უნივერსიტეტებში ლექციებს ვკითხულობ და ამის გამო ძალიან დაკავებული ვარ, ამიტომ თავიდანვე ვთხოვე, — გადაღება ლექციებს არ დამიმთხვიოთ-მეთქი. მართალია, ერთი-ორჯერ დაემთხვა, მაგრამ ძირითადად, ხელს მიწყობდნენ.

— **აქამდე თუ მიგიღიათ მონაწილეობა რომელიმე სერიალში?**

— ერთ-ერთი ინგლისელი რეჟისორი, ჯეკ ლონდონის „ალასკი კიდის“ მიხედვით იღებდა 13-სერიიან ფილმს, რომელზეც ინტერნაციონალური ჯგუფი მუშაობდა: მსახიობები — ამერიკელები, ხოლო პროდიუსერები — გერმანელები იყვნენ. გადაღებები ვიბორგში მიმდინარეობდა. ჩემი პერსონაჟი იტალიური წარმოშობის ამერიკელი იყო. იტალიელი მსახიობი რომ დაექირავებინათ, ძვირი დაუჯდებოდათ, ამიტომ ეს როლი მე შემომთავაზეს. ყველაზე რთული ის იყო, რომ ფილმი ინგლისურენოვანია და მეც ინგლისურად მიხდებოდა თამაში. გადა-

სერიალ „ჟამი ყვავილობისას“ გადამღებ ჯგუფთან ერთად

ღებებს რომ მოვრჩი და საქართველოში უნდა წამოვსულიყავი, ფილმის მთავარი პროდიუსერი ჩამოვიდა და მასალას უყურებდა. ყველას დავემშვიდობე; მასთან რომ მივედი, მითხრა, — დე სიკა (ცნობილი იტალიელი მსახიობი და რეჟისორია) ხარო! იქვე მყოფ ამერიკელს ვუთხარი, — ამას გადაუთარგმნეთ, რომ დე სიკას დონის მსახიობი ნამდვილად ვარ, მაგრამ იმდენ ფულს არ მაძლევსმეთქი... მოკლედ, სერიალის გამოცდილება მაშინ მივიღე, თუმცა ის კინოს ფორმატი უფრო იყო, ვიდრე — სერიალის. გარდა ამისა, ზაზა ურუშაძის „ცხელ ძაღლშიც“ ვითამაშე რამდენიმე სერიაში. „ჟამი ყვავილობისას“ ჯგუფიდან რომ დამირეკეს, ვიფიქრე, ვცდი, რა არის ეს სერიალში თამაში-მეთქი და ამიტომ დავთანხმდი ადვილად. ვიდრე სერიალის გადაღება დაიწყებოდა, ვიფიქრე, საინტერესოა, როგორ ვითამაშებ ისეთ რამეში, რაც არ მომწონს-მეთქი. გარდა ამისა, ამ სიბერეში კიდევ ერთი ახალი გამოცდილება მივიღე. თუმცა ბევრმა მომცა შენიშვნა, — არ გრცხვენია, ამხელა მსახიობი, სერიალში თამაშზე რომ დათანხმდიო?! არაფრისაც არ მრცხვენია. მე ჩემს საქმეს ვაკეთებ. ჩემს როლს დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდები და მთლიანობაში როგორი სერიალი გამოვა, ეს უკვე ჩემი საქმე აღარ არის. სხვათა შორის, ბევრმა მსახიობმა ასე დაიღუპა თავი: როლი რომ არ მოეწონება, იტყვის, — ეს რა როლიაო?! — და ზერელედ თამაშობს, იმ იმედით, რომ მომავალში უკეთეს როლს შესთავაზებენ. ასეთი მსახიობების საქმე გათავებულია: თუ რომელიმე როლის მიმართ ასეთი დამოკიდებულება ექნება, დიდ როლს აღარავინ შესთავაზებს. თქვენი, ჟურნალისტების საყვარელი შეკითხვაა: საკუთარი როლებიდან რომელს გამოარჩევთო? ამაზე ყოველთვის ერთი პასუხი მაქვს: ყველა როლს ისე ვთამაშობ, თითქოს ის ჩემთვის ერთადერთია, შესაბამისად, ვერც ერთს ვერ გამოვარჩევ.

— მიუხედავად იმისა, რომ სერიალების მოყვარული არ ხართ, „ჟამი ყვავილობისას“ ყურებამ არ გაგიტაცათ?

— ამ სერიალს ვუყურებ მხოლოდ იმის გამო, რომ გავიგო იმ სცენების შინაარსი, რომლებშიც არ ვარ, რათა ჩემი სცენების გადაღებისას ყველაფერი ვიცოდე.

— როგორ ფიქრობთ — ქართულ სინამდვილეში თუ ხდება ისეთი ამბები, რაც სერიალშია გადმოცემული? მაგალითად, შესაძლებელია, რომ ორი ოჯახი ასეთ „რთულ ფორმებში“ მტრობდეს ერთმანეთს?

— მიმაჩნია, რომ ხელოვნება ცხოვრების სარკე სულაც არ არის. ეს არის ცხოვრება, რომელიც ხელოვნის „ორგანიზმსა და ტვინშია გატარებული“. რასაკვირველია, მასობრივი და პოპხელოვნება რეალური ცხოვრებისგან ძალიან შორსაა. მაგალითად, ჰოლივუდში კინომ მაშინ მოიპოვა დიდი პოპულარობა, როცა ამერიკაში საშინელი ფინანსური კრიზისის გამო, ხალხს დეპრესია ჰქონდა, ამიტომ ყველა ადამიანი კინოში დადიოდა, რათა მოგონილი ცხოვრება ენახა და ცოტა დამშვიდებულიყო. სერიალებს კი, მით უმეტეს, საერთო არაფერი აქვს რეალურ ცხოვრებასთან. ხალხს მოსწონს მელოდრამა, შესაბამისად, ყველა სერიალი მელოდრამატულ ამბავზეა აგებული და ამიტომაც არის „ყურებადი“. ასეთი მრავალფეროვანია ხელოვნება.

— თქვენც ისე კარგად გესმით მცენარეების ენა, როგორც თქვენს პერსონაჟს სერიალში?

— აბა, რა! მიმოიხედე ჩემს სახლში და დაინახავ, რამდენი მცენარე მაქვს. თუმცა უნდა ვაღიარო, რომ მათ, ძირითადად, ჩემი და უვლის. გვიმრა ყველაზე მეტად მიყვარს, რადგან გურიაში გატარებულ ბავშვობას მაგონებს. იქ უამრავი გვიმრაა. საერთოდ, ბუნება მიყვარს, რადგან სოფელში ვარ გაზრდილი. ხეებს რომ ჭრიან, ცუდად ვხდები. ახლა თბილისში ხეების მოჭრამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ოღონდ კი გზა გაიყვანონ და ამისთვის უამრავ ხეს ჭრიან. ეს ჩემთვის უდიდესი ტრაგედიაა.

— ვარაზის ხევიდან თამარაშვილის ქუჩის მიმართულებით გზა რომ უნდა გაიყვანონ, მაგას გულისხმობთ?

— მაგასაც ვგულისხმობ. კი გვპირდებიან, ხელს არაფერს ვახლებთო, მაგრამ თქვენ გგონიათ, ამ გზის გაყვანის შემდეგ „მზიურისგან“ რამე დარჩება?

— ამბობენ, გზის ორივე მხარეს ხეებს დავრგავთო...

— როგორ გეკადრებათ?! კარგი, რა! ბუნება მაშინ არის კარგი, როცა ბუნებრივია. აბა, რუსთაველის პროსპექტზე ხელოვნურად რაღაც ყვავილები რომ დარგეს, კარგია? რუსთაველი „ბამბანერკას“ დაემსგავსა. გემოვნება მაინც ჰქონდეთ!..

— ამას შეეწირა თქვენი სერიალიც. სპონსორები ფულს ჩადებენ, ახალ მერს ავირჩევთ და ახალ „ბამბანერკებსაც“ გაგვიკეთებენ...

— მართალი ხარ. ნორმალურ ქვეყანაში ასეთ პოპულარულ სერიალში უფრო მეტი სპონსორი ჩადებდა ფულს, მაგრამ ჩვენთან ყველაფერი უკუღმაა. თუმცა უკუღმა რომ იყოს, კიდევ არა უშავს, მაშინ გავიგებდით, რა არის წაღმა, მაგრამ ასეც რომ არ არის?!.

— მოდი, თემა შევცვალოთ: ამ სერიალში თქვენ გვერდით უამრავი ახალგაზრდა და რამდენიმე ახალბედა მსახიობიც თამაშობს. როგორც პროფესიონალი, რა აზრის ხართ მომავალ თაობაზე?

დე სიკას დონის მსახიობი ნამდვილად ვარ, მაგრამ იმდენ ფულს არ მაძლევს-მეთქი...

— საერთოდ, ძალიან კონტაქტური ადამიანი ვარ და ყველა ახალგაზრდასთან ადვილად შევდივარ კონტაქტში. აქედან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, რომ საკმაოდ ნიჭიერი თაობა მოდის, მაგრამ იცით, რაშია საქმე?.. ჩვენი თაობა იმით იყო ბედნიერი, რომ თითქმის ყველა ჩვენგანი კინოში იყო დაკავებული. თუ მსახიობი პროფესიონალურად დაკავებული არ არის, მისი ნიჭი და გამოცდილება ნელ-ნელა უკან-უკან მიდის და პროფესიონალურ თვისებებს კარგავს. ნიჭს უნდა მოვუაროთ, რათა განვითარდეს. ახლანდელი თაობა თეატრში კი თამაშობს, მაგრამ თეატრი და კინო ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება. წეღან რომ ვისაუბრე იმ სერიალებზე, სადაც „კონსერვირებული“ სიცილია, დავამატებ: მსახიობმა ასეთ სერიალში თუ ითამაშა, მისი პროფესიონალიზმი მაშინვე დაბლა დაწევას დაიწყებს.

— წეღან ისიც თქვით, რომ ჰოლივუდში დიდი ფინანსური კრიზისის დროს დაიწყეს ფილმების გადაღება. ჰოლივუდს ალბათ ვერ შევედრებით, მაგრამ ამ ბოლო დროს ერთმანეთის მიყოლებით, რამდენიმე ქართული ფილმიც გადაიღეს, ასევე — ფინანსური კრიზისის ფონზე. ამასთან დაკავშირებით, რა აზრის ბრძანდებით?

— სამწუხაროდ, ძალიან ცოტა ახალი ფილმის ნახვა შევძელი. ჩემი აზრით, ძალიან კარგი იყო, ჩვენს დროს ფილმის გადაღებაზე ცენზურა რომ იყო დაწესებული, რადგან ეს რეჟისორის ფანტაზიას უფრო მეტად აღვიძებდა. ახლა კი თურმე ყველაფრის გადაღება შეიძლება. თან, უცხოელებს ჰბაძავენ. ჩვენ არავის ვბაძავდით. ახლა, ქართველმა რეჟისორმა ბოევიკი რომ გადაიღოს, ამით ვინმეს გააკვირვებს?! ამერიკელები ჩვენზე უკეთეს ბოევიკს იღებენ და ჩვენსას საერთოდ არ უყურებენ... კარგია, ფესტივალები რომ არსებობს, რადგან ხალხი უნდა მიხვდეს, რომ საფესტივალო კინო სხვა არის და ხელოვნება — სულ სხვა. როგორც ოსკარ უაილდი ამბობდა, არ არსებობს მორალური და ამორალური წიგნი, არსებობს კარგად და ცუდად დაწერილი წიგნი. ამ შემთხვევაშიც ასეა. როგორც გითხარით, ბევრი ახალი ფილმი არ მინახავს. უფრო მეტად, სტუდენტების მიერ გადაღებულ ფილმებს ვნახულობ და უნდა ვთქვა — საინტერესო რაღაცებს იღებენ. საერთოდ, მთავარი ის არის, რეჟისორი როგორი პიროვნებაა. დამერწმუნეთ, ეს მის მიერ გადაღებულ ფილმს ეტყობა... ■

როგორ ანეებივრებს ორსულ „შინაბერას“

„ცისფერთვალება ზვიგენი“

კარგა ხანია, რაც „კომედი შოუს“ მსახიობებმა — თათია სულუაშვილმა და ნიკა არაბიძემ საკმაოდ წარმატებული ეკრანული წყვილი შექმნეს: ისინი სახასიათო პერსონაჟებს — შინაბერა პედაგოგსა და „ნახევრად ათლეტური“ აღნაგობის ნიკოლოზს განასახიერებენ. აბეზარი ქალბატონი მამაკაცის „რბილი“ ხასიათით სარგებლობს და მის „დაპყრობას“ თავდაუზოგავად ცდილობს. თათიას პერსონაჟის მსგავსი ქალი ნიკას ცხოვრებაში მართლა ყოფილა, ოღონდ — დაოჯახებამდე. იმ „ავბედით“ წლებში იუმორისტს „კომედი შოუს“ მთელი შემოქმედებითი ჯგუფი მხარში ედგა და ამხნევებდა... თათიას რაც შეეხება, თავისი გმირისგან აბსოლუტურად განსხვავდება: როგორც თავად აღნიშნა, მებრძოლი ხასიათი არა აქვს და არ მოსწონს, როცა ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის ინიციატორი ქალია. თათია ცოტა ხნის წინ მეორედ გათხოვდა და საკუთარი პერსონაჟისგან განსხვავებით, მომავალი მეუღლის „შემოფეთებულ“ მზერას მორცხვად დახრილი მზერით უპასუხა...

ეთო ყორღანაშვილი

თათია:

— რომ ვთქვა, — მე და არაბიძე დავსხედით და ჩემი პერსონაჟის შექმნაზე განსაკუთრებულად ვიფიქრეთ-მეთქი, — ტყუილი იქნება. ერთ ჩვეულებრივ სამუშაო დღეს ავტობუსის სკეტჩს ვწერდით, რომელშიც ქალის როლი უნდა შემესრულებინა. ვიფიქრე, — გარდერობში შესაფერის ტანისამოსს თავად მოვძებნი-მეთქი. ასე ვიპოვე თეთრი შლაპა და 5 ზომით დიდი „იუბკა“, რომელიც „ბულავკით“ „ჩავამაგრე“.

ნიკა:

— სულ მეშინია, — სკეტჩში არ გაეხსნას „ბულავკა“ და კაბა არ ჩასძვრეს. მე რისი მეშინია, არ ვიცი, მაგრამ მაინც (*იცინის*)...

— თათია, სკეტჩის ჩაწერისას უხერხულ სიტუაციაში თუ აღმოჩენილხარ?

ნიკა:

— ერთხელ „ბულავკა“ გაეხსნა და კაბა სძვრებოდა. არადა, ისეთ სცენას ვწერდით, სადაც ფეხზე დგას და თან, ხელებით „მეჩალიჩება“ — მოგეხსენება, მის გმირს ჩემგან სულ რაღაც უნდა (*იცინის*)...

თათია:

— სკეტჩში არაბიძისთვის ჟაკეტი უნდა გამეხადა, მაგრამ ჩემი კაბისთვის ხელი რომ გამეშვა, ჩამძვრებოდა. ნიკას ვითომ ჩუმად ვუთხარი, — „იუბკა“ დამიჭირე-მეთქი. არადა, ჩემი ხმა ყველამ გაიგონა. ჩემი ჭკუით, სიტუაცია გამოვასწორე. ამაზე ბევრი ვიცინეთ.

ნიკა:

— ალბათ, ისეთი ადამიანებიც არსებობენ, როგორიც თათიას პერსონაჟია. ეს გმირი თათიამ „აღმოაჩინა“: ერთხელ რომ ითამაშა, მოგვეწონა და...

თათია:

— ამ გმირმა ცისფერთვალება, „თეთრი ზვიგენი“ მაპოვნინა, — ისეთი, რომელიც არც ერთ ოკეანეში არ ბინადრობს!

— შენს პერსონაჟს განსაკუთრებულად რა მოსწონს „ნახევრად ათლეტური“ აღნაგობის მამაკაცში?

ნიკა:

— ამ კითხვას მე უნდა ვუპასუხო: განსაკუთრებულად კი არაფერი მოსწონს, მაგრამ ჩემი გმირის გარდა, ყველა მამაკაცი დაკავებულია. კაცი წინააღმდეგობას ვერ უწევს, ქალიც ამით სარგებლობს.

თათია:

— ეს კაცი რომ მეწინააღმდეგება, მუღამში უფრო მაგდებს! ჰოდა, ჩემი მიზანია, ნიკოლოზი დავიპყრო და ჩემი გახდეს!

— რეალურ ცხოვრებაშიც ასეთი მებრძოლი ხასიათი გაქვს?

— პირიქით — აქეთ „მებრძვიან“ (*იცინის*).

— მხოლოდ მამაკაცებთან ურთიერთობას არ ვგულისხმობ.

— არა, საერთოდ არ ვარ მებრძოლი...

ნიკა:

— თავჩაღუნული დადის, აქეთ-იქით

დაჩერჩეტობს. სამსახურთან რომ მოდის, თუ არ დაუძახე, — აქეთ შემოუხვიეო, — გასცდება.

თათია:

— ჰო, ობოლი ჭუკივით დავდივარ...

— ნიკა, შენს ცხოვრებაში თუ ყოფილა თათიას პერსონაჟის მსგავსი „შეურიგებელი“ ქალბატონი?

თათია:

— რას ლაპარაკობ, ხომ დაენგრეოდა ოჯახი?! ისეთი რომ შეხვდეს, ჩათვალე, რომ ცოლ-შვილი აღარ ეყოლება!

ნიკა:

— სხვათა შორის, ასეთი შემთხვევა მართლა მქონდა, ოღონდ — მაშინ ცოლი არ მყავდა: იმ ქალბატონს ჩემი თანამშრომლები აკლებული ჰყავდა; მთელი სამსახური მხარში მედგა, მორალურად და სულიერად.

— აბეზარ თაყვანისმცემელს როგორ იშორებდი? სინამდვილეშიც „რბილი“ ხასიათი გაქვს?

— მაინცდამაინც მკაცრი არ ვარ. მიმაჩნია, რომ „რბილი“ ხასიათი მაქვს, თუმცა ყველა ადამიანის მსგავსად, მეც ვყოფილვარ განერვიულებული, გაღიზიანებული... ძირითადად, გაწონასწორებულ მდგომარეობაში ვარ, მაგრამ აფექტის შემთხვევებიც მქონია... იმ წლებს ნუ გამახსენებ, ჩემი გაჭირვება მყოფნის! ის ქალი მოვიცილე, ახლა ეს მყავს..

— თქვენი ეკრანული წყვილი — შინაბერა პედაგოგი ქალბატონი და ნიკოლოზი საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა, თუმცა სხვა საინტერესო როლებიც გაქვთ. თქვენს განსაკუთრებულ სიმპათიას რომელი გმირი იმსახურებს?

— მთვრალი კაცის როლის შესრულება რა კარგად გამოგდისო, — რომ მეტყვიან ხოლმე, ამაზე „ტრაფარეტული“ პასუხი მაქვს მომზადებული: მთვრალი იმდენჯერ ვყოფილვარ, რომ ფიზიზელიც კარგად ვასრულებ მთვრალის როლს-მეთქი. ყველა ჩემი პერსონაჟი მომწონს. თათუშკას ძველბიჭობა ძალიან მაგრად გამოსდის.

თათია:

— ხალხს სინამდვილეშიც ასეთი ვგონივარ. არადა, რა ნაზი ყოფილხარო, — მეუბნებიან.

ნიკა:

— კიდევ, მასწავლებლის ცნობილი სკეტჩი გვაქვს — თათიას თმაში რომ ვწვდები ხოლმე. დასავლეთში რომ ჩავდივარ, ვხვდები, რომ ყველა ძალიან გვგულშემატკივრობს. როგორ უყვართ, იცი? ამისი თავი საზოგადოებას მე შევაყვარე.

თათია:

— ხალხს ჰგონია, მართლა „მჩეჩავს“.

ნიკა:

— ხალხს ვუხსნი ხოლმე, — ეს სკეტჩი თვეში ერთხელ იმიტომ გვაქვს, რომ ამ ხნის განმავლობაში, თათია თმას ინერგავს და ამოსდის-მეთქი (*იცინის*).

თათია:

— ხანდახან, არაბიძე მუღამში ისე შედის, რომ „მჩეჩავს“, სადღაც მიმაგდებს და ლამის წიხლიც ჩამაზილოს — სულ აღარ ახსოვს, რომ თმა მართლა არ უნდა მომქაჩოს!

— ეი. რაც ეკრანზე ჩანს, ზოგჯერ სინამდვილეს შეესაბამება?

— მაინც ადამიანია და..

ნიკა:

— ზოგჯერ ხელი გაგექცევა, მაგალითად — როცა სასადილოდან ახალი გამოსული, დანაყრებული, ენერგიაზე მოსული ვარ, მაგ დროს ვერ ვზომავ ხოლმე.

თათია:

— როცა ადამიანს უნდა, რაღაც გულით გააკეთოს, არ უნდა დაუშალო. რას ლაპარაკობ? მე ამას იმხელა პატივს ვცემ, რომ თუ მის გულს ესიამოვნება, სადმე მიმანარცხებს კიდეც, მერე, რა? ავდგები, „ჩამოვიფშვნეტ“ კაბას და გავივლი, დიდი ამბავი!

— ნიკა, როლში შედიხარ თუ გაბრაზებს და ჯავრს სკეტჩში იყრი?

— როლში შევდივარ, თორემ იცის, რომ ჩაწერის დღეს არ უნდა გამაბრაზოს, რადგან შემიძლია, სკეტჩში ჯავრი ვიყარო (*იცინის*). თუ გამაბრაზა, მისთვის ცუდად დამთავრდება — სკეტჩში ხელს ვერ შემომიბრუნებს!

— თათია, ორსულად ხარ. ამის გამო, თანამშრომლები უფრო მზრუნველად არ გეპყრობიან? არ განებივრებენ?

— კი. სხვათა შორის, ნიკამ დღეს რძიანი ყავა მომიდუღა და მომართვა. წავიდა და ჩემი გულისთვის 25 თეთრი „გადააგდო“ — როგორია, ამ ცხოვრებაში ამხელა თანხას „ჰარი-ჰარალოზე“ რომ მოისვრი?

ნიკა:

— რა ვქნა? შეძლებისდაგვარად, ხან კარალიოკი მომაქვს, ხან — ვაშლი.

თათია:

— მე და თამუნას საოცრად გვანებივრებს...

— ახლახან მეორედ გათხოვდი. როგორ გაიცანი მომავალი მეუღლე?

ნიკა:

— ჩხუბში გაიცნო: ამის უბანი თათიას ქმრის უბანს ურტყამდა...

თათია:

— ჩვენი უბანი ჩაცხრილეს. მერე იკითხეს, — სადაა უბნის ზედამხედველიო? ჩავვარდი „ბაბაჩკით“, გავშალე და უნდა დამერტყა, მაგრამ რომ შემომეფეთა შავი თვალები, — ვაიმე, ჩემია-მეთქი! — ვტაცე ხელი და შინ გავაქანე, გადავარჩინე... ასე დავიტოვე ჩემთვის!

— სახალისო ამბავია, მაგრამ რეალურად რა მოხდა, არ მეტყვი?

— ჩემი მომავალი მეუღლე საქართველოში არ ცხოვრობდა — 12 წელი ევროპაში გაატარა. აქ რომ ჩამოვიდა, საერთო მეგობრის დაბადების დღეზე გავიცანი. დავინახე, დამინახა, „შემომაჟუჟუნა“ თვალები. მეც მორცხვად დავხარე მზერა, გავინაზე... ამ „ოდნოკლასნიკებმა“ ხომ საერთოდ წინ წამწია — წინ იმხელა ნაბიჯით გადამაგდო, რომ სად აღმოვჩნდი, თავადაც არ ვიცოდი. იყო პაემნები. მერე დამნიშნა და დედაჩემს უთხრა: „ეს გოგო ჩემთვინ მინდაო“. დავკარი ფეხი და ჩემი ჩემოდნებით გავყევი.

— ერთმანეთის მეუღლეებთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

ნიკა:

— ჩვენს „რძლებთან“ და „სიძეებთან“ ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს — ყველანი ერთი ოჯახის წევრებივით ვართ.

თათია:

— ნიკას მეუღლეს ვეცოდები: ხშირად მწერს, — შე საბრალო, ნიკამ თმა აღარ დაგიტოვა თავზე, უნდა ვუსაყვედურო და გავაფრთხილო, რომ ცოტა ნელა „მოგჩეჩოსო“. ყველას ჰგონია, რომ მართლა „მჩეჩავს“: არადა, ერთ ბღუჯას თუ ამომაცლის, მეტს — არა. ამაში საგანგაშო არაფერია — გადავინერგავ და ეგაა... ნიკას მეუღლესთან ვმეგობრობ. თუმცა რაც ბავშვი შეეძინა, აღარ მინახავს.

ნიკა:

— ერთმანეთს ხშირად ვერ ხვდებიან, მაგრამ მიწერ-მოწერა აქვთ. იმანაც რა ქნას? პატარა ბავშვი ჰყავს. როცა სახლში ვარ, შვილს მე ვუვლი, მაგრამ როცა არ ვარ?

— შენს პატარას რა ჰქვია?

— დემეტრიუს-მაქსიმუსი (*იცინის*). დემეტრე ჰქვია.

— იუმორის ნიჭს ხომ არ ამჟღავნებს უკვე?

— რომ გითხრა, — ანეკდოტებს როცა ვყვები, იცინის-მეთქი, — არ ვიქნები მართალი, მაგრამ ისე ძალიან მხიარული ბავშვია. სახლში მისვლისას, დავუძახებ ხოლმე, — გამარჯობა, მამა-მეთქი! ხმით მცნობს და უხარია. მეც მიხარია, როცა ჩემი ხმის გაგონებისას პირი ყურებამდე აქვს „გახეული“ და იცინის. როგორც ვატყობ, მალე ლაპარაკს დაიწყებს: მამა იმერელი ჰყავს, დედა — გურული და

თათია:
— ხალხს სინამდვილეშიც ასეთი ვგონივარ. არადა, რა ნაზი ყოფილხარო, — მეუბნებიან.

მაგან რომ არ ილაპარაკოს, საცოდაობაა! დილით ყოველთვის ვეკითხები: — მამა, რა მოგიტანო? — მაგრამ ჯერ არაფერს მეუბნება, ხათრიანია. შევპირდი, — ყოველდღე ასე გკითხავ, მაგრამ 1 წლის შემდეგ უკვე დედამ გიყიდოს, რაც გინდა-მეთქი (*იცინის*).

— დაოჯახების შემდეგ, თქვენს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა?

თათია:

— მხოლოდ ჩემს თავზე აღარ ვზრუნავ, მეუღლეზეც ვფიქრობ. ძალიან კარგ ოჯახში შევედი, კარგი დედამთილი მყავს. მინდა, საოჯახო საქმით დავკავდე, მაგრამ ყველაფრის გაკეთებას მასწრებს — „დილით“, 1-ელ საათზე რომ ავდგები, გასაკეთებელი აღარაფერია (*იცინის*).

— ერთხელაც რომ გაბრაზდეს დედამთილი, მერე?

— მერე უფრო დილაუთენია ავდგები — 4 საათისკენ... საღამოს 4 საათისკენ (*იცინის*). სხვათა შორის, სადილის მომზადება ვიცი. კარგად გამომდის ოსტრი, ჩაქაფული, ლობიანი...

ნიკა:

— აი, მე კი დილით მართლა ადრე — 8 საათზე ვდგები. ვიდრე მარტო ვიყავი, მეძინა ხოლმე, მაგრამ ახლა ცოლ-შვილი, სარეცხი (*იცინის*)... ზოგადად, ბევრი რამ იცვლება, როცა დაოჯახდები — მატარებელი სხვა რელსებზე რომ გადავა და მიდის, ისეა. ოჯახი ცხოვრებაში მეტ სტიმულს გაძლევს. გინდა, სულ რაღაც აკეთო, ბევრი იშრომო...

— მოდი, თათიას თეატრალურ საქმიანობასაც შევეხოთ. თათია, როგორც ვიცი, რუსთავის კლუბურ თეატრ „ბრავოში“ მუშაობ...

— ამას წინათ, რუსთავქალაქობის დღესასწაულზე, სპექტაკლი ღია ცისქვეშ მქონდა და კარგადაც „გავითხლაშე“ მაყურებლის წინ. ავდექი და თამაში განვაგრძე. კაბაც ამეჩეჩა და სულ მომძვრა ყველაფერი. დრამატული სცენა იყო. არადა, ხალხი სიცილით დაიხოცა.

ნიკა:

— სცენაზე წაიქცა, ჩვენთან კი თითიც არ წამოსტკივებია!

— თათიას სპექტაკლებს ესწრები?

— ერთხელ ვარ ნამყოფი. ბებერი ქალის როლს ასრულებდა და ძალიან უხდებოდა! უი, ჩემი აგრაფინა ბებია-მეთქი, — კინაღამ დავეტაკე, ბებიაჩემი მეგონა! ისეთი გრიმი ჰქონდა, ვერც ვიცანი. მერე გავიგე, თურმე თათია ყოფილა (*იცინის*).

თათია:

— მოკლედ, ვიდრე ჩემი გამოსვლა სცენაზე სანახავად ესთეტიკური იქნება, მანამდე ვივლი კლუბურ თეატრში.

ნიკა:

— მერე ახალ სპექტაკლს დადგამენ, რომელშიც შენს მდგომარეობას რომ მოუხდება, ისეთ როლს მოგცემენ. თუ თეატრში არ დადგამენ, „კომედი შოუში“ გავაკეთებთ!

■

„ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ 1812 — ᲔᲠᲗᲐᲓ“

— ᲠᲣᲡᲣᲚ-ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲘᲓᲔᲐ

ქართველმა და ფრანგმა რეჟისორებმა — ლაშა გოგნიაშვილმა და ჯამელ მამუდიმ საკმაოდ საინტერესო პროექტის — „მოსკოვი 1812 — ერთად“ — განხორციელება გადაწყვიტეს. 2012 წელს ცნობილი ბოროდინოს ბრძოლიდან 200 წელი სრულდება. პროექტი სწორედ 2012 წელს დასრულდება. სპექტაკლზე მუშაობა უკვე დაწყებულია. მასში, რუსეთ-საფრანგეთის ომში, რუსეთის მხარეს ნაბრძოლი პეტრე ბაგრატიონის ამბავია მოთხრობილი. ბაგრატიონის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ჯამელ მამუდიმ საკუთარი ვერსია შექმნა. მისი იდეა პატენტდება და ვერავინ შეეცილება, მაგრამ მაინც მთხოვა, — პიესის შესახებ დეტალურად ნუ დაწერ, ინტრიგა შევინარჩუნოთო. მთავარი ისაა, რომ სპექტაკლი რუსებსა და ქართველებს შორის ურთიერთობის მოგვარებას ისახავს მიზნად.

ჯამელ მამუდი სპექტაკლში — „03K4“

ᲔᲗᲝ ᲧᲝᲠᲦᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ჯამელ მამუდი:

— 2008 წლის 8 აგვისტოს, როდესაც ჩემი ქართველი მეგობრებისა და ფრანგული მედიასაშუალებებით შევიტყვე, რომ ცხინვალისა და გორის გარშემო რუსებმა ბომბების ჩამოყრა დაიწყეს, დაუძლეველ წუხილთან ერთად, ბრაზი მომერია! საქართველოში მყოფ ჩემს ახლობლებზე ვფიქრობდი. წარმოვიდგინე, რა საშინელ დღეში იყვნენ ცხინვალსა და გორს შორის მცხოვრები ჩემი ტყვიაფული მეგობრები, რომლებიც თბილისში მცხოვრებ ოჯახებამდე ჩაღწევას ცდილობდნენ, რეზერვისტების მშობლები როგორ დარდობდნენ ჯარში სასწრაფოდ გამოძახებული შვილების გამო... ომამდე ერთი თვით ადრე, თბილისიდან გავემგზავრე. აეროპორტში მეგობრებმა გამაცილეს და ავინიონში არდადეგების მშვენივრად გატარება მისურვეს, მე კი დარცხვნილი ვცდილობდი მათ დამშვიდებას, რომ ჯარისკაცების ჩექმების ბრაგუნი და რადიო-ტელევიზიებში დაძაბულობის შესახებ საუბარი სახიფათო არ იყო. ვპირდებოდი, რომ მშვიდი ზაფხული ექნებოდათ და არდადეგებს ისინიც წყნარად გააატარებდნენ... დღეები გადიოდა და თავს უსარგებლოდ ვგრძნობდი. ჩემს რუს და ქართველ მეგობრებს ხშირად ვიხსენებდი... საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ გაბრაზებამ გამიარა და კითხვები გამიჩნდა: ეს ყველაფერი რატომ უნდა მომხდარიყო და ღირდა კი ამდენი ადამიანის მსხვერპლად?! გასამართლებელ მიზეზებსაც ორივე მხარის ნაცვლად ვეძებდი. ამიტომ რუსებისა და ქართველების ერთობლივი ამბის კვლევა დავიწყე და გავაცნობიერე, რომ კავკასიის სხვა ხალხის მსგავსად, თანამედროვე ისტორია კონფლიქტებით არის აღსავსე, მაგრამ ისეთი პერიოდებიც გავიხსენე, როცა მეზობლებს შორის მშვიდობა სუფევდა და ისინი მოკავშირეები ხდებოდნენ. როგორც შემოქმედი, ვცდილობ, მათ ურთიერთობაში სასარგებლო აღმოვაჩინო და ამით დიალოგის წამოწყებას შევუწყო ხელი. შემოქმედება და თეატრი ხომ ხელს უნდა უწყობდეს საზოგადოებრივ დებატებსა და უბრალდ მყოფი ორი მეგობრის შერიგებას! სწორედ მაშინ, რამდენიმე წლის წინ სუფრაზე ერთი ქართველი თამადის მიერ მოყოლილი ძველი ამბავი გამახსენდა. თამადა ნაპოლეონის ეპოქაში, რუსულ ჯარში მომსახურე ცნობილი ქართველი გენერლის — პეტრე ბაგრატიონის სიმამაცეზე საუბრობდა. მაშინ ეს გვარი კი მეცნობოდა, მაგრამ ქართული შამპანურის ეტიკეტებისა და თბილისის ქუჩების დიდი სარეკლამო ბილბორდების გარდა, არანაირ მოგონებას არ აღმიძრავდა. გარკვეული ლიტერატურის გაცნობის შემდეგ გავიგე, რომ გენერალი პეტრე ბაგრატიონი 1812 წელს, ნაპოლეონის არმიის მოსკოვისკენ სახიფათო გადაადგილებისას, რუსული ჯარის მარცხენა ფრთის სარდალი გახლდათ. კვლევისას აღმოვაჩინე ჩემი სცენარის გმირები: რუსები, ქართველები და ფრანგები. რუსები და ქართველები დამპყრობლის

— საფრანგეთის წინააღმდეგ არიან შეკრულნი. ისინი 2008 წლის ზაფხულის პროტაგონისტებს შევადარე: გმირები იგივენი დარჩნენ, ოღონდ — როლები შეიცვალა...

ჯამელს ორწლიანი პროექტის — „მოსკოვი 1812 — ერთად“ განხორციელებისთვის საჭირო ფინანსების მოსაძიებლად, ერთ-ერთი ქართული ბანკის წარმომადგენელთან შეხვედრაზე აგვიანდებოდა. ამიტომ საკუთრივ პროექტის შესახებ უფრო დაწვრილებით რეჟისორი **ლაშა გოგნიაშვილი** *მესაუბრა:*

— საქართველოში ჯამელი 10 წლის წინ, „კულტურული“ გზით მოხვდა: საფრანგეთიდან ის ქართულმა სკოლამ მოიწვია. სპექტაკლების დადგმით მას ბავშვებისთვის ფრანგული ენის შესწავლის პროცესი უნდა გაეიოლებინა. მას შემდეგ, ჩემი ფრანგი მეგობარი აქაურობით „მოიწამ-

ლაშა გოგნიაშვილი სპექტაკლში — „მსოფლიოს შემოვლა სისულელეა, თუ ისეთივე დაბრუნდი, როგორიც წახვედი“

ლა“. ჯამელ მამუდის მეუღლეც ქართველია. უკვე შვილიც — ალი-ზაქარია მამუდიც ჰყავთ. მამუდი საქართველოსა და საფრანგეთს შორის ხშირად მოგზაურობს. ჩვენ ადრეც გვითანამშრომლია. 2-სერიანი ფილმიც გადავიღეთ — „ერთი ჯარისკაცის ისტორია“, რომლის მიხედვითაც, ადამიანებმა იმედით თუ არ ვიცხოვრეთ, ვერასოდეს „გავძვრებით“. პროექტის — „მოსკოვი 1812 — ერთად“ — იდეა ჯამელს ეკუთვნის. სურს, სპექტაკლი დადგას 1812 წლის მოვლენებზე. 2010 წელს ის მარტო გაივლის მთელ იმ გზას, რომელიც ნაპოლეონმა მოსკოვამდე გაიარა, პიესას დასრულებული სახე რომ მისცეს. მან ყველა ადგილი უნდა მოინახულოს, სადაც რუსი და ფრანგი ჯარისკაცები დადიოდნენ. მართალია, ისტორიული მასალა არსებობს, მაგრამ ფაქტების დასაზუსტებლად, მხოლოდ წიგნები არ კმარა. არ გვინდა, მერე ვიღაცები გამოჩნდნენ და თქვან, — ეს რა გიქნიათ? სპექტაკლი ასე რატომ დადგითო?! სპექტაკლის პრემიერა საქართველოში გაიმართება, ჩვენი ქვეყნის ყველა დიდი ქალაქის თეატრის სცენას მოივლის, მერე კი საფრანგეთში, პარიზში ვითამაშებთ. საფრანგეთიდან სპექტაკლით იმ გზას გავივლით, რომელიც ნაპოლეონმა გაიარა, მოსკოვის ჩათვლით. სპექტაკლს პოლონეთში, ლიტვაში, ბელორუსიაშიც ნახავენ და ის შერიგებისკენ მოწოდება იქნება: ადამიანები ოდესღაც ერთმანეთის გვერდით იდექით და ახლა რა ეშმაკი გეტაკათ?! როცა დიდ ძაღლს პატარა პუდელი უყეფს, დიდი ძაღლი ზოგჯერ „ვაფს“ გიზამს, — შენი ადგილი იცოდეო! სამყარო ასეა მოწყობილი — დიდია და ყველაფერი ეპატიება.

— საქართველოს ტერიტორიების ოკუპირება რუსეთს ეპატიება?

— ჩემი ერის დაღუპვა არავის ეპატიება, მაგრამ ცოტა ჩვენც უნდა მოვინდომოთ და არ უნდა ვიჭაჭებოდეთ, — მე შენზე მაგარი ვარო! ჩვენი პროექტი იმ მიზანს ემსახურება, რომ ქართველებმა და რუსებმა საერთო ენა უნდა გამოვნახოთ და ადამიანურ ურთიერთობას მივაღწიოთ.

— რუსები თუ არიან საქმის კურსში?

— კი. საფრანგეთის ელჩმა რუსეთში ისეთ ადამიანებთან შეგვახვედრა, რომლებიც ამ თემასთან დაკავშირებით, დიდ საქმეებს აკეთებენ. მხარდაჭერა მივიღეთ პოლონეთიდან, ლიტვიდან. პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზისაც მივაწვდინეთ ხმა. წერილიც მივიღეთ, რომ ისიც გახარებულია, რუსულ-ქართული ურთიერთობის მოგვარებაზე ასეთი ფორმით რომ

ჯამელ მამუდი

— ასე რატომ გადაწყვიტეთ?

— ეს ჯამელმა გადაწყვიტა. შემოქმედებითი თვალსაზრისით, ჩემთვის ფრანგული კულტურის უკეთ შეცნობა უფრო საინტერესო იქნება, ჯამელისთვის — ქართულის. მე ნაპოლეონში უნდა „შევძვრე“, ჯამელი — ბაგრატიონში. ვნახოთ, რა გამოგვივა. კიდევ რამდენიმე მსახიობი გვყავს, მაგალითად — ალექსანდრე პირველის როლს ლაშა რობაქიძე შეასრულებს.

— რეპეტიციებს საქართველოში ჩაატარებთ?

— გარკვეული პერიოდის განმავლობა-

საფრანგეთის ელჩმა რუსეთში ისეთ ადამიანებთან შეგვახვედრა, რომლებიც ამ თემასთან დაკავშირებით, დიდ საქმეებს აკეთებენ

ვზრუნავთ. ქართული მხარის მხარდაჭერას რაც შეეხება, ჩვენს სახელმწიფოში მხოლოდ 1 წლის ბიუჯეტი აქვთ გათვლილი, პროექტი კი 2012 წელს დასრულდება. გვპირდებიან, — მოგვიანებით შემოგიერთდებით, თუკი მანამდე ქვეყანა არ დაინგრა და ჩვენს თანამდებობებზე დავრჩითო.

— მოდი, სპექტაკლზე ვისაუბროთ. საინტერესოა, მაგალითად — პეტრე ბაგრატიონის როლს ვინ შეასრულებს?

— ბაგრატიონის როლს ჯამელი შეასრულებს, მე — ნაპოლეონს ვითამაშებ.

მე ნაპოლეონში უნდა „შევძვრე“, ჯამელი — ბაგრატიონში

ში — საქართველოში, მერე საფრანგეთშიც გავემგზავრებით, რადგან შემოქმედებითი ჯგუფის ზოგი წევრი ფრანგულ კულტურას არ იცნობს. თუკი რუსული მხარე ინიციატივას გამოიჩენს, დიდი სურვილი გვაქვს, მათთანაც გავემგზავროთ და რუსულ კულტურას ვეზიაროთ.

— შეიძლება ითქვას, რომ ისტორიულ სპექტაკლს დგამთ?

— კი, მაგრამ ისტორიის მიხედვით, ბოროდინოს ბრძოლის შემდეგ, რუსებმა უკან, მოსკოვისკენ დაიხიეს და მოსკოვიც გადაწვეს. ნაპოლეონი დაცარიელებულ მოსკოვში შევიდა, შემდეგ ქალაქი ცეცხლის ალში გაეხვია... არსებობს ლეგენდა, რომ პეტრე ბაგრატიონი ბრძოლის ველზე დაეცა და დაიღუპა. ამასთან დაკავშირებით, ჯამელ მამუდი თავის ვერსიას ქმნის და ამბობს, რომ პეტრე ბაგრატიონი ბრძოლის ველზე არ დაღუპულა — ის მანამდე ცოცხლობდა, ვიდრე რუსეთის ტერიტორია უკანასკნელმა ფრანგმა ჯარისკაცმა დატოვა. პეტრე ბაგრატიონში მთელი ქართველი ერი იგულისხმება — ანუ ვიდრე უკანასკნელი რუსი ჯარისკაცი არ დატოვებს საქართველოს ტერიტორიას, მანამდე არ დავიხოცებით!.. იმედია, ჩვენი პატარა შემოქმედებითი ჯგუფი 2 დაპირისპირებულ მხარეს ერთმანეთთან შეარიგებს (პოლიტიკურ ფიგურებს არ ვგულისხმობ)... ■

აბსურდული კომედია „ბრავოს“ სცენაზე
და დიდი მაესტროს ტრადიციული შენიშვნები

რეჟისორმა ლაშა ნოზაძემ რუსთავის კლუბური თეატრის — „ბრავოს“ სცენაზე იტალიელი დრამატურგის, სპირო შიმონეს პიესა — „კონვერტი“ დადგა. ლაშამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სპექტაკლი — აბსურდული კომედიაა...

„კონვერტის“ გენერალურ რეპეტიციას ბატონი რობერტ სტურუა (მოგეხსენებათ, ლაშა მისი მაგისტრანტია) ესწრებოდა, რომელმაც ახალგაზრდა რეჟისორს პატარ-პატარა შენიშვნებიც მისცა.

ეთო ყორღანაშვილი

რობერტ სტურუა:

— ლაშა ნიჭიერი ბიჭია. „კონვერტი“ ძალიან რთული პიესაა და მგონი, ამ ნაწარმოებს კარგად გაართვა თავი.

— თქვენ მაგისტრანტის პირველი სპექტაკლის ნახვისას აღნიშნეთ, — შენიშვნები მაქვსო. ამ მხრივ, დღეს როგორ შეაფასებთ — დაიხვეწა შემოქმედებითად?

— პრინციპში ახლაც იგივე შენიშვნები მაქვს — სცენიდან ამბავს კარგად ვერ ჰყვებიან. წინა სპექტაკლში ბევრი მუსიკა და მოძრაობა იყო, ახლაც იგივეა. რეჟისორები თავის გამოჩენას უფრო ცდილობენ. მაგალითად, მე ზედმეტ მოძრაობებს „მოვხსნიდი“, აბსურდულ პიესას ყოფაში გადავიტანდი. სცენარი ასე ვითარდება: კაცი იმ ფირმაში მიდის, საიდანაც კონვერტი მიიღო. ვფიქრობ, სპექტაკლში მას ცოტა ადრე იპყროს შიში. ნელ-ნელა შიში ძლიერდება, რადგან ფირმის მმართველები გაუგებარი ადამიანები აღმოჩნდნენ... ეს სწორედ ის აბსურდია, რომელშიც ვცხოვრობთ. მე ამ ყველაფერს უფრო უბრალოდ გავაკეთებდი... ლაშა სწავლის პროცესშია და ალბათ, ისწავლის.

— გინდათ, თქვათ, რომ სპექტაკლი მაყურებლისთვის რთულად აღსაქმელია?

— ალბათ მაყურებელი ყველაფერს მიხვდება, მაგრამ პიესაში მოთხრობილ ამბავს მე უფრო გასაგებს გავხდიდი. რეჟისორებს ხშირად ვეუბნები — სპექტაკლი ისე დადგან, რომ ყველა თაობის წარმომადგენლისთვის გასაგები იყოს... სცენიდან ამბის მოყოლა კარგად უნდა ისწავლონ — ჩემი ძირითადი შენიშვნა ესაა, თუმცა ამ პიესაში ყველაფერს ვერ „გახსნი“, იდუმალება მაინც დარჩება.

— პიესა თქვენ შერჩეულია?

— არა, იტალიის საელჩომ შემოგვთავაზა, რომ 1 კვირის განმავლობაში იტალიური პიესების „კითხვა“ ჩაგვეტარებინა... შემდეგ მაგისტრებს სხვა პიესა — „ორი ძმა“ შევთავაზე. მინდოდა, ის სხვადასხვა ჟანრში დაედგათ. მსურდა, მათთვის სცენიდან ამბავი კარგად ამეხსნა, მაგრამ ჩემს წინადადებას არ დათანხმდნენ და სხვადასხვა პიესა აირჩიეს... საბედნიეროდ, პრემიერა წარმატებული აღმოჩნდა: მსახიობებმა რეჟისორის ჩანაფიქრი გაამართლეს და როლებსაც კარგად გაართვეს თავი.

ალეკო ილარიონი, *მსახიობი:*

— მიხარია, რომ ისეთი ნიჭიერი რეჟისორის სპექტაკლში ვთამაშობ, როგორიც ლაშა ნოზაძეა. ჩემი პერსონაჟი ფირმის პრეზიდენტია, ოღონდ თავიდან გაურკვეველი ვინაობის მქონე ადამიანად გვევლინება. სცენაზე პარტნიორობას ზვიად დოლიძე, სოსო ელიზბარაშვილი და ლეონტი შიოშვილი მიწევდნენ. მუშაობის პროცესი ძალიან საინტერესო და სასიამოვნო იყო.

ლეონტი შიოშვილი, *მსახიობი:*

— ჩემი გმირი სინამდვილეში, სულ სხვა პიროვნებაა და სხვა ადამიანის როლს თამაშობს. ბუნებით ფიცხი ვარ. ამიტომ დინჯად, პაუზებით ლაპარაკი ჩემთვის ძნელი იყო. პრემიერამდე მაინც უკმარისობის გრძნობა მქონდა — თითქოს პერსონაჟი ბოლომდე ვერ „გავხსენი“... ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კი ბატონი რობერტის შეფასებაა. დაძაბული ვმუშაობდი, რადგან ვიცოდი, რომ ბუმბერაზი რეჟისორი, დიდი მაესტრო დარბაზში იჯდა და გვიყურებდა. როცა ჟურნალისტებს ინტერვიუს გაძლევდათ, მის ნათქვამს ყური მოვკარი, — პატარ-პატარა შენიშვნები მაქვსო. პატარას რა უჭირს? მთავარია, დიდი შენიშვნა არ ჰქონდეს (*იცინის*).

ლაშა ნოზაძე, *რეჟისორი:*

— რობერტ სტურუას მოსწავლეები სხვა თაობის წარმომადგენლები ვართ, სხვა რიტმში ვცხოვრობთ. თავად ბატონი რობერტი ამ რიტმს „გარედან“ უყურებს. ის „სიზუსტეებს“ კარდიოგრამასავით კითხულობს... სცენიდან მოყოლის ჩემეული მანერა სხვანაირია, მისი — სხვანაირი. მე თავიდანვე „გავხსენი კარტი“, მაგრამ რუსთაველ მაყურებელს ეს მოსწონს. „ექშენის“ ტიპის ხელწერა ავირჩიე და დარბაზი ხალხით სწორედ ამიტომ ივსება. საქართველოს ყველა ქალაქს სპეციფიკური მაყურებელი ჰყავს. მაგალითად, 2 წლის განმავლობაში, ბოლნისის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელად ვმუშაობდი და იქაც ანალოგიური სიტუაცია იყო. ვიდრე არ გაიგებ, შენი მაყურებელი როგორი კატეგორიისაა, როგორი ამბები მოსწონს, მანამდე ვერასდროს „გაარტყამ“. ამ პიესას თბილისში სხვანაირად დავდგამდი — „სნაიპერის სამიზნეში“ ჩავსვამდი. ბატონი რობერტის რჩევებს, რა თქმა უნდა, გავითვალისწინებ. თუმცა მიმაჩნია, რომ იმისკენ არ უნდა ისწრაფოდე, რაც უკვე არსებობს — რაღაც შენი უნდა გააკეთო. წინააღმდეგ შემთხვევაში „ასლები“ ვიქნებით და ფასი „ორიგინალსაც“ დაეკარგება...

— ლაშა, ეს პიესა რატომ აირჩიე? რა მოგეწონა მასში?

სცენა სპექტაკლიდან

— სპექტაკლის ნახვის შემდეგ, ხალხი დაფიქრდება და იტყვის, — ჩვენზეა პიესაო, — არადა, მასში განსაკუთრებული არაფერია! უბრალოდ, იგივე სიტყვები და ფრაზებია, რაც ყოველდღე გვესმის ანუ რაზეც ყველა ლაპარაკობს, სინამდვილეში კი არავინ არაფერი იცის. ეს აბსურდული ტიპის კომედიაა. მოგეხსენებათ, 60-იან წლებში სამხრეთაფრიკელმა პრეზიდენტმა გერმანიის ელჩი შეჭამა. უჩივლეს, მან კი ჩვეულებრივად უპასუხა: რა მოხდა? ჩემი ელჩიც ხომ მანდაა; თქვენ ეგ შეჭამეთო... როგორც ჩანს, იტალიელმა სპირო შიმონემ პიესა ამ ფაქტზე დაწერა. მომეწონა, რადგან ადამიანები ყოველდღე ინფორმაციულ ომში არიან ჩართულები — ლაპარაკობენ იმაზე, რაც არ იციან და რაც უკვე ჩვევაში გადაეზარდათ... ამიტომ ამ სპექტაკლს ხალხს ვუძღვნი. პირდაპირ ვიტყვი, რომ „კონვერტი“ პოლიტიკური სპექტაკლი არ არის, ის აბსურდული კომედიაა! ■

მადონასა და ჯენეტ ჯექსონის ქორეოგრაფების მიერ მომზადებული „საქართველოს დედოფალი“

და მსოფლიოს საუკეთესო ათეულში მოხვედრილი ქართული სილამაზე

„გზის“ ერთგულ მკითხველს ალბათ გახსოვთ, ცოტა ხნის წინ ანგელა მერკელის საყვარელი ქართველი ბალერინა რომ გაგაცანით, რომელიც წარმატებული სწორედ ბერლინში გახდა. ის იქ „შტადს ოპერაში“ მოღვაწეობს... თათა ჯაშიაშვილმა გასულ ზაფხულს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, დროებით შემოქმედებითი პაუზა აიღო და სამშობლოში დაბრუნდა... ალბათ ისიც გახსოვთ, რომ ამ პაუზის დროს მან ლიკა ყაზბეგის მიერ მოწყობილ კონკურსშიც — „წარმატებული ქალი პოდიუმზე“ მიიღო მონაწილეობა და აუდიტორიის წინაშე საკმაოდ თამამი ნაბიჯი გადადგა — ტანზე პითონშემოხვეულმა იცეკვა... ახლა მის ცხოვრებაში სიახლე ის არის, რომ ცოტა ხნის წინ ის საქართველოს სახელით „მსოფლიო დედოფლის“ კონკურსზე ბერლინში მონაწილეობდა...

ლალი ფაცია

— თათა, რამდენიმე დღეა, რაც გერმანიიდან ჩამოხვედი. რა შედეგითა და შთაბეჭდილებებით დაბრუნდი?

— დიახ, ბერლინში სილამაზის კონკურსზე გახლდით, რომელშიც 60 ქვეყნის ულამაზესი გოგონა მონაწილეობდა.

— როგორ აღმოჩნდი იქ?

— საქართველოს სილამაზის ფედერაციამ, კერძოდ, მისმა პრეზიდენტმა — გია ნადირაძემ კასტინგი მოაწყო, რომელშიც მონაწილეობა მივიღე, გავიმარჯვე და კონკურსზე გამიშვეს. მომზადება ძალიან მოკლე დროში მომიხდა, ვიზის საკითხიც გამიჭიანურდა, მაგრამ ბოლო დღეს, როგორც იქნა, მომცეს ვიზა და კონკურსისთვის საჭირო ეროვნული კოსტიუმი, საღამოს კაბა მხოლოდ ბოლო დღეს შევარჩიე, ფიქრის დროც აღარ მქონდა.

— ბერლინში რამდენ ხანს იყავი?

— 10 დღე ვიყავი. ის დღეები ძირითადად კონკურსისწინა მოსამზადებელი პერიოდი გახლდათ: გვქონდა ფოტოგადაღებები, ქორეოგრაფიაში ჯენეტ ჯექსონისა და მადონას ქორეოგრაფები გვამზადებდნენ. მათთან ძალიან დავახლოვდი... კონკურსზე საღამოს კაბებისა და ეროვნული სამოსის გარდა საცურაო კოსტიუმებითაც წარვდექით.

— ვინ გახდა „მსოფლიო დედოფალი“?

— უკრაინელი ლამაზი გოგონა. მე ათეულში მე-6 ადგილი მერგო...

— ვფიქრობ, რომ ეს გამარჯვების ტოლფასია, რადგან საუკეთესო ათეულში მოხვედრილხარ... სილამაზის კონკურსში პირველად მონაწილეობდი?

— დიახ, პირველად ვმონაწილეობდი. იქ უმეტესად მოდელები იყვნენ, მე კი იმის გამო, რომ ბალერინა ვარ, სამოდელო სფეროში გამოცდილება მაკლდა. ამ კონკურსმა აღნიშნულ სფეროში გარკვეული გამოცდილება მართლაც შემძინა... სამწუხარო იყო, რომ „ტალანტის ტური“ არ ჩატარებულა, სადაც აუდიტორიის წინაშე წარდგენას საბალეტო ნომრით შევძლებდი და ჩემს პროფესიას წარმოვაჩენდი.

— ისე, ბალერინისთვის ასეთ კონკურსში მონაწილეობა რამდენად კომფორტული იყო?

— აბა, რა გითხრათ... ცოტათი უცხო კი იყო; მოდელობას ბალერინობა მირჩევნია...

— რატომ?

— იმდენად დიდ შრომას ვდებ ბალეტში და იმდენად რთული პროფესიაა, რომ მის ფონზე ნებისმიერ სხვა სფეროში მუშაობა მეადვილება... თუმცა თავისთავად არც ერთი სფერო ხელწამოსაკრავი ნამდვილად არ არის... სილამაზის კონკურსზე ადამიანს გარეგნობის დემონსტრირება უწევს, ბალერინას კი სცენაზე მისი ოსტატობის წარმოჩენა სჭირდება. სულ უნდა იშრომოს. ჩემთვის ეს უფრო მისაღებია...

ჩემი ნამუშევრები მერაბ ბერძენიშვილს ძალიან მოსწონს...

— სილამაზის კონკურსებზე, როგორც ამბობენ, გოგონები ერთმანეთის მიმართ ბორტად არიან განწყობილები. ამაზე რას იტყვი? იქ თუ იყო ამის მსგავსი დამოკიდებულება?

— სანამ კონკურსზე მოვხვდებოდი, მეც ასე ვიცოდი, მაგრამ იქ მსგავსი არაფერი მინახავს. ბევრი ქვეყნის გოგონა გავიცანი და მათთან დავმეგობრდი. მაგალითად, დავუახლოვდი „მის ამერიკას“, „მის რუსეთს“...

— ასაკით რამხელები იყვნენ?

— მხოლოდ მე და კიდევ ერთი კონკურსანტი ვიყავით 18 წლისები, დანარჩენები — 18-ის ზემოთ, 28 წლამდე იყვნენ. მეორე კონკურსანტად რუსეთის სახელით მერი ასათიანი გამოდიოდა. ის თითქმის ყველა სილამაზის კონკურსში რუსეთის სახელით მონაწილეობს. კარგი გოგონაა, ისიც ახლოს გავიცანი... კონკურსის შემდეგ ჟიურის ყველა წევრი მოვიდა ჩემთან და მაქებდა. მეუბნებოდნენ, ლამაზი ხარ; გვინდოდა, შენთვის ყველაზე მაღალი ქულები მოგვეცაო...

— მაგრამ როგორც ხდება ხოლმე, საქმეში პოლიტიკა ჩაერთო, არა?

— არ მინდა ამ თემაზე საუბარი... მართლაც პოლიტიკა თამაშობს ხოლმე ყველაფერში დიდ როლს... მეორე ადგილი ჩინელმა გოგონამ დაიკავა; ის გავლენიანი და მდიდარი ჩინელი პოლიტიკოსის შვილია. კონკურსზე თავისი მრავალრიცხოვანი დელეგაცი-

ით იყო ჩამოსული. ჩემთვის კი ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ „მსოფლიო დედოფლის“ ტიტულის მოსაპოვებელ კონკურსზე საქართველოს სახელით გამოვდიოდი ანუ იქ „საქართველოს დედოფალი“ ვიყავი... არადა, ბერლინში რომ ვცხოვრობდი, გერმანიის სახელით წლების განმავლობაში გამოვდიოდი. ამას იმდენად ვიყავი შეჩვეული, „გერმანია“ რომ მესმოდა, მეგონა, ჩემი მშობლიური ქვეყანა იყო. ახლა აღნიშნულ კონკურსზე საოცარი გრძნობა მქონდა: გერმანიაში გერმანიას კი არ წარმოვადგენდი, არამედ საქართველო წარმოვაჩინე. მართალია, ეს ბალეტში არ მოხდა, მაგრამ მაინც ხომ მოხდა?!.

— რომელიმე სამოდელო სააგენტოსგან შემოთავაზება თუ მიიღე?

— კი, შემოთავაზება გერმანული სამოდელო სააგენტოსგან მივიღე, მაგრამ უარი ვუთხარი, რადგან ეს არ არის ჩემი სფერო.

— მაშინ ამ კონკურსზე რატომ წახვედი?

— საქართველოს წარმოჩენა მინდოდა... ამით ბედნიერი ვარ. სხვათა შორის, კონკურსანტებისგან რატომღაც მე გამომარჩიეს და ინტერვიუები ჩამომართვეს. ინტერვიუ რამდენიმე ტელევიზიას მივეცი. ჩემში ის მოეწონათ, რომ ყველას თავის ენაზე დაველაპარაკე: ფრანგს — ფრანგულად, გერმანელს — გერმანულად, რუსს — რუსულად, ამერიკელს — ინგლისურად. ამით მათი მოწონება და ინტერესი გამოვიწვიე. შემდეგ ისიც გაიგეს, ბალერინა რომ ვიყავი, ამასთან, რომ ვხატავ და ვმღერი კიდეც. მათი სიმპათიები ჩემ მიმართ გაძლიერდა და ტელევიზიის სტუდიაში (ერთ-ერთ გერმანულ არხზე), რომელშიც მიწვეული ვიყავი, ქართულადაც მამღერეს...

— რა გრძნობა იყო, როდესაც სრულიად სხვა მისიით ჩახვედი იმ ქალაქში, რომელშიც პროფესიულად გაიზარდე?

— დიახ, ბერლინში ოთხი თვის შემდეგ ჩავედი და ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ჩემს მშობლიურ ქვეყანაში ვიყავი. სხვათა შორის, იქ ყოფნისას მეგობრებისა და ჩემი ექიმის მონახულებაც მოვასწარი. ასევე ავიღე ინსტიტუტის დიპლომიც... მართლაც ბერლინში ხომ პროფესიულად დავიხვეწე. და საერთოდ იქ იმდენი რამ მოხდა, რომ შეუძლებელია, იქაურობა ჩემში სასიამოვნო მოგონებებს არ იწვევდეს. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ქალაქში ჩემი სპექტაკლების აფიშები მხვდებოდა. ვახშამი ყოველდღე სხვადასხვა რესტორანში გვქონდა და ერთ-ერთში რატომღაც, შემთხვევით ჟურნალი გადავშალე და მასში ჩემი ფოტოც აღმოვაჩინე...

— ახლა ის მითხარი, როდის აპირებ შემოქმედებითი პაუზის გაწყვეტას და შენს საყვარელ ბალეტში დაბრუნებას?

— ბალეტისთვის თავი არც დამინებებია, უბრალოდ, ჯანმრთელობის გამო ისე აქტიურად ვეღარ ვვარჯიშობ, როგორც ადრე. მაგრამ ცოტა ხანში გავაქტიურდები და ბალეტს ხატვასა და სიმღერასთან ერთად განვაგრძობ... ასე რომ, ჯერჯერობით მკურნალობის კურსს გავდივარ. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემოქმედებითი პაუზისას სხვა სფეროებში გადავინაცვლე, ბალეტს თავს მაინც არ დავანებებ.

— ჰო, მართლაც, შენ სიმღერა და ხატვა ახსენე. არადა, ჩვენს წინა შეხვედრაზე არც კი გითქვამს, რომ ხატავ და მღერი...

— ამ პაუზის დროს არ მინდოდა, რომ აქტიურ ცხოვრებას ჩამოვშორებოდი და სახლში დავმჯდარიყავი. ამიტომ ხატვაზე მერაბ ბერძენიშვილის კულტურის ცენტრში მივედი. იქ ჩემი ნამუშევრები ძალიან მოსწონთ; განსაკუთრებით კი — ბატონ მერაბს, რაც ძალიან მიხარია. ის სულ მაქებს და მეკითხება — ხატვაზე ადრეც ხომ არ დადიოდი და ჩვენ ხომ არ გვიმალავო?..

თათა მადონასა და ჯენეტ ჯექსონის ქორეოგრაფთან ერთად

— ბავშვობაში ხატვაზე მართლა არ გივლია?

— ხატვის მასწავლებელთან არასდროს მივლია, ყოველთვის ჩემთვის რაღაცას ვხატავდი ხოლმე...

— ახლა რას ხატავ?

— პორტრეტებს...

— ხატვაზე მაინცდამაინც ახლა რატომ მიხვედი?

— მინდოდა, პროფესიონალურად მესწავლა და ამის დრო ახლა გამოვნახე.

— ვინ არის შენი მასწავლებელი?

— ბატონი მერაბის მოსწავლეები და თვით ბატონი მერაბიც. ჩემთვის დიდი პატივია, რომ ასეთი ადამიანი მასწავლის ხატვას.

— აპირებ, რომ მხატვრობას სერიოზულად გაჰყვე?

— არა, სამხატვრო აკადემიაში ჩაბარებას არ ვაპირებ. უბრალოდ მინდა, ჩემთვის ვხატო. ისე, შემომ-



არც სიმღერის გაგრძელება მინდა, რადგან ბალეტი ჩემი მოწოდებაა...

თავაზეს, აკადემიაში ჩააბარეო. მე არ მინდა...

— რატომ?

— იქ რომ ჩავაბარო, ბალეტს ჩამოვცილდები... ხატვის გარდა სიმღერაზეც დავიწყე სიარული. ესეც უცნაურად მოხდა. არასდროს მიფიქრია, რომ ჩემგან მომღერალი დადგებოდა. ერთხელაც კარაოკეზე რაღაც კარგად ვიმღერე. შემდეგ კი სურვილი გამიჩნდა, რომ პედაგოგთან მივსულიყავი. მასწავლებელმა მითხრა, კარგი მონაცემები გაქვს და უნდა გააგრძელოო. მეც ვაგრძელებ. ჩემი ვოკალის პედაგოგი ახლა ზურა მახნიაშვილია. სულ თავიდან კი ვისთანაც მივედი, ის პედაგოგი საოპერო განხრით მუშაობს. მანაც მირჩია, მუსიკალური განათლება უნდა მიიღო, რადგანაც ოპერის მომღერლის ხმა გაქვსო. მირჩევდა, სიმღერას თავი არ დაანებო, კარგი მეცოსოპრანო გაქვსო...

— ახლა რას აპირებ?

— არც სიმღერის გაგრძელება მინდა, რადგან ბალეტი ჩემი მოწოდებაა...

— წარმატებები მინდა გისურვო.

— მადლობა. ვიმედოვნებ, რომ მომავალში ჩემს საყვარელ სფეროში — ბალეტში საქართველოს სახელით მომიწევს გამოსვლა... ■

მერი კობიაშვილი

— ადრე მოდაში იყო გამონათქვამი, გემოვნებაზე არ დაობენო. არადა, პირიქითაა. ყველა ზუსტადაც რომ გემოვნებაზე დაობს. მე ამ ყველაფრის ექსპერტად ვერ გამოვდგები, მაგრამ მოდასთან დაკავშირებით ჩემი თვალსაზრისი მაქვს. მაგალითად, ცოტა ხნის წინ ისრაელის არმიის ფორმის „კურტკა“ მაჩუქეს. ის რომ მაცვია, ბედნიერი ვარ და ვფიქრობ, რა მაგარია-მეთქი. ბევრი მეუბნება, გოიმური რამ გაცვიაო...

— მაინცდამაინც ისრაელის არმიის „კურტკა“ რატომ გაცვია?

— მიყვარს სამხედრო სამოსი და იმიტომ. ებრაულიც მაქვს და ამერიკულიც...

— ქართული სამხედრო ფორმა არ გაქვს?

— მაქვს, მაგრამ ქართული სამხედრო ფორმა ჩემთვის არაა ყოველდღიური მოხმარების საგანი. ის ჩემთვის განსაკუთრებული რამაა, რომელიც ჩემს არცთუ ისე დიდ გარდერობში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. მას ყოველდღიურად ვერ ჩავიცვამ. მე ავთო ცქვიტინიძე ხომ არ ვარ, მოდაში არსებული ფერების მიხედვით რომ ვიმოსებოდე?! სხვათა შორის, რამდენიმე სამხედრო შარვალი ინტერნეტით გამოვიწერე. ფეხზეც სამხედრო „ბათინკები“ მაცვია. ყველა მეუბნება, ბარემ ჯარში წადიო. პრინციპში სულ „ჯარში“ არ ვართ?!

— კიდევ რომელი ქვეყნის არმიის ფორმა მოგწონს და რომელი გინდა, რომ გქონდეს?

— ამაზრზენია რუსული არმიის ფორმა. სულ რომ მაჩუქო, ვერ ჩავიცვამ... სანადიროდ ვიყავით და ერთ მეგობარს რუსული სამხედრო ფორმა ეცვა. გადავირიე, ვკითხე, რამ ჩაგაცვა-მეთქი?!

გემოვნება

მოკლული მწყერი, ჟურნალისტის სამხედრო სამოსი და ტრამვაის ნოსტალგია

„ქართველი ქალები მსოფლიოში ყველაზე ლამაზები არიან“...

ჟურნალისტ ალეკო ელისაშვილს თურმე ნადირობა ჰყვარებია, მაგრამ ნანადირევს ვერ ჭამს. ის ჩაცმაშიც ორიგინალურია, სამხედრო ფორმით სიარული მოსწონს. ამის გამო ყველა გოიმს ეძახის, მაგრამ მიაჩნია, რომ ადამიანმა ის უნდა ჩაიცვას, რაც მოსწონს. ალეკოს განახლებულ თბილისზეც თავისი მოსაზრება აქვს. თბილისის ქუჩებზე გადაცემის გაკეთებას აპირებდა, მაგრამ ჯერ ვერ მოახერხა; ამის მთავარ მიზეზად ის „კავკასიაზე“ მუშაობას ასახელებს.

ამ სამოსში მოხერხებულად და თავისუფლად დავდივარო. მაგრამ მე იმ ფორმით ვერ ვივლი. იდეოლოგიურად მიუღებელია. აღიარებულია, რომ ამერიკული სამხედრო ფორმა ყველაზე კარგია და მეც ის მომწონს.

— როგორც მიგხვდი, ნადირობა გიყვარს, ხომ?

— ნადირობა ძალიან მიყვარს.

— ყველაზე დიდი რომელი ცხოველი მოგიკლავს?

— ვერ ვიტყვი, მაგარი მონადირე ვარ-მეთქი. ძირითადად მწყერს ვკლავ. მაქვს ერთი „კარაბინი“, რომელიც ძალიან მომწონს. საერთოდ იარაღით სიარული მიყვარს. ტახი რომ არ მერჩოდეს, არ ვესვრი. შველს ვერ მოვკლავ. ტახს კი გავიმეტებ...

— მწყერმა რა დაგიშავა, რომ არ ინდობ?

— რა ვიცი, მზესუმზირასავითაა, მაგრამ მწყრის ხორცს ვერ ვჭამ. ნადირობა აზარტული გართობაა. მთლად ჰუმანისტიც არ ვარ.

— უპირატესობას რომელ სამზარეულოს ანიჭებ?

— მიყვარს ქართული სამზარეულო. ხინკალი და ქაბაბი მიყვარს, ლობიო კი ყველაზე მეტად. ეს კერძები შემიძლია, ყოველდღე ვჭამო. თუ გაჭირდა, შეიძლება, გველის ხორცსაც გავკრა კბილი. არ მიყვარს ხაშლამა. არც ჩინური სამზარეულო მომწონს. ჩინურ რესტორნებში ჩემი ძმაკაცების ხათრით დავდივარ.

— ეგზოტიკური საჭმელებიდან რა გაგისინჯავს?

— ერთხელ პარიზში ძმაკაცებმა რაც კი ოკეანეში „უცნაურობები“ დაცურავს, ყველაფერი შეუკვეთეს. აი, მაშინ რა ვჭამე, არც ვიცი... საერთოდ, ევროპაში, სადაც ვყოფილვარ, საშინელი კერძები ყოფილა. შეიძლება, ვაჭარბებ, მაგრამ ყველაზე მაგარი სამზარეულო მსოფლიოში მაინც ქართველებს გვაქვს.

— საინტერესოა, რას ფიქრობ საახალწლოდ განათებულ თბილისზე? მოგწონს?

— ბევრი რამ კარგია, მაგრამ ძირითადად არ მომწონს. ეს წინასაარჩევნო განათებაა და არა წინასაახალწლო. ოდესმე, ნოემბერში გინახავთ საახალწლოდ მორთული თბილისი? ამ გაჭირვებულ ქვეყანაში ასეთი განათება რა საჭირო იყო? თან იცით, რამდენი ფული „მოტეხეს“, რუსთაველზე ჭაღები რომ დაეკიდათ? ზუსტად ვიცი, ვინ არის ის ადამიანი, ვის ჯიბეშიც ის ფული წავიდა.

— ვის ჯიბეში წავიდა?

— ჯერ გამოძიება უნდა ჩავატარო. თუმცა წინასწარ ზუსტად ვიცი, რომ ჩამოტანილი განათებების 20 პროცენტი იმ თანხიდან „მოტეხილი“ აქვს. ის ტიპი თანხას ერთ ანგარიშზე რიცხავს ხოლმე. მას კარგად ვიცნობ. ადრე თუ გვიან, ყველაფერს ვიტყვი. ახლა აზრი არ აქვს... სილამაზე კარგია, მაგრამ ნამუსიც უნდა ვიქონიოთ. ამ განათების პარალელურად ხალხი ბოთლებს რომ ნაგავში ეძებს... მაგრამ ქალაქი ახლა წინასაარჩევნო განწყობილების შესაქმნელად გააჩახჩახეს ასე. მალე მოღიმარი გიგი უგულავას პლაკატები გამოჩნდება. სიაფანდობა, უსინდისობა და წყალში გადაყრილი ფული არ მიყვარს. ეს კი წყალში გადაყრილი ფულია. ვისი ფულით კეთდება ეს ყვე-

ამაზრზენია რუსული არმიის ფორმა

ლაფერი. ხომ შეიძლება, თანხა სოციალურ პროგრამებს მოახმარონ?! მხოლოდ ანძის განათება თვეში 90.000 ლარი ჯდება. ნამდვილად არ ვარ თვალებდაბნელებული ტიპი, რომელიც ყველაფერს კრიტიკულად უყურებს. მომწონს პუშკინის სკვერი და მიწისქვეშა გადასასვლელებიც რომ გაკეთდა, მაგრამ საახალწლო ჭაღები რუსთაველზე არ მომწონს და მომკალით... შუშის შენობები, პრეზიდენტს რომ უყვარს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ლამაზია. ყველაფერს ერთი კაცი არ უნდა წყვეტდეს...

— ჩვენს ქალაქში ტრამვაი რომ მოძრაობდა, თუ მოგწონდა?

— ჩემი ოცნების ტრანსპორტი იყო. ძალიან მომწონს და მიყვარს. სამწუხაროდ მოსპეს და გაანადგურეს...

— კითხვისთვის დრო თუ გრჩება?

— კითხვისთვის დრო რომ არ დამრჩეს, გავგიჟდები. მაგრამ სახლში ვერ ვკითხულობ. ჩემი შვილები როგორც კი წიგნით ხელში მხედავენ, მაშინვე კისერზე მასხდებიან და მთხოვენ, — ვიჭიდაოთო. ამიტომ საჯარო ბიბლიოთეკაში დავდივარ და იქ ვკითხულობ. ისეთი ჩვევა მაქვს, რომ რამდენიმე წიგნს ერთდროულად ვკითხულობ ხოლმე. ბოლო დროს წავიკითხე „ცივილიზაცია“, წიგნი იმაზე, თუ როგორ ვითარდებოდა ევროპაში ცივილიზაცია. ისე, რომ ვერც გავიგე, ცოტა ხნის წინ ჯონ რიდი გადავიკითხე — „ათი დღე, რომელმაც შეძრა მსოფლიო“. ჯონ რიდს აღწერილი აქვს, თუ როგორ აიღეს ხელში ძალაუფლება ბოლშევიკებმა. წიგნი 1923 წელსაა გამოცემული. მხატვრულ ლიტერატურას ვერ ვკითხულობ. მოკლედ, თუ წიგნი ნამდვილ ამბავზე არ არის, ვერ ვკითხულობ.

— ქალების შესახებ მინდა დაგისვა რამდენიმე კითხვა.

— მათზე არ ვისაუბრებ. იმიტომ კი არა, რომ არაფერი მაქვს სათქმელი. უბრალოდ, ოჯახის კაცმა არ მინდა, ქალებზე ვილაპარაკო. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ქართველი ქალები მსოფლიოში, ჩემი აზრით, ყველაზე ლამაზები არიან.

— ქართველები და არა რუსი ქალები? როგორც წესი, ქართველ მამაკაცებს რუსი ქალბატონები მოსწონთ...

— არა. რუსები გამჩენს არაფერში უქნია. ბოლო ორი წელია, ისეთ ტალღაზე ვარ, რომ არც ქალები მომწონს მათი და არც — ლიტერატურა. სამწუხაროდ, ბოლო დროს რუსულად უფრო მეტს ვკითხულობ, რადგან მათი საინფორმაციო ველი უფრო ფართოა. საბჭოთა პერიოდში რუსული ლაპარაკით ვმარიჯობდით, ახლა ინგლისურზე გადავერთეთ... ვიღაცამ ამ ყველაფერზე ხმა უნდა ამოვიღოთ. ამ შემთხვევაში ჟურნალისტებზე მართლა ბევრი რამაა დამოკიდებული. გამოუსწორებელი არაფერია. უბრალოდ, ყველამ ბევრი უნდა ვიმუშაოთ. ■

უმტკივნეულოდ მუშაობის 50 წლის სტაჟი და „პიონერფილმელების“ დიდი მაესტრო

„მედვედევმა ჭიქა ღიმილით მოგვიჭახუნა და გვითხრა, — ვსიო ბუდეტ ხარაშო...“

ცხოვრებაში დიდი სირთულეები არ შეხვედრია, რადგან ისეთ საქმეს არასდროს ეჭიდებოდა, რომლის გაკეთებასაც ვერ შეძლებდა... „პიონერფილმის“ დირექტორს ბრიგულ ჩიგოგიძეს თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში შევხვდი, თავის საყვარელ გარემოში — დამწყებ კინოხელოვნებთან ერთად. მოზარდებსა და მასწავლებელს შორის იმდენად მეგობრული ურთიერთობაა, რომ ბატონი გრიშას დაწყებულ ამბავს ბავშვები განაგრძობდნენ, თან — მასწავლებლის ინტონაციით...

ლალი პაპასქირი



რუსეთის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევთან, 2007 წელი

— მიმაჩნია, რომ იღბლიანი ადამიანი ვარ. ცხოვრებაში დიდი ბარიერები არ მქონია. ალბათ იმიტომ, რომ განსაკუთრებული ამბიციები არ მაწუხებდა. ისეთს არაფერს ვისახავდი მიზნად, რასაც ვიცოდი, ვერ მივაღწევდი... ადრეულ წლებში ყოველი მეშვიდე თბილისელი პიონერთა სასახლეში დადიოდა და გამონაკლისი არც მე ვიყავი. კარგა ხანს ამა თუ იმ წრესა და სტუდიაში ვიარე, მაგრამ მალე მივხვდი, რომ ჩემი სფერო — კინო იყო... მაშინ სასახლეში ნორჩ კინომექანიკოსთა წრე არსებობდა, სადაც პატარებს ეკრანზე ფილმების გაშვებას გვასწავლიდნენ... მოგვიანებით, 1959 წელს სასახლის დირექტორის თაოსნობით, კინოს მოყვარულთა სტუდია ჩამოყალიბდა, რომელსაც „პიონერფილმი“ ეწოდა. იმ ლეგენდარული სტუდიის ბავშვებმა, რომლის ერთ-ერთი პირველი წევრი მეც ვიყავი (*იცინის*), პირველი ფილმი — „ჩვენ მეგობრები ვართ“ გადავიღეთ. მართლაც, ვისაც კი ამ სტუდიაში უვლია, ერთმანეთთან დღემდე ვმეგობრობთ. საბჭოთა კავშირში სულ 3 ათასამდე საბავშვო კინოსტუდია იყო, მაგრამ „ლენინური კომკავშირის პრემია“ მხოლოდ ჩვენ მივიღეთ... სკოლის დამთავრების შემდეგ, მუშაობა ტელევიზიაში დავიწყე, სადაც 50 წლის განმავლობაში ისე ვიმუშავე, უშტატო თანამშრომელი ვიყავი. ახლა არ ვიცი, როგორ არის, მაგრამ მაშინ ჟურნალისტის პროფესიონალიზმი მისი ჰონორარით განისაზღვრებოდა. გადაღებაც ვიცოდი, ტექსტსაც ვწერდი და ხანდახან ეკრანზეც ვჩნდებოდი...

— მაინც რამდენი იყო თქვენი ჰონორარი?

— ნახევარი წლის ჰონორარით ერთი მანქანის ყიდვა შემეძლო... თქვენი ჰონორარი რამდენია?

— _რა თემაზე მუშაობდით?

— ნებისმიერზე. ძირითადად, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ თემებზე. მაშინდელი სპეციფიკა რადიკალურად განსხვავდებოდა დღევანდელი „ტელევიზიონშიკების“ მუშაობის სტილისგან... იმ დროს რესპუბლიკაში ერთადერთი ტელევიზია მაუწყებლობდა და სიუჟეტებზე არ ვნადირობდით. მახსოვს, თბილისში ფიდელ კასტრო რომ ჩამოვიდა, აეროპორტში 4 კაცი დავხვდით: მე, კინოსტუდიის ერთი ოპერატორი, ერთი — მოსკოვის ტელევიზიის ჟურნალისტი იყო, რომელსაც ოპერატორი ახლდა...

— მაშინდელ ცენზურაზე რას იტყვით?

— ისეთ თემებზე არ ვმუშაობდით, რომ რაიმე შეზღუდვა გვქონოდა...

— საბჭოთა წლებში საზღვარგარეთ გასვლებიც გექნებოდათ, საბჭოთა რესპუბლიკებსა და ევროპულ ქვეყნებს შორის განსხვავება ალბათ თვალში საცემი იყო...

— ევროპაში ბევრჯერ ვყოფილვარ. განსხვავება იყო კი არა, სრულიად სხვა სამყარო იყო... ტელევიზიიდან აშშ-ში 5-ჯერ გამიშვეს. ყველაზე მეტად თვალში საცემი, ადამიანებს შორის დამოკიდებულება იყო. ერთი ასეთი ეპიზოდი მახსოვს: მე და ალეკო თეთრაშვილი მოსკოვიდან ამერიკაში უნდა გავფრენილიყავით. აეროპორტისკენ ტაქსით მივდიოდით. სიჩქარეში, ჩვენი მძღოლი კინაღამ წინ მიმავალ ტაქსის შეეჯახა. ჯერ მინაჩამოწეული ფანჯრიდან თავგამოყოფილებმა იჩხუბეს, მერე „გახურდნენ“ და ისე დასცხეს, რომ მე და ალეკომ ძლივს გავაშველეთ... ამერიკაში ჩასვლიდან მეორე დღეს, აეროპორტიდან ტაქსით ნიუ-იორკში მივდიოდით და ზუსტად ისეთივე სიტუაცია შეიქმნა — ჩვენმა მძღოლმა მილიმეტრებში დაამუხრუჭა... დავიძაბეთ. გვეგონა, ამერიკელი „შოფრებიც“ დასცხებდნენ ერთმანეთს, მაგრამ მანქანიდან გადმოვიდნენ, ერთმანეთს თბილად გაუღიმეს და მშვიდობიანი მგზავრობა უსურვეს... სახტად დავრჩით. მართალია, ამერიკელების ღიმილი ხშირად ყალბია, მაგრამ ამ შემთხვევაში თვალში საცემი იყო...

ზაარბრიუკენი, რეჟისორი ჰერმან ვედეკინდი და ზაარბრიუკენის ობერბურგომისტრი ოსკარ ლაფონტენი, 1975 წელი

— საბჭოთა ჟურნალისტებს უცხოეთში როგორ გხვდებოდნენ?

— უცხოელების საეჭვო მიმიკაც კი არ მახსენდება... ერთ კურიოზს მოგიყვებით: გე-დე-ერში, ქალაქ მეინინგენში, ერთი პატარა, სამასკაციანი თეატრია, რომლის ხელმძღვანელობამ შემოგვთავაზა, რომ კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის ოპერის („მინდია“) პრემიერა მათ თეატრში გამართულიყო (მიუხედავად იმისა, რომ მე თეატრში არ ვმუშაობდი, ეს ვიზიტი ჩემი ორგანიზებული გახლდათ; საერთიოდ კი ეს სპექტაკლი რომელ ქვეყანაშიც დაიდგა, ის ყველგან ჩემი გადაღებულია)... გერმანიაში სრული შემადგენლობით ჩავედით. გენერალური რეპეტიციის დღეს ბერლინის ტელევიზიაც ჩამოვიდა. ერთი სიტყვით, პრემიერისთვის მთელი შემართებით ვემზადებოდით, მაგრამ იმ ღამეს ბრეჟნევი გარდაიცვალა... იცით, რა მოხდა? მეორე დილით ყველა ფანჯარაში ბრეჟნევის ფოტოსთან ერთად, შავი ლენტებით გაწყობილი საბჭოთა და გე-დე-ერის დროშები გამოკიდეს... ბედი არ გინდა?! სპექტაკლის პრემიერა ბრეჟნევის გასვენების დღეს იყო დაგეგმილი... გერმანიის თეატრის დირექტორმა მკითხა: რა ვქნათო? — საელჩოში დავრეკავ-მეთქი, — ვუთხარი. იქ მიპასუხეს, — მოსკოვმა გადაწყვეტოსო. მოსკოვის კულტურის სამინისტროში მითხრეს, — „მი ნე რეშაემ ეტო“ და საქართველოს კომპარტიის ცეკაში „გადამამისამართეს“. მაშინ ცეკას მდივანი იდეოლოგიის დარგში, ვიქტორია სირაძე იყო, ძალიან ჭკვიანი და განათლებული ადამიანი და ასეთი დიპლომატიური პასუხი გაგვცა: ეს ხომ ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებია, რომელიც ამბობს, რომ ბუნება მრძანებელია და მის სურვილს წინ ვერ აღვუდგებიო. გვირჩია, სპექტაკლიდან ცეკვა ამოგვეღო... პრემიერამ მშვიდობიანად ჩაიარა. შამპანური ჩუმად დავლიეთ (ამას პრემიერის ტრადიცია გვავალდებულებდა). ბრეჟნევის დაკრძალვის მეორე დღესვე ქალაქი მეინინგენი და მთელი გე-დე-ერი ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა.

— ბატონო გრიშა, ალბათ თვალს ადევნებდით, საბჭოთა სისტემის დაშლასთან ერთად, როგორ იძაბებოდა ურთიერთობა დამოუკიდებლობის მსურველ რესპუბლიკებსა და ცენტრს შორის...

— ბოლოს, რუსეთში 1999 წელს ვიყავით. იქ „მებადური და ოქროს თევზი“ გადავიღეთ. ჩვენ, ქართველები უფრო მეტად ვიყავით დაძაბულები, ვიდრე ისინი. რუსები ძველებურად მეგობრულად შეგვხვდნენ.

— თქვენ სპეციალობა უამრავ ადამიანთან ურთიერთობის საშუალებას გაძლევდათ... ცოტა ხნის წინ თქვენი ფოტო ვნახე, რომელიც რუსეთის დღევანდელ პრეზიდენტთან ერთად არის გადაღებული. სად შეხვდით მას?

— დეპუტატ გოგი ლიპარტელიანის დახმარებით, 2007 წელს ათონის მთაზე ვიმოგზაურეთ. მან ათონში მოღვაწე ქართველ ბერებთან „პიონერფილმელი“ ექიმი, მალხაზ მიზანდარი გაგზავნა, რომელმაც წასვლა მეც შემომთავაზა. ის რამდენიმე დღე მე ამქვეყნიურ სამოთხეში გავატარე... ულამაზესი ბუნება იყო, სადაც საოცარი სიმშვიდე სუფევდა. ჩვენმა მასპინძელმა გვითხრა: დღეს საღამოს აქ რუსეთის პრეზიდენტობის კანდიდატი დმიტრი მედვედევი ჩამოდისო. მაშინ ის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე იყო. ჩვენ ხუმრობით ვუთხარით: დიმას ქართული სადღეგრძელოების ნოსტალგია ექნება და თუ დაგჭირდით, აქ ვართ-თქო... საღამოს მასპინძელმა, ახალგაზრდა, სიმპათიური, შავგვრემანი კაცი გაგვაცნო, რომელსაც 3 კაცი ახლდა. იარაღი თან არ ჰქონდათ, მაგრამ მაინც მივხვდით, რომ პირადი დაცვის თანამშრომლები იყვნენ...

— ალბათ გახსოვთ მედვედევთან საუბრის თემაც...

— ერთმანეთს სუფრასთან შევხვდით. ძალიან თბილად გვეპყრობოდა. პოლიტიკური დებატები არ გაგვიმართავს. მხოლოდ რამდენიმე ჭიქა ღვინო დავლიეთ ერთად. ჩვენ ვუთხარით, რომ ქართველ და რუს ხალხებს საუკუნოვანი მეგობრობა აკავშირებს და იმედია, ეს დაძაბულობა მალე დასრულდება... გაგვიღიმა, ყველაფერი კარგად იქნებაო, — გვითხრა და ჭიქა მოგვიჭახუნა... სამწუხაროდ, ასე არ მოხდა... იქ რამდენიმე დღე დავრჩით, მაგრამ აღარ შევხვედრივართ, — როგორც გვითხრეს, მალევე წავიდა.

— ბატონო გრიშა, ათონელ ბერებთან ურთიერთობა როგორ დაგამახსოვრდათ?

— არაჩვეულებრივი ხალხია, თბილი, მშვიდი, გულისხმიერი, მაგრამ ერთი „ნაკლი“ აქვთ, — გადაღება არ უყვართ. კადრშიც კი ჩანს, ხელით მანიშნებენ, არ გადაგვიღოო... შემდეგ ჭკუა ვისწავლე: მალხაზი ბერებს რომ სინჯავდა და შემდეგ მკურნალობის პროცედურებს უტარებდა, მეც თან დავყვებოდი... მარტო წნევის გაზომვა ვიცი. დავდიოდი და ყველას წნევას ვუსინჯავდი. ექიმი ვეგონე და მშვიდად იყვნენ. მეც ამით ვსარგებლობდი და ფილმისთვის კადრებს ვიღებდი... 35-წუთიანი დოკუმენტური ფილმი გადავიღეთ. ცოტა ხნის წინ რელიგიური ფილმების ფესტივალი გაიმართა და ჩემი ის ნამუშევარი იქ წარვადგინე... არ მინდა, ურწმუნოებაში ჩამომართვათ, მაგრამ უნდა გაგიმხილოთ, რომ სახლში მხოლოდ 2 ხატი მაქვს — ათონის მთიდან და იერუსალიმიდან ჩამოტანილი...

— თანამედროვე ქართულ კინოზეც გკითხავთ: საბჭოთა წლებში ქართული კინო თითქმის მთელ მსოფლიოში აღიარებული იყო; რა არის მიზეზი იმისა, რომ ამ მხრივ დღეს არც ისე სახარბიელო ვითარებაა?

— ბევრი რამ. საბჭოთა პერიოდში იყვნენ რეჟისორები — რეზო ჩხეიძე, გიგა ლორთქიფანიძე, თენგიზ აბულაძე და უამრავი ბრწყინვალე შემოქმედი, რომლებიც სასტიკ მმართველებს „ხელოვნების ენით“ ესაუბრებოდნენ და მათ დათმობაზე წასვლას აიძულებდნენ. ბევრჯერ მიტრაბახია პოსტსაბჭოთა სივრცეში და დღემდე სიამაყით ვამბობ: რეზო ჩხეიძე რომ არ ყოფილიყო, მაგალითად, გუგული მგელაძეს „ფესვებს“ არ გადააღებინებდნენ და კიდეც რომ გადაეღო, ამ სურათს ფართო მაყურებელი ვერ იხილავდა. რეზო ჩხეიძეს უარი ვერ უთხრეს. იმავეს ვიტყოდი, სხვა გენიალური ქართველი რეჟისორების ნამუშევრებზეც, როგორებიცაა — „მონანიება“, „ნატვრის ხე“, „დათა თუთაშხია“... თანამედროვე ქართულ კინოზე აბა, რა გითხრათ? 1990-იანი წლებში საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა ყველა სფეროში უკან დაგვხია და ის რამდენიმეწლიანმა ჩავარდნამ კინოხელოვნებაზეც იმოქმედა. კინო ცოცხალი ორგანიზმივით არის, ყოველდღიურად უნდა ვითარდებოდეს. რასაკვირველია, სასიამოვნოა, რომ დღეს ამ სფეროში გამოცოცხლება შეინიშნება. ძველ რეჟისორებს მუშაობის საშუალება მიეცა და თავის დამკვიდრებას ახალგაზრდებიც ცდილობენ.

— ბატონო გრიშა, ნორჩ კინომოყვარულებთან გაქვთ ურთიერთობა — მათთან, ვინც ახლა იწყებენ კინოს სამყაროს გაცნობას. რამდენად ნიჭიერი თაობა მოდის?

— ნიჭიერი ბავშვები არიან. მართალია, ქართულ ფილმებს მაინცდამაინც არ სწყალობენ, მაგრამ ისეთი რთული ევროპული ფილმების ანალიზს აკეთებენ, გაოცებული ვრჩები. საოცრად გონებაგახსნილები არიან და საოცარი მიგნებები აქვთ. რაღაცებს თავადაც იღებენ, საქმეს საკმაოდ კარგად და უნარიანად უდგებიან. გამოგიტყდებით — ზოგჯერ ისეთ სცენარსაც ვკიდებთ ხელს, რომლის არსსაც სრულყოფილად ვერ ვწვდებით, რადგან მასში რაღაც მარცვალი დევს და თუნდაც ამისთვის ღირს მუშაობა... ჯერ პატარები არიან, გავა წლები და იქნებ რომელიმესგან ისეთი მაგარი რეჟისორი დადგეს, რომ მისთვის თვალებში ჩახედვისაც შემრცხვეს: ხედავ, გრიშა მასწ, რა ნიჭიერი ვყოფილვარ, თქვენ კი ვერ გამიგეთო... ქართველებს კინოს მიმართ სიყვარული გენში გვაქვს და ეს ნიჭი არ შეიძლება, შეუმჩნეველი დარჩეს... ■

ტინა ტერნერი
70 წლის იუბილეს აღნიშნავს

ძნელი დასაჯერებელია, რომ მომღერალს, რომლის გარეშე საზღვარგარეთის პოპსცენა წარმოუდგენელი იქნებოდა, 70 წელი უსრულდება. ტინა ტერნერს ასაკი არასდროს დაუმალავს. პირიქით, ამბობს, რომ თავს ახლა უკეთესად გრძნობს, ვიდრე ახალგაზრდობაში. მას ძველებურად მინიკაბები აცვია, სცენაზე ძველებური ექსპრესიით გამოდის და ცხოვრებისა და შემოქმედების დასრულებას სულაც არ აპირებს. მომღერალმა ხანგრძლივი კარიერის მანძილზე „გრემის“ რვა ქანდაკება მოიპოვა და „ყველა დროის უდიდეს შემსრულებელთა“ სიაში შევიდა, მაგრამ სუპერვარსკვლავის ცხოვრება ფიანდაზით მოფენილი ნამდვილად არ იყო. მისი ნამდვილი სახელი ანა ბალოკია. ტინას ცხოვრების შესახებ ზოგიერთი რამის გაგება მისი სიმღერების ტექსტებიდანაც შეიძლება, რომლებიც რთული ბედის ქალების შესახებ მოგვითხრობს. ასაკი — ერთადერთია, რასაც ტინა ტერნერი არანაირ მნიშვნელობას არ ანიჭებს. მილიონობით ამერიკელმა ოპრა უინფრის ტელეშოუდან შეიტყო იმის შესახებ, რომ ტერნერის თაყვანისმცემელი ინა მის სიმღერებს 4 წლის ასაკიდან მღერის, ხოლო მის ჩანაწერებს 8 წლიდან აგროვებს და ოცნებად აქვს გადაქცეული ტინა ტერნერთან შეხვედრა... ამის შესახებ ოპრა უინფრის გადაცემას ინას დედამ მისწერა, თავად ინა კი უნივერსიტეტში მარკეტინგის ლექციას ესწრებოდა და წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, თუ რა ხდებოდა, როდესაც აუდიტორიაში დედამისი და ტელეპროდიუსერი შეიჭრნენ და ეს ამბავი აცნობეს... მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა: რამდენიმე საათის შემდგომ ინა უკვე თვითმფრინავში იჯდა და შვეიცარიაში მიფრინავდა. სახლის კარი თავად ტინა ტერნერმა შეაღო... ისინი ციურიხის ქუჩებში სეირნობდნენ, ტინა მისი ოთხი ვაჟიშვილისა და საყვარელი მამაკაცის შესახებ უყვებოდა, რომელიც აეროპორტში შემთხვევით გაიცნო. ქალები მოდის, საყიდლებისა და იმის შესახებაც საუბრობდნენ, რომ ზოგჯერ ოცნებებსაც უწერია ასრულება!

ინა სპოტი:

— ქუჩაში ვსეირნობდით, უეცრად შევნიშნე, რომ ავტომობილებმა სვლა შეანელეს. შევშფოთდი, რა ხდება-მეთქი, — გავიფიქრე. მანქანები აღარ მოძრაობდნენ. უეცრად ფოტოაპარატების სინათლე დავინახე — ხალხი სურათებს იღებდა. მხოლოდ მაშინღა მივხვდი — მე ხომ ტინა ტერნერთან ერთად ვარ! ხალხი ჩერდებოდა, ფანჯრებიდანაც კი ფოტოკამერების

ჩხაკუნის ხმა ისმოდა. ვფიქრობდი — მე ხომ ლეგენდასთან ერთად ვარ!

...ისინი სრულიად ახალგაზდები იყვნენ. ერთმანეთი ღამის კლუბში გაიცნეს, დაქორწინდნენ. ანა მღეროდა, აიკი გიტარაზე უკრავდა. 60-იანი წლების მიწურულს მათი ჯგუფი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული იყო მთელ ამერიკაში. სცენის მიღმა აფრიკელ ველურებს განასახიერებდნენ. მათი საყვარელი პერსონაჟი „შინა — ჯუნგლების დედოფალი“ იყო. მოგვიანებით შინა — ტინად გადაიქცა, ველური თამაშები კი რეალობად... აიკი ტინას 12 წლის განმავლობაში სასტიკად სცემდა. ერთხელ, როდესაც სხეულზე დაულილავებელი ადგილიც კი აღარ შერჩა, ტინა აიკს გაექცა და თან მხოლოდ 36 ცენტი გაიყოლა... ქალს ქმრის გვარი და ნახევარმილიონიანი ვალი შერჩა, რომელიც ჩაშლილი შოუსა და შეწყვეტილი კონტრაქტების გამო დაეკისრა. რამდენიმე წლის შემდეგ მომღერალმა მარტოდმარტომ ყველაფერი თავიდან დაიწყო და სოლო კარიერამ მას სუპერვარსკვლავის სახელი მოუტანა.

ჯორჯო არმანი, *მოდელიერი:*

— ის ბევრად უფრო მეტია, ვიდრე უბრალო, თუნდაც შესანიშნავი მომღერალი. ტინა ფანტასტიკური ადამიანი და საოცრად ერთგული მეგობარია. მან ბევრი ტანჯვა გამოიარა, მაგრამ საკუთარ თავში მაინც იპოვა ის ძალა, რომ ბედნიერი ყოფილიყო.

ივონა ბრნელიკი ტინა ტერნერის ზურგს უკან სცენაზე მთელი 9 წელი ცეკვავდა. ამ ხნის მანძილზე მომღერალი მისი ნამდვილი მეგობარი და მასწავლებელი გახდა. როდესაც ჟურნალისტები ტინას საიდუმლოს გამხელას სთხოვენ, თუ როგორ ინარჩუნებს 70 წელს მიღწეული ვარსკვლავი შოუბიზნესში უმშვენიერესი ფეხების სილამაზეს, ივონა პასუხობს: „რატომღაც ყველა ფიქრობს, რომ იგი სპეციალურ პრეპარატებს სვამს, მაგრამ თავად ტინა ამბობს, ეს გენეტიკისა და მისი აღნაგობის დამსახურებაა, რასაც მისი მუდამ ახალგაზრდა სულიც ემატება“.

ამჟამად ტინა ტერნერი კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევა, მაგრამ იუბილეს წინ პრესაში მაინც გავრცელდა მისი სიტყვები: „ვბერდები და ეს გარდაუვალია. ნუთუ ეს პრობლემაა?! 70 წლის ასაკში უფრო ბედნიერი ვარ, ვიდრე 30 წლისა ვიყავი. რა მნიშვნელობა აქვს, რამდენი სანთელი ენთება ტორტზე? მთავარია, მათი ჩაქრობის თავი მქონდეს!“ ■

ვარსკვლავები

კაილი მინოუგის ახალი ალბომი

კაილი მინოუგმა თაყვანისმცემლები ახალი საკონცერტო ალბომით გაახარა, რომელსაც Live In New York ეწოდება. რელიზს საფუძვლად დაედო პოპვარსკვლავის იმ შოუს საუკეთესო მომენტები, რომელიც ოქტომბერში ნიუ-იორკის Hammerstein Ballroom-ში გაიმართა.

ცნობილმა ავსტრალიელმა მომღერალმა ამერიკაში გასტროლები მისი კარიერის მანძილზე პირველად გამართა. სამივე კონცერტმა, რომლებიც ამერიკული ტურის For Me, For You ფარგლებში გაიმართა, ანშლაგით ჩაიარა.

„ამაზე მრავალი წლის განმავლობაში ვოცნებობდი, ამ მომენტს ჩემი თაყვანისმცემლებიც დიდხანს ელოდნენ და მოხარული ვარ, რომ მათ წინაშე გამოსვლის საშუალება მომეცა“, — ამბობს კაილი, რომლის ახალი ალბომი Kylie Live In New York მსმენელმა 14 დეკემბერს მიიღო. ცოტა ხნით ადრე კი ჩანაწერის მოკლე ვერსია YouTube-ზეც დაიდო. ■

ემინემმა The Beatles-ს აჯობა

2009 წლის ბოლოს ამერიკაში ათწლეულის საუკეთესო შემსრულებელთა ვინაობას ადგენენ. Nielsen SoundScan-ის სისტემის მონაცემთა თანახმად, რომელიც ქვეყანაში ალბომების გაყიდვების მოცულობას შეისწავლის, ბოლო დეკადის უდიდეს შემსრულებლად ემინემი უნდა აღიარონ, რომელმაც 2000-2009 წლებში 32,2 მილიონი დისკი გაყიდა და ეს ციფრი ალბათ კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან მუსიკოსის ბოლო ალბომი Longplei Relapse მუსიკალურ მაღაზიებში დღესაც დიდი მოთხოვნით სარგებლობს. ათწლეულის ყველაზე წარმატებული შემსრულებლის ტიტულისათვის ბრძოლაში რეპერმა თვით The Beatles ჩამოიტოვა, რომელიც დეკადის ბოლოს 30 მილიონი გაყიდული ფირფიტით ხვდება და ეს არცთუ ისე ცუდი შედეგია ჯგუფისთვის, რომელიც 40 წლის წინ დაიშალა!

ჯგუფის The Beatles წარმატება პირველ რიგში ალბომის „1“ გაყიდვათა არაჩვეულებრივმა მონაცემმა განაპირობა, რომელიც 2000 წელს გამოვიდა და პირველივე წელს 11,5-მილიონიანი ტირაჟით გაიყიდა. The Beatles-ის უახლოესი კონკურენტის ბენდ N'Sync-ის ალბომმა No Strings Attached 11,1-მილიონიან ნიშნულს მიაღწია.

მუსიკალური შოუბიზნესის ციფრული სეგმენტის ყველაზე წარმატებულ შემსრულებლად Lady Gaga აღიარეს. მომღერლის სცენაზე გამოჩენიდან ჯერ მხოლოდ 3 წელი გავიდა და ამ ხნის მანძილზე მისი ტრეკები 13,6 მილიონჯერ იყო გადაწერილი. მეორე ადგილი მაიკლ ჯექსონმა დაიკავა, მესამე ადგილზე კი Black Eyed Peas გავიდა.

რადიობიზნესის სფეროში როტაციათა რაოდენობის მხრივ როკერები Nickelback ლიდერობენ, რომელთა სუპერჰიტი How You Remind Me 10 წლის მანძილზე რადიოეთერში 1,2 მილიონჯერ აჟღერდა. ■



სტივ უანდერი გაეროს ახალი მშვიდობის ელჩია

სოულის ლეგენდარული ვარსკვლავი სტივ უანდერი გაეროს მშვიდობის ახალ ელჩად დანიშნეს. 59 წლის მუსიკოსის განსაკუთრებული მისია უნარშეზღუდული ადამიანების დახმარება იქნება.

გაეროს გენერალური მდივანი პან გი მუნი დარწმუნებულია, რომ დაბადებიდან უსინათლო უანდერს ყველაზე უკეთ ესმის ინვალიდთა პრობლემები და სწორედ ამიტომ, დასახულ ამოცანას წარმატებით გაუმკლავდება. „მას მთელ მსოფლიოში მილიონობით ადამიანი აღმერთებს და დარწმუნებული ვარ, რომ სტივ უანდერი სიყვარულს სიყვარულითვე პასუხობს“, — ამბობს გაეროს გენერალური მდივანი.

სტივ უანდერი გაეროს მშვიდობის ელჩის ტიტულის მეთერთმეტე მფლობელია. ადრე ეს პატივი წილად მსახიობებს — მაიკლ დუგლასს, ჯორჯ კლუნის, აგრეთვე მწერალ პაულო კოელიოს ხვდათ. ■

რუბრიკა მოამზადა
ნატო მანჯავიძემ

დედაპიცა

დეა ცუცქირიძე

— ერთი ხაჩაფური, კალის შვილო, — 2-ლარიანს მაწვდის 50-ოდე წლის, სიმპათიური მამაკაცი. „უცხოელია, — ვფიქრობ უნებურად, — მე კი, ნამდვილად — ქალიშვილი“. მეღიმება. ზურგსუკან ჩემი თანამშრომელი ქალები ჩუმად ფხუკუნებენ. ვიცი, როგორც კი კლიენტს ღამაზად შეფუთულ ცხელ-ცხელ ხაჭაპურს თავაზიანად გავუწოდებ და გავისტუმრებ, სიცილისგან აკივლდებიან. დამცინიან, რადგან 37 წლისა, ჯერაც ქალწული ვარ...

— ეს კაცი ზრდილობიანია, — ვეუბნები ფქვილში ამოგანგლულ ჩემს „სურნელოვან“ კოლეგას, ეთერს. — მას ჩემი „ფიზიოლოგია“ კი არ უგულისხმია, ამას კი არ გაუსვა ხაზი, არამედ, როგორც ახალგაზრდას, „ქალბატონოს“ ნაცვლად, „ქალიშვილოთი“ მომმართა.

...ქვემოდან ზემოთ ავცქერი სამყაროს, რადგან ჩემი სახაჭაპურე, სადაც უკანასკნელი 7 თვეა, ვმუშაობ, ნახევარსარდაფშია. ეს კაციც ქვემოდან დავინახე და დამავიწყდა კიდეც...

3 დღის შემდეგ ისევ მომესმა ნაცნობი ხმა, აქცენტის გამო „დაგრეხილი“ ქართულით:

— 2 ხაჩაფური, ტუ შეიდზლება...

მადლიერი დავრჩი მომართვისთვის, რადგან ამჯერად, ქალიშვილი არ მიწოდეს...

სახაჭაპურეს წინ ორი მაღალი მაგიდა დგას. როცა საქმე არ მაქვს, ავცქერი ხოლმე ამ მაგიდებს და ადამიანებს, რომლებმაც აქვე დანაყრება გადაწყვიტეს. მშიერის ცქერა მაძღრისთვის არცთუ სასიამოვნო ყოფილა... ზოგი იქვე, ფანჯარასთან იწყებს ჭამას, ჩაკბეჩს ხაჭაპურს და ფენოვანი ცომის ნამცეცებით დაფენილი გულისპირით მიდის მაგიდისკენ. პირსაც სხვადასხვანაირად აღებენ: ზოგი ფართოდ და რაღაცნაირად, განივრად, ზოგი — მორიდებულად, ვიწროდ; ზოგს, გეგონება, მთელი ენერგია პირში აქვს მოქცეული, ზოგისთვის ჭამა ბედნიერებაა, ზოგისთვის — აუცილებლობა, ზოგისთვის კი — სატანჯველი... აცივდა და ახლა ქუჩაში, ფეხზე მდგარი ეს ადამიანები პირიდან ცხელ ორთქლსაც აყოლებენ ნამცეცებს... რაც აქ დავიწყე მუშაობა, გამუდმებით ვფიქრობ, რომ იმაზე უსიამოვნო სანახაობა, ვიდრე ადამიანის კვების პროცესია, არ არსებობს...

უცხოელი ისევ დაბრუნდა.

— კალის შვილო... — ამჯერად მხოლოდ მომართვა იკმარა. როგორც ჩანს, იფიქრა, უკვე დროა ვიცოდე, რომ ჩვენი მრავალფეროვანი ასორტიმენტიდან, მხოლოდ ხაჭაპური უნდა.

— ხაჭაპურს ინებებთ? — გამოვართვი რკინის ორლარიანი.

— ინებებთ? — დამიბრუნა კითხვა და კეთილად გამიღიმა.

— გსურთ, გნებავთ, ინებებთ, მიირთმევთ, მოგართვათ, მოგაწოდოთ? — ჩამოვურაკრაკე და ვიფიქრე, რომ დავაბნიე, მაგრამ — ნურას უკაცრავად!

— მინდა ხაჩაფური! — თქვა მარტივად. „მინდა“ — ძალიან მარტივი სიტყვაა. როდესაც ეს სურვილი უჩნდება ორლარიანის მფლობელს, რომელსაც მხოლოდ ხაჭაპური უნდა. როგორც ჩანს, ბედნიერი კაცია, რაკიღა ასეთი ბავშვური სიჯიუტით შეუძლია თქვას ეს სიტყვა. ადამიანი რთული არსებაა, მამაკაცი კი — ურთულესი; მისი ვერასდროს ვერაფერი გამიგია, მაგრამ ყოველთვის მაოცებდა დამოკიდებულება, უფრო — მოთხოვნა ცხოვრების მიმართ, კონტექსტში — „მინდა!“ უნდა, მაგრამ — დაიმსახურა?.. კი, ამან დაიმსახურა, რადგანაც ორლარიანი აქვს... ჰოდა, რადგან ასე ძალიან ერთგულად მოითხოვს, მოდი, წავახალისებ...

დიდი რკინის სინიდან პარკში ჩასადებად უკვე გამზადებული ხაჭაპური უკან დავაბრუნე და შირმის მიღმა, მხოლოდ რჩეული კლიენტებისთვის განკუთვნილი, მართლაც განსაკუთრებული ხაჭაპური გამოვუტანე. ამ განსაკუთრებულს ეთერი ამზადებს. ამდენი ქალებიდან მხოლოდ მას შეუძლია, გაღიმებულმა მოამზადოს კერძი, მარილის ოდენობა სუნით განსაზღვროს და არც ქურა გამოაღოს მანამ, სანამ მისი სიყვარულით მომზადებული ქმნილება საბოლოო სახეს არ მიიღებს. არასდროს ცდება — როცა ქურას

აღებს, ხაჭაპური ყოველთვის მზად არის... მოკლედ, გამოვიტანე ეს „სასწაული“ და უცხოელს მივაწოდე. ჩამომართვა და წავიდა. ცოტა გული დამწყდა, თუმცა, ვერ მივხვდი, რატომ. როგორც ჩანს, ეს ჩემმა მიძინებულმა ქალურმა რეფლექსებმა ჩამადენინა. ვასიამოვნე მამაკაცს, რომელიც ამას მოითხოვდა ან ჩავთვალე, რომ ღირსი იყო... მისმა წასვლამ კი გული დამწყვიტა, რადგან... მადლიერებას ველოდი. დღეს რაღაც, უცნაურად ვფიქრობ. რას გადავაყოლე ნეტავ, ამ ერთ ხაჭაპურს?!

...საღამოს სიცხემ ამიწია. მთელი ღამე ვიბორგე და ვიწვალე. დამავიწყდა ხაჭაპურიც, ეთერიც, ჩემი სარდაფიც და ის უცხოელიც... დილით საწყობის მფლობელს, მსუქან და თეთრ, გულღია, კარლოს დავურეკე. კარგად გამოშუშდი, შვილო და ისე დაგვიბრუნდიო. მითხრა ის, რასაც ველოდი. კარლო 11 წლით არის ჩემზე უფროსი, შვილად ნამდვილად არ ვერგები, მაგრამ ეს მისი დამოკიდებულებაა და მეც ვიფერებ...

მეორე დღე გრიპისგან მონიჭებული თავისუფლებით ტკბობას მივყავი ხელი. დედას სინით შემოჰქონდა ლიმონიანი ჩაი და ჟოლოს მურაბა, მიკეთებდა მანანის ტკბილ ფაფას, როგორც ბავშვობაში და საღამომდე ძალიანაც ბედნიერი ვიყავი... საღამოს წარმოვიდგინე, რომ ხვალ თუ არა, ზეგ მაინც ისევ იმ სარდაფში, ქოშებში შიშველფეხებწაყოფილი, გახვითქული უნდა ვმდგარიყავი ცხელ ქურებთან და თავი შემეცოდა. ბევრი ვიტირე საბანში ცხვირჩარგულმა, მაგრამ ტირილმა მხოლოდ სიცხე ამიწია, შვება კი ვერ მომგვარა...

შვება გვიან ღამით მოვიდა. ჩემმა უფროსმა, ხაჭაპურის ცომივით თეთრმა და ფუმფულამ, ცოტაოდენი ფული და თბილ-თბილი ხაჭაპურები მომიკითხა. ესო, ქალბატონოო, წამლის ფულიო, — ელაპარაკებოდა დედაჩემს კარის ზღურბლზე მდგომი, — ჩვენო თანამშრომლებზე ვზრუნავთო, თუკი ისინი ჩვენთვის მუშაობენ, ვალდებული ვართ, მათ ჯანმრთელობასა და სულიერ განწყობილებაზე ვიზრუნოთო... ჰო, ზუსტად ასე თქვა, — სულიერ განწყობილებაზეო, — მე კი წარმოდგენაც არ მქონდა, რომ მას ასე ფიქრი სჩვეოდა. გამოდის, რომ თავმდაბალი კი არა, ცხვირაწეული ვარ?!.

ამ კაცის სიკეთემ სხვა თვალით დამანახვა ჩემი სარდაფი... მოკლედ, მესამე დღეს ისევ ქვემოდან ავყურებდი სამყაროს. ერთი პატარა ბიჭი შემოგვეჩვია; იქვე, ფანჯარასთან იკლავდა შიმშილს. ისე მადიანად მიირთმევდა, ყურებად ღირდა. ნეტარებდა. ასეთი ნეტარება ალბათ მხოლოდ ძალიან ცხელ დღეს პლაჟზე, ცხელი ქვიშითა და მზით გახურებულს, ზღვიდან მოშხეფებული წვეთების შეხებისას განმიცდია... მაღალი და მხრებში გამართული, უფრო ჩასხმული, ვიდრე მსუქანი, ძალიან ლამაზი ბავშვი იყო. ბედნიერი დედამისი — ასეთი ლამაზი შვილი რომ მყავდეს, ალბათ სიხარულით გაბრწყინებული ვივლიდი, 100 წლის სიცოცხლე მომეცემოდა. ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი გაიზრდება. დიდი და მადლიანი ხელები აქვს — საკმაოდ მოზრდილი ხაჭაპური მის ხელებში ციცქნა სათამაშოდ მოჩანს... ახლა — ზრდილობა?!. არასდროს ტოვებს თეფშს და „კოკა-კოლას“ პატარა ბოთლს მაგიდაზე; მოაქვს, გვაწვდის და მადლობას გვიხდის... ეს ბავშვი ჩემთვის პატარა იდეალია. თუმცა, რაღა პატარა?! — ალბათ მეტრი და 85 სმ უკვე არის, მაგრამ მისი უწვერული სახით ვხვდები, რომ 14 წელს ჯერაც არ ასცილებია...

— ტუ შეიდზლება... — ჩამესმის ნაცნობი აქცენტით წარმოთქმული სიტყვები. უცხოელი დგას და მიღიმის.

— ხაჭაპური? — ვეკითხები და სართულებად დალაგებულ, ორთქლადენილ ნახელავებზე მივუთითებ. რაღაცას მეუბნება, მაგრამ ვერ ვიგებ: — „აი დონტ ანდერსტენდ“... — მახსენდება ინგლისური ფრაზა.

— ხაჩაფური არა, საჩუქარი, — მპასუხობს ქართულად და ძალიან ღამაზად შეფუთულ ყუთს მაწვდის. სუნამოა! შეფუთული კია, მაგრამ ეს არ შემეშლება.

— საჩუქარი?! — ვუბრუნებ კითხვას, მაგრამ ყუთის გამორთმევას არ ვაპირებ. თანამშრომელმა ქალებმა ჩემ უკან ლაპარაკიც შეწყვიტეს და სუნთქვაც. აი, როგორც კინოკადრშია, კადრი რომ იყინება და მხოლოდ მთავარი პერსონაჟი მოძრაობს, სუნთქავს და ფიქრობს კიდეც.

— დიახ, დიახ, საჩუქარი, „ფორ იუ“, — მპასუხობს ის და მეჩვენება, რომ უსიამოვნოდ მიღიმის. ბედის ირონიაა: ორიოდე წუთის წინ ქართველ ბავშვს შევნატროდი, სადღაც, სულის სიღრმეში ჩამალული იმედით, რომ მეც ოდესმე მეღირსებოდა, ასეთი ვაჟის დედა გავმხდარიყავი, ღმერთმა კი ეს უცხოელი „შემომაფეთა“. რა განზრახვით, კაცმა არ იცის.

— არაფერი მესმის, — ვეუბნები ინგლისურად და ვანიშნებ, რომ უკან მომდგარი კლიენტი მოუშვას. იმ მეორეს ხაჭაპურს ვუხვევ, ვაწვდი, ფულსაც ვართმევ, ვუღიმი კიდეც და მის უკან, ჩემს მოწონებულ ბავშვთან მოსაუბრე უცხოელს ავყურებ. ახლა ეს ბიჭი და უცხოელი ერთად დგანან ჩემს ფანჯარასთან...

— მთხოვს, აუცილებლად გითხრათ, რომ მეც არ მიცნობს, — მომმართავს ოდნავ დაბნეული ბავშვი. — მე იმიტომ მომმართა, რომ იცის, საქართველოში ყველა ბავშვმა იცის ცოტაოდენი ინგლისური.

— თარჯიმნობა გთხოვათ? — უაზრო კითხვას ვსვამ.

— დიახ, გითარგმნით, თუ შეიძლება, რადგან ის ძალიან მთხოვს.

— მითარგმნეთ, — ნებას ვრთავ. ბიჭი რაღაცას ეუბნება უცხოელს და ის, ისევ იმ ღიმილით სახეზე, რაღაც გრძელ ტირადას წარმოთქვამს... ვერაფერი გავიგე, ამიტომაც თარჯიმანს ველოდები.

— მეუბნება, რომ საქართველოში 2 წელია, რაც მუშაობს და თქვენნაირი ლამაზი ქალიშვილი ჯერ არ უნახავს, — დაბნეული მომმართავს ბიჭი. — არც თქვენნაირი ლამაზი ქალი უნახავს. არ გეწყინოთ, ამას რომ გეუბნებით, — სექსუალურიო, ასე თქვა; ხომ იცით, ეს ამათთვის დიდი კომპლიმენტია... და არც ასეთი ქვეყანა, სადაც ასეთი გასაოცარი კერძები იციან. იტალიური სჯობს თუ ქართული, ვერ გავარკვიეო, ამბობს. იტალიელია, ასე მითხრა, — აირია ბავშვი. საჩუქარს ვერ მიიღებს-თქო, უთხარით, — ვთხოვ თარჯიმანს.

— საჩუქარიო, — მპასუხობს ის, — ჩემი სიმპათია, თაყვანისცემა და სიყვარულია შენი ქვეყნისადმიო, — და ჩუმდება. იტალიელი რაღაცას ამბობს, მე კი ამჯერად ისეთი განცდა მაქვს, თითქოს მესმის. მგონი, თქვა, რომ უბედნიერესი ადამიანია, რადგან ერთი ღირსეული ქალი მაინც ნახა ცხოვრებაში... ნეტავ, ასე თქვა თუ მე მინდოდა, რომ ეთქვა და მომეჩვენა?.. მითარგმნე-მეთქი, ვთხოვ ბიჭს, მაგრამ — არაო, მეუბნება, ეს თქვენ არ გეხებათო.

ვდგავართ მე და ეს იტალიელი, მე — ქვემოთ, ის — ზევით, მე — დაბნეული, ის — მომლოდინე... უცებ გონება მინათდება და „ახალგამომცხვარ“ თარჯიმანს ვეუბნები: ჰკითხეთ, რატომ ამირჩია მაინცდამაინც მე. ველი, რას მეტყვიან...

— თქვენ იმიტომ აგირჩიეთ, რომ ვიცი, აქ თქვენი ადგილი არ არისო, — მპასუხობს ის.

— საკმარისია, — ვეუბნები ბიჭს. — ბატონს მადლობა გადაუხადეთ ძღვენისათვის და სთხოვეთ, რომ მუშაობა მაცალოს. ჩემ მაგივრად წუხილს კი თავი დაანებოს, ეს მხოლოდ ჩემი და ჩემი ქვეყნის საქმეა.

ორივე ერთად შებრუნდა და წავიდა. ჩემ უკან მოქმედება განახლდა თუ მე დამიბრუნდა დანარჩენი სამყაროს აღქმა, არ ვიცი, მაგრამ ეთერმა კი ნამდვილად მე მომმართა:

— ამიტომაც ხარ გაუთხოვარი!

ეს საყვედური იყო...

მერე ჩვეულებრივი დღე გაგრძელდა. მერე ამ დღეს ღამეც ჩვეულებრივი მოჰყვა, დილაც და შემდეგი საღამოც...

მესამე დღეს კი ჩემი თარჯიმანი ბიჭი მოვიდა, 3 ხაჭაპური იყიდა და წავიდა. ვერაფერი ვკითხე. ან რა უნდა სცოდნოდა ან მე რაში მაინტერესებდა?! რამდენიმე დღის შემდეგ ისევ გამომეცხადა და ისევ გავუხვიე ხაჭაპურები. მერე ისევ და... ასე, მთელი თვე. „ჩემი“ უცხოელი კი აღარ გამოჩენილა. ზამთარი მოძლიერდა, ქუჩები ჩაჟამდა და თითქოს ჩაბინძურდა, ან იქნებ ეს, ჩემი განწყობილება იყო?.. თითქოს მიმავიწყდა ის უცნაური იტალიელი.

ქუჩაში, ჩვენი სახაჭაპურის წინ მანქანა გაჩერდა. წითელი „ტიდა“ პირველად ვნახე. ეს მანქანა მხოლოდ გარედან მაქვს ნანახი, მაგრამ წარმომიდგენია, რა ბედნიერებაა მისი ყოლა თუ ქონა. ქალის მანქანაა, ჭეშმარიტად, ქალივით კეკლუცი და მოხდენილი, „ჯიშიანიც“. არც ისეთი პატარაა, როგორებსაც „ქალის მანქანებად“ ნათლავენ თბილისში... ღრმად ჩავისუნთქე, რადგან გადავწყვიტე, უიმედო ოცნებებზე ხელი ავიღო... მანქანას მამაკაცი მართავდა. 2 წინა კარი ერთდროულად გაიღო და „ჩემი“ იტალიელი და ის ლამაზი ქართველი ჭაბუკი სინქრონულად გადმოვიდნენ.

— ეთერ, მოვიდნენ! — ცოტა ხმამაღალი გამომივიდა შეძახილი. მიუხედავად იმისა, რომ მე და ჩემს კოლეგას ამ თემაზე ერთხელაც არ გვისაუბრია, ვიცოდი, გულის სიღრმეში ისიც ელოდებოდა მის გამოჩენას... რაო, რა ვთქვი?! ვაღიარე, რომ მეც ველოდი?!

— გამარჯობა, ქართველო ქალბატონო! დეივიდი გეტყვით ახლა, რაც უნდა გითხრათ! — ჩამომძახა იტალიელმა ფანჯარაში. ასე იმიტომ მოიქცა, რომ ჩამოვჯექი, იმას კი ალბათ მოეჩვენა, რომ ორმოში ვარ და თუ თავისი ვიზიტის მიზეზს ყვირილით არ მეტყვის, ვერ გავიგებ.

— ბატონმა პაულომ, რომელთანაც, თქვენი წყალობით, ახლა სკოლის შემდეგ, თარჯიმნად ვმუშაობ ხოლმე, იტალიიდან საკუთარი დედის ხელით მომზადებული პიცა ჩამოგიტანათ, — მეუბნება ანტიკურ ქანდაკებასავით ჩამოსხმული დავითი და აგრძელებს: — მე და ბატონმა პაულომ ერთი კვირა ვიმოგზაურეთ მის ქვეყანაში. გავიცანი ეს ხალხი და ჩვენი ტრადიციებიც გავაცანი. მე მას ავუხსენი, რომ საქართველოში მამაკაცმა უფლება უნდა მოიპოვოს, ქალს საჩუქარი მიართვას; რომ ჩვენში, როცა ქალი ამის ნებას ანუ საჩუქრის ჩუქების ნებას გაძლევს, ე.ი. ახლობელ ადამიანად მიგიჩნევს, ეს კი თავის მხრივ, იმისი ნიშანია, რომ მამაკაცი ბედნიერად უნდა გრძნობდეს თავს. ბატონმა პაულომ აქ გადახდენილი ამბავი თავის დედას უამბო; მცირე, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია საქართველოს შესახებაც მიაწოდა და, დედის რჩევითა და კურთხევით, თქვენს არაჩვეულებრივ კოლექტივს აი, ეს, ბატონი პაულოს დედის ხელით მომზადებული, მართლაც განსაკუთრებული პიცა და რაც მთავარია, ამ პიცის მომზადების მისეული რეცეპტი მოგართვათ საჩუქრად, წარმოებაში ჩაშვების უფლებით.

რადგან გაუნძრევლად ვიჯექი, ფანჯარასთან ეთერი მოვიდა, პაულოს უზარმაზარი ყუთი ღიმილით ჩამოართვა და მადლობა გადაუხადა. მერე აღარ ვიცი, რა ხდებოდა ირგვლივ, რადგან მომეჩვენა, რომ ეს რეალობა კი არა, ფიქრიც აღარ იყო, რომ ჩემი გადაწყვეტილება, აღარ მეოცნება, ვერც ამ შემთხვევაში შევასრულე და, როგორც ჩანს, აღარც ვარსებობ, რადგან არ შეიძლება, ცოცხალი ადამიანი ასე მწარედ ასცდეს რეალობას, მიწაში ღრმად ჩამჯდარ ოთახშიც კი მხოლოდ ფრენა შეძლოს...

საღამოს 8 საათზე მუშაობა დავასრულეთ. პაულოს დედის რეცეპტით პიცის დამზადება ეთერმა ითავა. ჩვენს მოსასვენებლად გამოყოფილ, მოზრდილ ოთახში ქალებმა სუფრა გაშალეს. პიცა ძალიან გემრიელი გამოვიდა და როგორც თქვეს, არაფრით განსხვავდებოდა პაულოს მორთმეულისგან. კარლომ სადღეგრძელო შესვა — ჩვენს საცხობში „დედაპიცის“ გამოჩენას გაუმარჯოსო!

ეს დღე ამით დამთავრდა. არ მინდა, ვიოცნებო და ამიტომ, დღეს აღარც ვიფიქრებ... მაგრამ იმედი მაქვს, ეს ამბავი ასე არ დამთავრდება. იტალიელები ძალიან გვგვანან ტემპერამენტითაც და გარეგნობითაც. თან, დღეს პაულო ძალიან ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. ჰოდა... არა, არა, ისევ ოცნებას ვიწყებ?!. მხოლოდ ორ სიტყვას გეტყვით და ამით დავამთავრებ: რომც აღარაფერი მოხდეს, ყველანაირი ლოგიკური ჯაჭვი რომ გაწყდეს, ამ ამბით მაინც ვიამაყებ ყოველთვის, რადგან შევძელი და თავიც მაღლა დავაყენე და ჩემი ქვეყანაც. ■

ობიექტურობა ადამიანურ ურთიერთობებშიც აუცილებელია

ერთ-ერთ ჩემს რესპონდენტს, ნატოს, გაუთავებელმა ოჯახურმა უსიამოვნებამ დიდი ტკივილი დაუტოვა... ბავშვობიდან დაჰყვა შიში და ყოველ ხმამაღალ სიტყვაზე, ვერხვის ფოთოლივით თრთოდა, კანკალებდა. ნატოც და მისი დაძმაც მუდმივ სტრესში იყვნენ. ამის მიზეზი კი მამის ეჭვიანობა იყო, რომელსაც არაფრის გამო შეეძლო თავისი მომხიბვლელი ცოლისთვის „შავი დღე“ გაეთენებინა („ეჭვიანობა დაავადებაა, რომელსაც ვერ განკურნავ“, — „კვირის პალიტრა“, 24 მარტი, 2008 წელი).

მარინა გაგუნაშვილი

ამბავი პირველი

გახმაურებული ამბავი

ამონარიდი წერილიდან: „22 წლის გავთხოვდი და მერე მეღირსა შედარებით მშვიდი ცხოვრება; მანამდე სულ დაძაბული და გულმოკლული ვიყავი ჩემი მშობლებისგან, უფრო სწორედ, მამაჩემის გამო საშინელ დღეში ვიყავით შვილები, დედაჩემზე აღარაფერს ვამბობ. ის მამას დამონებული ჰყავდა, ლამაზი ქალი იყო და გამუდმებით ეჭვიანობდა. ოზურგეთის ერთ ლამაზ სოფელში ვცხოვრობდით. სანამ პატარა ვიყავი, მოთქმით ვტიროდი, როცა მამა დედას სილას გააწნავდა ხოლმე. მოგვიანებით გადავწყვიტე, უდანაშაულო დედა დამეცვა. მამაჩემი აქამდე თუ არაფერს მერჩოდა, მერე მეც დამიწყო „საქ-

მის გარჩევა“. ერთხელ, როცა საყვედურებით ავავსე, პირდაპირ მომახალა, — შენც დედაშენისნაირი კახპა იზრდებიო... ერთი სიტყვით გაუსაძლისი იყო ჩვენს ოჯახში გაჩერება“.

ნატოს მშობლებმა ძალიან ახალგაზრდებმა შექმნეს ოჯახი. თემო (ნატოს მამა) 17 წლის იყო, როცა 15 წლის ლიანა (ნატოს დედა) მოიტაცა. ჯერ ნატო გაჩნდა, ოთხი წლის შემდეგ სოფიკო, სამი წლის მერე კი გოგონებს ძმა შეეძინათ. თემომ სწავლის გაგრძელების უფლება აღარ მისცა ლიანას, — შენი მთავარი საქმე აწი ოჯახის მოვლა

და შვილების გაზრდაააო. თურმე თავიდანვე ამჟღავნებდა თემო ეჭვიანობას. როცა სადმე წასვლა უწევდა ოჯახს, გვერდიდან არ სცილდებოდა ცოლს და დაძაბული ქორივით ატრიალებდა თვალებს, აქაოდა, ვინმე შეფარვით ხომ არ უყურებს ჩემს ცოლსო, ხოლო თუ თავად საქმე გამოუჩნდებოდა, დედას ჩააბარებდა ლიანას — აბა, შენ იცი, როგორ მიხედავ ჩემს ცოლსო.

ნატო მეცხრე კლასში იყო, როცა მათ ოჯახში საშინელება დატრიალდა და ეს ამბავი მარტო სოფელმა კი არა, მთელმა რაიონმა გაიგო.

ამონარიდი წერილიდან: „ჩვენი უბნის ქალები თვეში ერთხელ ფულს აგროვებდნენ და ერთმანეთის ოჯახებში სუფრას შლიდნენ. ეს იყო ქალების სუფრა. მათ იმ ერთადერთ დღეს უნდოდათ, მამაკაცების გარეშე ყოფილიყვნენ, ერთმანეთისთვის გული გადაეშალათ და დროც გაეტარებინათ. ოჯახის მამაკაციც კი არ ესწრებოდა მათ ლხინს. იმ დღეს ლეილას ჯერი იყო. მისმა ქმარმა, ვაჟა ბიძიამ, პროდუქტები მოიტანა, ცოლს სუფრის გაშლაში ხელი წაუკრა, მერე კი შინიდან წავიდა. დედაჩემი ცოტა ადრე მივიდა და მათთან მისახმარებლად. დედა და ვაჟა სრულიად შემთხვევით ჭიშკართან შეხვდნენ. შინაურულად მოიკითხეს ერთმანეთი. მათი ლაპარაკი არ გაუგია მამას, მაგრამ შორიდან თვალი მოჰკრა, რომ ერთად იდგნენ და ლაპარაკობდნენ. ეს კი საკმარისი გახდა, თავში სისხლი ავარდნოდა... მამა მთელი ღამე აივანზე ბოლთას სცემდა. პაპიროსს ეწეოდა და დედას ელოდებოდა. ქალები იმ თავყრილობიდან გვიან ბრუნდებოდნენ შინ.

გარიჟრაჟზე ძღივს ჩამეძინა. ძილში საშინელი კივილი ჩამესმა. გიჟივით წამოვვარდი, ეზოში საშინელი სურათი დამხვდა. გასისხლიანებული დედა მიწაზე ეგდო. მეზობლის ქალები კი მშველელს უხმობდნენ... დედა ოზურგეთის საავადმყოფოში 9 დღე რეანიმაციაში იწვა. მეათე დღეს პალატაში გადაიყვანეს. კიდევ ორი კვირა მკურნალობდნენ... დედაჩემი მშობლებმა თავისთან წაიყვანეს. მეც და ჩემი და-ძმაც შინ აღარ გავჩერდით და დედას გავყევით უკან“...

თემური კარგა ხანს თბილისში იმალებოდა. ლიანას მშობლებმა ქალიშვილის თხოვნით აღარ იჩივლეს. ორი თვის მერე თემომ შუამავლები მიაგზავნა ცოლთან, — ოღონდ ახლა მაპატიე და ხმის ამომღები აღარ ვარო...

ამბავი მეორე

რის გამო ჩნდება კომპლექსი?

მართალია მსგავსი სკანდალი თემოსა და ლიანას ოჯახში აღარ მომხდარა, მაგრამ „შიდა საოჯახო ეჭვიანობის სცენები“ მაინც ხშირი იყო. სანამ ლიანა არ დაბერდა. თუმცა, როგორც ნატო ამბობს, ლიანა 58 წლის ასაკშიც კარგად გამოიყურება, რომ არა, თემოსგან შეხვედრილი უამრავი უსიამოვნება, იგი უფრო მიმზიდველი, მომხიბვლელი, ხალისიანი და ენერგიული იქნებოდა. ახლა კი, წარსულის მძიმე განცდებს მისთვის კვალი აქვს დამჩნეული. ქმრისგან დაკომპლექსებულს დღემდე არ შეუძლია ბოლომდე გალაღდეს და გამხიარულდეს შინაურების შეხვედრაზეც კი. რაც შეეხება შვილებს, ისინიც შებოჭილები არიან და ეს კომპლექსი ბავშვობიდან მოჰყვება მათ...

ნატო: მე სიყვარულით შევქმენი ოჯახი. უბედნიერეს ქალად მიმაჩნია თავი, მაგრამ საკმარისია, სოფელში ჩავიდე ნათესავების გარემოცვაში მოვხვდე და ჩემი მშობლებიც გვერდით მყავდეს, რომ უკვე ჩემთვის აუხსნელი დისკომფორტი მექმნება, ვიძაბები, ბოლომდე ვერ ვლაღობ, რადგან ვიცი, ლხინის მერე მამა რაღაც საბაბს გამოძებნის და დედას მაინც ატკენს გულს. დრომ და ასაკმა მაინც თავისი მოიტანა და იგი სტუმრების თანდასწრებით აღარ „ხმაურობს“, მაგრამ მეორე დღეს, როგორც კი დედის სახეს შევხედავ, მაშინვე ვხვდები, რომ მათ შორის კვლავ მოხდა უსიამოვნება. ყველაფერს საკუთარი თვალით ვხედავდით და როგორ შეიძლებოდა მამა გაგვემართლებინა, როცა დედას უმიზეზოდ აგინებდა, ხელითაც ეხებოდა და ბოლოს, კინაღამ შეიწირა უდანაშაულო ქალი.

— **მამას არ სწყინს თქვენი მისდამი ასეთი დამოკიდებულება?**

— ალბათ სწყინს კიდეც, მაგრამ ამას ხმამაღლა ველარ ამბობს. რა ვქნა, დედა ყველაზე მეტად მიყვარს, მით უმეტეს, ვიცი, რომ მას ბრალი არაფერში მიუძღვის და მამაჩემის უაზრო ეჭვიანობას ლამის ემსხვერპლა...

მამის სანათესაოს, რომ ჰკითხოთ, დედაჩემი ძალიან უყვარს, მაგრამ სკანდალების დროს რამდენჯერმე წამოცდათ (მამიდას და ბიძაშვილებს), ალბათ, ლიანა ეჭვიანობის მიზეზს აძლევს, თორემ აბა, გიჟი ხომ არ არის ეს ჩვენი თემური... დედასაც და მეც გული გვატკინა ამ სიტყვებმა. მათ რომ ადრევე გაეპროტესტებინათ მამაჩემის ეჭვიანობის სცენები, ჩემს მშობლებს შორის მუდმივი უსიამოვნება აღარ იქნებოდა და არც ჩვენ, შვილებს გვექნებოდა დღემდე შემორჩენილი ნერვების მომშლელი კომპლექსი. ■

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ
ტელ: 899.27.25.61
ან ელფოსტით babunamarina@yahoo.com

დედიკო

ჩემი მეგობრების საყვარელი ფრაზა (ჩემ შესახებ) ასეთია — „მაგასთან არაფერი წამოგცდეს, „გზაში“ „გამოგაბნელებს!“ ჰმ, რა ვქნა, რა ჩემი ბრალია, რომ „სიტუაციისთვის“ ისეთ სიტუაციებს „მთავაზობენ“, თავს ვერ ვიკავებ, კომპიუტერს რომ არ მივუჯდე და კლავიატურაზე თითები არ ავაკაკუნო. ასე და ამგვარად, მკითხველმა თითქმის ყველა ჩემი მეგობარი გაიცნო და შეიყვარა კიდეც. მადლობა მითხრან, ბატონო, ახლა, ამ შუაღამეს 2 საათზე ძილს რომ ვიტეხ და ერთ-ერთი ჩემი მეგობრის, მისი მეუღლისა და დედის (ანუ მეგობრის მეუღლის სიდედრის) პოპულარობაზე ვზრუნავ. დღეს — ერთი ჩვეულებრივი ოჯახი, ხუთშაბათს გაიღვიძებს და პოპულარობის ზენიტში იქნება. საამისოდ ხალხი უამრავ ფულს ხარჯავს, მათ კი (ეჰ, მეგობრობის ხათრით, თორემ...) ლანგრით მივართმევ (ასეა, უწვალებლად გაკეთებულ საქმეს ფასი არ აქვს).

მარი ჯაფარიძე

ჩემი მეგობარი, რომელზეც დღევანდელი „სიტუაცია“ უნდა ავაგო (ამას წინათ მოგიყევით მის შესახებ, მანქანა რომ აჩუქა დედამ მზითვად), შუაგულ ჩოხატაურში გაიზარდა და ნაღდი გურულია. უკვე 15 წელია, თბილისში ცხოვრობს, მაგრამ გურული კილოთი ლაპარაკობს და მინდა გითხრათ, რომ ძალიანაც უხდება. წინა კვირაში, უამრავი ზარის, საყვედურისა და — „გოგო, არ გრცხვენია, რომ დეიკარგე“, „რაია, ქალო, თლათ ამოგვირეცხე გულიდან?“ და „ვსიო“, ჩვენი მეგობრობა აქანე დასრულდა“-ს შემდეგ, როგორც იქნა, მასთან სტუმრად მივედი. ის იყო, ერთმანეთი მოვიკითხეთ, რომ კარზე ვიღაცამ დააკაკუნა.

— დედაა! ჩამოდი, დედა? უი, რაფრა გამიხარდა... — სიხარულით აჭყლოპინდა ჩემი მეგობარი, როდესაც კართან ჩოხატაურიდან ჩამოსული დედა დახვდა.

ქალბატონი თინიკო გულით მოვიკითხე, ვკითხე, როგორ ბრძანდებით-მეთქი და მორჩა, იმის მერე სიტყვა ვეღარსად ჩავაკვეხე.

— კარქათ ვარ, დედა, კარქათ, შენ ხომ კარქათ ხარ? დედა, ნინო, — შვილს მიუბრუნდა, — როგორ ხარ? სამსახურში დეიარები? სადაა ჩემი აბდალა სიძე? უი, სამსახურში იქნება, ალბათ... რა ჰქვია დედა, მის სამსახურს? ისთევე იქანა მუშაობს თუ საცხა გედევიდა? ტელეფონი რეკავს, დედა, თუ შენი ქმარია, გაახარე, დედიკო ჩამევიდა-თქვა, უთხარი. თუ გკითხოს, უკან როის მიდისო, კიდო გაახარე დედა და უთხარი, ჯერ არა-თქვა! დედიკო მაშინ წავა, როცა ახალ „მაშინას“ იყიდითქვა, ხომ გახსოვს, მაშინ რომ ჩამევედი, მაგის „მაშინაში“ ძლივს რომ შევეტიე და ვეღარ გამევეტიე? სადგურზე რომ წავედით, გზაში 2 ფენოვანი ხაჭაპურის მეტი არაფერი მიჭამია, მაგრამ ვერ გამევეტიე კარში. ერთი ხელი და ფეხი გამოვყავი და „ვსიო“! შენი აბდალა ქმარი „მაშინის“ გარშემო დარბოდა და „მარშრუტკის“ მძღოლს უყვიროდა, არ წახვიდე, მეიცადე, წავალ, „სვარკას“ მევიტანო. „მარშრუტკა“ მაინც ქე წევიდა და მე კიდო 2 კვირა დავრჩი თქვენთან. ...მშია, დედა, წავალ, ვნახავ, რა გაქვს, უი, დედა, გუშინდელი ბორში გქონია. თუ გააცხელებ, კი შეიძლება ამის ჭამა... ამას აჭმევ ქმარშვილს? სულაც არ მიკვირს, სახლში გვიან რომ მოდის ის კაცი. ჩვენი მეზობელი რომ იყო, ქსენია, ხომ გახსოვს? იცი, ბოვშებს რა დოუბარა? რასაც კატა ვერ შეჭამს, არ გადაყაროთ, მამას ვაჭმევო, აპა! — გულიანად ხითხითებს ქალბატონი თინიკო. — ნუ

იცინი გოგო და დეიჯერე, რასაც დედა გეუბნება. კაცების ამბავი ხომ იცი, მთელი დღე მუშაობენ, საღამოს კი სადაც კარგი ვახშამი ელოდებათ, იქ წავლენ. მომეცი „კარტოშკა“, უცებ შევწვავ, უყვარს ჩემს სიძეს ჩემი დაბრანული „კარტოშკა“. ეს რა „მაიკა“ გაცვია ან შარვალი რას ჰგავს, ნენაა, გედევირიე ქალი! „ელასტიკი“ რაა, გოგო, ასეთი შარვლები კინოში მინახავს, საფრანგეთში ჯარისკაცებს ეცვათ.

— კარგი, რა, დედა, — გაპროტესტება სცადა ნინომ.

— რა კარგი, რა კარგი, აგერ, შენს შარვალს უკან ნახვრეტიც აქვს, მტრის ხანჯლის ნაკვალევი, შენ კიდო ამბობ, კარგიო. აა, სამსახურში დეიღალე? უჰ, თოხი არ გეკაოს და ყანას არ თოხნიდე, ჯდიხარ გაპარპალებულ (ალბათ კეთილმოწყობილს გულისხმობდა) ოფისში და კომპიუტერზე აკაკუნებ. გარეთ რომ გაპრანჭული დეიარები, აქანე არ გჭირდება გაპრანჭვა? დედას დოუჯერე, თუ გინდა, რომ ყოლიფერი კარქათ იყოს. ან თმა რას გიგავს, ყვავის ბუდესავით რომ გაქვს თავზე წამოკოკოლავებული? კაცის მთავარი ინსტინქტი, ჭამის მერე, გამრავლებაა (თინიკო დეიდა პროფესიით ბიოლოგია)! ვინ მეინდომებს შენთან გამრავლებას, რას ჰგავხარ, ჩეიხედე სარკეში... იმიტომაც ვერ მრავლდები, ერთი ბაღანე გააჩინე მარტო და „ვსიო“! ქმარი რაფრა დაწვება შენთან, დიდი-დიდი, ქსეროქსზე თუ გაგამრავლებს ვინმე... მესმის ჩემი სიძის, მესმის... საწყალი, მოვა სახლში და დახვდება „პოლის ჯოხი“, გახვრეტილი შარვლით. უკან რომ არ გარბის, იგი მიკვირს! კარზე აკაკუნებს ვინცხა, შენი ქმარი მევიდა, ეტყობა. მეიცა, მე გავაღებ... აა, ქალბატონო ნატო (მეზობელი), როგორ ბრძანდებით? დიახ, ცოტა ხნით ჩამეედი, ბოვშებს დავხედავთქვა, „სასწრაფოს“ გამოძახება გინდათ (თინიკოს წინა სტუმრობისას ნატო ავად გამხდარა და „სასწრაფო“ გამოუძახიათ)? აბა, რამ შეგაწუხათ? აა, მწვანილი კი გვაქვს, წეღან მაცივარში შევიხედე და იყო. ყავას ხომ არ მიირთმევთ? არა? რატომ? არა, არა, ჩემი სიძე სახლში არ არის, მუშაობს, რომ ახალი მანქანა იყიდოს. თქვენი ბიჭი რაფრაა? რაფერი კაი ბიჭია, ნამდვილი ლენინია, დედა ენაცვალოს... რატომ? იმიტომ, რომ სულ ციხეში და გადასახლებაშია, საწყალი ბაღანე...

— დედა! — წყრომით შესძახა ნინომ.

— რა დედა, რა დედა, რავა, ტყვილს ვამბობ თუ? დატანჯეს ბოვში ამ საზიზღარმა პოლიციელებმა და მოსამართლეებმა. იყავით, ქალბატონო ნატო, რეიზა გარბიხართ, კაი, მერე შემოით კიდო, ჯერ აქანე ვარ და წასვლას არ ვაპირებ...

...წეეთრა გველი, მაგას რაფრა უშობ სახლში, რავარი ბოროტი თვალები აქვს... დავამყარებ აქანე წესრიგს, სანამ წავალ...

...კიდო ვინცხაა კარზე, უი, მოხვედი, ნენა? დეიღალე, ნენა? ბევრი იმუშავე? ახლა ნინო თავის შემწვარ კარტოფილს გაჭმევს, ხომ იცი, რაფრა კარქათ იცის კარტოფილის შეწვა. კაი, ნენა, ასთე რატომ მიყურებ? წავალ ახლა, დევიძინებ, დევიღალე გზაში. „ვსიო“, წევიდა დედა დასაძინებლად, ხვალ ადრე უნდა ავდგე და ნინოს ტვინი უნდა გავუხვრიტო, რომ თმა შეიჭრას, ბოვშიც მოსავლელია, ამდენი საქმეა გასაკეთებელი... უჰ, მე რომ არ გყავდეთ, რა გეშველებოდათ?

ამ სიტყვებით ქალბატონი თინიკო საძინებელში გაუჩინარდა. ამ დროს მის „აბდალა“ სიძეს შევხედე, რომელიც სამზარეულოში, მაგიდასთან იჯდა, წინ ოხშივარადენილი, შემწვარი კარტოფილით სავსე თეფში ედგა, მაგრამ ვერ ხედავდა — თავი ხელებში ჰქონდა ჩარგული და გაშტერებული მზერით ფანჯარაში, სადღაც შორს სივრცეში იყურებოდა და ვინ იცის, რას ხედავდა...

■

ილეალისცეში სოლის მაცეშიალიზაციას მოთამენლოდ ელიან

დღეს მკითხველების პრობლემებზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას და სხვა თემებზე საუბრით არ გადაგღლით. მით უმეტეს, რომ ვფიქრობ, ეს თემა მხოლოდ იმ ადამიანებს არ აინტერესებთ, ვინც მომწერა.

გრაფი თარხანი

დედაშვილური პრობლემა

— გამარჯობა, გრაფო! თქვენი კონსულტაცია ძალიან მჭირდება. 18 წლის გოგონა მყავს, სტუდენტია და მასთან ურთიერთობაში დიდი პრობლემა მაქვს. ძალიან ცუდად იქცევა, მეუხეშება და ხშირად მემუქრება კიდეც. თავისზე 9 წლით უფროსს, უსაქმურ, უმუშევარ მამაკაცს ხვდება, რომელსაც არც სახლი აქვს და ჩემს შვილს ჩემ წინააღმდეგ ამხედრებს. გოგონა ამბობს, რომ ის კაცი უყვარს, „დიდური“ ცხოვრება უნდა და გათხოვებას აპირებს. ახლა ჩემი შვილი ბინის „დახურდავებას“ მთხოვს. როგორ მივახვედრო, რომ თავს იღუპავს? მოსმენაც კი არ უნდა. ამბობს, რომ გათხოვებისა და ოჯახის შექმნისთვის მზადაა. არადა, ნამდვილი ბავშვია. ნატო.

— ნატო, ვინაიდან მას თქვენი აზრის მოსმენა არ სურს, იქნებ მისცეთ საშუალება, „დიდური“ ცხოვრებით იცხოვროს? ნუ გაუწევთ წინააღმდეგობას და ნუ გაამწვავებთ სიტუაციას. თუმცა გირჩევთ, მატერიალურად არ დაეხმაროთ. მასზე მხოლოდ აუცილებელი თანხა დახარჯეთ (მაგალითად, სწავლის საფასური გადაუხადეთ). უფლება გაქვთ, გააკონტროლოთ, როგორ სწავლობს და დადის თუ არა ინსტიტუტში, რადგან სწავლის ხარჯს თქვენ იხდით. მისი რჩეული კი სტუმრად მიიწვიეთ და აუხსენით, რომ თუ მათ დაქორწინება გადაწყვიტეს, მაშინ საცხოვრებელი ადგილიც თავად უნდა მოძებნონ და ოჯახის შენახვაც შეძლონ. კონკრეტულად და გადაჭრით უთხარით, რომ ბინის „დახურდავებას“ არ აპირებთ და ეს გამორიცხულია. როდესაც თქვენი ქალიშვილი მიხვდება, რომ თქვენგან მხარდაჭერა არ ექნება, საქმროს მოსთხოვს და აიძულებს, რომ იმუშაოს. თუ ის უარს იტყვის, მაშინ მათი ურთიერთობა დასრულდება. ასეთ შემთხვევაში მზად იყავით იმისთვის, რომ შვილი უკან მიიღოთ. დაეხმარეთ, გააცნობიეროს, რატომ მოხდა ასე და ჰკითხეთ, რას აპირებს შემდგომ. ამის შემდეგ შეეცადეთ, ეს სიტუაცია ყოველ წუთს არ შეახსენოთ. შესაძლოა, ის, რაც მე გითხარით, თქვენთვის მიუღებელია, მა-

„დიდური“ ცხოვრება, მხდალი ქმარი

და ლამაზი ქალის გასაჭირი

გრამ ამ სიტუაციიდან სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ. ხანდახან ადამიანმა შეცდომა უნდა დაუშვას, „თავი გაიტეხოს“, რომ მიხვდეს, რა მოჰყვება მის მიერ გადადგმულ ნაბიჯს.

გაქცევა

— გრაფო, შესაძლოა, თქვენთვის ჩვეულებრივი იყოს, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ უჩვეულო ამბავი შემემთხვა. 15 წელი ვიყავი გათხოვილი. ერთ მშვენიერ დღეს კი ქმარმა მოულოდნელად მიმატოვა. ყოველგვარი მიზეზისა და ახსნა-განმარტების გარეშე — სამსახურიდან აღარ დაბრუნდა... სხვადასხვა მეთოდით შევეცადე, მისგან კითხვებზე პასუხი და მისი საქციელის ახსნა მიმეღო. ჯერ დავურეკე, მერე ლექსები მივწერე, მერე ერთად გადაღებული სურათები გავუგზავნე, რომელიც ჩემთან გატარებულ ბედნიერ დღეებს გაახსენებდა... 3 თვის განმავლობაში პასუხი არ მიმიღია. ძალიან ცუდად ვიყავი, რის გამოც ჩვენმა შვილმა გადაწყვიტა, დამხმარებოდა და მამას დაურეკა. ბავშვს აუხსნა, რომ სხვა გზა არ ჰქონდა, ვინაიდან ოჯახში ბევრი პრობლემა იყო, რომლის გადაჭრაც ძალიან უჭირდა. თანაც, თურმე ვუყვარვარ, მაგრამ ახლა სხვა გამოსავალს ვერ ხედავს... გრაფო, როგორ მოვახერხო მასთან დალაპარაკება, თუ მას ამის სურვილი არა აქვს? როგორ მოვახერხო იმის ახსნა, რომ პრობლემა ყველა ოჯახს აქვს, გაქცევა გამოსავალი არაა? როგორ ავუხსნა — პრობლემები არ დამთავრდება, ისინი მომავალშიც წამოიჭრება და მათი მოგვარება ერთად ჯობია?

— მგონია, რომ თქვენს ურთიერთობაში პრობლემები ნელ-ნელა დაგროვდა. ჩემი აზრით, ის მუდმივად გეუბნებოდათ, რა და როგორ სურდა, რომ ყოფილიყო, თქვენ მის საყვედურებს უსამართლოდ მიიჩნევდით, უგულებელყოფდით ან ეუბნებოდით, რომ მის ნებას არ დაჰყვებოდით. ჩემს ნათქვამს საყვედურად ნუ მიიღებთ. ხშირად ხდება, რომ მამაკაცები გაცილებით მეტს ითხოვენ, პრეტენზიულები და ზედმეტად თავმოყვარენი არიან. ნებისმიერ შემთხვევაში მას მიაჩნდა, რომ სამართლიანი იყო, თქვენ კი მის მიმართ უპატივცემულობას იჩენდით და არ ემორჩილებოდით. ბოლოს და ბოლოს, თქვენმა ქმარმა გადაწყვეტილება მიიღო და შინიდან წავიდა, მაგრამ ეს არც ისე ლამაზად გამოუვიდა... მხდალივით მოიქცა. ახლა კი უნდა გადაწყვიტოთ, გჭირდებათ თუ არა ასეთი მამაკაცი. ის აზრი, რომ მას უყვარხართ, ჯერჯერობით უნდა დაივიწყოთ, ვინაიდან მისი საქციელი საპირისპიროზე მეტყველებს.

დილემა

— გრაფო, ამ რამდენიმე თვის წინ ძალიან კარგი სამსახური ვიშოვე. ახლა ჯერ ისევ გამოსაცდელი ვადა მაქვს. მყავს მეუღლე,

რომელიც უზომოდ მიყვარს, მაგრამ ამ ბოლო დროს ჩემმა შეფმა (გენერალური დირექტორის მოადგილეა) მესიჯებით ამიკლო. ისეთ მესიჯებს მწერს, რომლებიც ჩემგან პასუხს არ ითვალისწინებს, — ძირითადად, კომპლიმენტებია. მწერს, რომ კარგად გამოვიყურები... მის მესიჯებს არ ვპასუხობ. ერთ კვირა დღეს კი ისევ მივიღე მესიჯი: „გამარჯობა, გათხოვილი ხარ?“ არც ამ მესიჯზე ვუპასუხე და საერთოდ, არ ვიცი, როგორ მოვიქცე. გასაუბრებაზე გენერალურმა დირექტორმა გამაფრთხილა, რომ კოლექტივში ფლირტის გაბმა დაუშვებელია. ის ქალია და ისეთი ადამიანების კატეგორიას მიეკუთვნება, ვინც არავის ენდობა. მასთან კარგი დამოკიდებულება მაქვს და არ ვიცი, რა ვქნა. იქნებ დაველოდო გამოსაცდელი პერიოდის დასრულებას და შემდეგ შეფს მესიჯი გავუგზავნო, სადაც ურთიერთობაზე კატეგორიულ უარს ვეტყვი? თუ ასეთი ნეიტრალური პოზიცია შევინარჩუნო? ძალიან განვიცდი იმის გამო, რომ შესაძლოა, ჩემი უარის გამო მან სამსახური დამაკარგვინოს. გენერალურ დირექტორთან ამ სიტუაციის გამხელა არ მინდა. ვფიქრობ, არ დამიჯერებს და პროვოკატორი ვეგონები. ვცდილობ, მოკრძალებული ვიყო და სადად ჩავიცვა, მაგრამ ლამაზი ქალი ვარ და მამაკაცების ყურადღებით მუდამ განებივრებული ვარ.

— როგორც ჩანს, თქვენი შეფი ინფორმირებულია, რომ მისი მოადგილე ლამაზი ქალების მიმართ გულგრილი არაა. სწორედ ამიტომ აფრთხილებს ყველა ახალ თანამშრომელს. შესაძლოა, ეს ერთგვარი გამოცდაც კი იყოს, რომელსაც „დიდი“ შეფი და მისი მოადგილე გიწყობენ და გენერალური დირექტორი შესაძლოა, თავიდანვე ყველა საქმის კურსშია. აქედან გამომდინარე, უნდა აირჩიოთ ისეთი ტაქტიკა, რომელიც მომგებიანი იქნება. გამოსაცდელი ვადის დასრულებამდე მესიჯები უპასუხოდ დატოვეთ, შეფს კი მხოლოდ აუცილებელი საქმის გამო ეკონტაქტეთ. როდესაც სამსახურში დაგამტკიცებენ, შეგიძლიათ, მის მესიჯებს ან ისევ იგნორირება გაუკეთოთ, ან პირდაპირ უთხრათ, რომ თქვენ შორის ახლო ურთიერთობა გამორიცხულია. საუბრისას ნუ იქნებით აგრესიული. მისგან მიღებული მესიჯები კი ყოველი შემთხვევისთვის, შეინახეთ. ■

თაღლითი დისა და თაღლითი ცოლის მსხვერპლი დახმარებას „გზას“ სთხოვს

მარი ჯაფარიძე

რამდენიმე დღის განმავლობაში უცხო მამაკაცი მირეკავდა და შეხვედრას მთხოვდა. უარი არ მითქვამს, ვინაიდან მაშინვე მითხრა, ისეთი რამ მაქვს მოსაყოლი, რომლის მსგავსიც არსად გექნებათ გაგონილი და თანაც, თქვენი შველა მჭირდებაო... რედაქციაში დავიბარე, მაგრამ იმ საღამოს არ მოვიდა. მეორე დღეს ისევ დამირეკა, შეხვედრაზე უარი თქვა და შემპირდა, რომ წერილით მაცნობებდა თავის საწუხარს. მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ, „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთის საშუალებით ჩემს სახელზე წერილი მოვიდა.

„ქალბატონო მარი

თქვენ „მობილი-ზაციაში“ გაქვთ ქვერუბრიკა — „ვეძებ“. ჩემი განცხადება ალბათ იქ უნდა გამომექვეყნებინა (როგორც 3 წლის წინ), მაგრამ მინდა, დაწვრილებით მოგიყვეთ, ვის ვეძებ და რატომ.

ჩემი ამბავი იქიდან დაიწყო, რომ დედამ მიმატოვა და ბავშვთა სახლში გავიზარდე. პატარა ბიჭი აღარ ვარ, 35 წლის მამაკაცი ვარ და 3 წლის წინ გავიგე ჩემი ყველაზე დიდი საიდუმლო — მიახლოებით სად უნდა მეძებნა დედა.

დამიჯერეთ, როდესაც 32 წლის კაცი იგებ, რომ შესაძლოა, დედას მიაგნო, რომელთან შეხვედრაზეც მთელი ცხოვრება ოცნებობდი, ეს ძალიან ამაღელვებელია და იმედით გავსებს. თუმცა, დედას ვერ მივაგენი.

სხვანაირად რომ ვერაფერი მოვახერხე, ჩემი განცხადება, რომ დედას ვეძებდი, თქვენთან გამოვაქვეყნე, ამ 3 წლის წინ. ჟურნალის გამოსვლიდან 2 თვის შემდეგ, როდესაც იმედი უკვე გადაწურული მქონდა, ახალგაზრდა ქალბატონი დამიკავშირდა და შეხვედრა მთხოვა. ძალიან ვღელავდი, როცა მას ვხვდებოდი. როგორც თვითონ მითხრა, შესაძლოა, ჩემი და ყოფილიყო.

გამომკითხა რაღაცები, მეც ვუთხარი, რაც ვიცოდი... ბოლოს გადამეხვია და — ძმაო, გულში ჩამიკრა... აღმოჩნდა, რომ ჩვენი მშობლები ცოცხლები აღარ იყვნენ. მერე სახლში წამიყვანა. მარტო ცხოვრობდა. სახლს ეტყობოდა, რომ ჩემს დას ძალიან უჭირდა. ვკითხე, თავს რითი ირჩენ-მეთქი და სახლებს ვულაგებ მდიდარ ხალხსო, მითხრა. ვინაიდან და რადგანაც მატერიალურად არ მიჭირს, გადავწყვიტე, დას დავხმარებოდი. თავიდან უარზე დადგა, მერე კი თვეში ხან 500 ლარს, ხანაც მეტს ვაძლევდი. ასე გრძელდებოდა 4 თვის მანძილზე. მერე, ერთ მშვენიერ დღეს, ტირილით დამირეკა, მევალე მომადგა და მემუქრებაო. გადავირიე, რას ჰქვია, ჩემს დას ვინმე ემუქრება-მეთქი და მაშინვე მისკენ გავეშურე. ტირიოდა, რაღა მეშველებაო... რამდენი გაქვს ვალი-მეთქი? 3 ათასი დოლარიო... არც ისე მდიდარი ვარ, რომ ამდენი ფული ბანკში ან სახლში მქონოდა. ავდექი და კრედიტი ავიღე. ფული გახარებულმა მივუტანე და შინ დამშვიდებული დავბრუნდი. მეორე დღეს დავურეკე, მინდოდა მეკითხა, გაისტუმრა მევალე თუ არა, მაგრამ ტელეფონი გამორთული ჰქონდა. სამსახურიდან გამოსვლა საღამომდე ვერ მოვახერხე და თან ძალიან ვნერვიულობდი, რომ ვერ ვუკავშირდებოდი. ჰოდა, საღამოს მივედი მასთან სახლში და კარი ვიღაც უცხო ქალმა გამიღო. სახელოები დაკაპიწებული ჰქონდა და იატაკს რეცხავდა. — ნანა სად არის-მეთქი? ვკითხე. ნანა წავიდა და ისიც არ იკადრა, ბინა დალაგებული დაეტოვებინაო... გაოგნებული დავრჩი. თურმე, ჩემი და კი არა, ეს ქალი თაღლითი ყოფილა. ეს ბინა ნაქირავები ჰქონია და ფული გამომძალა თუ არა, წასულა... ძალიან გავბრაზდი, პოლიციაშიც განვაცხადე, მაგრამ ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერ გავიგეთ. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ მისი ნომრიდან არც ერთი ზარი სხვა ნომერზე არ იყო განხორციელებული. მხოლოდ ჩემთან რეკავდა.

ამის მერე კიდევ განვათავსე თქვენთან 2 განცხადება: ნანას მოსაძებნად და ისევ — მშობლების მოსაძებნადაც.

შუა ხნის ქალმა დამირეკა, მგონი, ჩემი დის შვილი ხარო... იმანაც გამომკითხა, რაც ვიცოდი და დაასკვნა, რომ ნამდვილად მისი დისშვილი ვიყავი. მეორე დღეს თავისი დის სახლში მიმიყვანა. იქ უკვე მელოდნენ, გადამეხვივნენ, ატყდა ტირილი და ერთი ამბავი. მეც გული ამიჩუყდა და ავტირდი... ძალიან თბილი ადამიანები აღმოჩნდნენ დედა და მამინაცვალი. ის წინასწარ ვიცოდი, რომ მამა ჩემს დაბადებამდე გარდაიცვალა და სწორედ ამ მიზეზის გამო გამაშვილეს. თითქმის მთელი წელი ვურთიერთობდი ჩემს ახლად ნაპოვნ დედასთან და ამის მერე აღმოჩნდა, რომ თურმე შევცდით და მისი შვილი არ ვყოფილვარ... გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მისი შვილი ჩემი ძმაკაცი და ბავშვის ნათლია აღმოჩნდა (ჩვენ ბავშვთა სახლში ერთად გავიზარდეთ)... ეს სრულიად შემთხვევით გავიგეთ მაშინ, როდესაც ჩემი მეგობარი დედას გასაცნობად მივიყვანე. იქ გაირკვა სიმართლე... დავრჩი კვლავ დედის გარეშე...

ახლა კი კიდევ ერთი ამბავი: ამ ზაფხულს ცოლ-შვილი წყნეთში წავიყვანე დასასვენებლად. ვინაიდან მე ვმუშაობდი, თბილისში დავრჩი და კვირაში ორჯერ ვაკითხავდი და პროდუქტით ვამარაგებდი. ერთ მშვენიერ დღესაც, წყნეთში ჩასულმა ცოლ-შვილს ველარ მივაგენი. დიასახლისმა მითხრა, ვიღაც მამაკაცმა მოაკითხა ჯიპით, ბარგი ჩაალაგეს და წავიდნენ, მეგონა, ის კაცი თქვენ გამოგზავნეთო. ამის მერე მათ კვალს ვერ მივაგენი. ერთადერთხელ დამირეკა ჩემმა მეუღლემ და მითხრა, ნუ გვეძებ, მე გავთხოვდი და ჩვენ ერთად ველარ ვიცხოვრებთო. უკვე მეოთხე თვეა, დავეძებ, მაგრამ ამაოდ... ბავშვები მენატრებიან და მინდა ვთხოვო, იმის საშუალება მაინც მომცეს, რომ შვილები ვინახულო. პირობას ვდებ, რომ მას ხმასაც არ გავცემ და საყვედურსაც არ ვეტყვი... თბილისის ყველა სკოლა ფეხდაფეხ მოვიარე, ჩემი შვილებისთვის რომ მიმეგნო, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო. მერე მითხრეს, ბათუმში გათხოვდაო, მაგრამ ვერც იქ მივაგენი... როგორც ჩანს, საგულდაგულოდ იმალება. ხშირად ვდგავარ დედამისის სახლთან იმ იმედით, იქნებ იქ მაინც მივიდეს ან ესენი წავიდნენ შვილის სანახავად და მინდა, უკან გავყვე, მაგრამ ვერაფერს გავხდი. პოლიციამდე საქმე ჯერ არ მიმიყვანია და თუ 1 თვის განმავლობაში არ გამოჩნდება, აუცილებლად განვაცხადებ და ისინი მიაგნებენ.

ახლა კი იმის შესახებ, რატომ გწერთ თქვენ ამ ყველაფერს. ის „გზის“ მკითხველი იყო და არა მარტო მკითხველი, აქტიური მგზავნელიც. ხშირად გიმესიჯებდათ ხოლმე (ნიკს ვერ გეტყვით). ხუთშაბათი „გზის“ გარეშე მისთვის წარმოუდგენელი იყო... ჰოდა, დარწმუნებული ვარ, რომ ახლაც ასე იქნება და ყოველ ხუთშაბათს ვკითხულობ „გზას“, იქნებ მისგან რაიმე ცნობას წავაწყდე... როდესაც ამას წაიკითხავს, იქნებ მიხვდეს, რომ დროა, გამოჩნდეს და შვილების ნახვის საშუალება მაინც მომცეს, სანამ გვიან არ არის...

მაკა, გპირდები, რომ ყველაფერს გაპატიებ. კახა“.

■

სამყარო

2010 წლის მოდის ტენდენციები

„ყველაზე აქტუალური მეფის ფორმაა...“

საქართველოში უამრავი ცნობილი დიზაინერია და მათი კლიენტები, ძირითადად, საზოგადოების შეძლებულ ფენას წარმოადგენენ, რადგანაც ასეთ დიზაინერთან ტანსაცმლის შეკერვა, უკვე მისი პოპულარობის გამო, საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. რაც შეეხება ნაკლებად სახელგანთქმულ დიზაინერებს, ისინი ტანისამოსს შედარებით დაბალ ფასში, მაგრამ ხარისხიანად კერავენ და ამიტომაც, არც კლიენტის ნაკლებობას უჩივიან. ჩვენ ერთ-ერთ ასეთ სამკერვალო სალონს ვეწვიეთ.

ნათია ჟვანია

ლირა გერგაია, *დიზაინერი:*

— კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტის დიზაინის ფაკულტეტი დავამთავრე. ახლა ვქმნი ტანსაცმლის ესკიზებს და ხშირად, კლიენტებს რჩევასაც ვაძლევ — შესაძლოა, რაღაც მოდაში იყოს, მაგრამ იმ კონკრეტულ პიროვნებას არ მოუხდეს. ვცდილობ, სალონში შემოსული ნებისმიერი ადამიანი აქედან კმაყოფილი წავიდეს.

— როგორც ვიცი, საკუთარი ნიჭის რეკლამირებას არ ახდენ. საინტერესოა, ბევრი კლიენტი გყავს?

— ყოველ შემთხვევაში, მათ ნაკლებობას არ ვუჩივი, უსაქმურად არასდროს ვზივარ, ყოველთვის რაღაც ესკიზზე ვმუშაობ. სხვათა შორის, ჩვენ მხოლოდ ინდივიდუალურ შეკვეთებს არ ვიღებთ — „საქართველოს ბანკის“, რამდენიმე კაზინოს, პიცერიისა და დაცვის სამსახურის უნიფორმებსაც ვკერავთ. ასე რომ, საქმე ნამდვილად არ მაკლია.

— ლირა, 2010 წელს როგორი სტილის ტანსაცმელი იქნება მოდაში?

— უკვე ძალიან აქტუალურია ხავერდის ქსოვილისგან შექმნილი, ლურჯი ან ნაცრისფერი ტანისამოსი. შარშანდელისგან განსხვავებით, მოდაშია სწორი, მაგრამ არა ვიწრო შარვალი, ფართო და გრძელი ბლუზი, რომელიც ქურთუკის ქვემოდანაც მოჩანს. გარდა ამისა, აქტუალურია ტყავისგან შეკერილი სამოსი. ქართველები ძირითადად, შავი ტყავისგან შეკერილ ქურთუკს ვანიჭებთ უპირატესობას, მაგრამ ლურჯი ფერი გაცილებით მოდური და ლამაზია. რაც შეეხება ქვედაბოლოებს, ისინი სწორი ან „ბუტილკის“ სტილის უნდა იყოს, ხოლო მას, ვისაც მინიკაბები არ უყვარს, ვურჩევ, თავისუფალი სტილის, „დაზბორილი“, ძალიან გრძელი (რომელიც ფეხსაცმელს დაუფარავს) ქვედაბოლო ჩაიცვას.

— ბოლო დროს კლიენტები რის შეკერვას გთხოვენ?

— იმის გამო, რომ ახალი წელი მოდის, უმეტესად ბავშვებისთვის, საკარნავალო კოსტიუმის შექმნას გვთხოვენ და მათ შორის, რატომღაც, ყველაზე აქტუალური, მეფის ფორმაა... საღამოს კაბებს ძირითადად, ერთ ტონალობაში გადაწყვეტილი ატლასისგან ვკერავთ, რადგან ჭრელი და გადატვირთული ქსოვილი მოდაში აღარაა. თუ ქალს კარგი აღნაგობა აქვს, მაშინ მას წელში გამოყვანილ, სწორ, დეკოლტეიან კაბას ვთავაზობ, ხოლო თუ აღნაგობა არ უწყობს ხელს, სულ სხვა სტილს ვურჩევ. მოკლედ, ადამიანის აღნაგობაზე ბევრი რამაა დამოკიდებული.

— რას გვირჩევ, როგორი ქურთუკი შევიძინოთ?

— მოდაშია ბეწვის ქურთუკები, ფულეს პალტო,



ადამიანის აღნაგობაზე ბევრი რამაა დამოკიდებული

მოდაშია ფერად-ფერადი შარფები, დიდი ზომის ჩანთა, წვრილი ტყავის ქამარი

ქვედაბოლო სწორი ან „ბუტილკის“ სტილის უნდა იყოს

რომლის საყელო და სახელოები ბეწვით იქნება გაწყობილი, ხოლო რაც შეეხება „დუტის“, ის ყოველ წელს აქტუალურია.

— აქსესუარებზე რას იტყვი?

— პირველ რიგში, ფეხსაცმელზე გავამახვილებ ყურადღებას — მოდაშია ტყავის ჩექმა, აუცილებლად მუხლს ზემოთ შეკერილი. გარდა ამისა, აქტუალურია ფეხსაცმელი სწორ ძირზე ანუ ისეთი, რომელსაც ქუსლი საერთოდ არა აქვს; მან კი, ვინც „დაბლებს“ ვერ იხდენს, მაქსიმალურად მაღალქუსლიანი (დაახლოებით, 10-11-სანტიმეტრიანი) ფეხსაცმელი უნდა შეარჩიოს. მოდური ჩექმის ცხვირის ფორმა ნავისებურია... რაც შეეხება აქსესუარებს, სამკაული აუცილებლად, მასიური უნდა იყოს. მოდაშია ფერადფერადი შარფები, დიდი ზომის ჩანთა, წვრილი ტყავის ქამარი. თუ გოგონა გამხდარია, მაშინ მას მასიური ტყავის ქამარიც მოუხდება, რომელიც მკერდს ქვემოთ უნდა გაიკეთოს, ცოტა სრულ ქალბატონებს კი თეძოზე გაკეთებულ წვრილ ქამარს ვურჩევ. წლევანდელი მოდა ქუდების მხრივაც მრავალფეროვანია. განსაკუთრებით მოდურია ნაქსოვი, უკან ჩაჩაჩული ქუდი. საერთოდ, ნაქსოვი ტანსაცმელი ძალზე აქტუალურია.

განსაკუთრებით მოდურია ნაქსოვი, უკან ჩაჩაჩული ქუდი

— რამდენად ხელმისაწვდომია თქვენს სალონში ტანსაცმლის შეკერვა?

— ჯერ არ მახსოვს, ჩვენთან შემოსული კლიენტი ფასით დაგვეფრთხოს და აქ მოსული, უკან წასულიყოს. გვირჩევნია, დაბალი ფასები გვქონდეს და ბევრი კლიენტი გვყავდეს. ■

ობიექტივი

სვანეთმა ამერიკელები „დაიპყრო“

ანუ ფოტოგრაფის იდუმალი საქმე

რამდენიმე ხნის წინ, ერთ-ერთ გამოფენა-გაყიდვაზე მივედი და სვანეთის პეიზაჟებმა თვალი მომჭრა. გადავწყვიტე, იმ ადამიანს დავკავშირებოდი, რომელსაც ფოტოსერიის მომზადებისას სვანეთში არაერთი წელი ჰქონდა გატარებული. ბატონი გია ჩხატარაშვილი, რომელიც თავისი ფოტოაპარატით მიუღწეველი ადგილების „დაპყრობას“ გეგმავს, საინტერესო რესპონდენტი აღმოჩნდა.



ელენე გასილიძე

— განათლებით ფილოსოფოსი ვარ, სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი დავამთავრე. ფოტოგრაფია კი ბავშვობიდანვე მიყვარდა, რაღაცრაღაცებს ვიღებდი ხოლმე. საბჭოთა კავშირის დანგრევამდე ფოთის თეატრში, სალიტერატურო ნაწილის გამგედ ვმუშაობდი და მას შემდეგ, რაც იქიდან წამოვედი, ფოტოგრაფიამ სერიოზულად გამიტაცა. ჩემი პროფესიით მუშაობას აღარ ვაპირებ, მთლიანად ხელოვნებაზე გადავერთე.

— თუ გახსოვთ, პირველად რა გადაიღეთ?

— კი, როგორ არა! პირველი ფოტო სკოლაში გადავიღე. სამხედროს გაკვეთილი გვქონდა, „გასამხედროებულად“ გვეცვა და ახალნაყიდი აპარატით კლასელები ფირზე აღვბეჭდე. მაშინაც და დღესაც, ფირს თავად ვამჟღავნებ; როცა სუფთა ფურცელს ვაგდებ წყალში და ნელ-ნელა ჩნდება გამოსახულება, ეს პროცესი საოცარ სიამოვნებას მანიჭებს! ფოტოგრაფია აღმოუჩენლის აღმოჩენაა, საინტერესო და იდუმალი საქმეა.

ამ ფოტოზე სახლს მანქანის კარის ჭიშკარი აქვს

— ვინ გასწავლათ, როგორ უნდა გაგემჟღავნებინათ ფოტოფირი?

— ადრე არ არსებობდა ისეთი სასწავლებელი, სადაც ფოტოგრაფიას შეგასწავლიდნენ, ამიტომ სოფლის ფოტოგრაფიდან დაწყებული, ყველას რაღაცას ვეკითხებოდი და ამ სფეროში განათლებას ნელ-ნელა ვიღებდი.

— სვანეთის თემაზე მთელი სერია გაქვთ გადაღებული.

— სვანეთში მართლაც, ძალიან დიდხანს, დაახლოებით, 10 წელი დავდიოდი სურათების გადასაღებად. ვცდილობდი, წელიწადის ყველა დროს, რამდენიმე კვირით ავსულიყავი, რათა ეს არაჩვეულებრივი კუთხე ფირზე აღმებეჭდა. ვფიქრობ, საინტერესო ფოტოსერია გამოვიდა და სხვათა შორის, ამ ნამუშევრის წყალობით, აშშ-ის ერთ-ერთ საერთაშორისო დონის ფოტოკონკურსზე — Fifty crows, რომელშიც 300 ფოტოხელოვანი მონაწილეობდა, გავიმარჯვე. როდესაც შენს ნამუშევარს „ნიუ-იორკ თაიმსის“ ფოტოგრაფი, ედ კაშე და ამ საქმეში გამოცდილი სხვა პიროვნებები დადებითად აფასებენ, როცა ისინი საუკეთესოდ გაღიარებენ, მგონი, ეს ძალიან სასიხარულო ფაქტია.

— სვანეთის თემა უკვე ამოწურეთ?

— არა, სვანეთში ახლაც შეძლებისდაგვარად ავდივარ და ფოტოსურათებს ვიღებ. ახლო მომავალში კი მინდა, გამოვცე წიგნი, რომელიც ჩემს შემოქმედებას ასახავს და ყველაფერი უსიტყვოდ, მხოლოდ ფოტოებით იქნება გადმოცემული.

— ბატონო გია, შეკვეთებს თუ იღებთ?

— რა თქმა უნდა! მე დამოუკიდებელი ფოტოგრაფი ვარ და ვცდილობ, საკუთარი ძალები ყველა ჟანრში მოვსინჯო. სხვათა შორის, წიგნების გაფორმებაზეც მიმუშავია, 2001 წელს კი დავამზადეთ კალენდარი ედმონდ კალანდაძის, რობერტ სტურუას, ოთარ მეღვინეთუხუცესისა და სხვა უამრავი ცნობილი ადამიანის ფოტოსურათებით... ახლახან გურიაში გადავიღე პორტრეტების სერია, სადაც არაჩვეულებრივი ტიპაჟები აღმოვაჩინე.

— თქვენს სახელოსნოში ნიუიორკის პანორამაც შევნიშნე...

— ეს ფოტოსურათი შარშან, ნიუიორკში გადავიღე. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საზღვარგარეთ ყოფნისას ფოტოებს იშვიათად ვიღებ, ეს ჩემი თემა არ არის. ძალიან მიყვარს სოფელი და სურათებს ძირითადად, რაიონებში ვიღებ ხოლმე. ისე, რეგიონებით მხოლოდ მე კი არა, ბევრი ფოტოგრაფია დაინტერესებული...

— როგორც ვიცი, ერთ-ერთ ფოტოზე აღბეჭდილ ადამიანს თბილისში საკმაოდ შეძლებული შვილი ჰყავს, ის კი ქალაქში არ ჩამოდის...

ვცდილობ, საკუთარი ძალები ყველა ჟანრში მოვსინჯო

— როდესაც ადამიანი სვანეთში ცხოვრობს, მას თითქმის ყველაფერი აქვს, რაც სჭირდება. დედაჩემიც სოფელში ცხოვრობს და ქალაქში იშვიათად ჩამოდის, აქაური ყოფა მისთვის ძალიან უცხოა. ალბათ, დამერწმუნებით, რომ კეთილმეზობლური და თბილი ურთიერთობა სოფელში მეტადაა შენარჩუნებული, ვიდრე — ქალაქში.

— თითოეულ თქვენს ფოტოს ალბათ, თავისი ისტორია აქვს...

— ვცდილობ, ფირზე ამა თუ იმ ადამიანის ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენა აღვბეჭდო. მაგალითად, ამას წინათ ფოტოსურათი გადავუღე ბებიაჩემს, რომელიც გურიაში ცხოვრობს და უკვე 90 წლისაა. მისი უკვე ცხოველებსა და ფრინველებსაც არაჩვეულებრივად ესმით. მან დილით ქათამს დაუძახა, დაიჭირა და ყელი გაუსინჯა, საჭმელი ჰქონდა თუ არა. ჰოდა, სწორედ ეს ბუნებრივი სიტუაცია დავაფიქსირე... ნახეთ, ამ ფოტოზე სახლს მანქანის კარის ჭიშკარი აქვს. სოფელში ცდილობენ, ყველაფერი გამოიყენონ (*იღიმის*).

მისი ცხოველებსა და ფრინველებსაც არაჩვეულებრივად ესმით

სვანეთში ახლაც შეძლებისდაგვარად ავდიავარ და ფოტოსურათებს ვიღებ

ძველი მეგობრები

— როგორც ვიცი, რამდენიმე დღეში თქვენი ნამუშევრები საზღვარგარეთ მიგაქვთ...

— მე, ნათელა გრიგალაშვილსა და იური მეჩითოვს გამოფენა გვაქვს რიგაში — ეს საქართველოს ელჩის, კოტე კორკელიას ინიციატივაა.

— თქვენი ვაჟიც არაჩვეულებრივ ფოტოებს იღებს. მისი შემოქმედება თუ მოგწონთ?

— ჯერ ახალგაზრდაა და ფოტოგრაფობაც ახლახან დაიწყო. ძველად ამბობდნენ, — 1 კმ ფირი უნდა გადაიღო, რომ ფოტოგრაფი გახდეო. როგორც ყოველთვის, მამის გამოცდილება შვილზე იშვიათად გადადის. მიმაჩნია, რომ ის მტვერი, რაც კარგ ფოტოგრაფად ჩამოყალიბებისთვისაა საჭირო, მანაც უნდა გადაყლაპოს (*იღიმის*). დედამიწა განუწყვეტლივ მოძრაობს, ყველაფერი სწრაფად დაქრის და იმისათვის, რომ რაიმე დაინახო, უნდა გაჩერდე, აუცილებლად უნდა დააკვირდე და იპოვო ის, რაც მხოლოდ შენია, რისი გადაღებაც ღირს, ეს კი ძალიან ბევრს უჭირს — დარბიან, ყველაფერს იღებენ და ჰგონიათ, რომ უამრავ ფოტოსურათში ერთს მაინც ამოარჩევენ ნორმალურს, არადა, საბოლოო ჯამში, არაფერი გამოსდით! მიყვარს, როცა ადამიანი გამუდმებით ძიების პროცესშია, ეს განვითარების ერთ-ერთი წინა პირობაა!

— სამუშაო გეგმას წინასწარ ადგენთ ხოლმე?

— რა თქმა უნდა! მაგალითად, ახლა მინდა, ფერადი პორტრეტების სერია გავაკეთო და საქართველოს ნებისმიერი კუთხის მოვლასაც ვაპირებ. ისეთი რუკა ვიყიდე, რომელზეც ყველა სოფელია აღნიშნული. მე მხოლოდ მთავარ გზაზე მდებარე სოფლების მოვლას კი არა, მიუდგომელ ადგილებში შეღწევასაც ვაპირებ — დარწმუნებული ვარ, სწორედ იქ მელოდებიან საინტერესო ადამიანები. ■

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. მსოფლიოში 33,5 მილიონი შიდსით დაავადებული ადამიანია რეგისტრირებული.

2. შვედეთის პარლამენტმა 1938 წელს ნობელის პრემიაზე ადოლფ ჰიტლერი წარადგინა.

3. საქარე მინის საწმენდები კოსმოსური ხომალდის ილუმინატორებზეცაა დამონტაჟებული.

4. სციპიონ აფრიკელის ქალიშვილი კორნელია ძმების — გაიუს და ტიბერიუს გრაკხუსების დედა იყო.

5. მსოფლიოში ყველაზე მაღალი კაქტუსი 24 მეტრი სიმაღლის იყო და 150 წელიწადი იცოცხლა.

6. იანძის კაშხლის მშენებლობისას ჩინეთის მთავრობამ დასატბორი ტერიტორიებიდან მილიონი ადამიანი გაასახლა.

7. სიცოცხლის ბოლო დღეებში ჰიტლერს ყველა მოღალატედ მიაჩნდა, მთავარ მოღალატედ კი — სრულიად გერმანია.

8. ყვავილებისა და ფრანგული მოდის მაღაზიები თბილისში იტალიური ოპერის გახსნის შემდეგ გაჩნდა.

9. ბარაკ ობამას, არჩევნებამდე 18 თვით ადრე, სახელმწიფოს მიერ პირადი დაცვა ჰყავდა მიჩენილი.

10. „განა შემიძლია ორი ხელით ზღვა შევაკავო?“ — თავს იმართლებდა ნაპოლეონის მხარეს გადასული მარშალი მიშელ ნეი.

11. „იელოუ სტოუნის“ ნაციონალურ პარკში ავტომობილით 70 კილომეტრზე სწრაფად გადაადგილება არ შეიძლება. გზაზე თუ ბიზონების ჯოგი გადადის, დასიგნალებაც აკრძალულია — მგზავრი მშვიდად უნდა დაელოდოს გზის გათავისუფლებას.

12. „ადამიანები მაჩვ-ზღარბთა ჯოგია. ზამთრის სიცივეში ერთმანეთს ეკვრიან, ეკლებით ერთმანეთს ჩხვლეტენ და ასისხლიანებენ“, — ამბობენ კონფლიქტოლოგები.

13. ჩიტის მახეში, სატყუარას სახით, ზოგჯერ წყლით სავსე ჯამს დებენ, მგალობელი მამლის მისატყუებლად კი გალიაში დედალ ფრინველს ათავსებენ.

14. „ინსპექტორი კლუზო ჩემთვის კომიკური ჰამლეტია“, — ამბობს სტივ მარტინი — მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „ვარდისფერი პანტერა“.

15. ჩინეთსა და მონღოლეთში მატარებლის რელსები სხვადასხვა ზომისაა. როცა ჩინეთიდან მონღოლეთში მიმავალი მატარებელი საზღვარზე გადადის, მას ბორბლებს უცვლიან.

მონოთელიტური მოძღვრება, მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრება და იკოსური მსახურება

VII საუკუნის პირველ ნახევარში წარმოიშვა კიდევ ერთი ახალი მწვალებლური მოძღვრება — მონოთელიტობის სახით, რაც გახდა მიზეზი მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევისა. ვინ იყო მონოთელიტური სწავლების ფუძემდებელი და რაში მდგომარეობდა ამ მოძღვრების ცდომილება? — ამჯერად სწორედ ამ საკითხებთან დაკავშირებით ვისაუბრებთ...

შორენა მერკვილაძე

არქიმანდრიტი მაკარი *(აბესაძე):*

— როგორც ვიცით, მონოფიზიტური ერესი საბოლოოდ მეხუთე მსოფლიო კრების შემდეგ ჩამოშორდა ეკლესიას, მაგრამ ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციები და ეგვიპტის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მონოფიზიტი რჩებოდა. ჰერაკლე კეისრის პერიოდში კონსტანტინოპოლის პატრიარქი იყო სერგი, რომელიც კეისარს ყოველთვის მხარში ედგა: ჰერაკლე კეისრის არყოფნის დროს, ჩრდილოეთის ტომებმა — ავარებმა და სლავებმა ალყა შემოარტყეს კონსტანტინოპოლს, ქალაქი ლამის, განადგურების პირას იყო. პატრიარქი, რომელიც იმ დროს ქალაქში იმყოფებოდა, სამხედრო მმართველობასთან ერთად სათავეში ჩაუდგა კონსტანტინოპოლის დაცვას. იგი ჰერეკლე კეისრის მსგავსად, პატრიოტი იყო. მან ჩამოაყალიბა სწავლება, რომელიც თითქოსდა, მონოფიზიტებს ეკლესიის წიაღში დააბრუნებდა, მაგრამ ამის ნაცვლად ახალი ერესის, მწვალებლური სწავლების ფუძემდებლად იქცა. იგი აღიარებდა აბსოლუტურად ყველაფერს წმინდა მამათა ცხოვრებიდან, თავად ქრისტეს ორბუნებოვნებასაც, მაგრამ ამბობდა: როდესაც ქრისტე განკაცნდა, უკვე ერთი ჰიპოსტასია, ერთი პიროვნებაა. მასში არის ორი ბუნება — ღვთაებრივი და ადამიანური, მაგრამ ნება არის ერთი — მხოლოდ ღვთაებრივი ნება მოქმედებს, ხოლო ადამიანური აღარ არსებობს — გაქრა. ქრისტეს ღვთაებრივი და ადამიანური ბუნებაც მთლიანად ღვთაებრივ ნებას ჰქონდა მოცულიო, — ეს კი მწვალებლობაა. სერგის სწავლებას დაეთანხმნენ ალექსანდრიის პატრიარქი, ანტიოქიის პატრიარქი და რომის პაპი, მაგრამ გამოჩნდნენ ისეთი მართლმადიდებლები, რომლებიც ამას შეეწინააღმდეგნენ. მონოთელიტური ანუ სწავლება ქრისტეს ერთბუნებოვნების შესახებ მაშინვე დაგმო და ამხილა იერუსალიმის პატრიარქმა წმინდა სოფრონმა, ცნობილმა ბერმა და უდიდესმა წმინდა მამა მაქსიმე აღმსარებელმა, რომელიც იმ დროს ბიზანტიაში, კონსტანტინოპოლში ცხოვრობდა. წმინდა მაქსიმემ მთელი ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიები მოიარა, შემდეგ ესპანეთშიც გადავიდა და ყველგან ჭეშმარიტ სარწმუნოებას ქადაგებდა. ბოლოს მამა მაქსიმეს ხელი მოაჭრეს, ენაც ამოკვეთეს და საქართველოში გადმოასახლეს, თავის მოწაფესთან ერთად. როგორც მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების აღწერილობაშია ნათქვამი, საქართველოში ჩამოსულმა ბერებმა მოჭრილ ხელებზე ხის ჩხირები გაიკეთეს, ამის შემდეგ კი უფრო მეტს წერდნენ და ქადაგებდნენ, ვიდრე იმ დროს, როცა ენაც ჰქონდათ და ხელიცო.

მონოთელიტობის ერესი მთელი ბიზანტიის იმპერიაში ვრცელდებოდა. ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ ტერიტორიების უდიდესი ნაწილი არაბებმა დაიპყრეს — იმპერიის ეგვიპტური და აფრიკული პროვინციები კი უკვე არაბეთის მფლობელობაშია. ამ დროს ტახტზე ქრისტიანობის მტკიცე დამცველი, კონსტანტინე პაგანატისი ავიდა. იმპერატორს არ სურდა, მხოლოდ თვითონ ჩარეულიყო ეკლესიის საქმეებში, დამოუკიდებლად მიეღო გადაწყვეტილება და ამიტომაც, მონოთელიტური ერესის სამხილებლად მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების

მოწვევა გადაწყვიტა. ეს ხდება 680 წელს. კრებას მსოფლიოს ყველა ეკლესიის წარმომადგენელი ესწრებოდა. სხდომები თითქმის ერთი წლის მანძილზე გრძელდებოდა, სულ 18 სხდომა ჩატარდა. აბსოლუტურად ყველაფერი მოიძიეს „წმინდა წერილიდან“, წმინდა მამათა სწავლებებიდან და მოციქულთა გადმოცემებიდან, საბოლოოდ კი იქნა მიღებული დოგმატი ქრისტეს ორნებელობის შესახებ — ქრისტეში ორი ნების — ღვთაებრივის და ადამიანურის შესახებ. მეოთხე მსოფლიო კრებამ მიიღო დოგმატი ქრისტეს ორბუნებოვნობის, ხოლო მეექვსე მსოფლიო კრებამ ქრისტეს ორნებელობის შესახებ.

როგორც ვთქვით, იესო ქრისტეს ჰქონდა როგორც ღვთაებრივი, ისე ადამიანური ბუნება, ასევე ღვთაებრივი და ადამიანური ნებაც, მაგრამ ქრისტეში ადამიანური ნება მთლიანად დამორჩილებული იყო ღვთაებრივ ნებას საკუთარი ნებით და არა იძულებითა და შთანთქმით. მეექვსე მსოფლიო კრებამ დაგმო მონოთელიტური ერესი, ხოლო ამ სწავლების ფუძემდებლები — ერესიერარქები, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს უკვე გარდაცვლილნი იყვნენ, განკვეთილნი იქნენ ეკლესიიდან. მონოთელიტური ერესისგანაც განწმენდილი იქნა ეკლესია კეთილმსახური იმპერატორის — კონსტანტინე IV-ის მიერ. კონსტანტინე დიდმა არა მხოლოდ ეკლესიის საქმეები გადაწყვიტა ასე კეთილგონივრულად, არამედ სახელმწიფო საქმეებიც — მოახერხა არაბების დამარცხება და ნელ-ნელა დაიბრუნა იმპერიის აღმოსავლეთ ტერიტორიების დიდი ნაწილი.

— რატომ განახლდა მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების სხდომები 692 წელს, რომელიც ტრულის კრების სახელითაა ცნობილი?

— ამის გავლენით არა მხოლოდ 692 წელს ჩატარებული სხდომები, არამედ თავად მეექვსე კრებაც ტრულის კრებად იწოდება. თავად სახელწოდება — „ტრული“ მიიღო იმპერატორის სასახლის იმ დარბაზის მიხედვით, სადაც კრების სხდომები ტარდებოდა. ამ დარბაზს ჰქონდა სვეტები, გუმბათი და აქედან გამომდინარე, მას ტრულის ანუ სვეტებიანი ერქვა.

მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების სხდომების განახლება საჭირო გახდა იმიტომ, რომ მეხუთე და მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრებებს, დოგმატური საკითხების გარდა, არც ერთი მსახურებითი საკითხი არ განუხილავს და არავითარი კანონი არ მიუღია. მათ გადახედეს მოციქულთა ხანიდან მოყოლებული ყველა კრების მიერ მიღებულ კანონებს და ამ კანონებიდან გამომდინარე, 102 კანონი იქნა მიღებული.

ტრულის კრების კანონები არ მიიღო დასავლეთის ეკლესიამ — რომის ეკლესიამ, რადგან ზოგიერთი მათგანი რომის ეკლესიის ტრადიციებს ეწინააღმდეგებოდა. მაგალითად, რომის ეკლესიის მღვდელმსახურნი აუცილებელ უქორწინებლობაში უნდა ყოფილიყვნენ, კრებას კი არ მიუღია კანონი უქორწინებლობის შესახებ... რაც შეეხება აღმოსავლეთის ეკლესიას, იქ მტკიცედ გავრცელდა ტრულის კრება და მის მიერ მიღებული კანონები.

— VII საუკუნეში შეიქმნა პირველი დაუჯდომელიც, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელზე...

— დაუჯდომელი ეწოდება საოიდებელ საგალობელს, რომელსაც აკათისტოსაც უწოდებენ. ის შედგება კონდაკისა და იკოსისგან (იკოსი არის კონდაკთან საკითხავი გრძელი მუხლი. დაუჯდომლის გრძელ მუხლებსაც იკოსი ეწოდება). დაუჯდომელი იმიტომ ეწოდება, რომ მასში შემავალი ლოცვების კითხვისას ჩამოჯდომა და დაჩოქება (მუხლდრეკა) არ შეიძლება.

ვიდრე პირველი დაუჯდომელი შეიქმნებოდა, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელზე, ეკლესიაში არსებობდა იკოსური მსახურება, რომელიც ცისკრის მსახურებაში გახლდათ ჩართული (ისე, როგორც ამჟამად გალობები ერთვის ცისკრის მსახურების დროს), შემდეგ კი ამოკრებილ, ამოღებულ იქნა და ღვთისმშობლის დაუჯდომლის სახით ცალკე საკითხავ ლოცვებად, ცალკე საკითხავ წიგნად ჩამოყალიბდა.

ღვთისმშობლის დაუჯდომელი დღეს-დღეობით იკითხება დიდი მარხვის მეხუთე შაბათის მსახურებაზე (რომელსაც დაუჯდომლის შაბათი ეწოდება), იმ სასწაულთან დაკავშირებით, რომელიც VII საუკუნეში კონსტანტინოპოლში, სწორედ დიდი მარხვის მეხუთე შაბათს მოხდა: კონსტანტინოპოლს ალყა ჰქონდა შემორტყმული. ტაძარში მთელი ღამის განმავლობაში აღესრულებოდა იკოსური მსახურება. პატრიარქი და მრევლი იმდენად გულმხურვალედ ლოცულობდნენ, რომ ჩამოჯდომაც არავის გახსენებია. დილით იხილეს, რომ კონსტანტინოპოლს ალყა ჰქონდა მოხსნილი, მტერი წასულიყო. სწორედ ამის შემდეგ, ღვთისმშობლის ამ ლოცვებს ფეხზე მდგომნი კითხულობდნენ და მას ამიტომაც ეწოდა დაუჯდომელი. მართლმადიდებელმა ეკლესიამ ყოველ წელიწადს, დიდი მარხვის მეხუთე შვიდეულის შაბათ დღეს, დაუჯდომლის შაბათი დააწესა, რათა საყოველთაოდ აღვლენილიყო ღვთისმშობლის საოიდებელ-საგალობელი. ამ დღეს ცისკრის ლოცვაში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის აკათისტო — დაუჯდომელი ჩაერთვის.

შემდგომში, უფრო თანამედროვე პერიოდში, მსოფლიოს მართლმადიდებელმა ეკლესიებმა შექმნეს სხვა აკათისტოებიც იმ წმინდანთა სახელზე, რომელსაც გამორჩეულ პატივს მიაგებდნენ ამა თუ იმ ადგილობრივ ეკლესიაში. ■

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი

უბის წიგნაკიდან:

16. მხატვრული ფილმი — „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“ ვიაჩესლავ ტიხონოვის (ეს მსახიობი ახლახან გარდაიცვალა) მონაწილეობით, თორმეტ სერიად გადაიღეს. ფილმის თითოეული სერიის ჩვენებისას, ქარხნებსა და ფაბრიკებში მუშაობა ჩერდებოდა. საბჭოთა მზვერავს გულშემატკივრობდნენ მაღალი თანამდებობის პირებიც. ამბობენ, ფიდელ კასტრომ საკუთარ მინისტრებს თავი მოუყარა და სრულად უჩვენა ფილმი, რათა შემდგომში მათ მთავრობის სხდომები არ გაეცდინათო.

17. ერთი პერიოდი ისააკ ნიუტონი სახელმწიფო ზარაფხანას განაგებდა. მან ჩვეული აკურატულობით, ქვეყანაში ფულის მოჭრის საქმიანობა მოაწესრიგა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ძალაუნებურად მოსწყდა მეცნიერულ სამუშაოს.

18. ალბრეხტ დიურერის მიერ შექმნილ ორმოცდაათამდე ავტოპორტრეტში აშკარად ჩანს მხატვრის მიერ საკუთარი თავით ტკბობა, რის გამოც თანამედროვენი ხშირად საყვედურობდნენ. ავტოპორტრეტების გარდა, გერმანელი მხატვარი საკუთარ თავს მასობრივ სცენებშიც გამოსახავდა.

19. შეერთებულ შტატებში წარმოებული კარტოფილის 95% აიდაჰოს შტატში მოჰყავთ. ამ შტატის ქალაქ ბლექფუტში მდებარეობს კარტოფილის მუზეუმი, სადაც ექსპონატად მერილინ მონროს ფოტოა წარმოდგენილი, სადაც მსახიობს შიშველ სხეულზე კარტოფილის ტომარა აქვს გადაცმული.

20. დოფამინი ბედნიერების ჰორმონია. ხშირად, საყიდლებზე სიარულის მანიით შეპყრობილ ე.წ. „შოპოგოლოკებს“ ექიმები ორგანიზმში ამ ჰორმონის ნაკლებობას უდგენენ.

21. ლონდონში ათას საფოსტო მტრედს დაუდგეს ძეგლი, წარწერით — „მათ არ ჰქონდათ არჩევანი“. ამ მტრედებს ბრიტანელები მეორე მსოფლიო ომის დროს, სამხედრო დანიშნულებით იყენებდნენ — მათი დახმარებით ერთმანეთს გადასცემდნენ უძვირფასეს ინფორმაციას, რაც საბოლოო ჯამში, უამრავ ადამიანს უნარჩუნებდა სიცოცხლეს. ამ საფოსტო მტრედებს, მართლაც, არ ჰქონდათ არჩევანი — გერმანელები მათზე გაწვრთნილი მიმინოებით ნადირობდნენ. ამ ფრინველებს დაუნდობლად ხოცავდნენ სნაიპერებიც და უბრალო ჯარისკაცებიც.

XXI საუკუნის პაპუასები

თანამედროვე ადამიანისთვის მობილურისა და ინტერნეტის გარეშე ყოფნა წარმოუდგენელია, მაგრამ როგორც უნდა გაგიკვირდეთ, დედამიწაზე დღესაც ცხოვრობენ ადამიანები, რომლებსაც წარმოდგენა არა აქვთ, რა არის კომპიუტერი, ტელევიზორი ან რადიო — მათ პაპუასები ჰქვიათ და პაპუა-ახალი გვინეის ტერიტორიაზე ცხოვრობენ. კუნძულის მოსახლეობა (დაახლოებით, 4 მლნ ადამიანი) პატარ-პატარა ტომებადაა დაყოფილი. მათი ძირითადი ენა კრეოლურია, მაგრამ ყველა თავისებურ დიალექტზე ლაპარაკობს. პაპუასები დიდ ოჯახებად ცხოვრობენ. ოჯახის უფროსი მამაკაცია და მას რამდენიმე ცოლის ყოლის უფლება აქვს. მამაკაცები საკვებს ნადირობითა და თევზაობით მოიპოვებენ, ზოგიერთი მიწათმოქმედებასაც მისდევს. მიირთმევენ ღორის, ძაღლისა და ხვლიკის ხორცს, ხოჭოებს, თევზსა და ზღვის პროდუქტებს, ქოქოსს, რომელსაც მუნკის ეძახიან, ბანანს (მოგა), თხილს (კენგარი) და აქვთ ყავისმაგვარი სასმელი კეუ.

სანადირო და სამუშაო იარაღებს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს თავად ამზადებენ. დღესასწაულებზე სარიტუალო ცეკვის შესრულებისა და სიმღერის უფლება მხოლოდ მამაკაცებს აქვთ, რომლებიც სპეციალურად ამ დღისთვის სახეს იღებავენ და ფრინველის ბუმბულებისგან დამზადებულ თავსაბურავებს იხურავენ. რაც შეეხება ქალებს, მათ საოჯახო საქმეების შესრულება, ბავშვების გაზრდა და სამკაულების დამზადება ევალებათ.

პაპუასების ძირითადი ტანსაცმელი ქამარია — მამაკაცებს წითელი, ხოლო ქალებს შავზოლიანი წითელი ქამრები უკეთიათ, რომელზეც თუთუნისა და წვრილი ნივთებისთვის განკუთვნილ ტომსიკებს კიდებენ. თვითნაკეთი მძივები პაპუასებს ყელზე, ხელებზე, ფეხებზეც უკეთიათ და ხშირად, სამკაულს ნესტოზეც და ტუჩზეც იმაგრებენ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ოჯახის უფროსს ანუ უხუცესს პაპუასები მიწაში არ მარხავენ — გვამს პალმის ფოთლებში ახვევენ, რამდენიმე თვით ცეცხლის თავზე კიდებენ და გვამის მუმიად გადაქცევის შემდეგ, მას სახლში, საპატიო ადგილზე დებენ, თაყვანს სცემენ და დახმარებას სთხოვენ. ■

ღმერთების ქალაქი

დედამიწაზე შემორჩენილია ათასწლეულების წინ აღმართული უჩვეულო ქალაქები და ნაგებობები. ერთ-ერთი ასეთი ადგილი ალტიპლანოა, რომელიც პერუსა და ბოლივიის საზღვარზე მდებარეობს. ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ ქალაქი ინკების აშენებულია, ზოგიერთის აზრით კი, ძველად აქ უცხოპლანეტელები ბინადრობდნენ. გათხრების დროს, ქალაქის მახლობლად ბაზალტის ფილებს მიაგნეს. ყველაზე დიდი ქვის წონა 440 ტონაა და ის ამწის გარეშე ვერც დაძრეს. გათხრებისას, ტბა ტიტიკაკას მახლობლად ტიაუანაკოს ტაძარი აღმოაჩინეს. მეცნიერების აზრით, იგი 12-17 ათასი წლის წინაა აღმართული. საინტერესოა ტაძრის მხატვრობაც: ერთ ფრაგმენტზე სკაფანდრში გამოწყობილი კოსმონავტია გამოსახული. პერუში, სოფელ უაროს მუზეუმში ინახება თიხის ფილა, რომელზეც ღია კოსმოსში გაფრენილი კოსმონავტია გამოსახული. აქვეა თიხის ფიგურებიც, რომლებიც ადამიანებს ნამდვილად არ ჰგვანან. ადგილობრივების თქმით, მათ წინაპრებს ტაძრების აგება, წერა-კითხვა, ვარსკვლავებზე დაკვირვება და მკურნალობა ჩრდილოეთიდან მოსულმა ღმერთებმა ასწავლეს. ■

ყინული, რომელიც ჭუჭყმა დაადნო

650-850 მლნ წლის წინ დედამიწა ყინულით იყო დაფარული და მეცნიერების მოსაზრებით, მისი დნობა ატმოსფეროში ნახშირორჟანგის მატებამ გამოიწვია.

სრულიად განსხვავებული ვერსია წარმოადგინეს ჩიკაგოს უნივერსიტეტის მეცნიერებმა. მათი აზრით, ყინული ჭუჭყმა დაადნო: ტროპიკულ რეგიონებში ამოფრქვეული ვულკანების ფერფლი ყინულებზე ილექებოდა და მისი ზედაპირიც უფრო მეტ მზის სხივებს შთანთქავდა, დნებოდა, შემდეგ კი, წყლისა და ფერფლის ჭუჭყი დანარჩენ ყინულსაც ადნობდა. სპეციალისტებმა ჰიპოთეზა კომპიუტერულ მოდელზე შეამოწმეს და გეოფიზიკოსების ვერსია დამტკიცდა. ■

მსოფლიოს რობოტები მართავენ(?!)

პირველად ტერმინი „რობოტი“ 1920 წელს, ჩეხმა მწერალმა კარელ ჩაპეკმა ნაწარმოებ „R.U.R“-ში გამოიყენა. პიესაში რობოტებად მექანიკურ ადამიანებს მოიხსენიებდნენ. პირველი მექანიკურად სამართავი მოწყობილობა არაბმა მეცნიერმა, ალ-ჯაზარიმ დაამზადა. მან ნავის მოდელში მოათავსა სამი სათამაშო მუსიკოსი, რომლებიც არფაზე, ფლეიტასა და დაირაზე უკრავდნენ. თურმე, ადამიანის მაგვარი რობოტის შექმნა ლეონარდო და ვინჩისაც სურდა. 1950 წელს ლეონარდოს სქემებს მიაგნეს, რომლის მიხედვითაც, მექანიკურ რაინდს ჯდომა, ხელების, ფეხებისა და თავის მოძრაობა შეეძლო. 1738 წელს ფრანგმა გამომგონებელმა, ჟაკ დე ვოკანსონმა ადამიანისმაგვარი მოწყობილობა — ანდროიდი დაამზადა, რომელიც ფლეიტაზე უკრავდა, მოგვიანებით კი მექანიკური იხვებიც შექმნა, რომლებსაც მარცვლის აკენკვა, ფრთებისა და თავის მოძრაობა შეეძლოთ.

დღესდღეობით სამი სახეობის რობოტი არსებობს: დაპროგრამებული, მანიპულატორი (რომელსაც ადამიანი-ოპერატორები მართავენ) და ხელოვნური ინტელექტი. ისინი ხშირად, ადამიანებზე უკეთესად და ხარისხიანადაც კი მუშაობენ. მაგალითად: შანხაის აფთიაქში კლიენტებს რობოტი-ფარმაცევტი ემსახურება. სენსორულ ეკრანზე უნდა მიუთითოთ სიმპტომები, რომლებსაც უჩივით, რის შემდეგაც რობოტი დიაგნოზს დაგისვამთ და საჭირო რეკომენდაციასაც მოგცემთ, თანხის გადახდის შემდეგ კი წამალსაც მოგართმევთ; ბრიტანეთის ზოგიერთ საავადმყოფოში რობოტი-სანიტარი მუშაობს; სამხრეთ კორეაში ვილებს რობოტი-დარაჯი იცავს; ფოტოაპარატითა და მობილური ტელეფონით აღჭურვილ მანქანას, მოსალოდნელი საფრთხის შემთხვევაში, ფოტოების გადაღება, პატრონთან დარეკვა და პოლიციის გამოძახება შეუძლია; წვეულებებისთვის რობოტი-ფოტოგრაფი არსებობს. სხვათა შორის, მის მიერ გადაღებული ფოტოების 90% საუკეთესოა; რობოტ-დიასახლისს 7-წევრიანი ოჯახის მოვლა შეუძლია. მას დამახსოვრებული აქვს 65 ათასი ფრაზა და 1000 ცალკეული სიტყვა. შექებისას წითლდება, ხოლო დაბნეულობისას ფერი ეკარგება; იაპონელებმა შექმნეს რობოდანსერი (მათივე შექმნილია რობოტი-მუსიკოსი, რომელსაც რამდენიმე ინსტრუმენტზე დაკვრა შეუძლია). მისი ელემენტები 45 წუთს ძლებს და ამ დროის განმავლობაში სხვადასხვა სტილის მუსიკას შემოგთავაზებთ, თან, იცეკვებს; გრეისს ანუ პირად თანაშემწეს შეუძლია მდივნის როლის შეთავსება, თავაზიანია, დავალებებს ზუსტად ასრულებს. დამახსოვრებული ფრაზების წყალობით, სხვადასხვა თემაზე ლაპარაკსაც ახერხებს.

რობოტებისთვისაც არსებობს კანონები: რობოტმა ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხე არ უნდა შეუქმნას, უნდა დაექვემდებაროს მას და იზრუნოს საკუთარ უსაფრთხოებაზე. ■

ცხოველთა მეფე და მისი ჰიბრიდები



მსოფლიოში ლომის ათამდე სახეობაა ცნობილი, მაგრამ ყველაზე გავრცელებულია აფრიკული და აზიური. ლომების ოჯახს პრაიდი ჰქვია.

ლომი სავანეებში, ნახევრად უდაბნოებში, ეკვატორულ აფრიკასა და ინდოეთში ბინადრობს. ძირითადად, ზებრებსა და სირაქლემაზე ნადირობს. დღეში 2-3-ჯერ იკვებება და ერთ ჯერზე 18 კგ ხორცის ჭამა შეუძლია. მისი ნარჩენებით ტურები, სვავები და აფთრები იკვებებიან.

1970 წელს ლონდონის ზოოპარკში ყველაზე დიდი ლომი აღწერეს, რომელიც სიგრძით 3,3 მეტრი იყო და 375 კგ-ს იწონიდა. საშუალოდ, ლომები 170-250 სმ და 150-250 კგ-მდე იზრდებიან. მათ ორ წლამდე ღრიალი არ შეუძლიათ, სამაგიეროდ, ზრდასრული ლომის ღრიალი 5 მილის მანძილზე ისმის.

როგორც ადამიანის თითის ანაბეჭდებია განსხვავებული, ასევე არ არსებობს ორი, ერთნაირი იერის მქონე ცხოველი, მათ ულვაშებიც კი განსხვავებული აქვთ. ზოოპარკებსა და ნაკრძალებში ლომის ჰიბრიდებიც გვხვდება. ყველაზე გავრცელებულია: ლიგრი — ლომისა და ძუ ვეფხვის ნაჯვარი; ვეფხვლომი — ვეფხვისა და ძუ ლომის ბოკვერი; ლეოპონი — ლეოპარდისა და ძუ ლომის ლეკვი; იაგულომი — იაგუარისა და ძუ ლომის ნაჯვარი.

ჩინურ მითოლოგიაში ლომი სამართლის დამცველია და ძალის, წარმატების სიმბოლოდ მიიჩნევა. ამ ცხოველის გამოსახულება ბუდისტური ტაძრების აუცილებელი ატრიბუტია. ძველი ბერძნები და რომაელები ხშირად გამოსახავდნენ ლომებს. ყველაზე ცნობილია: გრიფონი — ლომისა და არწივის შერწყმული გამოსახულება, რომელიც ხშირად გამოიყენება ჰერალდიკასა და ქანდაკებებში; ქიმერა — ურჩხული ბერძნული მითოლოგიიდან, რომელსაც ლომის თავი, თხის ტანი და დრაკონის კუდი აქვს; მანტიკორა — ადამიანისთავიანი, ლომისტანიანი და მორიელისკუდიანი არსება; სფინქსი — ქალისთავიანი არსება, რომელსაც ლომის ტანი და არწივის ფრთები აქვს. ქვის სფინქსის ყველაზე დიდი გამოსახულება გიზაში მდებარეობს. ■

რიკარდო კაკა: „მილანის“ კაპიტნობა მინდოდა...“

ბრაზილიელი ვარსკვლავის — რიკარდო კაკას მადრიდის „რეალში“ გადასვლა „მილანის“ ფანებისთვის დღემდე ერთ-ერთ მტკივნეულ თემად რჩება. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, მასმედიის ფურცლებზე მისი გამოჩენისას, სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულ მის შეხედულებებს ეცნობიან განსაკუთრებული ინტერესით. ცხადია, ჟურნალისტებიც კაკასთან საუბრისას, „მილანთან“ დამოკიდებულებას ეხებიან. ეს არც ბოლო ინტერვიუს ჩაწერისას გამორჩენია რეპორტიორს, რომელმაც ბრაზილიელ ფორვარდთან საუბარი კლუბის ოფიციალური გაზეთისთვის — AS — ჩაწერა.

— როგორ შეაფასებთ ამჟამინდელ „რეალს“?

— ჯერჯერობით, ვერ ვთამაშობთ ისე, როგორც კარგად შეკავშირებულ გუნდს ეკადრება. ვფიქრობ, წარმატებებს მხოლოდ ინდივიდუალური ოსტატობის წყალობით ვაღწევთ. გუნდში 8-9 ახალი ფეხბურთელი მოვიდა და „რეალი“ ჩამოყალიბების პროცესშია. ერთი ხელის მოსმით წარმატების მიღწევა ძნელია. აუცილებელია, ჩვენი თამაში დავხვეწოთ.

— რას ფიქრობთ სამხრეთ აფრიკის მსოფლიო ჩემიონატის კენჭისყრის შედეგებზე?

— აშკარაა, რომ ჯგუფი ყველაზე ძლიერია, მას თამამად შეიძლება ვუწოდოთ „სიკვდილის ჯგუფი“. ბრაზილიის ნაკრებისთვის აუცილებელია კარგი სტარტი: თუ პირველ შეხვედრას მოვიგებთ, მერე ყველაფერი დალაგდება. 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ვალდებული ვართ, გულშემატკივრებს მაღალი კლასის ფეხბურთი ვუჩვენოთ. მოდით, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ. მხოლოდ ერთს ვიტყვი: იმ შემთხვევაში, თუ ესპანეთის ნაკრებს შეეხვდებით, გვეყოლება ლუიშ ფაბიანო, რომელსაც არაერთხელ გაუტანია გოლი იკერ კასილასისთვის და არა მგონია, ამჯერად გაგვაწბილოს (*იცინის*).

— ახლა სხვა თემას შევეხოთ; კარიერა „სან-პაულუში“ დაიწყეთ...

— დიახ, რამდენიმე წელი სწორედ ამ ბრაზილიურ გუნდში გავატარე. თუმცა სანამ იტალიაში არ გადავედი, ფეხბურთის ქომაგები არ მიცნობდნენ.

— და სწორედ „მილანმა“ მოგიტანათ წარმატება. თუმცა ცუდი მომენტებიც იყო...

— ალბათ 2005 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალს გულისხმობთ... დიახ, მართლაც, სასწაულებრივი ფინალი იყო. საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ჩვენ, მილანელები ვერ ვიჯერებდით დამარცხებას. სამაგიეროდ, გავიდა 2 წელი და კვლავ „ლივერპულთან“ მოგვიხდა ფინალში თამაში. ჰოდა, ამჯერად თასი „მილანს“ ერგო — რევანში მოვახერხეთ.

— თქვენი ამჟამინდელი თანაგუნდელები — ხაბი ალონსო და დუდეკი მაშინ თქვენი მოწინააღმდეგეები იყვნენ...

— დიახ, მაგრამ ეს ადრე იყო. ახლა ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან.

— როგორ გაიხსენებდით მადრიდის „რეალის“ მაისურის მორგებას?

— ეს ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი უბედნიერესი დღე იყო. ახლა თვალწინ მიდგას ის უამრავი მაყურებელი, რომლებიც ტაშით შემომეგებნენ. ეს არასდროს დამავიწყდება. როდესაც „სან-პაულუში“ თამაში დავიწყე, არანაირი წარდგენა არ ყოფილა. მადრიდში პრეზენტაციას კი „მილანში“ პრეზენტაციაც ვერ შეედრება. თუმცა მადრიდელებმა ხომ სწორედ „მილანის“ წყალობით გამიცნეს! მილანელები კი მაშინ „სან-პაულუდან“ ვერც გამიცნობდნენ ისე კარგად...

— ახლა კაკას უკვე აქვს ნათამაშები „სანტიაგო ბერნაბეუზე“ და ის მადრიდელია...

— დიახ, მადრიდელი ვარ... იქ დარჩენა და „მილანის“ კაპიტნობა მინდოდა, მაგრამ ყოველთვის ისე არ ხდება, როგორც გინდა... მილანიდან წამოსვლის შემთხვევაში, მხოლოდ „რეალში“ ვითამაშებდი. ახლა „რეალთან“ ერთად მინდა წარმატებების მიღწევა. ■

სიურპრიზი „ოქროს ბურთის“ მფლობელისთვის

2009 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებულ, „ბარსელონის“ არგენტინელ ლეგიონერ ლიონელ მესის 12 დეკემბერს, „ესპანიოლთან“ მატჩის წინ, „კამპ ნოუზე“ პატარა საზეიმო ცერემონია მოუწყვეს — „ოქროს ბურთი“ მას დედამ გადასცა. სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივრები ერთ ხმაში სკანდირებდნენ: „მესი, მესი!“ ლიოც მოედნის ცენტრში იდგა და მილოცვებს იღებდა, მათ შორის — მატჩის მსაჯის, იტურალდე გონსალესისგან, თანაგუნდელებისგან... მესისთვის დიდი სიურპრიზი აღმოჩნდა, როდესაც პრიზის გადასაცემად, დედამისი გამოჩნდა: ის ესპანეთში საგანგებოდ ამ ცერემონიისთვის ჩაფრინდა არგენტინიდან. შეგახსენებთ, რომ მსგავსი სიურპრიზი 2006 წელს, „ოქროს ბურთის“ მაშინდელ მფლობელს — რონალდინიოსაც მოუწყვეს: მასაც დედამ — მიგელინამ გადასცა სანუკვარი პრიზი. ■

ჭანტურიას „ტრადიციად ქცეული“ გოლი...

გიორგი ჭანტურიამ მორიგი გოლი გაიტანა — ეს უკვე თავისებურ ტრადიციად იქცა: 16 წლის ქართველმა ლეგიონერმა ყოველ კვირას, „ბარსელონის“ Juvenil B-ში ერთი ბურთი მაინც უნდა შეაგდოს. ამჯერად, „ბარსას“ „კანტერამ“ ალიკანტეს „პრატს“ 3:0 სძლია და უნიჭიერესმა ქართველმა ფეხბურთელმა ამ შეხვედრაში ანგარიში გახსნა. „ბარსელონის“ „კანტერას“ ვებგვერდის ცნობით, „პრატთან“ მატჩისას, ყველაზე თვალში საცემი სწორედ ჭანტურიას მაღალტექნიკური თამაში და დელუფოს გარღვევები იყო: დელუფომ გოლიც გაიტანა და 2 საგოლე პასიც მიითვალა.

„ბარსას“ Juvenil B-ის მწვრთნელმა — სერხი ბარხუანმა ქართველი თავდამსხმელი მეორე ტაიმში შეცვალა და მის ნაცვლად, მარიო ისარდი შეიყვანა, რომელიც, სხვათა შორის, გიორგის მისვლამდე, გუნდის ძირითადი ცენტრფორვარდი იყო...

„იუვეს“ ყოფილი ხელმძღვანელი — „ვირის აბანოში“?!.

ტურინის „იუვენტუსის“ ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი, ანტონიო ჯირაუდო უახლოეს 3 წელიწადს ციხეში გაატარებს. ინტერნეტ-გამოცემა Goal-ის ინფორმაციით, „ბებერი სენიორას“ ექსთავკაცს ეს განაჩენი ნეაპოლის სასამართლომ, მატჩების შედეგებზე წინასწარი გარიგებისა და ტოტალიზატორთან „თანამშრომლობისთვის“ გამოუტანა.

„იუვენტუსის“ აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობა ჯირაუდოს 1994-2006 წლებში ეკავა, ხოლო საქვეყნოდ ცნობილი „კალჩოპოლის“ შემდეგ, მას პოსტის დატოვებამ მოუწია. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ტურინელი ფუნქციონერის საქმეს ნეაპოლის პროკურატურა იძიებდა, სასამართლო სხდომაც არაერთხელ გაიმართა და ახლა საბოლოო განაჩენიც გამოუტანა.

ჯირაუდოს გარდა, თავისუფლების აღკვეთა მატჩების „ჩაწყობაში“ დადანაშაულებულ კიდევ რამდენიმე პირს მიესაჯა. ყოფილი მსაჯი — ტიციანო პიერი ციხეში 2 წელიწადსა და 4 თვეს გაატარებს, გარდა ამისა, ჯარიმის სახით, 22 ათას ევროს გადაიხდის; 2-წლიანი პატიმრობა მიესაჯა იტალიელი „ლაინსმენების“ ასოციაციის პრეზიდენტს, ტულიო ლანეზესა და ყოფილ არბიტრს, პაოლო დონდარინის. ეჭვმიტანილთა შორის იყო კიდევ ერთი მსაჯი — ჯანლუკა როკი, მაგრამ ნეაპოლის სასამართლომ მას სპორტულ მაქინაციებში მონაწილეობა ვერ დაუმტკიცა. ■

2009 წლის საუკეთესონი

ბრიტანეთის სამაუწყებლო კომპანია ბი-ბი-სიმ „წლის საუკეთესო ფეხბურთელის“ ჯილდო ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის“ უელსელ ნახევარმცველს — რაიან გიგზს მიაკუთვნა. 2001 წლიდან, გიგზი პირველი ფეხბურთელი გახდა, რომელმაც ამ ნომინაციაში იმარჯვა, — მაშინ ეს პატივი ასევე „ემ იუს“ წევრს — დევიდ ბექჰემს ერგო.

ბი-ბი-სის ვერსიით, „წლის მწვრთნელად“ ინგლისის ნაკრების იტალიელი თავკაცი — ფაბიო კაპელო დაასახელეს, რომლის ხელმძღვანელობითაც გუნდმა 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩინებულ შედეგს მიაღწია.

საკუთარი გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა აგრეთვე, იტალიურმა გამოცემამ Tuttosport, რომელმაც 2009 წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელის ვინაობა დაადგინა: Golden Boy 2009-ის გამარჯვებული — „მილანის“ ბრაზილიელი ფორვარდი ალეშანდრე პატო გახდა, რომელმაც 223 ქულა დააგროვა; მეორე ადგილზე ფლორენციის „ფიორენტინის“ ნახევარმცველი სტევან იოვეტიჩი (156) გავიდა, მესამეზე კი — ესპანური „ბარსელონის“ თავდამსხმელი ბოიან კრკიჩი (58).

შარშან Tuttosport-ის გამოკითხვაში „მანჩესტერ იუნაიტედის“ ბრაზილიელმა საყრდენმა ნახევარმცველმა — ანდერსონმა იმარჯვა. ■

დაუდგრომელი ჟოზე არა და არ ცხრება...

იტალიის ჟურნალისტთა ასოციაცია „ინტერის“ მთავარი მწვრთნელის — ჟოზე მოურინიოს დასჯას მოითხოვს. როგორც Football Italia იტყობინება, პორტუგალიელმა სპეციალისტმა, რომელიც კოლეგებისა და ჟურნალისტების მიმართ კეთილგანწყობილებით არ გამოირჩევა, „ინტერსა“ და „ატალანტას“ შორის სერია A-ს მატჩის დროს რეპორტიორს — ანდრეა რამაზოტის ხელი ჰკრა და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. „მოვითხოვთ, ეს საქმე სპორტულმა არბიტრაჟმა განიხილოს, მოურინიოს ქმედება შეაფასოს და მას შესაბამისი სასჯელი განუსაზღვროს“, — განაცხადა იტალიელ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ლუიჯი ფერაიოლომ. ■

თვალების ფერი: თქვენი ასტროლოგიური დიაგნოზი

თვალების ფერს ბევრი რამის თქმა შეუძლია ადამიანის ხასიათზე, მის შინაგან ენერგეტიკასა და იმაზეც, თუ როგორი უნდა იყოს მისი მეორე ნახევარი, ასტროლოგები კი გვეუბნებიან, რომ ადამიანის თვალებში პლანეტების ფერთა მთელი პალიტრაა ასახული.

არქეოლოგიური კვლევების მიხედვით დადგინდა, რომ დედამიწის ძირძველ მოსახლეობას თაფლისფერი თვალები ჰქონდა. ერთხელაც, კომეტასთან შეჯახების შემდეგ, დედამიწამ ორბიტა შეიცვალა, რამაც კლიმატის ცვლილება გამოიწვია და გამყინვარების პერიოდის დადგომასთან ერთად, ადამიანური პოპულაციის გადარჩენის საკითხი დადგა. ექსტრემალურ პირობებში ადამიანებმა მუტაცია განიცადეს და დედამიწაზე ენერგიული ადამიანების ახალი სახეობა გაჩნდა, რომლის წარმომადგენლები არა მარტო ახალი საქმეების ინიციტორები გახდნენ, არამედ სხვა ადამიანების ბედზე პასუხისმგებლობაც საკუთარ თავზე აიღეს. მათ ცივი შეფერილობის — ნაცრისფერი, ცისფერი, ლურჯი — ფანტასტიკური თვალები ჰქონდათ. ნაცრისფერთვალებათა მოჭარბებულმა ენერგიამ თაფლისფერთვალება მოსახლეობის მწირი ენერგია გააწონასწორა და ამით ახალ კლიმატურ პირობებში არა მარტო ადამიანების გადარჩენა, არამედ მათი რაოდენობრივი ზრდაც უზრუნველყო.

ნაცრისფერთვალებას თაფლისფერთვალებაზე დაქორწინების შედეგად ჩნდებოდნენ ადამიანები, რომლებსაც სხვადასხვანაირი — მწვანე, მონაცრისფრო-მოთაფლისფრო, მონაცრისფრო-მომწვანო და თვით მონაცრისფრო-მომწვანო-მოთაფლისფრო — შეფერილობის თვალები ჰქონდათ... ამასობაში ადამიანებმა გამყინვარების პერიოდიც დაივიწყეს და კაცობრიობა არსებობის ახალ პირობებს ბოლომდე შეეგუა.

თუ დღევანდელ ნაცრისფერთვალება და თაფლისფერთვალება ადამიანებს ყურადღებით დავაკვირდებით, მათ განსხვავებულ საქციელსაც უთუოდ შევნიშნავთ. კერძოდ, პირველები, როგორც წესი, მოჭარბებული ენერგიისგან გათავისუფლებას, მეორენი პირიქით, საკუთარი ენერგიის უკმარისობის სხვათა ხარჯზე შევსებას ცდილობენ. შესაბამისად, ნაცრისფერთვალება ადამიანს შეიძლება, „პოტენციური დონორი“, თაფლისფერთვალებას კი „პოტენციური ვამპირი“ ვუწოდოთ. რაც შეეხება შერეული (მწვანე, მონაცრისფრო-მომწვანო და ა.შ.) ფერის თვალების მქონე ადამიანებს, მათ კიდევ უფრო რთული ენერგეტიკული ორიენტაცია აქვთ და შეიძლება, როგორც ერთი, ისე მეორე ჯგუფის ადამიანების თვისებები გამოამჟღავნონ.

ცისფერი, ლურჯი, ნაცრისფერი თვალები

თუ ცივი ფერის თვალები გაქვთ, გახსოვდეთ, ბუნება თქვენგან მხოლოდ და მხოლოდ მოქმედებას, ენერგიის მუდმივ გაცემას ითხოვს. ბედი საჩუქრად არასდროს არაფერს მოგიძღვნით. მეტიც, მისი უბრალო ღიმილის დასამსახურებლადაც მაქსიმალური ძალისხმევა დაგჭირდებათ. სამაგიეროდ, ბუნებამ მიზნისკენ მსწრაფი, სამყაროს გარდამქმნელი ენერგიით დაგაჯილდოვათ. თქვენ ადამიანი-შემოქმედი ხართ. მთელი გარემომცველი სამყარო კი მხოლოდ თქვენი ახირებული ჩანაფიქრებისთვის საჭირო მასალაა. თქვენთვის ნებადართულია ყველაფერი, რისი გაკეთებაც გულით გინდათ. ასე რომ, იმოქმედეთ და ნურც გარშემო მყოფთა წინააღმდეგობის შიში გექნებათ. თბილი ფერის თვალების მქონე ადამიანები ნებისმიერ თქვენს პროექტს უპირობოდ მიიღებენ. მეტიც, მათთვის თქვენი არსებობაც უკვე დიდი ბედნიერებაა. თქვენ ხომ აბსოლუტური ჭეშმარიტების მატარებელი ანუ საკუთარი გზის მტანჯველი ძიებებისგან მათი გამომხსნელი ხართ.

გახსოვდეთ, თბილი ფერის თვალების მქონე, საპირისპირო სქესის წარმომადგენელთან ურთიერთობა ჭარბი ენერგიისგან სწრაფად და უმტკივნეულოდ გაგათავისუფლებთ, მასთან ენერგიის იდეალური გაცვლა-გამოცვლა გექნებათ: თქვენ ხალისით გასცემთ მოჭარბებულ ენერგიას, ის კი მას მადლიერებით მიიღებს. ასტროლოგიის თანახმად, თქვენი თვალების ფერი მზისა და ვენერას ენერგიების ნაზავისა და სატურნის ენერგიის მინარევის შერწყმის შედეგია. ამიტომაცაა, რომ მიმზიდველობით, გამჭრიახობით, მახვილგონიერებით, მგრძნობელობითა და ტემპერამენტით ერთდროულად ხართ დაჯილდოებული. საკმაოდ გულღია ხართ და ადამიანებთან კონტაქტიც არ გიჭირთ. ადვილად გიყვარდებათ, მაგრამ სწრაფადვე „ქრებით“. მართალია, ძალზე ფიცხი ხართ, მაგრამ წყენასაც იოლად ივიწყებთ. თქვენს მთავარ ნაკლად კი ალბათ, ხშირი კაპრიზები უნდა ჩაითვალოს.

თაფლისფერი, შავი თვალები

თუ თაფლისფერი თვალები გაქვთ, მაშინ მიზნის დასახვისას, ქანცგამომცლელი შრომისთვის კი არა, პირველ რიგში, ადამიანებისთვის თავის მოსაწონებლად უნდა მოემზადოთ. ნუ შფოთავთ, თქვენც სამყაროს აქტი-

ური გარდამქმნელი ხართ. უბრალოდ, საკუთარ პროექტებს სხვისი ხელით ახორციელებთ, ამიტომ სიბრძნეს უნდა უხმოთ და ბრძოლაში შეუნიღბავად არასდროს ჩაერთოთ. გახსოვდეთ, საკუთარი ძალების მუდმივი ნაკლებობიდან გამომდინარე, მიმზიდველობა, ჭირვეულობა და მარჯვე შემთხვევის ლოდინი თქვენი სამი მთავარი კოზირია. ისწავლეთ ამ კოზირებით სარგებლობა და ყველაფერს, რასაც ისურვებთ, გარშემო მყოფები ხონჩით მოგართმევენ.

მუდამ გახსოვდეთ, რომ ცისფერთვალება და ნაცრისფერთვალება ადამიანებს თქვენი დახმარებით ჭარბი ენერგიისგან გათავისუფლება სურთ, თქვენ კი ამ ენერგიის მიღებაც შეგიძლიათ და მასზე უარის თქმაც. უარის შემთხვევაში, ენერგიის გაცემის მსურველთ ტანჯვას მიაყენებთ, მაგრამ ისიც მოსალოდნელია, რომ ამით სხვა „ობიექტის“ ძებნისკენაც უბიძგოთ. თუ ამის სურვილი არ გაქვთ, საკუთარ მიმზიდველობაზე უნდა იზრუნოთ. დაუდევარი ჩაცმულობა ან ვარცხნილობა (თუ რა თქმა უნდა, ეს თქვენივე ტაქტიკური ხრიკი არაა) სრულიად დაუშვებელია. ყურადღება მიაქციეთ საკუთარ მეტყველებასაც და ჟარგონები საერთოდ გამორიცხეთ. ლაპარაკისას მხოლოდ თქვენს დადებით იმიჯზე მომუშავე, საგანგებოდ შერჩეული სიტყვები და ფრაზები უნდა გამოიყენოთ.

ცხოვრების თანამგზავრი ერთადერთი პრინციპით — თქვენთვის ვის უფრო მეტი მსხვერპლის გაღება შეუძლია — უნდა შეარჩიოთ და ეს მსხვერპლი (თუნდაც, ძალზე მცირედი) მისგან გამუდმებითაც მოითხოვოთ, რაც თქვენს რჩეულს მხოლოდ სიცოცხლეს კი არ გაუხანგრძლივებს, არამედ მას უფრო გააზრებულსაც გახდის. ოჯახის შესაქმნელ ყველაზე საიმედო ფუნდამენტად, რა თქმა უნდა, ცისფერი და ნაცრისფერი თვალების მქონე ადამიანები გამოგადგებიან — მათ გვერდით ყოფნით იმდენ ენერგიას მიიღებთ, რომ ნებისმიერ ყოფით პრობლემას იოლად დასძლევთ.

ასტროლოგები მიიჩნევენ, რომ თქვენი თვალები მზისა და მარსის ენერგიების შერწყმის შედეგია. ამიტომაც, თავგანწირული სიყვარულის უნართან ერთად, დიდი ნებისყოფითა და მტკიცე ხასიათით გამოირჩევით. ხშირად ეჭვიანობთ, მაგრამ ამ თვისების აფიშირებას არასდროს ცდილობთ. ადამიანს ყოველთვის შეიძლება, თქვენი იმედი ჰქონდეს. თაფლისფერთვალება ადამიანის ხასიათის თავისებურებად შეიძლება, ინდივიდუალიზმი, ყველაფრის დამოუკიდებლად გაკეთების სურვილი და დიდი წარმატებების მიღწევის უნარიც ჩაითვალოს, ვინმეს მხრიდან ზეწოლას კი საერთოდ ვერ იტანთ.

მწვანე ფერის თვალები

მწვანე ორი ფერის — ლურჯისა და ყვითლის თანაბარი ნაზავის შედეგია. ამიტომაც, დონორისა და ვამპირის ენერგიების თანაბარი შერწყმა გახასიათებთ, რაც იმის საწინდარია, რომ მონაცრისფრო-მოთაფლისფრო თვალების მქონე ადამიანებისგან განსხვავებით, უკიდურესობაში არასდროს გადავარდებით და ცხოვრებაში ყოველთვის „ოქროს შუალედის“ ძებნას შეეცდებით. და კიდევ, თუ ბედმა ზურმუხტისფერი თვალები გარგუნათ, არც ის უნდა დაგავიწყდეთ, რომ თქვენი მთავარი მიზანი ცხოვრებაში საკუთარ თავთან თანხმობის მიღწევაა — რაზეც უნდა ფიქრობდეთ, რასაც უნდა აკეთებდეთ, საკუთარი აზრებითა თუ საქციელით კმაყოფილება თქვენთვის უბრალოდ, აუცილებელია. ასევე მნიშვნელოვანია, რომ თქვენით ძვირფასი ადამიანებიც კმაყოფილნი იყვნენ. მოკლედ, თუ საკუთარი თავისთვის სასაყვედურო არაფერი გაქვთ, მაშინ მთელი სამყარო ნათელი და მხიარული გეჩვენებათ. თუ ადამიანი თქვენს მოთხოვნებს მიესადაგება, მისთვის ყველაფრის გასაკეთებლად მზად იქნებით, მაგრამ ვაი მას, ვინც თვალში არ მოგივათ — ასეთ ადამიანთან იმდენად დაუდევრად (თანაც, ყოველგვარი მიზეზის გარეშე) იქცევით, რომ მისი სახით ლამის, დაუძინებელ მტერსაც კი იძენთ.

ქორწინებამ რომ გაგიმართლოთ და ცხოვრებაც კარგად მოიწყოთ, მწვანეთვალება ადამიანებმა ბედი თქვენსავით, „ოქროს შუალედის“ მოყვარულებს უნდა დაუკავშიროთ. ასტროლოგიურად, ამქვეყნად ყველაზე ნაზი ადამიანი ხართ. თქვენი თვალების ფერი ვენერასა და ნეპტუნის ენერგიების შერწყმის შედეგია. საკუთარი რჩეული ყოველთვის ალალად და გამორჩეული ერთგულებით გიყვართ. მეგობრები საიმედოობისა და სიკეთისთვის გაფასებენ, მტრებს კი პრინციპულობისა და სიმტკიცისთვის სძულხართ. კარგი მსმენელი და მოსაუბრე ხართ. სტაბილური შეხედულებების მქონეს, არც წარმოსახვის უნარი გაკლიათ და საერთოდაც, ადამიანთა ყველაზე წარმატებულ კატეგორიას მიეკუთვნებით.

მონაცრისფრო-მოთაფლისფრო თვალები

თუ მონაცრისფრო-მოთაფლისფრო ანდა მოთაფლისფრო-მონაცრისფრო თვალები გაქვთ, მაშინ თქვენ წინაშე ბევრი ადამიანი მოიდრეკს მუხლს, მაგრამ რომელიმე მათგანთან მყარი ურთიერთობის ჩამოყალიბებამდე ძალიან ბევრი დრო გაივლის, ამის მიზეზი კი თქვენივე წინააღმდეგობრივი ხასიათია. მონაცრისფრო-მოთაფლისფრო თვალების მქონე ადამიანში დონორისა და ვამპირის ენერგიაა შერწყმული და ამავე დროს, ისინი ცალკე არსებობის უფლებასაც დაბეჯითებით ითხოვენ. ამიტომაცაა, რომ თუ ზოგჯერ ვილაცის უსაზღვრო ძალაუფლების საკუთარ თავზე გამოცდა გსურთ (ამ დროს თქვენში დონორი იღვიძებს), მეორე წუთში (თუ დონორმა ვამპირს დაუთმო ადგილი) შეიძლება, თავადვე აღივსოთ ტირანიის სურვილით. ერთი სიტყვით, ამქვეყნად ცხოვრება თქვენთვის საკმოდ ძნელია, მაგრამ ადვილს ვერც თქვენ გვერდით მყოფი ადამიანების ყოფას დავარქმევთ.

მყარი ოჯახის შექმნას თქვენსავით, მონაცრისფრო-მოთაფლისფრო თვალების მქონე ადამიანთან შეძლებთ, მხოლოდ მასთან თუ გექნებათ იდეალური ენერგოცვლა. თქვენი თვალების ასტროლოგიურ ფერს ორი დაპირისპირებული მნათობის — მთვარისა და მზის ენერგიების შერწყმა და მარსის მინარევი განსაზღვრავს. დიდი გამძლეობით, ინიციატივიანობითა და შფოთიანი ხასიათით გამოირჩევით. თქვენი თვალების ფერი ვნებიანობასა და მოსიყვარულე გულზე მიუთითებს. სასურველი ობიექტისკენ მიმავალ გზაზე ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ შეგაჩერებთ, მაგრამ ასეთ თავგანწირვას მხოლოდ გამარჯვების სიხარულის კი არა, ნაჩქარევი გადაწყვეტილებების სიმწარის მოტანაც შეუძლია.

მონაცრისფრო-მომწვანო თვალები

ნაცრისფერი თვალების მქონე ადამიანებისთვის დამახასიათებელი აგრესიულობის, თავდაჯერებულობისა და დესპოტიზმის სრულად რეალიზება ვერაფრით მოხერხდება, თუ მისი თვალები თუნდაც იშვიათად, მომწვანო ფერსაც იღებს. თამამი და ზოგჯერ თავხედური ჩანაფიქრებიც გჩვევიათ, მაგრამ ხშირად, მათ ვერ ახორციელებთ, რადგანაც თქვენთვის ძვირფას ადამიანებთან სიხისტეს ერიდებით, ამის გარეშე კი სერიოზული გარდაქმნები უბრალოდ შეუძლებელია.

პარტნიორს ყოველთვის თავად ირჩევთ: თუ სიყვარულის ობიექტი საპასუხო ცეცხლით არ იწვის, მაშინ თქვენი ცეცხლიც მალევე ინავლება, ხოლო თუ ცეცხლი მეორე გულსაც გადაედო, საკუთარი არჩევანის ფანატიკურად ერთგული ხდებით. ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ერთადერთ გარემოებას შეუძლია, ღალატი გაიძულოთ — ეს მაშინ ხდება, თუ იგრძნობთ, რომ თქვენი სიყვარული ვიღაცას ამჟამინდელ რჩეულზე მეტად სჭირდება; თქვენი სითბო კი ყოველთვის სჭირდებათ მომწვანო-მოთაფლისფრო თვალების მქონე ადამიანებს და სწორედ მათ შეუძლიათ, ჭეშმარიტად გაგაბედნიეროთ. ასტროლოგიის თანახმად, თქვენი თვალების ფერს, მთვარისა და ვენერას ენერგიების ნაზავთან ერთად, მერკურიც განსაზღვრავს. ჰოდა, ასე ჭკვიანი და მგრძნობიარე ამიტომაც ხართ. მორცხვი, განმარტოებისკენ მიდრეკილი, მეოცნებე ადამიანი ბრძანდებით, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება, პრაგმატული, გულმოდგინე და ამავდროულად, რომანტიკულიც იყოთ.

მომწვანო-მოთაფლისფრო თვალები

ამ თვალებში მწვანე ფერის არსებობა არც დონორობის და არც ვამპირიზმის მთელი სისრულით განვითარების საშუალებას არ იძლევა. მართალია, გარშემო მყოფებისგან ყოველთვის ყველაფრის სრულად მიღებას ცდილობთ, მაგრამ არც ისე უსინდისოდ, როგორც ამას თაფლისფერთვალება ადამიანები აკეთებენ. გაქვთ უნარი, სხვები დაარწმუნოთ, რომ თქვენი სურვილისამებრ მოქცევა, პირველ რიგში, მათთვისვეა სასარგებლო, ამას კი ფილოსოფიურად მოწყობილი ტვინისა და დიპლომატიის ნიჭის წყალობით აღწევთ. არასდროს გაკმაყოფილებთ იმ ადამიანისთვის ზურგის შექცევა, ვინც თქვენი თხოვნა ყურად არ იღო, იმაშიც უთუოდ უნდა დარწმუნდეთ, რომ მან თავისი საქციელი ინანა. ამის მისაღწევად კი არცთუ იშვიათად, საკუთარი კეთილდღეობისა და თვით სიცოცხლის საფრთხის წინაშე დაყენებასაც არ ერიდებით. ზოგჯერ შურისმაძიებელი და დაუნდობელი, გაწონასწორებულ მდგომარეობაში კი — ფილოსოფოსი ხართ.

თქვენი ოჯახისთვის იდეალური საფუძვლის შექმნა მომწვანო-მონაცრისფრო თვალების მქონე ადამიანს შეუძლია. ასტროლოგია ვარაუდობს, რომ თქვენი თვალების ფერი სატურნის, მარსისა და ვენერას ენერგიების შერწყმის შედეგია. ძლიერი ნებისყოფა გაქვთ და ნებისმიერი მწვერვალის დაპყრობაც შეგიძლიათ. მართალია, ჯიუტ ადამიანად მიგიჩნევენ, მაგრამ ხშირად, დასახული მიზნის მიღწევაში სწორედ ეს გეხმარებათ. ზოგჯერ ჭირვეული, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი სასტიკიც ხართ. მრისხანების ან უმიზეზო დეპრესიის შემოტევებიც გაქვთ, მაგრამ — იშვიათად, ყველაზე ხშირად კი მშვიდი და გაწონასწორებული სულიერი მდგომარეობა გაქვთ.

რა თქმა უნდა, ამ წერილში ხასიათების რამდენადმე გამარტივებული სქემები შემოგთავაზეთ. რეალური ადამიანების რეალური ხასიათები კი ბევრად რთული და მრავალფეროვანია. მიუხედავად ამისა, იმედს ვიტოვებთ, რომ ზემოთ მოყვანილი მაგალითები თითოეულ თქვენგანს, პირველ რიგში, საკუთარ თავზე, ენერგეტიკაზე, ძლიერ თუ სუსტ მხარეებზე ცოტა მეტის გაგებაში დაეხმარება. ჩვენი თვალები ხომ მარტო სულის კი არა, ბედის კოსმოსური სარკეცაა. ■

მოამზადა **რუსუდან ლებანიძემ**

კომპანია Seat Ibiza-ს სერიულ ვერსიას გამოუშვებს

უნივერსალ Ibiza-ს სერიული ვერსიის დებიუტი, რომელიც სამი თვის წინ წარმოდგენილი კონცეპტ-ავტოს — IBZ — სტილისტიკით იქნება აწყობილი, მომავალი წლის მარტში, ჟენევის მოტორშოუზე შედგება. სავარაუდოდ, სიახლის საბარგული 410 ლ მოცულობის, მისი გაბარიტული სიგრძე კი 4,2 მეტრზე ოდნავ მეტი იქნება. ზოგიერთი მონაცემით, ავ-

ტომობილის ძრავათა გამაში ახალი 105 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე, 1,2-ლიტრიანი ბენზინის ტურბომოტორი და 1,6-ლიტრიანი დიზელი იქნება. კლიენტებს 105 ცხ.ძ. სიმძლავრის, 1,4 და 1,9-ლიტრიან ბენზინისაგრეგატიან ავტომობილებსაც შესთავაზებენ. მანქანას სიჩქარის მექანიკური გადაცემათა კოლოფი და რობოტიზებული DSG ექნება. ევროპულ ბაზარზე უნივერსალ Ibiza-ს გაყიდვა მომავალი წლის შუა პერიოდში დაიწყება. ■

არასაგზაო Porsche Cayenne

ჰოლანდიურმა გამოცემამ — Auto Week — მომავალი თაობის არასაგზაოს, — Porsche Cayenne — არაოფიციალური ფოტოები გამოაქვეყნა, რომელიც გერმანიაში ავტომობილის ტესტირებისას გადაიღეს. სავარაუდოდ, ამ მანქანის მსოფლიო პრემიერა გაისად, ჟენევის მოტორშოუზე შედგება, ხოლო ევროპულ ბაზარზე მისი გაყიდვა უკვე 2010 წლის მაისში დაიწყება. ფოტოების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ახალი Porsche Cayenne წინამდებარე ავტომობილზე მომცრო იქნება. არასაგზაოს ბორბლების ბაზა 40 მმ-ით, ხოლო სიმაღლე 20 მმ-ით შემცირდება. ავტომობილისთვის მომავალი VW Touareg-ის პლატფორმას გამოიყენებენ, ხოლო მის ძრავათა გამაში 330 და 500 ცხ.ძ. სიმძლავრის 6 და 8-ცილინდრიანი მოტორებია გათვალისწინებული. კლიენტებს სიჩქარის გადაცემათა როობტიზებულ კოლოფს, 240 ცხ.ძ. სიმძლავრის 3-ლიტრიან დიზელის „ექვსიანს“, 45 ცხ.ძ. V6-ისა და ნიკელ-მეტალოჰიბრიდული აკუმულატორების მქონე მანქანებსაც შესთავაზებენ. მომავალი თაობის Porsche Cayenne-ის წარმოება სლოვაკეთში მდებარე Volkswagen-ის ქარხანაში დაიწყება (იქვე აპირებენ VW Touareg-ისა და Audi Q7-ის გამოშვებას), საბოლოო აწყობისთვის კი მისი ტრანსპორტირება ლაიფციგში მდებარე „პორშეს“ ქარხანაში განხორციელდება. ■

მანქანას ოქროთი მოაპირკეთებენ

დუბაის მეათე საერთაშორისო საავტომობილო ავტოსალონზე არასაგზაო Lexus LX 570-ს წარადგენენ, რომლის ძარასაც ოქროთი დაფარავენ — 5 დღის განმავლობაში პარიზული კომპანიის — Gold Emotion — 4 სპეციალისტი ძარას დეტალებს 40 ათასი, უმაღლესი, 999 სინჯის (24 კარატი) ოქროს ფირფიტებით დაფარავს. სიახლის პრეზენტაცია კომპანიის — Lexus — 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით იგეგმება. ბრენდის წარმომადგენლები იმედოვნებენ, რომ კლიენტები მაღალ შეფასებას მისცემენ ავტომობილს, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი და ამავე დროს, ძვირად ღირებული ლითონით მხატვრულადაა გაფორმებული. შემდგომში ავტომობილის ოქროს ძარა ლაქით დაიფარება. ავტოსალონის დახურვის შემდეგ უჩვეულო არასაგზაოს კომპანია Al-Futtaim Motors გაყიდის. მანქანის ფასი ჯერჯერობით არ სახელდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტომობილის ძარა ოქროთი არაერთხელ დაუფარავთ: 2006 წელს გერმანულმა საიუველირო კომპანიამ — VISUALIS — ამგვარად Porsche-ს 9 ავტო გადააკეთა. და კიდევ, სადამ ჰუსეინს ოქროსძარიანი ლიმუზინი Maybach ჰყავდა. ■

არასაგზაო Luxgen7

ტაივანურმა კომპანიამ — Yulon Group — თავისი ახალი მანქანა, 7-ადგილიანი არასაგზაო Luxgen7 წარმოადგინა, რომელიც გარეგნულად Peugeot 3008-სა და Porsche Cayenne-ს მოგვაგონებს. სიახლის გაბარიტული სიგრძე 4800 მმ-ს, სიგანე — 1930 მმ-ს, სიმაღლე — 1760 მმ-ს, ხოლო ბორბლების ბაზა — 2910 მმ-ს შეადგენს. მანქანა 2,2-ლიტრიანი, 175 ცხ.ძ. სიმძლავრის დიზელის ძრავათია დაკომპლექტებული. მომავალში კომპანია Luxgen7-ის

ელექტრონულ ვერსიასაც გამოუშვებს, რომელიც 240 ცხ.ძ. სიმძლავრის მოტორითაა აღჭურვილი. ასეთი ავტომობილის სვლის თადარიგი 350 კმ იქნება. არასაგზაო Luxgen7-ს ადაპტური ღამის ხედვის სისტემით აღჭურვილი კრუიზ-კონტროლი, უსაფრთხოების 9 ბალიში და სამზონიანი კლიმატ-კონტროლი ექნება. წინასწარი მონაცემებით, Luxgen7-ის წარმოება ჩინეთში ადგილობრივ ავტომშენებელ Dogfeng-ისა და Yulon Group-ის ერთობლივი ძალისხმევით აიწყობა. ქვეყნის ხელისუფლებამ კომპანიებს ქარხნის აშენების ნება დართო. თავდაპირველად წარმოების სიმძლავრე წელიწადში 120 ათასი მანქანა იქნება, რაც დროთა განმავლობაში 240 ათასამდე გაიზრდება. ჩინეთის ფარგლებს გარეთ Luxgen7-ის გაყიდვა 2012 წლიდან დაიწყება. ■

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

ვენერას საჩუქარი

ანუ სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები

სიფილისი (ათაშანგი), ჰონორეა, რბილი შანკრი, საზარდულის ლიმფოგრანულომატოზი ვენერიული დაავადებებია და ვინაიდან ისინი ძირითადად, სქესობრივი გზით ვრცელდება, მათ სიყვარულის ქალღმერთ ვენერას სახელი დაარქვეს. ვენერიული დაავადებები (აღნიშნავენ აბრევიატურით: სგგდ (ან სგგი) ანუ სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები) მხოლოდ ნაწილია იმ ინფექციებისა, რომლებიც შეიძლება, სქესობრივი კონტაქტის შედეგად შეგეყაროს. ამჟამად ცნობილია 30-ზე მეტი სგგი, მათ შორის, ყველაზე მეტადაა გავრცელებული ტრიქომონიაზი, ქლამიდიოზი, ათაშანგი (სიფილისი), ჰონორეა, ჰერპესი, შიდსი, B და C ჰეპატიტი.

სტატისტიკურად სგგდ სულ უფრო ფართოდ ვრცელდება და ამ საგანგაშო მოვლენის მიზეზი სხვადასხვაგვარია. ერთი მხრივ, აღსანიშნავია დიაგნოსტიკური მეთოდების სრულყოფა, მეორე მხრივ კი — სქესობრივი ცხოვრების დაწყების ასაკის გაახალგაზრდავება, სქესობრივი პარტნიორის ხშირი ცვლა და კონტრაცეფციის ახალი საშუალებების (სპირალი, აბები და სხვ.) შექმნა, რომლებმაც პრეზერვატივი ჩაანაცვლა.

ინფიცირება შესაძლოა მოხდეს ნებისმიერი — ვაგინალური, ანალური, ორალური — გზით განხორციელებული სქესობრივი აქტის დროს. მეტიც, ზოგჯერ დასნებოვნება აქტის გარეშეც, მხოლოდ სასქესო ორგანოების შეხებით ხდება.

არსებობს სგგდ-ის გავრცელების სხვა გზებიც. მაგალითად, შიდსით, B და C ჰეპატიტით ინფიცირება შესაძლებელია დაავადებული პირის სისხლთან კონტაქტის გზით — ნახმარი შპრიცების, გაუსტერილებელი ან ცუდად გასტერილებული სამედიცინო იარაღის გამოყენებისას, შეუმოწმებელი სისხლის გადასხმის შედეგად. სხვათა შორის, იშვიათად, მაგრამ მაინც, ათაშანგისა (სიფილისი) და ჰერპესის გადაცემა კოცნითაც შესაძლებელია.

სგგდ-ს, მათ შორის, შიდსის გადაცემა არ ხდება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში შემთხვევითი კონტაქტებით, მაგალითად: შეხებით, ხელის ჩამორთმევით, სახელურებზე ხელის მოკიდებით, საერთო აბანოსა და საცურაო აუზის ან საერთო ჭურჭლის გამოყენებით.

სგგდ-ის ნიშნები

სგგდ-ზე შეიძლება მიგვანიშნებდეს ნებისმიერი სახის გამონადენი სასქესო ორგანოებიდან, რასაც ზოგჯერ ახლავს ცუდი სუნი, აუტანელი ქავილი, წვა, წყლულები, ბუშტუკები და სხვა სახის გამონაყარი სასქესო ორგანოებზე, შორისის მიდამოში ან სულაც, სხეულის სხვა ნაწილებზე, შარდვის გახშირება ან მტკივნეულობა, მუცლის ქვედა არეში დისკომფორტი, ლიმფური კვანძების გადიდება და სხვა.

სგგი ზოგჯერ ვლინდება სხვა ინფექციების მსგავსი ზოგადი სიმპტომებით. მაგალითად, როგორიცაა: საერთო სისუსტე, კუნთების ტკივილი, ქრონიკული დაღლილობა, ცხელება, შემცივნება, ყელის ტკივილი, ღებინება, ფაღარათი და მადის დაკარგვა.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დღეს ბევრ ადამიანს აქვს სხვადასხვა სახის იმუნოდეფიციტური მდგომარეობა. სგგი-ით ინფიცირების შემთხვევაში დასუსტებულ ორგანიზმს არ ძალუძს მიკრობებთან გამკლავება, ამიტომ ინფექციური პროცესი თავიდანვე იღებს გახანგრძლივებულ, ქრონიკულ ხასიათს, დაავადების კლინიკური სურათი კი მეტად გაურკვეველია.

სგგი ზოგჯერ უსიმპტომოდ მიმდინარეობს, განსაკუთრებით — ქალებში. ამიტომაც, თუ ქალის სქესობრივ პარტნიორს სგგი აქვს, იგი თავადაც შეიძლება, ინფიცირებული იყოს, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა დაავადების ნიშნები.

სგგდ-ის გართულებები

სგგდ ნეგატიურად მოქმედებს არა მარტო ადამიანის ცხოვრების ხარისხზე, არამედ მთელ ორგანიზმზე. კერძოდ: ქალებში სგგი ხელს უწყობს ისეთი გართულებების განვითარებას, როგორიცაა მენჯის ღრუს ორგანოების ქრონიკული ანთება, საშვილოსნოს ყელის კიბო, სასქესო ორგანოების სხვა სიმსივნეები, უნაყოფობა, საშვილოსნოს გარე ორსულობა; მამაკაცებში ინფექციის ფონზე ხშირად ვითარდება სასქესო ორგანოების ქრონიკული დაავადებები (მაგალითად, პროსტატიტი), სტერილობა (უნაყოფობა) და სხვა გართულებები. სგგი შეიძლება, სიკვდილის მიზეზიც გახდეს.

დაუშვებელია თვითმკურნალობა! ანტიბიოტიკების უკონტროლო მიღება დიდ საფრთხეს წარმოადგენს. ჯერ ერთი, ყველა ინფექციური დაავადების მკურნალობა არ ხდება ამ ჯგუფის წამლებით — ანტიბიოტიკები მოწოდებულია მიკრობებთან საბრძოლველად, მაგრამ ამ საშუალებებით ვირუსული ინფექციების (მაგალითად, ვაგინალური ჰერპესის) მკურნალობა არაეფექტიანი და საშიშიც არის. ვირუსს არ ეშინია ანტიბიოტიკების. მეტიც, მისი ზეგავლენით სუსტდება ორგანიზმის დამცველობითი უნარი. არასწორად შერჩეული პრეპარატები და მკურნალობის სქემა ხშირად აქვეითებს ბაქტერიების აქტიურობას, მაგრამ დაავადების ბოლომდე განკურნება ვერ ხერხდება. თანაც, ასეთი ბაქტერიები მოცემული ანტიბიოტიკების მიმართ გამძლენი ხდებიან და დაავადება მომავალში აუცილებლად გამწვავდება.

როგორ მოვიქცეთ სგგდ-ის ნიშნების აღმოჩენისას?

1. მიმართეთ ექიმს დიაგნოზის დასაზუსტებლად და დროულად დაიწყეთ მკურნალობა. სგგდ-ის უმრავლესობა ადვილად ემორჩილება დროულად დაწყებულ და სწორად წარმართულ მკურნალობას. კვალიფიციური ექიმი ჩაგიტარებთ გამოკვლევებს კონკრეტული ინფექციის დადგენისა და შესატყვისი მკურნალობის დანიშვნის მიზნით. მნიშვნელოვანია მკურნალობის კურსის ბოლომდე მიყვანა;

2. არ დაუშვათ ინფექციის გავრცელება, არ იქონიოთ სქესობრივი კავშირი მანამ, ვიდრე მკურნალობას არ დაასრულებთ და დაავადების ყველა ნიშანი არ გაქრება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინფექციას პარტნიორს გადასცემთ და მისგან კვლავ დაინფიცირდებით. თუ ვერ შეძლებთ სქესობრივი კონტაქტისათვის თავის არიდებას — გამოიყენეთ პრეზერვატივი;

3. დაეხმარეთ თქვენს სქესობრივ პარტნიორს და ის ექიმთან მისვლისა და მკურნალობის ჩატარების აუცილებლობაში დაარწმუნეთ. თუ მხოლოდ თქვენ იმკურ-

ნალებთ, მალე შესაძლოა, მისგან კვლავ დაინფიცირდეთ;

4. ცოტა ხანში განმეორებით მიმართეთ ექიმს, რათა საბოლოოდ დარწმუნდეთ, რომ განიკურნეთ.

სგგდ-ის პროფილაქტიკა

* დაიცავით ოჯახური სიწმინდე და ერთგულება ერთი ჯანმრთელი სქესობრივი პარტნიორისადმი;

* ყოველი შემთხვევისათვის, სქესობრივი კავშირის დროს გამოიყენეთ ახალი კონდომი (პრეზერვატივი).

ყველაზე მეტად გავრცელებული სგგდ

ჰონორეა

ჰონორეა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციაა. ინფიცირება ვაგინალური, ანალური ან ორალური სქესობრივი აქტის დროს ხდება. საყოფაცხოვრებო ნივთების, მაგალითად: სააბაზანოს ღრუბლის, პირსახოცის, უნიტაზის სახურავის მეშვეობით ზრდასრული ადამიანის დასნებოვნება პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც გოგონები ინფიცირდებიან დედის პირსახოცით გამშრალებისას, თუ მასზე შერჩენილია ჯერ კიდევ შეუმშრალი ჰონოკოკებით სავსე ჩირქი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჰონორეას ჰონოკოკი იწვევს. სიმპტომები ჩნდება ინფიცირებიდან 1-5 დღეში. შარდსადენ მილში მისი მოხვედრისას ვითარდება ურეთრიტი (შარდსადენი არხის ანთება). თუ ჰონოკოკი საშოში მოხვდა, აღმოცენდება კოლპიტი (საშოს ანთება) ან ცერვიციტი (საშვილოსნოს ყელის ანთება). პირის ღრუში მოხვედრილი ჰონოკოკი იწვევს სტომატიტს (პირის ღრუს ანთებას), ტონზილიტს (ნუშურა ჯირკვლების ანთებას), ფარინგიტს (ხახის ანთებას), ხოლო სწორ ნაწლავში მოხვედრილი — პროქტიტს (სწორი ნაწლავის ანთებას).

თუ ჰონორეა 2 თვის განმავლობაში არ განიკურნა, ქრონიკულ ხასიათს მიიღებს და თვალების, სახსრებისა და სხვა მნიშვნელოვანი ორგანოების დაზიანებას დაიწყებს. ქალებში ქრონიკული ჰონორეა საშვილოსნოს დანამატების (საკვერცხეებისა და საშვილოსნოს ყელის) ანთებას იწვევს და შესაძლოა, საქმე უშვილობამდეც კი მივიდეს. მამაკაცთა უნაყოფობის მიზეზიც ხშირად, სწორედ შორს წასული ჰონორეაა.

დიაგნოსტიკა — ჰონორეაზე ეჭვის მიტანისთანავე უნდა მიმართოთ ვენეროლოგს. დღეს ამ დაავადების ანონიმურად მკურნალობაც შეიძლება. დიაგნოზს ჩივილებისა და გამოკვლევის საფუძველზე სვამენ. აუცილებელია შარდსადენი არხიდან გამონადენის ლაბორატორიული გამოკვლევა, ასევე — სისხლისა და შარდის ანალიზი.

მკურნალობა — მკურნალობის მართებული სქემის შერჩევა მხოლოდ ექიმ-ვენეროლოგს შეუძლია. ამჟამად ჰონორეას ანტიბიოტიკებით მკურნალობენ, პარალელურად კი იმუნიტეტის გაძლიერებაზე ზრუნავენ და უნიშნავენ ფიზიოპროცედურებს. თუ ერთ-ერთ სქესობრივ პარტნიორს ჰონორეა აღმოაჩნდა, მეორემ აუცილებლად უნდა ჩაიტაროს გამოკვლევა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — სათანადო მკურნალობა.

ტრიქომონიაზი

გამომწვევია უმარტივესი ორგანიზმი — ტრიქომონა. გადაცემის გზები — კონტაქტური, სქესობრივი და საყოფაცხოვრებო. სიმპტომები ჰონორეის სიმპტომების მსგავსია.

სასქესო ორგანოებში ანთებითი პროცესებით გამოწვეული ცვლილებების გამო ტრიქომონადები ქალებში, არცთუ იშვიათად, უშვილობის მიზეზი ხდება. მამაკაცის ორგანიზმში არსებული ტრიქომონადები იწებებს სპერმატოზოიდებს და ჭამს გლუკოზას, რაც აუცილებელია სასქესო უჯრედების მოძრაობისთვის.

ტრიქომონადები მეტად ვერაგი არსებებია. ისინი იწვევს არა მარტო ტრიქომონოზიას, არამედ შეუძლია, თავიანთ სხეულში სქესობრივი გზით გადამდები სხვა



მიკროორგანიზმებიც დამალოს. ყველაზე ხშირად მათში ჰონოკოკები ბინადრობს და პრეპარატების საშუალებით მათი გამოდევნაც შეუძლებელი ხდება. ასე რომ, ვიდრე ადამიანის ამ ერთუჯრედიან პარაზიტს არ მოიშორებ, სხვა ვენერიული დაავადების განკურნება შეუძლებელია.

დიაგნოსტიკა — ტრიქომონიაზზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში აუცილებელია ექიმთან ვიზიტი. ქალებმა შეიძლება — გინეკოლოგს, მამაკაცებმა კი უროლოგს მიმართონ. ტრიქომონიაზის მსგავსი სიმპტომები სხვა დაავადებასაც ახასიათებს, ამიტომ აუცილებელია სწორი დაგნოზის დასმა. არაა გამორიცხული, პაციენტს დასჭირდება ვენეროლოგის ან დერმატოლოგის კონსულტაცია. დაავადება განკურნებადია.

ქლამიდიოზი

დაავადებას იწვევს მიკროორგანიზმი, რომელიც მოქმედებს უჯრედის შიგნით. დღეისათვის ცნობილია ქლამიდიების ხუთი სახე: სამი სახე გადაეცემა მხოლოდ სქესობრივი გზით, ხოლო ორი შეიძლება, საყოფაცხოვრებო გზით გადაედოს.

შარდსასქესო ტრაქტში ქლამიდიოზის გამომწვევი შეიძლება ასოცირებული იყოს ჰონორეის გამომწვევთან და ნებისმიერ სხვა მიკროორგანიზმთან. აქედან გამომდინარე, ინფექციის კლინიკური გამოვლინება სხვადასხვაგვარია. შერეული ინფექციის შემთხვევაში გაცილებით ხშირად გვხვდება ისეთი დაავადებები, როგორიცაა: ცერვიციტი (საშვილოსნოს ყელის ანთება), ურეთრიტი (შარდსადენის ანთება), ვულვოვაგინიტი (საშოს ანთება), ენდომეტრიტი, პროსტატიტი და სხვა. ასეთ შემთხვაში, ანტიბაქტერიული თერაპიის მეთოდები ხშირად, უშედეგოა, ამიტომაც დაავადება ხანგრძლივდება და შემდგომში მრავალრიცხოვანი გართულება ვითარდება. მაგალითად: იმპოტენცია, უნაყოფობა, ნაყოფის ინფექცია და სხვა. არსებობს აგრეთვე ქლამიდიური ინფექციის ატიპური გამოვლინებები და უსიმპტომო ფორმები. ეს კიდევ უფრო დიდ სირთულეებს ქმნის დიაგნოსტიკაში. ქლამიდიოზის მკურნალობა ხანგრძლივი პროცესია.

ათაშანგი (სიფილისი)

ქრონიკული ვენერიული დაავადება ხასიათდება ნერვული სისტემის, ძვლებისა და შინაგანი ორგანოების დაზიანებით. დაავადების გამომწვევია მკრთალი სპიროქეტა. ძირითადად გადადის კონტაქტურად სქესობრივი გზით. საყოფაცხოვრებო საგნებით გადადება იშვიათად ხდება, რადგან სპიროქეტა იღუპება ჰაერზე 1-2 წუთის განმავლობაში. სიმპტომები ჩნდება ინფიცირებიდან 2-10 კვირაში. ბოლო კვირას ავადმყოფი გარშემო მყოფებისათვის საშიშია.

სიმპტომები: კონტაქტის ადგილზე — სასქესო ორგანოებზე, საშვილოსნოს ყელსა და სხვაგან პატარა წყლულების გაჩენა. წყლულები უმტკივნეულოა, მუხუდოს მარცვლის ზომისა და მონითალო ფერის. წყლულების ახლოს მდებარე ლიმფური კვანძები დიდდება, ამას ათაშანგის I სტადია ეწოდება; II სტადიაში ჩნდება გამონაყარი, რომელიც რამდენიმე ხანში ქრება და ათაშანგი გადადის III სტადიაში, როდესაც ზიანდება შინაგანი ორგანოები; IV სტადიაში ზიანდება ნერვული სისტემა.

I -II სტადიაში ათაშანგი განკურნებადია და არ ტოვებს კვალს, III სტადიაში ძნელად განკურნებადია და ვითარდება ქრონიკული დაავადება, ხოლო IV სტადიაში განუკურნებელია, ადამიანი ინვალიდდება, შესამჩნევად მახინჯდება. ათაშანგით დაავადებული მშობლები საშიშნი არიან შთამომავლობისათვის — ათაშანგიანთა ბავშვებს აქვთ ძვლების სპეციფიკური დაზიანება, სიყრუე და ხშირად, გონებრივად განუვითარებლები იბადებიან. ■

P.S. **რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე:** nino.char@yahoo.com **ის თქვენს ნებისმიერ კითხვას გასცემს პასუხს.**

ახალი ნომერი
ოჯახის
მუნიციპალი
ცვნვმ ეკიმოვნ მიხოვლ...



ადამიანი

„ვახუშტის ცხოვრება ერთი დიდი ტკივილი იყო“...

მიახლოვდება სამოცდაათი და სამწუხაროდ, ვგრძნობ, რომ ვბერდები. როგორც უბრალო ქვიშის საათი, ზემოთ ვიცლები, ქვემოთ ვბევრდები. ფიქრს მოსწყინდება რიალ-რიალი, სულს გაეყრება ცოდვილი ხორცი. დავრჩები ზემოთ სიცარიელე, ხოლო ქვემოთ კი — პატარა ბორცვი.

ამ ლექსის ავტორი ბატონი ვახუშტი კოტეტიშვილი 2008 წლის 7 აგვისტოს დააკლდა საქართველოს, მაგრამ ომით შეძრწუნებული საზოგადოების დიდმა ნაწილმა მისი სიკვდილი ვერც გაიგო... ბატონ ვახუშტისაგან მხოლოდ პატარა ბორცვი როდი დარჩა; უამრავი ლექსი, თარგმანი, ქართული კაფიები და პატრიოტის ნათელი მოგონება ყოველთვის ემახსოვრება ქართველ საზოგადოებას. ბატონ ვახუშტის ამჯერად, მისი ვაჟი — გუგა კოტეტიშვილი იხსენებს...

ელენე ბასილიძე

— ვახუშტის ცხოვრება ერთი დიდი ტკივილია: დედამისი მასზე მშობიარობას გადაჰყვა, მამა კი მაშინ დახვრიტეს, როდესაც ვახუშტი 2 წლის გახლდათ. ასე რომ, 2 წლის ბიჭს პატრონად, მხოლოდ 14 წლის და დარჩა, რომელმაც იგი გაზარდა. მამიდაჩემი არ გათხოვილა და მთელი ცხოვრება ასე ვთქვათ, ვახუშტის მიუძღვნა. მათთვის საკმაოდ რთული იყო იმ საზოგადოებაში ცხოვრება, სადაც ხალხის მტრის შვილებს უწოდებდნენ; ყველა ერიდებოდა. მათთან ურთიერთობას ადამიანები საგულდაგულოდ მალავდნენ. ნიკო სამადაშვილი ბაბუაჩემის მეგობარი გახლდათ და სწორედ ის იყო ერთადერთი ადამიანი, რომელიც მათთან სახლში მოდიოდა და ქუჩიდანვე ყვიროდა, რომ ხალხს გაეგო: კოტეტიშვილებო, გამოდით, თქვენთან მოვდივარო!.. ობოლ ბავშვებს, რა თქმა უნდა, მატერიალურადაც ეხმარებოდა... სიმართლე გითხრათ, ჩემი მშობლების შეუღლების ამბავი არ ვიცი, როგორ მოხდა, მათთვის არასოდეს მიკითხავს ამის შესახებ. დედა ვახუშტისთვის პირველი ცოლი იყო, მას შემდეგ მამას მეორე და მესამე ცოლებიც ჰყავდა...



ჩემ მიმართ ყოველთვის თბილი და მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა

— მკაცრი იყო?

— არანაირად. ჩემ მიმართ ყოველთვის თბილი და მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა. ჩემთან ისევე მეგობრობდა, როგორც დღეს მე ვმეგობრობ ჩემს შვილთან. კლასიკური მამაშვილური დამოკიდებულება არ გვქონია, მაგრამ არც დასჯა მახსოვს მისგან. ალბათ არც მე ვიყავი რთულად აღსაზრდელი ბავშვი. როდესაც ბავშვობიდან შეგნებული გაქვს, თუ რა არის კარგი და რა ცუდი, თითქოს გარკვეული მორალური პრინციპების მიხედვით იზრდები და ზღვარს არასოდეს გადადიხარ; ალბათ მამას ამიტომაც არასოდეს დასჭირვებია ჩემი დასჯა. იმის სასწავლად, რომ წაქცეულს ფეხი არ უნდა დააბიჯო, კაცს ბიბლიის წაკითხვა არ გჭირდება, რადგანაც ბავშვობიდანვე ამ შეგონებით იზრდები. ალბათ მამას არასოდეს დასჭირვებია ჩემი ბევრი დარიგება. მამიდაჩემი კი, რომელმაც მამა აღზარდა, ყოველთვის ამბობდა, — ბავშვს მუდმივად უნდა უჩიჩინებდე, რაღაცას არიგებდეო... მუდმივი აკრძალვებით ვერაფერს მიაღწევ. ბავშვი მცირე ასაკიდანვე უნდა ჩამოყალიბდეს და გაიგოს, რა არის ცუდი და რა — კარგი.


ჩემი ცხოვრებით ყოველთვის ინტერესდებოდა

— ესე იგი, ბატონი ვახუშტი თქვენ არაფერს გიჩჩინებდათ...

— არა, მამა ნაკლებად; აი, მამიდაჩემმა კი, ხომ ვთქვი, უფრო იცოდა დარიგებები, რაღაც რჩევების მოცემა. მაგრამ მე მას არ ვუსმენდი, მაინც ჩემებურად ვაკეთებდი ყველაფერს. ისე, კატეგორიული კი არ იყო ხოლმე, უბრალოდ, საკუთარი აზრის გამოხატვა უყვარდა. მამას ჩემთვის არასოდეს არაფერზე უთქვამს უარი, მაგრამ მეც არაფერს ვთხოვდი (*იღიმება*). ხომ არის შემთხვევები, როცა პატარები მშობლებს რაღაცებს სთხოვენ?.. არასოდეს არაფერი მითხოვია. საკმაოდ „სკრომნად“ ვცხოვრობდით, ბევრი ფული არასდროს გვქონია. მამა, მოგეხსენებათ, ლექტორი იყო და მას ფულს ლექციების წაკითხვაში უხდიდნენ. შესაბამისად, თავზე არასოდეს გადაგვდიოდა, მაგრამ არც რაიმე გვკლებია.

— ყურადღებიანი თუ იყო?

— ყურადღებიანი ნამდვილად იყო. ჩემი ცხოვრებით ყოველთვის ინტერესდებოდა. მაგრამ მაინცდამაინც თავზე გადაყოლა, აქეთ-იქით ტარება არ იცოდა. ჩემი წაყვანა-მოყვანა უფრო დედას პრეროგატივა გახლდათ. მაგრამ ვინაიდან ბავშვობიდანვე საკმაოდ დამოუკიდებელი ვიყავი, ძალიან არც დედას ვაწუხებდი. ბავშვობიდანვე, მამა სულ მუშაობის პროცესში მახსოვს, სულ კაბინეტში იჯდა. მე ლამის კისერზე ვეჯექი, ის კი იჯდა და სერიოზულ ნაწარმოებებს თარგმნიდა. არასოდეს უთქვამს, მოდი, ვიმეცადინოთო; არც არასოდეს დაუძალებია რაიმე... ძალიან უყვარდა პოეზია და მახსოვს, როდესაც მანქანით სადმე მივდიოდით, საჭესთან მჯდომი ლექსებს ხმამაღლა კითხულობდა ხოლმე. რა თქმა უნდა, თავისი სიამოვნებისთვისაც აკეთებდა ამას და მეც მაცნობდა პოეზიას, ხან — თავისას, ხანაც — სხვისას. როდესაც რომელიმე ნაწარმოების თარგმნაზე მუშაობდა, უკვე დასრულებულს ჩვენ, შვილებს გვიკითხავდა. ჩვენს აზრს საოცრად აფასებდა.

— შენიშვნებს თუ აძლევდით?

— კი, თუ მივიჩნევდი, რომ რაღაც ცოტა სხვანაირად სჯობდა, ვეუბნებოდი. მაგრამ ეს იშვიათად ხდებოდა, რადგანაც თავის საქმეში საკმაოდ კომპეტენტური იყო და ჩემი შენიშვნები ნაკლებად ესაჭიროებოდა. საერთოდ კი, ყურადღებიანი მსმენელი იყო და აზრსაც, როგორც მოზრდილს, ისე მეკითხებოდა...

— „შეწყდეს ტირილი! დაიწუროს ცრემლის მტევნები! გულის ნაჟური კეთილშობილ ღვინოდ დაღვინდეს! გადალიცლიცდეს მოთმინების ყველა ფიალა! შევსვამ სიკვდილის საკართანოს და ვალმოხდილი მოვდივარ, შვილო“! — ეს ლექსი ბატონმა ვახუშტიმ თავის გარდაცვლილ შვილს — ტატოს მიუძღვნა...

— ტატო 38 წლის იყო, როდესაც გარდაიცვალა. ბოლო 9 წელი ჰოლანდიაში ცხოვრობდა. ისე დაემთხვა, რომ სიკვდილის წინ საქართველოში იყო ჩამოსული, სადაც საკუთარ თავზე ფილმს იღებდა. „ნოსტალგია არარსებულზე“ — ასე ერქვა ფილმს, რომელიც ნახევრად დოკუმენტური უნდა ყოფილიყო... იგი ჰოლანდიური ტელევიზიის დაკვეთით მზადდებოდა; სამწუხაროდ, ტატომ ვეღარ დაასრულა. მას გული გაუსკდა და ფილმი მისმა მეუღლემ დაასრულა. თუმცა, რა თქმა უნდა, ფილმის შინაარსი ძალიან შეიცვალა...

— ბატონი ვახუშტი ბევრს მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, თავად თუ ახლდით ხოლმე მოგზაურობისას?

— ზოგჯერ — კი. საკმაოდ ბევრგან ვარ მამასთან ერთად ნამყოფი. მისი მოგზაურობა ძირითადად, გლეხებთან და მათ ხალხურ პოეზიასთან იყო დაკავშირებული. ძირითადად, მთის რეგიონებში დავდიოდით, სადაც უფრო მეტად იყო შენარჩუნებული ქართული ფოლკლორი. ფშავსა და ხევსურეთში სუფრასთან ყოფნისას პარალელურად, პატარ-პატარა კაფიებით ესაუბრებიან ერთმანეთს, შაირობა ექსპრომტია და ერთ-ერთი მოშაირე აუცილებლად მოგებული რჩება. ამის მომსწრე არაერთხელ გავმხდარვარ. რაიონულ ცენტრებში ასევე საინტერესო, ფოლკლორის საღამოები იმართებოდა. როდესაც ვახუშტიმ ფოლკლორული საღამოების ჩატარება დაიწყო, 1979 წლის 14 აპრილი იყო. 1978 წლის 14 აპრილს ქართული ენის დაცვის საკითხს ჩვენში დიდი დემონსტრაცია მოჰყვა. ამ ამბის წლისთავზე კი, მამამ ფოლკლორული საღამო მოაწყო... ფოლკლორისტიკის კათედრა კი უნივერსიტეტში ვახუშტის მამამ — ვახტანგმა დააარსა და მაშინვე გამოიცა პირველი წიგნიც. ასე რომ, მამა ბაბუის კვალს გაჰყვა... როდესაც მან ფილარმონიაში პირველი საღამო მოაწყო, იქ საქართველოს რეგიონებიდან უამრავი გლეხი ჩამოვიდა, მთელი დარბაზი ფეხზე იდგა და ტიროდა, საზოგადოებას საოცარი ეროვნული სიამაყის შეგრძნება დაეუფლა. მას შემდეგ ტრადიციადაც კი იქცა მსგავსი ღონისძიებების ჩატარება. მამა ხელს უწყობდა ნიჭიერი მთიელების ტელევიზიით, საზოგადოების წინაშე გამოჩენას. თავის მხრივ, უბრალო ადამიანებიც დიდ პატივს სცემდნენ. თითქმის ყველა რაიონში ცნობდნენ და ძალიან მეამაყება, როდესაც რომელიმე სოფელში ჩავდივარ და მამას დიდი სიყვარულითა და სითბოთი იხსენებენ ხოლმე.

— ოჯახურ ატმოსფეროში თუ უყვარდა კაფიების თქმა?

— კი, ხშირად ხუმრობდა, იუმორს ძალიან აფასებდა. დღემდე, როდესაც ისეთ ანეკდოტს მოვისმენ, რომელიც მამას ძალიან უყვარდა, გუნებაში ვიმეორებ ხოლმე...

— ანუ მას გარკვეული კატეგორიის ანეკდოტები ხიბლავდა?


ბავშვობიდანვე, მამა სულ მუშაობის პროცესში მახსოვს, სულ კაბინეტში იჯდა


ბოლო წლები მისთვის ძალზე პროდუქტიული იყო

— შეიძლება, ასეც ითქვას. „წვერიანი“ ანეკდოტები უყვარდა და საკმაოდ უწმაწურიც. ახლა ნამდვილად ვერ გავიხსენებ, უხერხულია (*იღიმება*)... კიდევ ერთი თვისება ჰქონდა: ძალიან ეამაყებოდა, როდესაც ნიჭიერ ადამიანს ნახავდა. ხშირად ყოფილა შემთხვევა, ლექსი ან თარგმანი მოსწონებია, ჩვენთან მოუტანია და ხმამაღლა წაუკითხავს: ნახეთ, რა კარგი რამეაო!

— ოდესმე იდეები თუ მოუწოდებია თქვენთვის?

— კი. მაგრამ მე ან ვაკეთებდი, ან — არა... მისი წიგნების დიზაინთან დაკავშირებითაც ხშირად გვისაუბრია, მაგრამ ძირითადად, ჩემი აზრი გამქონდა და საბოლოო ჯამში, კმაყოფილი რჩებოდა.

— ბოლო დროს ბატონი ვახუშტი, გაუარესებული ჯანმრთელობის გამო, გარეთაც ველარ გამოდიოდა...

— კი და ამას ძალიანაც განიცდიდა, მაგრამ არასოდეს იმჩნევდა. თავადაც ამბობდა, — „სიცოცხლის ნიჭიანი“ ადამიანი ვარო... ბოლო წლები საწერ მაგიდასთან გაატარა და 3 კრებული გამოსცა.

— მისი ლექსების კრებულს წინასიტყვაობაში ასეთი სტრიქონები აქვს წამძღვარებული: მთელი ჩემი ცხოვრება სხვათა და სხვათა ლექსების შეგროვებას და პატრონობას შევალიე, ჩემი საკუთარი ლექსების პატრონად კი, შეგნებულად ვერ ვივარგეო...

— მამამ, ასე ვთქვათ, ბოლო წლებში დაიწყო წერა. მართალია, მთელი ცხოვრება წერდა, მაგრამ მისი ნაშრომები თბილისის ომის დროს გაჩენილი ხანძრის გამო დაიწვა და თითქმის თავიდან მოუხდა ყველაფრის შექმნა. ბოლო წლები მისთვის ძალზე პროდუქტიული იყო — უამრავი ნაწარმოები თარგმნა და ჩემთვის წარმოუდგენელიც კი იყო, როგორ შეეძლო, ასეთ მძიმე მდგომარეობაში მყოფს მუშაობა. რაც მთავარია, არასოდეს დაუჩივლია.

— თუ არის რაიმე მისი შემოქმედებიდან ისეთი, რაც ჯერჯერობით არ გამოცემულა?

— კი, ლექსები და სონეტებია დარჩენილი, რომლებიც ჯერ მკითხველს არ უნახავს. მის გამოსაცემად ხარჯის გაღებაა საჭირო და ჯერჯერობით ეს გვაფერხებს.

— როდესაც ბატონი ვახუშტი გარდაიცვალა, საქართველოში ომი მძვინვარებდა. თუ შეიტყო მან ამ საზარელი ომის შესახებ?

— არა, მან ამის შესახებ ვერ შეიტყო, რადგანაც მთელი თვის განმავლობაში საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში იწვა. 6 აგვისტოს ომი დაიწყო, შვიდში კი ვახუშტი გარდაიცვალა... სახლში რომ ყოფილიყო და ომის შესახებ გაეგო, შეიძლება, ამ ამბავს გადაჰყოლოდა. საოცრად ემოციური იყო და რა თქმა უნდა, მისთვის ომის ამბავი არც გაგვიმხელია.

— როდესაც ბატონი ვახუშტი ქაშუეთის ეკლესიიდან გამოასვენეს, პარლამენტის შენობის წინ კონცერტი მიმდინარეობდა...

— კი, ეს ის დღე იყო, როცა ომი დამთავრდა და მის მოგებასა და მტერზე გამარჯვებას ვზეიმობდით. სამწუხაროდ, ვახუშტის გამოსვენება 3 საათზე იყო დანიშნული და კონცერტიც ზუსტად 3 საათზე დაიწყო. მართალია, მთელი რუსთაველი სავსე იყო, მაგრამ იქიდან ძალიან ცოტა ადამიანი გახლდათ ვახუშტის დაკრძალვაზე მოსული... მამას ცხოვრება კურიოზებით იყო სავსე და მისი გასვენებაც არაორდინარული აღმოჩნდა... არადა, ნამდვილად არ მოველოდი იმას, რომ მამას გასვენებაში ასე ცოტა ხალხი მოვიდოდა. ის ცოტა მეტ დაფასებას იმსახურებდა... მამას მკურნალობა საკმაოდ დიდი თანხა ჯდებოდა. მკურნალობის ხარჯები ერთხელ დაუფარეს, მეორედ კი უარი უთხრეს: მხოლოდ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ადამიანებს ვეხმარებითო. არადა, პენსიაზე მყოფი პროფესორი, რა თქმა უნდა, ვერ გადაიხდიდა მკურნალობის ხარჯებს. მამას ალბათ ამაზეც სწყდებოდა გული... ამით მხოლოდ იმის თქმა არ მსურს, რომ ვახუშტის ყურადღება ესაჭიროებოდა. ადამიანები, რომლებიც ერისთვის სერიოზულ ღირებულებას წარმოადგენენ, სამწუხაროდ, დღესდღეობით სათანადოდ არ არიან დაფასებულნი, რაც რბილად რომ ვთქვათ, ძალზე სამწუხაროა.

■

ეს გახლდათ პირველი ექსპედიცია, რომელიც დიდი დიპლომატიის წყალობით შედგა (რუსთაველის ფრესკასთან)

ყოველდღე საგანგებოდ ემზადებოდა ირაკლისთან შესახვედრად და მუდამ გაპრანჭული და მოწესრიგებული ხვდებოდა.

— მამა კომპლიმენტებს ეუბნებოდა?

ვახტანგი:

— იუმორით და ძალიან დელიკატურად, დედას რომ არ სწყენოდა. საერთოდაც, ნებისმიერი ურთიერთობისას, საუცხოო დიპლომატი იყო...

— რისი ნიჭიც, გამორჩეულად და პროფესიულ სიმაღლეზე, ალბათ, ბატონ ზურაბს გამოჰყვა.

ირინე:

— გახსოვთ, ოდესმე (*ძმებს მიმართავს. — ავტ.*) ჩვენთვის „შე, სულელო“ ეთქვას? პირიქით, რამეს რომ დავაშავებდით, საყვედურის ნაცვლად, შეგვაქებდა: ისეთი ჭკვიანი ბავშვია, ძალიან მიკვირს, ეს როგორ გააკეთაო?!.

ზურაბი:

— მახსოვს, ტელეეკრანზე ინოკენტი სმოკტუნოვსკის მონაწილეობით ახალგამოსულ, რუსების გადაღებულ „ჰამლეტს“ ვუყურებდით მთელი ოჯახი და მეოთხე თუ მეხუთეკლასელმა ვატომ მოულოდნელად რაღაც საოცარი კითხვა დააბრახუნა. მამამ სერიოზული გამომეტყველებით ჰკითხა: ვატო, შენ შექსპირი ხომ წაგიკითხავსო? ვატომაც თავის დაქნევით უტიფრად დაუდასტურა: კიო (*ციცინიან*).

ვახტანგი:

— იცით, რას ვამჩნევ?.. ოჯახის წევრებთან, ზოგადად ადამიანებთან ასეთი ურთიერთობა, ადამიანების გაფრთხილება, დანდობა მძიმე ცხოვრებაგამოვლილ ხალხს უფრო ახასიათებს.

ზურაბი:

— მამა მოგონებებში წერს: თუ გონება ერთს გეუბნება, გული — მეორეს და გამოცდილება — მესამეს, გამოცდილებას უნდა ენდოო. თვითონ ამას ყოველთვის ახერხებდა, ოღონდ გამიძნელდება, გითხრათ, რის ფასად.

— გინახავთ მამა საკუთარ თავთან ასეთ ჭიდილში?

ვახტანგი:

— ასეთი რამ ხდებოდა და არცთუ იშვიათად... ნათქვამია, ყველაფერი გენეტიკურიაო. ამას იცით, რატომ გეუბნებით? მაგალითად, მძიმე წუთებში, თუნდაც საკუთარ თავთან ჭიდილისას, ყოველთვის მობილიზებული ვარ და უმეტესად, გადაწყვეტილებას სწრაფად ვიღებ. მამა ძალიან მობილიზებული იყო და ვფიქრობ, ამით მას დავემსგავსე. მაგალითად, უნიკალური მეხსიერებაც ჰქონდა. სამწუხაროდ, აქ გენეტიკამ ვერ გვიშველა (*ციცინის*)...

— კიდევ რა გამოგყვათ გენეტიკით ან რით დაემსგავსეთ მშობლებს?

ირინე:

— გარეგნობით ძალიან ვგავარ მამას, ბიჭებიც ძალიან დაემსგავსნენ.

ვახტანგი:

— ისიც ხომ გითხარით, რომ დედას ტყუპისცალი და ჰყავდა. მეც ტყუპი მყავს, ოღონდ — ვაჟი. მაგრამ ვთქვათ, ლექსის წერის ნიჭი არ აღმოჩნდა გენეტიკური. (*ფიქრობს*) ან კი როგორ აღმოჩნდებოდა, როდესაც ეს ღმერთის წყალობაა, რაც შეიძლება, ერთს ებოძოს, მეორეს კი — არა.

— მესმის, რომ შეიძლება, ნიჭი არ დაგყვეს, მაგრამ სურვილი მაინც გაგიჩნდეს, წინაპარს დაემსგავსო და სცადო...

ზურაბი:

— და ვცადე კიდეც მეექვსე-მეშვიდე კლასში სწავლისას. მახსოვს, ავანგარდული მიმდინარეობა — პოპარტი შემოდიოდა იმხანად და დავწერე ლექსი — „მასტიკა“, სადაც მასტიკის ფენომენს თითქოს ვაადამიანურებდი: რა უბედურ დღეშია მასტიკა, მასზე ფეხით დავდივართ, — და ასე შემდეგ. მივუტანე მამას, მაგრამ ვერ გავბედე, მეთქვა, ჩემიამეთქი და ამხანაგის დაწერილად გავასაღე, — შენი აზრი აინტერესებს-მეთქი. მამამ წაიკითხა და მითხრა: შენს ამხანაგს გადაეცი, ლექსი აღარასდროს დაწეროსო (*ციცინის*).

— ვითომ ვერ მიხვდა, თქვენი რომ იყო?

— რა თქმა უნდა, მიხვდა.

ირინე:

— სამივეს გვატყობდა, რომ ლექსის წერის ნიჭი არ გვქონდა და ამას დიდად არც განიცდიდა. სამაგიეროდ, საფუძვლიანად ჩაერია ჩვენს პროფესიულ არჩევანში. მახსოვს, როდესაც ფიქრობდა, რა პროფესია შეერჩია ჩემთვის, მისმა მეგობარმა, გიორგი წერეთელმა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი ურჩია.

ზურაბი:

— სხვათა შორის, ეხერხებოდა, ადამიანისთვის უკეთესობისკენ ებიძგა. ხშირად მაგონდება ეს ამბავი: ესპანეთში ვმუშაობდი და 1987 თუ 1988 წელს, ერთ-ერთი ჩამოსვლისას, მამა და ვატო მოსკოვში დამხვდნენ. არბატზე გავისეირნეთ და მთვრალი რუსი „ბომჟი“ აგვეკიდა; მიხვდა, ქართველები რომ ვიყავით და გაუთავებლად გველაპარაკებოდა. ვერაფრით ჩამოვიცილეთ და ვატო გაბრაზდა: გავიყვან ამას და ერთს კარგად მივუეუავო (*ციცინის*)! — ასე არ შეიძლებაო, — გვისაყვედურა მამამ, რუსს ხელკავი გამოსდო და ლაპარაკით გაჰყვა. კარგა ხანს ვიარეთ წყვილ-წყვილად. ვხედავდით, მამა რაღაცას უხსნიდა, მერე ჩვენც შევყევით საუბარს და ქუჩის ბოლოს რომ წამოვეწიეთ, შევნიშნეთ, მაწანწალა ლოთი რუსი საკმაოდ დალაგებულად და საღად ელაპარაკებოდა მამას. საბოლოოდ, ეს „ბომჟი“ აღმოჩნდა მხატვარი, რომელმაც მთელი სერიოზულობით სთხოვა მამას: ჩაიწერეთ ჩემი ტელეფონის ნომერი და როცა მოსკოვში მოხვდებით, აუცილებლად შინ მეწვიეთო. ეს გამოგონილი ამბავი არ გეგონოთ, სრული სიმართლეა...

P.S. **ულევია ირაკლი აბაშიძის ფენომენი, მასზე საუბარი დაუსრულებლად შეიძლება. როგორც შესავალში ვთქვი, ჩემი რესპონდენტებიც გაიტაცა სახელოვანი მამის შესახებ მოგონებებმა. ვფიქრობთ, მკითხველიც სიამოვნებით შემოგვერთდება და „გზის“ მომდევნო ნომერში გადატანილ ამბებსაც ინტერესით გაეცნობა...** ■

„ჩემთვის ბარიერი არ არსებობს. ყველგან ავდივარ და შევდივარ“...

როგორია ეტლიდან დანახული სამყარო

ის ფოტოებით საკუთარ ამბავს მოგვითხრობს... ამბობს, რომ მის ყველა ნამუშევარში, სადაც ქალია, თავად არის, რომელსაც ხშირად ვერ ამჩნევენ... ფართო საზოგადოებასთან ურთიერთობა რადიოსტუდია — „სითბოს კუნძულიდან“ დაიწყო. მერე მხატვრობამ გაიტაცა, „მზის ფესტივალიც“ მოაწყო, რასაც პირველი ფოტოგამოფენა — „ფერები მონაფერები“ მოჰყვა. სულ ახლახან ლამაზი ქალბატონები ინვალიდის ეტლში ჩასვა და ახალი პროექტი — „მე — ანია“ წარმოგვიდგინა...

ეს 22 წლის ანა გოგუაძის მოკლე შემოქმედებითი ბიოგრაფია გახლავთ. სამწუხაროდ, ანას დამოუკიდებლად მოძრაობა არ შეუძლია, ბავშვობიდანვე ეტლით გადაადგილდება, მაგრამ ეს საკუთარი თავის რეალიზებაში ხელს სულაც არ უშლის.

თამუნა კვინიკაძე

— ანა, საინტერესო პროექტი წარმოგვიდგინე — „მე — ანია“. შენმა ფოტოებმა მნახველზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

— ამ პროექტის იდეა 1 წლის წინ გამიჩნდა: მინდოდა, ლამაზი ქალები „გლამურულ სტილში“ გადამეღო, მაგრამ ეს ერთი ჩვეულებრივი ფოტოექსპოზიცია არ უნდა ყოფილიყო. ამიტომ მას სოციალური თემატიკაც მივაბი, ყველა ლამაზი ქალბატონი ეტლში ჩავსვი. საქართველოში რატომღაც ასეა — ის ადამიანები, რომლებიც ეტლით გადავაადგილდებით, ვერ შევდივართ — კაფეში, კინოში, თეატრში, ბანკსა და აფთიაქშიც კი, რადგან შენობების უმრავლესობას პანდუსი (ეტლის სპეციალური შესასვლელი) არა აქვს.

— „მე — ანია“ — პროტესტის შენეული ფორმაა?

— მე არა ვარ მრავალდღიანი აქციითა და ქუჩის გადაკეტვით გამოხატული პროტესტის მომხრე. ამიტომ სათქმელი ფოტოებით გამოვხატე და მგონი, გამომივიდა.

— ნამდვილად... ფოტომოდელები, ვის გადაღებასაც აპირებდი, თავად შეარჩიე?

— სანამ მოდელების შერჩევას დავიწყებდი, მანამდე ავთო ცქვიტინიძეს დავუკავშირდი და ჩემი ჩანაფიქრი გავანდვე. თანამშრომლობაზე საიმოვნებით დამთანხმდა და უფლება მომცა, მისი კოლექციიდან ის კაბები ამერჩია, რომლებიც გადაღებისთვის დამჭირდებოდა. შემდეგ სამოდელო სააგენტოებს დავუკავშირდი. მათ ყველა მოდელი მაჩვენეს. ვინც ავირჩიე, გადავიღე კიდეც.

— შენს ობიექტივში არა მარტო მოდელები მოხვდნენ, — მაგალითად, „ჯეოსტარელი“ ნინო ბაშარული.

— დიახ, ნინო „ჯეოსტარის“ კონცერტზე რომ ვნახე, ძალიან მომეწონა. საერთოდ, ამ პროექტში ვინც კი გადავიღე, ყველა ძალიან ლამაზია. თან ისეთებიც შევარჩიე, კარგად რომ პოზირებენ. მათთან მუშაობა სასიამოვნო იყო.

— რას გვეტყვი მაკა ასათიანზე, რომელიც აგრეთვე მონაწილეობდა შენს პროექტში?

— მაკასთან მუშაობა ჩემთვის სასიამოვნო იყო. საოცრად ლამაზი რომ არის, ამაზე არაფერს ვიტყვი; მისგან დადებითი ემოცია მოდის, იმდენად თბილი და კეთილი ადამიანია, რომ მასთან ურთიერთობის გაწყვეტა არ გინდა...

— ცნობილი მოდელები და ეტლში თავს როგორ გრძნობდნენ?

— თამამები იყვნენ, თან ეტლში ისე კი არ ჩავსვი, როგორც ინვალიდე-

ბი (ეს სიტყვა არ მიყვარს) სხდებიან... თავიდან ზოგიერთი ცოტა დაიბნა, მაგრამ თავისუფლად იპოზიორა. არ მინდოდა, მათ ტრაგიკული სახეები ჰქონოდათ.

— როგორც ვიცი, გადაღებები სხვადასხვა ადგილას გქონდა, არა?

— დიახ, ყველა ფოტო სხვადასხვა ადგილზეა გადაღებული. ინტერიერს დიდ ყურადღებას ვაქცევდი. არ მინ-

დოდა, ავეჯით დატვირთული ყოფილიყო... გადაღებები მქონდა — კაფეში, მაღაზიაში, აეროპორტში, ფილარმონიაში, ქუჩაშიც კი. ყველა გაკვირვებული მეკითხებოდა, ეტლში რატომ იღებო? მგონი, ჩემმა პროექტმა ბევრი ადამიანი ჩააფიქრა...

— ანა, იმ შენობებში, სადაც ფოტოებს იღებდი, პანდუსი რომ არ იყო, ეტლით როგორ შეხვედი?

— ჩემთვის ბარიერი არ არსებობს. ეტლით ყველგან ავდივარ და შევდივარ. ამაში ჩემი მძღოლი მეხმარება. ის კი არა, შარშან სტეფანწმინდაში, გერგეთის სამებაშიც კი ავედი...

— ეტლით?

— დიახ, ნახევარი გზა ეტლით გავიარე. ასვლას 2 საათი მოვუნდით, თან ჩემი მოსკოველი მეგობრებიც მახლდნენ. მათ საქართველო დავათვალიერებინე, ბათუმშიც ჩავიყვანე. გამოგიტყდებით და მომავალში სვანეთის დალაშქვრას ვაპირებ (*იცინის*).

— ყოჩაღ! შექებას ნამდვილად იმსახურებ. ვფიქრობ, შენი ცხოვრება, ბევრი იმ ადამიანისთვის, რომელიც ეტლით გადაადგილდება, მისაბაძი უნდა იყოს.

— საერთოდ, ძალიან აქტიური ადამიანი ვარ. 13 წლიდან ვმუშაობ.

— რომელი იყო შენი პირველი სამსახური?

— ერთ-ერთ რადიოში საბავშვო გადაცემის წამყვანი ვიყავი. ჩემს რადიოსტუდიას „სითბოს კუნძული“ ერქვა, ხოლო გადაცემას — „მზიანი ღამე“. ის პერიოდი ძალიან კარგად მახსენდება. ბავშვებს სხვადასხვა თემას ვთავაზობდი. რადიოს შემდეგ ხატვამ გამიტაცა. გამოფენა-გაყიდვებსაც ვაწყობდი. ძალიან მინდოდა, რომ ბავშვთა ქალაქ „მზიურში“ ყოველწლიურად ფესტივალი ჩამეტარებინა. დიდი გაჭირვებით ქალბატონ ქეთი დუმბაძეს დავუკავშირდი. მას ჩემი იდეა მოეწონა და ასე „დაიბადა“ „მზის ფესტივალი — მზიანი ღამე“.

— როგორც გატყობ, შენზე ნოდარ დუმბაძის გავლენა იგრძნობა.

— ნოდარ დუმბაძე ჩემთვის საყვარელ მწერალზე უფრო მეტია...

— ანა, ფოტოების გადაღებებით საერთოდ, რა ასაკიდან დაინტერესდი?

— ერთხელ ჩემმა მეგობარმა ნინო ქათამაძემ მკითხა, ფოტოების გადაღება არ გიცდიაო? ამ საქმისკენ მან მიბიძგა. ფოტოაპარატიც კი მათხოვა. მერე ნელ-ნელა გადაღებები დავიწყე. ჩემს პირველ გამოფენას — „ფერები მონაფერები“ დავარქვი. როცა ამ გამოფენისთვის ფოტოებს ვიღებდი, რამდენიმე მათგანის სტუდიაში გადაღებაც მომიხდა. ამისთვის კი სტუდიური განათება იყო საჭირო და დასახმარებლად, „ბინასტუდიას“ მივმართე. დღეს კი მათი თანამშრომელი ვარ... გადაღება ჩემით ვისწავლე, თავიდან ვერთობოდი, შემდეგ სერიოზულად დავინტერესდი.

— როგორც ვიცი, ეტლით ბავშვობიდანვე გადაადგილდები. სკოლაში თუ დადიოდი?

— მაშინ ადაპტირებული სკოლები ნაკლებად არსებობდა. ამ სისტემას ახლა უფრო აწყობენ. მე ჩვეულებრივ სკოლაში ვსწავლობდი, ბოლო წლებში კი მასწავლებლები ჩემთან სახლში თვითონ მოდიოდნენ.

— კიდევ რა გიტაცებს?

— ბავშვობაში ვქარგავდი. ძალიან მიყვარს მუსიკაც.

— თავისუფალ დროს რით ერთობი?

— ხან მეგობრებთან ერთად ვარ, ხან ვკითხულობ. ბევრი საყვარელი ავტორი მყავს. მაგრამ ყველაზე მეტად ვინც მიყვარს, უკვე გითხარი... „მზის ფესტივალს“ ამიტომაც ვატარებ. მინდა, „მზიური“ ერთი დღით მაინც დაემსგავსოს ნამდვილ ბავშვთა ქალაქს, რომ ყველამ დაინახოს ის მზე, რომელზეც დუმბაძე წერდა. პირველ წელს მინდოდა, ეტლს მიჯაჭვული ბავშვებიც მომეყვანა. სამწუხაროდ, მხოლოდ ისეთები მოვიდნენ, რომლებიც გონებრივად არიან შეზღუდულები.

— რატომ?

— დაკომპლექსებული არიან... როდესაც ეტლს მიჯაჭვული ადამიანი ქუჩაში გადიხარ, საზოგადოებრივი ტრანსპორტით ვერ მგზავრობ, რადგან პანდუსები არ არის. ვერც შენობებში შედიხარ, მუდმივად ვიღაცის დახმარება გჭირდება, სულ გესმის შენი მისამართით ნათქვამი სიტყვები: „ვაიმე, შვილო!“, „მეცოდები“... ეს ყველაფერი საბოლოო ჯამში, ჩვენნაირ ადამიანებზე ცუდად აისახება, ბევრი ამის გამო სახლშიც იკეტება, გარეთ გასვლის სურვილი აღარ უჩნდება.

— ჩვენში ეტლი უამრავ ადამიანს სჭირდება. საქართველოში ხარისხიანი ეტლის შეძენა შესაძლებელი თუ არის?

— საერთოდ, ეტლი მრავალნაირია: მასიური, აქტიური, ელექტრო და ა.შ. ეტლები სახელმწიფომ უფასოდაც დაგვირიგა, მაგრამ ისინი აქტიური ადამიანისთვის აბსოლუტურად გამოუსადეგარია. მე ასეთი 3 ეტლი მაქვს და ვერც ერთს ვერ ვიყენებ.

არაკომფორტული და უხეშია. ახლახან შეიქმნა კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის“. მისი მხარდაჭერით, თითოეული ადამიანისთვის ინდივიდუალურად მოხდება ეტლის აწყობა. ალბათ ის უკეთესი ხარისხის იქნება და პრობლემაც მოიხსნება. ეტლი, რომელშიც ახლა მე ვზივარ, საზღვარგარეთიდან გამოვიწერე...

— როგორია ეტლიდან დანახული სამყარო?

— ჩვეულებრივი. ყველაფერს ისე აღვიქვამ, როგორც ჯანმრთელი ადამიანები აღიქვამენ.

— რაზე ოცნებობ?

— პარიზში ყავის დასალევად მინდა გავფრინდე (*იცინის*). ეს — ხუმრობით. საერთოდ, ნიუიორკში მინდა წასვლა, უცხო გარემოში, უცხო ხალხის ნახვა მინდა და ეგვიპტეში მოგზაურობაც. არარეალურზე არასდროს ვფიქრობ. მე ოცნებას მიზანს ვუწოდებ! თუ მიზანს ვერ მივაღწიე, ე.ი. სათანადოდ არ მნდომებია და მხოლოდ ზედაპირული სურვილი ყოფილა.

— ძლიერი ადამიანი ჩანხარ!..

— მოთმინების უნარი და შრომისმოყვარეობა — ესაა ჩემი ხასიათის ძლიერი მხარეები.

— ანუ შენთვის შრომა — სიამოვნებაა?

— დიახ. მინდა, სულ დაკავებული და რეალიზებული ვიყო.

— ანა, შეყვარებული ხარ?

— ახლა არა (*იცინის*).

— ...

— რა თქმა უნდა, მყვარებია. ის სიყვარული წარსულში დარჩა.

— მეტს არაფერს მეტყვი?

— მეტი რა გითხრა?! უკვე დამთავრდა...

— ოჯახის შექმნაზე გიფიქრია?

— რა თქმა უნდა, მიფიქრია... (პაუზის შემდეგ) როგორც უფალი ინებებს, ისე იქნება.

— შენს სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვი?

— ვნახოთ, ეს პროექტი რამდენად წარმატებული იქნება. ახლა გამოფენამ კინოთეატრ „ამირანში“ გადაინაცვლა. არ მინდოდა, გამოფენა 3 დეკემბერს — ინვალიდების დღეს დამთხვეოდა. საქართველოში ხომ ასეა: პრობლემას მხოლოდ 1 დღით იხსენებენ და მერე ივიწყებენ... მომავალი პროექტის იდეა მაქვს, ალბათ მას 1 წელიწადში განვახორციელებ. მასში მხოლოდ ქალბატონები როდი მიიღებენ მონაწილეობას, უფრო მასშტაბური იქნება და საზოგადოების ყველა ფენას მოიცავს. ჯერჯერობით მეტს ვერაფერს გეტყვით...

■



შოკოლადით „მოქრთამული“ მომღერალი და „ჯადოსნური გზით“ დაწყებული კარიერა

უკვე ყოფილ „ჯეოსტარელ“ მამუკა გორგილაძეს, რომელიც გურიას წარმოადგენდა, ჟიურის წევრები ხშირად აკრიტიკებდნენ ისევე, როგორც დანარჩენ მონაწილეებს, მაგრამ მას შემდეგ, რაც მამუკამ ხალხური სიმღერა შეასრულა, აღფრთოვანება ვერ დაფარეს და ურჩიეს, მომავალში ამ ჟანრში ემღერა. მამუკამ მოწონება დაიმსახურა თუ არა, იმავე დღეს პროექტის დატოვება მოუხდა. მიუხედავად ამისა, გული არ დასწყვეტია — ის მომღერალმა გიორგი უშიკიშვილმა ანსამბლ „ლაშარში“ მიიწვია და ახლა, „ჯეოსტარელი“ გამოცდილ მომღერლებთან მეცადინეობს, ახლო მომავალში კი იმედია, მას დიდ სცენაზე, ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებლებთან ერთად ვიხილავთ.

„იდეალური ქალი ვერ ვიპოვე...“

ლიკა ქაჯაია

— დავიბადე გურიაში. პატარაობიდანვე ვმღერი, საცხოვრებლად თბილისში გადმოსვლის შემდეგ კი, დაახლოებით, 7 წლის ასაკში მიმიყვანეს ანსამბლ „ჯადოსნურ გზებში“, სადაც ჩემი პედაგოგი ქალბატონი მანანა მერაბიშვილი გახლდათ. მოგვიანებით ქალბატონ ირმა ღვინიაშვილთან, დღეს-დღეობით კი ბატონ გია ნაცვლიშვილთან ვმეცადინეობ და ფაქტობრივად, მისი დამსახურებაა, „ჯეოსტარში“ რაიმეს თუ მივაღწიე.

— „ჯეოსტარში“ მონაწილეობა რამ გადაგაწყვეტინა? შენი აზრით, საქართველოში სხვა „პრასვეტი“ არ არის?

— სხვა „პრასვეტი“ როგორ არაა, მაგრამ მე, პირველ რიგში, დიდ სცენაზე დგომის და საკუთარი ძალების მოსინჯვის სურვილი მქონდა, ამის შანსს კი სწორედ „ჯეოსტარი“ მაძლევდა...

— შენი აზრით, ამ პროექტში გადაწყვეტილებებს სამართლიანად იღებენ?

— „ჯეოსტარს“ ადრეც ვადევნებდი თვალს და სამართლიანი გადაწყვეტილებები რომ არ მიეღოთ, მასში მონაწილეობის სურვილი არ გამიჩნდებოდა. ვფიქრობ, წლევანდელ „ჯეოსტარშიც“ ყველაფერი სამართლიანად ხდება და მეც მაშინ გამოვვარდი, როცა უნდა გამოვვარდნილიყავი.



პუტკუნა კი ვიყავი, მაგრამ არაფრის ჭამას არ მიკრძალავდნენ

სიამოვნებით მივბაძავდი ჯორჯ ბენსონს

— არა მგონია, „ჯეოსტარის“ დატოვების სურვილი გქონოდა...

— რა თქმა უნდა, ასეთი სურვილი არ მქონდა, მაგრამ მე მაინც მადლობელი ვარ — როგორც მომღერალმა, გამოცდილება მივიღე, რაღაცები ვისწავლე. მერწმუნეთ, ეს ბევრს ნიშნავს. თანაც, გიორგი უშიკიშვილმა „ლაშარში“ მიმიყვანა, რაც დიდი მიღწევაა. მინდა, შემთხვევით ვისარგებლო და ბატონ გიორგის კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა ვუთხრა... სხვათა შორის, ხალხურ სიმღერებს ყოველთვის ვუსმენდი, მაგრამ ამ ჟანრში საკუთარი ძალების მოსინჯვა არასდროს მიცდია. ახლა კი მივხვდი, რომ ეს ჩემი სტილია.

— ყველაფერთან ერთად, პოპულარულიც გახდი, არა?

— პოპულარული ვარ-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ ქუჩაში ნამდვილად მცნობენ, მესალმებიან, თვალს მაყოლებენ, რაც ძალიან სასიამოვნოა.

— ის ადამიანები, რომლებიც „ჯეოსტარს“ თვალყურს ადევნებენ, ხშირად აკრიტიკებენ ავთანდილ ცქვიტინიძეს და „ნატალის“ სტილისტს, რომელიც თქვენს იმიჯზე ზრუნავდა...

— არ ვიცი, ამ საკითხთან დაკავშირებით სხვები რას ამბობენ, მაგრამ მე მათი გემოვნება ძალიანაც მომწონდა და მიმაჩნია, რომ ისინი ჩვენს იმიჯზე არაჩვეულებრივად ზრუნავდნენ...

— რომელიმე ქართველი მომღერლის მიბაძვა თუ გიცდია?

— საქართველოში არიან მომღერლები, რომელთაც დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მათთვის მიბაძვის სურვილი არ გამჩენია.

— არასდროს არავის ფანი არ ყოფილხარ?

— ვგიჟდები ჯორჯ ბენსონზე, სტივ უანდერზე, ერიკ კლაპტონზე. სიამოვნებით მივბაძავდი ჯორჯ ბენსონს. ჩემი ფანობა იმაში გამოიხატებოდა, რომ გამუდმებით მათ სიმღერებს ვეძებდი, ვუსმენდი, პლაკატების შეგროვება და მსგავსი რაღაცები კი არ მიცდია.

— ქუჩაში გასულს, ფანები რომ შემოგეხვიონ და ავტოგრაფები გთხოვონ...

— ძალიან გამიხარდება და მათ ამისთვის მადლობასაც გადავუხდი.

— მამუკა, როგორი ბავშვი იყავი?

— რა თქმა უნდა, ცელქი გახლდით. მახსოვს, სცენაზე სამღერად ისე არ გავიდოდი, შოკოლადს თუ არ მომიტანდნენ.

— რატომ? სხვა დროს შოკოლადს გიმალავდნენ?

— არა, პუტკუნა კი ვიყავი, მაგრამ არაფრის ჭამას არ მიკრძალავდნენ.

— როგორი მოსწავლე იყავი?

— ზრდილობიანი, მაგრამ ზარმაცი. მხოლოდ გართობაზე, მეგობრებთან ერთად სეირნობასა და ფეხბურთის თამაშზე ვფიქრობდი. გამუდმებით „შატალოს“ ვაწყობდით და სკოლიდან ვიპარებოდით. მივდიოდით ფეხბურთის სათამაშოდ, ზოგჯერ კი — საქეიფოდაც. ჩვენთვის ქეიფი მაინცდამაინც სმასთან არ ასოცირდებოდა. ქეიფისას კარგადაც უნდა გაერთო, იმღერო, იცეკვო და ა.შ. სუფრას ლექსებიც უხდება.

— „შატალოს“ გამო არავინ გსჯიდათ?

— მასწავლებლები მოიწვევდნენ ხოლმე მშობელთა კრებას, მერე კი მშობლები ცდილობდნენ, ჩვენთვის ჭკუა ესწავლებინათ. თუმცა, ამის გამო არავის

ვუცემივარ. სხვათა შორის, ისინი არც არაფერს მიკრძალავდნენ. უბრალოდ, შინ ძალიან გვიან თუ მივიდოდი, მისაყვედურებდნენ.

— თუ იყო ისეთი საგანი, რომელსაც გამორჩეულად სწავლობდი?

— სწავლის რა მოგახსენო, მაგრამ ისტორიის გაკვეთილზე ყოფნა მომწონდა. აი, რუსულის გაკვეთილს კი თითქმის ყოველთვის ვაცდენდი.

— ახლა თუ გიყვარს რუსული ენა?

— არც ახლა მიყვარს, მაგრამ დრო რომ მქონდეს, მაინც სიამოვნებით ვისწავლიდი... როცა რაიმეს გაკეთებას გადავწყვეტ, მიზნის მისაღწევად უკან არაფერზე დავიხევ.

— რას ნიშნავს ბიჭისთვის „ქუჩის აკადემია“?

— ბიჭმა ქუჩაც უნდა იცოდეს, მაგრამ მთელი დღე იქ დგომაც არაა საჭირო. ამ „აკადემიაში“ დიდ გამოცდილებას იძენ. პირადად მე, სწორედ იქ ვისწავლე ადამიანებთან ურთიერთობა, ზრდილობა. ცუდი მაგალითები რომ არ აიღო, ამისთვის ნებისყოფაა საჭირო. ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ წრესაც, რომელშიც ტრიალებ. მშობლებსა და ოჯახზეც ბევრი რამაა დამოკიდებული — შვილი ყოველთვის იმას აკეთებს, რასაც ხედავს.

— შენი აზრით, მშობელმა შვილი უნდა აკონტროლოს?

— რა თქმა უნდა, სხვანაირად არაფერი გამოვა. თავის დროზე მეც მაკონტროლებდნენ, მაგრამ ისე, რომ ამას ვერც ვგრძნობდი.

— 1 წელია, რაც თინეიჯერობის ასაკიდან გამოხვედი. როგორ ფიქრობ, შენი თაობის ადამიანები უწიგნურები არიან?

— არა, ჩვენ „ბნელი“ ადამიანები ნამდვილად არ ვართ. ვაღიარებ, წიგნს იშვიათად ვკითხულობ, მაგრამ კომპიუტერთანაც იშვიათად ვჯდები და მაშინაც სიმღერებს ვუსმენ, ახალი ინფორმაციების ძიებაში ვარ.

— მამუკა, შეყვარებული გყავს?

— არა, შეყვარებული არ მყავს. სხვათა შორის, ბევრი გოგო მომწონდა, მაგრამ შეყვარებული არასდროს მყოლია.

— რატომ, უგრძნობი ხარ?

— (*იცინის*) არა, უგრძნობი არ ვარ. უბრალოდ, იდეალური ქალი ვერ ვიპოვე.

— მაინც, როგორ ქალს ეძებ?

— პირველ რიგში, უნდა იყოს ნამდვილი ქართველი, ტრადიციების მოყვარული, კარგი ოჯახის შვილი და განათლებული, ოღონდ — ზომიერად (*იცინის*). გარეგნობას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, მახინჯი არ იყოს. არც იმას აქვს მნიშვნელობა, ქერა იქნება თუ შავგვრემანი. მინდა, მის გარშემო მხოლოდ ნორმალური ადამიანები ტრიალებდნენ.

— ასეთი იდეალური ქალი სადმე არსებობს?

— როგორ არა, მაგრამ კარგად უნდა მოძებნო (*იცინის*). თუმცა, მე არავის დავუწყებ ძებნას. ხომ გაგიგონია, — სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო.

— ამ სტატიას ვინმე რომ გამოეხმაუროს და გითხრას, — ისეთი გოგო ვარ, როგორსაც ეძებო, შეხვდები?

— არ შევხვდები, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ვისაც მე ვეძებ, ასე არ მოიქცევა.

— ანუ?

— ქალი, რომელიც ვიღაცის სტატიას გამოეხმარება და ეტყვის, — ცოლად მომიყვანეო, ტრადიციების მიმდევარი ვერ იქნება. ასეთი რაღაცები არ მომწონს.

— ოდესმე ქალისთვის თუ გიმღერია?

— ბევრი ქალისთვის მიმღერია, ოღონდ, მთელი გულით არა... სიყვარულის გამო ბევრ რამეს გააკეთებს კაცი, მაგრამ არ მესმის მათი, ვინც ვენებს იჭრის და თვითმკვლელობაზე ფიქრობს.

— ჩხუბისთავი ხარ?

— ჩხუბისთავი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ბევრჯერ მიჩხუბია. სხვათა შორის, ვიღაცების მსგავსად, იარაღიც არასდროს მიტარებია.

— შენ გამო გოგონებმა რომ იჩხუბონ, როგორი რეაქცია გექნება?

— გოგონებს შორის დაძაბულ ჩხუბს არასდროს შევსწრებივარ და იმედია, არც შევესწრები... ალბათ, მოჩხუბრებს ვეტყვი, რომ შეეშვან ერთმანეთს. აბა, სხვა რა უნდა ვქნა? ისეთ გოგოს, რომელიც ჩემ გამო იჩხუბებს და მეორეს თმაში სწვდება, თუნდაც ძალიან მიყვარდეს, ცოლად არ მოვიყვან, მასზე შთაბეჭდილება დამეკარგება. ვფიქრობ, გოგონებს შორის „საქმის გარჩევა“ არანორმალური საქციელია.

— რას ურჩევ დამწყებ მომღერლებს და ზოგადად, თინეიჯერებს?

— თავს ისეთ მომღერლად არ მივიჩნევ, რომელსაც შეუძლია, ვიღაცას რჩევა მისცეს. კარგი იქნება, თუ ძალიან ბევრს იმეცადინებენ, არ იზარმაცებენ და ასეთ შემთხვევაში, ყველაფერი გამოუვათ. ყველას ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ძალიან ბევრ სიხარულს ვუსურვებ. ■

„თავიდანვე გადაწყვეტილი იყო, ვინ გახდება „ჯეოსტარი“

„ჯეოსტარიდან“ სოფო ბედიას გავარდნამ ფორუმებზე დიდი აყალმაყალი გამოიწვია. ზოგი ამბობდა, — საქმე ჩაწყობილია და ყველაფერი წინასწარვეა დაგეგმილი, „ესემესებს“ ხალხს კი აგზავნინებენ, მაგრამ ვინ იცის, ხმების დამთვლელი რას ცუღლუტობსო? სხვები ამბობდნენ, რომ პროექტში გოგონების გამარჯვება არავის აძლევს ხელს, ვიღაცის აზრით კი ყველაფერი სამართლიანად ხდება. ერთ-ერთ ფორუმზე „ჯეოფანები“ ასე ჭორაობდნენ:

„რაც არ გერგება, არ შეგერგება...“

სოფოს საშინლად კი ეცვა, მაგრამ ამკარად, კარგად იმღერა

ჯეოსტარი 2009:

„წავედი, აბა, „ჯეოსტარზე“ და იმედია, კმაყოფილი დავბრუნდები :)“.

ვარე:

„დღეს ხალხმა ობიექტურად თუ დაამესიჯა, პროექტი „დიდმა ჯაზმენმა“, მანიამ უნდა დატოვოს. აი, დანარჩენი სამიდან კი, თუ თავადაც ობიექტური ვიქნები, რომელიმეს გამორჩევა გამიჭირდება. ისე, ძალიან მინდა, სოფომ გაიმარჯვოს“.

თამ-ა:

„აუ, დათუნა, რა გჭირს? ნუთუ, დაიღალე? რაღაც, დათრგუნვილი მეჩვენება, არადა, როგორ ვგულშემატკივრობ... აუფ, ნოდიკო ჩემს საყვარელ სიმღერას მღერის. გენაცვალე“.

ლანამინდელი:

„არანაკლები სიმღერა შეასრულა სოფომ. ნოდოს მუსიკა („ტოესტ“, ბენდი) „უქაჩავს“... მანიამ კიდე, გააბანძა „ბითლზის“ „ელპ“!“

ვარე:

„სოფომ ჩემი უსაყვარლესი სიმღერა შეასრულა და არცთუ ურიგოდ... ნეტავ, მართლა ფიქრობენ, რომ ეს მანია კარგად მღერის? გადავირიე, რა. არა, მართლა კარგი ახალგაზრდა ჩანს, მისგან დადებითი ენერგია მოდის, მაგრამ კარგად ნამდვილად ვერ მღერის“.

თამ-ა:

„ვაიმე, დათუნა... ა, ბაღანა, ამევისუნთქე... მარინამ რაცხა ისე უთხრა ვაჟას, ჰმ... ნუ, დათუნა მართლა ნერვიულობს, ეს აშკარაა“.

ლანამინდელი:

„აი, ამიტომ არ უნდა ფასდებოდეს ხელოვნებასთან დაკავშირებული კონკურსი „ესემესებით“!!! დღეს (და არა მარტო დღეს) მსმენელის დონე ნულის ტოლია“.

თამ-ა:

„ეეე, სოფოოო... აი, ფუ, რა, მართლა ფუუუ! სულ ვერიდებოდი ამის თქმას, მაგრამ სადაა სამართალი — ვაჟა დარჩა და სოფო გავარდა“.

ლანამინდელი:

„დღეს მანია უნდა გაეგდოთ, რადგანაც ყველაზე ცუდად იმღერა“.

ვარე:

„რა უსინდისოა ეს ხალხი, რა. კაცო, თუ მუსიკის არაფერი გაგეგება, ნურავის მისცემ ხმას. აბა, მანია უნდა დარჩეს და სოფო წავიდეს?..“

თამ-ა:

„რაის ხალხი, მთელი აფხაზეთის მთავრობა უმესიჯებს ვაჟიკოს. არ თქვათ, ახლა, არაო, მე მაინც ვერ „დამაბოლებთ“, რიგი მიზეზების გამო“.

ლანამინდელი:

„100%-იან!!! პოლიტიკაა, პოლიტიკაააა...“

ვარე:

„უკაცრავად და მე გიპირებ „დაბოლებას“? ან აფხაზეთის მთავრობა ხალხი არ არის? რაღაც, გაუგებრად ლაპარაკობ, თამ-ა“.

თამ-ა:

„შენ არა, ვაჟას გულშემატკივრები ამბობენ, ცდებითო. აფხაზეთის მთავრობაში ვგულისხმობ აფხაზეთიდან დევნილ იმ ადამიანებს, რომლებიც ხელისუფლებაში არიან“.

ვარე:

„მერე, ისინი ხალხის კატეგორიაში არ გადიან?“

თამ-ა:

„ხალხის კატეგორიას ფული აქვს? მგონი, ნაკლებად, აბა, გააჩერე ქუჩაში ვინმე რიგითი მოქალაქე და ჰკითხე, „ჯეოსტარში“ რამდენი მესიჯი გაგზავნა?..“

ანტიმანია:

„აუ, ხალხო, ვაჟა არა, ჯემალი, ეგ როგორ უნდა გახდეს „ჯეოსტარი“? აფერისტების შოუა, რა...“

GV@NTS:

„მარიამი რომ გააგდეს, სამეგრელოს წარმომადგენელი, მაშინ გავიფიქრე, — ეს კონკურსი ძალიან ცუდად დაიწყო-მეთქი“.

თამ-ა:

„ერთ მეგრელს უთქვამს: ნაწყენი ვარ სოფოზე. სამეგრელოს სახელით რომ არ გამოვიდა, აღარ დავუმესიჯებო. მოკლედ, რა ლოგიკაა, რა. საინტერესოა, ლიკლიკაძეს რატომ არ დაუმესიჯეს, მეგრული გვარი რომ არ ჰქონდა?.. ერთი მანიაა აფხაზური გვარი და მეორე ჩემი გვარია გურული“.

მისის 2010:

„უსამართლობა რომ მოხდებოდა, ამას მაშინ მივხვდი, როცა შესარჩევი ტურიდან პაატა ყიფშიძე გააგდეს (მოისმინეთ მისი სიმღერა თბილისის შესარჩევ ტურში და დარწმუნდებით). ბერიძეს და მის „შანტრაბას“ თავიდანვე გადაწყვეტილი ჰქონდათ, თუ ვინ უნდა გახდეს „ჯეოსტარი“... ხალხი არაფერ შუაშია, აქ დიდი ბიზნესია და სპონსორები წყვეტენ ყველაფერს. სოფო ჩემ ირგვლივ ყველას მოსწონს, მანია კი — ნაკლებად“.

მაგენ-დავიდ:

„ბუბა მაგარ სადღეგრძელოებს იძახის ხოლმე :)... ეჰ, ჩემი სიმპათია გავარდა?! სოფოს გამო შევდიოდი „ჯეოსტარზე“ და ახლა, ჭოლას საყურებლად ნაღდად აღარ შევალ“.

მისის 2010:

„ვფიქრობ, აფხაზეთი არაფერ შუაშია. რა, წინა წლებში არ იყვნენ აფხაზეთიდან დევნილები? უბრალოდ, მარინას უნდა, ვაჟას გაიყვანოს და სხვებსაც „აბოლებს“, ვითომ მართლა ძალიან მოსწონს და მართლა საუკეთესოა. აქ სხვა რაღაც ხდება, აფხაზეთი არაფერ შუაშია... ვაჟა, იცოდე, რაც არ გერგება, არ შეგერგება!.. სოფო, გული არ გაიტეხო, შენ ყველაზე მთავარი მოიპოვე — ხალხის სიყვარული“.

მანია:

„რამდენიმე კომენტარზე გამეცინა და არც ისე შორეული წარსული გამახსენდა. თამ-ა, ჩემო კარგო, რომ ამბობ, — ვაჟა დარჩა და სოფო წავიდაო, ეგრე ხომ თავის დროზე მამუკაც დარჩა და ცხვარიაშვილი, ლიკლიკაძე წავიდა! ნუ, ცხვაროზე განსაკუთრებული აქცენტი მაქვს, რადგანაც მიმაჩნია, რომ ნაადრევად დატოვა პროექტი. მანია მეგრული გვარია, მაგრამ ვაჟა წარმოშობით აფხაზეთიდანაა და ომამდე იქ ცხოვრობდა. ის აფხაზი არაა, ქართველია!.. აფხაზეთის მთავრობა უმესიჯებსო, რომ ამბობთ, ეგ რომელი, დე ფაქტო? იქნებ, თავად ბაღაფში უმესიჯებს? აქამდე მხოლოდ საკაშვილი რეკავდა და რა ვიცი :)...“

პატუ-პატუ:

„პირველ ნაწილს ვუყურე. სოფოს საშინლად კი ეცვა, მაგრამ აშკარად, კარგად იმღერა“.

თამ-ა:

„მანიი, მე ვამბობ, რომ მამუკა მაგარი იყო?.. აი, სოფო კი მართლა მაგარია“.

ნენ:

„დათუნა აუცილებლად გაიმარჯვებს!“

ჯეოსტარი 2009:

„ნოდიკოს ორივე გამოსვლა ძალიან მაგარი იყო, მთელი დარბაზი ფეხზე იდგა :). მიუხედავად იმისა, რომ გაცივებულია და ყელი სტკივა, ნოტები მაგრად აიღო. სირცხვილი იქნება, ნოდიკომ რომ არ გაიმარჯვოს... ვაჟა ნამდვილად არ იმსახურებდა ლიდერობას. სირცხვილია, სოფო რომ გავარდა... ალბათ, შემდეგ ტურში დათუნას დავემშვიდობებით.“

ლელი:

„საშინელი იყო ეს ტური. მანია ასე ცუდად თუ მღეროდა, ნამდვილად არ მეგონა... ჰალპ ასეთი ცუდი შესრულებით არსად მომისმენია. ყველას სოფო სჯობდა... ახლა ნოდიკოს სასარგებლოდ ავწევ ხელს. ნეტავ, ფინალში დათუნა და ნოდიკო შეხვდებიან ერთმანეთს? ვფიქრობ, ორივე ღირსეულია“.

ჯეოსტარი 2009:

„ძალიან მინდა, შემდეგ ტურში ვაჟა გავარდეს, მაგრამ ვიცი, ასე არ მოხდება. ჩემი ვარაუდით, ორშაბათს დათუნას დავემშვიდობებით...“

■



ძალიან მინდა, შემდეგ ტურში ვაჟა გავარდეს

ნოდიკო ჩემს საყვარელ სიმღერას მღერის

დათუნა მართლა ნერვიულობს, ეს აშკარაა

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

პირამიდებში

იქ, სადაც სდუმან პირამიდები,
მზის ქორწილის დროს მე დავწვები
მზისფერ სილაზე,
იქ, სადაც სდუმან პირამიდები,
შენ მომინდები,
შენი თვალები, შენი მკლავები,
შენი სინაზე...

შენ მოგაფრენს ცხენი არაბული,
თვალებ დანაბული,
საყვარელ ხელებს მივეცემი,
როგორც ნაზ საწოლს
და შენ დამკოცნი, ვით დედოფალს,
ვით მონას და ცოლს.

ტკბილი იქნება ცხელ სილაზე
ჩვენი თამაში,
მზიურებს მაშინ არაფერი
მოგვაგონდება...
პირამიდებში ატირდება
ლოდინით რაში,
ლურჯ სფინქსთან მივა, დიდხანს
უცქერს და დაღონდება.

სილიან ტანით მდინარისკენ
გავეშურებით
მწვანე ტალღებში, დავამშვიდებთ
ჩვენს ვნებას ალურს;
გამოფხიზლდება შენი რაში
სფინქსის ყურებით,
დაუწყებს ძებნას უდაბნოში
თავის სიყვარულს.

პაოლო იაშვილი

პატარა ლექსიკონი

ხშირად ვამბობთ:

ფილმმა მოწონება დაიმსახურა

არადა, რაიმეს დამსახურება მხოლოდ ადამიანს შეუძლია;

უნდა ვთქვათ:

ფილმს მოწონება ხვდა წილად

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი
იხ. „გზა“ №37-50

გოჩა მანველიძე

დილით გოგა ხმაურმა გამოაღვიძა. სასტუმრო ოთახში რამდენიმე ადამიანი კამათობდა. ხმაურით შეშინებულმა მაშინვე, სახლის უკანა კარიდან გასვლა და გაქცევა გადაწყვიტა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ კამათი მას არ ეხებოდა.

ის იყო, საწოლიდან ადგა და ტანსაცმელი ჩაიცვა, რომ ოთახში ერეკლე შემოვიდა.

— სტუმრები გყავს? — ჰკითხა გოგამ.

— ჰო, შინაურები არიან... სასტუმრო ოთახში გამოდი. სერიოზულ საქმეზე ვლაპარაკობთ.

— რამე მოხდა?

— მოხდა.

— რა?

— იქ გაიგებ, — უპასუხა ერეკლემ და კარისკენ მიბრუნდა.

სასტუმრო ოთახში ექვს ახალგაზრდას მოეყარა თავი. მათი აღელვებული საუბარი და გამომეტყველება იმაზე მიუთითებდა, რომ თავშეყრას სერიოზული მიზეზი უნდა ჰქონოდა. მიზეზი კი მართლაც, განსაკუთრებული აღმოჩნდა. ცოტა ხნის წინ საინფორმაციო საშუალებებს აფხაზეთის ხელისუფლების საგანგებო განცხადება გაევრცელებინა. ამ განცხადების თანახმად, მთავრობა აღადგენდა აფხაზეთის 1925 წლის კონსტიტუციას, რაც დანარჩენი საქართველოსგან აფხაზეთის ჩამოშორების ტოლფასი იყო.

— ნაბიჭვრები! მაინც მიაღწიეს თავისას!.. — ბრაზით განაგრძო ერეკლეს ერთ-ერთმა მეგობარმა.

— ძალიან დიდხანს უსვეს თავზე ხელი! — მხარი აუბა მეორემ. — ტელევიზია... უნივერსიტეტი... თანამდებობები და მათაც გაეხსნათ მადა!..

— ახლა აღარ ღირს ამაზე ლაპარაკი. მოსახდენი მოხდა. ეს ძირმაგარა ძალიან დიდი ხნის მომწიფებული იყო. ახლა გასკდა და ჩირქად მოედო მთელ ქვეყანას, — ჩაილაპარაკა ერეკლემ. — ცუდად არის საქმე, ძალიან ცუდად. ეს ამბავი ასე უბრალოდ არ ჩაივლის. ამას ისეთივე ომი მოჰყვება, როგორიც ცხინვალში იყო!

— არა, აქ ეგეთი რამ არ მოხდება, — განაგრძო მეორემ, — აფხაზეთი ცხინვალი არ არის, აქ სხვა სიტუაციაა. რუსები თვითონ მოაყომარებენ აფხაზებს!

— კარგი, რა, თუ ძმა ხარ! — ხელი ჩაიქნია ერეკლემ. — აზრზე ხარ, რას ამბობ?! რუსი არასოდეს დადგება ჩვენ მხარეს!

— ჩვენ მხარეს დადგომას არავინ სთხოვს. უბრალოდ, თავი დაგვანებოს, გვერდზე გადგეს და ჩვენს საქმეს ჩვენ თვითონ მივხედავთ!

— ეგ ყველაფერი ბავშვური ბაზარია. აფხაზებს რუსების იმედი რომ არ ჰქონოდათ, ამდენს ვერ გაბედავდნენ! — თქვა ერეკლემ.

— ახლა სხვა სიტუაციაა. რუსს სხვა გზა არა აქვს. ჩვენი მხარე თუ არ დაიჭირა, თავის საქმეს გაიფუჭებს, — განაგრძეს სასტუმრო ოთახში.

— რომელ საქმეს გაიფუჭებს?

— ვერ ხედავთ, რა ხდება ჩრდილო კავკასიაში?! ჩეჩნებმა საერთოდ, „დაადეს“ რუსებს. მალე მაგათ მთელი ჩრდილო კავკასია მიჰყვება — დაღესტანი, ყაბარდო, ინგუშეთი... რაღაც ახალი კავშირიც შექმნეს — „მთიელ ხალხთა კონფედერაცია“ და ეგ სირები თავიანთ დედაქალაქად სოხუმს აცხადებენ. რუსები მაგათ არ გააბლატავებენ. პირიქით, ჩვენ დაგვიჭერენ მხარს, რომ მაგათ ერთიანად მოუღონ ბოლო. ჩვენ როგორც უნდა ვეჯავრებოდეთ, რუსეთი მაინც არ დაუშვებს თავის საზღვრებთან მუსლიმანების გაბლატავებას.

— არ დაუშვებს. ჩეჩნებთან ისედაც სერიოზული კონფლიქტი აქვთ და იმის მაგივრად, რომ ჩეჩნეთში ეომონ, აქეთ უბიძგებენ, — თქვა ერთ-ერთმა.

— მართალია, — დაეთანხმა მეორე, — რუსებმა ჩვენც და ჩრდილო-კავკასიელებსაც ერთი „ჩორტი“ შემოგვიგდეს და ჩვენი ხელით უნდათ მათი მორჯულება. ერთმანეთს დაგვატაკებენ, მერე კი ორივეს „ჭირისუფლებად“ დაგვიდგებიან!

— „ლიშნი“ ბაზარია. ჩრდილოკავკასიელები არასოდეს ყოფილან ჩვენი ძმები. გამსახურდიას მთავრობა დაუახლოვდა დუდაევს, თორემ სად გაგონილა, ჩვენი და მაგათი ახლობლობა?! ეგენი ჩვენი ძმები რომ ყოფილიყვნენ, რაღაც „კონფედერაციებზე“ არ დაიწყებდნენ ლაპარაკს და აფხაზებს თვითონ მოსთხოვდნენ ერთი ადგილის დაყენებას. აბა, ნახე, რა გამოდის: ჩვენ რუსებთან კონფლიქტში ვართ, თითქოს ეგენიც ეომებიან და იმის მაგივრად, რომ თავიანთ საქმეს მიხედონ, ჩვენ გვიბღვერენ და აქეთ მოიწევენ!

— მაგათი დედაც!.. — ბრაზით შეიგინა ერთ-ერთმა — აქ უნდა გაარჩიონ თავიანთი „ატნაშენიები“. წავიდნენ და გროზნოსა და მახაჭყალაში ხოცონ ერთმანეთი!

— ეს ხომ ბიჭბუჭების ჩხუბი არ არის, რომლებსაც თავის უბანში ურჩევნიათ საქმის გარჩევა. არავის უნდა თავის მიწაზე ომი. ყველას შენს ქალაქსა და ქვეყანაში ურჩევნია ურთიერთობის გარკვევა, — თქვა მეორემ.

— ტელევიზორში ვუყურე, როგორ იმუქრებოდა ბასაევი: ქართველები აფხაზებს თუ შეეხნენ, არ ვაპატიებთ, მთელი ჩეჩნეთი აფხაზებს დაეხმარებაო! — ჩაურთო ისევ პირველმა.

— გიჟია ეგ შობელძაღლი! — ბრაზით თქვა მესამემ. — თავისი საქმისთვის ვერ მოუვლიათ და აქეთ გამორბიან!

— მაგის „კაგებეშნიკი“ დედაც!.. ეგ მაგისთვის ბოლო ბლატაობა იქნება! — თქვა ისევ მესამემ.

— მაგრად შეცდა ჩვენი მთავრობა, როცა გვარდია აფხაზეთიდან გაიყვანა. ყარყარაშვილი აქ უნდა დარჩენილიყო. ლესელიძეში, საზღვარზე უნდა დამდგარიყო. მეტი არც უნდოდა არძინბას. ან ტრაკს დააყენებდა, ან კიდევ თვითონ მოშორდებოდა აქაურობას, — განაგრძო მეოთხემ. — ყარყარაშვილის გასვლის შემდეგ უფრო წამოყვეს თავი. ჯერ ის გვარდია თუ რაღაც სირობა შექმნეს, ახლა კი პირდაპირ ალაპარაკდნენ საქართველოდან გამოყოფაზე!

— დღეს დრო მათზე მუშაობს, —

მცირე ფიქრის შემდეგ თქვა ერეკლემ, — ხვალ... ზეგ... ერთი კვირის შემდეგ ვითარება უფრო მძიმე გახდება.

— რა უნდა გააკეთოს მთავრობამ? — ჩაილაპარაკა მისმა მეგობარმა. — ამათ სიტყვით ვეღარაფერს შეაგნებინებ, მათზე მარტო ძალა ჭრის! დღეიდან ყველამ უნდა დავივიწყოთ პირადული და ამ საქმეს მივხედოთ!

— თბილისში რას ლაპარაკობენ აფხაზებზე? — გოგას მიუბრუნდა ერთ-ერთი.

— ხალხის ლაპარაკს რა მნიშვნელობა აქვს?! მთავრობა მაინც თავისებურად გადაწყვეტს ყველაფერს.

— ეგ ისედაც გასაგებია, მაგრამ ხალხის აზრს მაინც აქვს მნიშვნელობა.

— ეშინიათ. ყველა ცხინვალის ამბების გამეორებას ელოდება, — თქვა გოგამ.

— როგორ თუ ცხინვალის?! — ბრაზით წამოიძახა ერეკლეს მეგობარმა. — რაა გასამეორებელი?! მიხტომა-მოხტომა, სახლების გადაწვა და ბოლოს რუსის ჯარის შემოყვანა?!

— ჩვენმა ხალხმა უკვე ნახა, რა არის ომი, — განაგრძო გოგამ, — არა მგონია, ვინმეს იმავეს გამეორება უნდოდეს.

— მაშ, რა ვქნათ? გულხელდაკრეფილი ველოდოთ, როდის გამოგვყრიან საკუთარი სახლებიდან?! — გახედა ერთ-ერთმა.

— გინახავთ ომი?.. — იკითხა გოგამ.

— შენ თუ გინახავს?

— თბილისში მქონდა მაგის „ბედნიერება“, — უპასუხა გოგამ.

— აქ ომი არ იქნება, — განაგრძო ერეკლეს მეგობარმა.

— მე ასე არ მგონია, — თქვა გოგამ, — ცხინვალშიც ასე იწყებოდა. ოსებმა ქაღალდზე წერით დაიწყეს ყველაფერი. თბილისიც იმავეთი პასუხობდა. იყვნენ ადამიანები, რომლებიც რაღაც ლეგენდებს ჰყვებოდნენ ქართველებისა და ოსების საუკუნოვან ძმობაზე. იყვნენ სხვებიც, რომლებიც მათ მუდმივ მოღალატეობას ამტკიცებდნენ... მოკლედ, განსხვავება მხოლოდ ერთშია: იმავე ტექსტებში ოსები აფხაზებმა ჩაანაცვლეს და შედეგიც იგივე იქნება — ომი!

— სადა აქვთ აფხაზებს მაგის თავი?! ერთად რომ მოუყარო თავი, „დინამოს“ სტადიონს ვერ შეავსებენ! — დაამატა ერთ-ერთმა.

— მსმენია, რომ რაღაც ჯარის მაგვარი სტრუქტურა შეუქმნიათ, — თქვა გოგამ.

— ჰო, „აფხაზურ გვარდიას“ ეძახიან. 500 კაცი იქნება. ეგენი ვერაფერს დააკლებენ ქართულ ჯარს.

— მაგათ ჯარიც არ უნდათ — ადგილობრივი ბიჭებიც გადაუვლიან!

— ოსებს ეგ 500 კაციც არ ჰყავდათ, — შენიშნა გოგამ, — მაგრამ მაინც იომეს!

— რუსები ეხმარებოდნენ.

— აქაც იგივე ხდება. რუსეთის მხარდაჭერის გარეშე, აფხაზები ასეთ რამეს ვერ გაბედავდნენ.

— შენ გგონია, თუ აფხაზებს წინააღმდეგობას გავუწევთ, რუსები დაგვცხებენ? — ჰკითხა ერეკლეს მეგობარმა.

— დარწმუნებული ვარ, რომ მათ დაეხმარებიან.

— მაშინ როგორ უნდა მოიქცეს ქართველობა?

— არ ვიცი, — თავი გაიქნია გოგამ, — ასეთი შემთხვევებისთვის მზა რეცეპტი ჯერ არავის შეუქმნია.

— შენ თვითონ როგორ მოიქცეოდი?.. აქ რომ შეხლა-შემოხლა დაიწყოს, იომებ?

— არა!

— არა?! — გაუკვირდა ერეკლეს მეგობარს. — გულხელდაკრეფილი იჯდები, როცა შენი ქვეყნის დანაკუწება დაიწყება?!

— ყველა არ იბადება გმირად. ეგ რომ მნდომოდა, სამხედრო გავხდებოდი და არა ექიმი. იმ ავანტიურაში, რომელიც კრემლის რომელიღაც კაბინეტში დაიგეგმა, სხვასაც არ ვურჩევ მონაწილეობას. ბავშვიც მიხვდება, რომ ეს დიდი ხნის წინ იყო დაგეგმილი. ისიც არაა სადავო, რომ რუსები აფხაზებს დაუჭერენ მხარს. საქართველოში კი ძალიან ბევრი გამოჩნდება ისეთი, რომელიც აფხაზებს იმ ხალხად მიიჩნევს, რომელიც „დინამოს“ სტადიონსაც ვერ შეავსებს“ და იარაღს დაუფიქრებლად აიღებს ხელში. რუსს კი რა ენაღვლება?! კრემლის კაბინეტიდან უნდა ადევნოს თვალი, როგორ დაიწყებენ ერთმანეთის ხოცვასა და თავიანთი ქალაქების მიწასთან გასწორებას ქართველები და აფხაზები!.. მაპატიეთ, რამე საწყენი თუ ვთქვი... — დაასრულა გოგამ და ისევ საძინებელს მიაშურა.

ერეკლეს გვიან ღამით აცნობეს მომხდარი უბედურების შესახებ: ვიღაცას სტავრო მძიმედ დაეჭრა. ის შემთხვევით გამვლელს გზის პირას

თავში დაჭრილი აღმოეჩინა და საავადმყოფოში მიეყვანა. ეს ახალ ათონში მოხდა. მოგვიანებით კი დაჭრილი სოხუმის საავადმყოფოში გადმოეყვანათ.

ერეკლე და გოგა მაშინვე საავადმყოფოში გაქანდნენ დაჭრილის მოსანახულებლად. მაგრამ ახალი ვერაფერი შეიტყვეს. მძიმე ოპერაციის შემდეგ, სტავრო გონს ვერ მოეგო და ექიმებს იმის თქმაც კი უჭირდათ, თუ რამდენ ხანს დარჩებოდა ასეთ მდგომარეობაში.

ორი კვირის შემდეგ სტავრო რეანიმაციიდან ჩვეულებრივ პალატაში გადაიყვანეს, სადაც შესაძლებელი გახდა მისი მონახულება. ერეკლე ფრთხილობდა, რომ გოგა შემთხვევით პოლიციას არ გადაჰყროდა. ამიტომაც საავადმყოფოში ღამით მისვლა გადაწყვიტა.

სტავრო მარტო იწვა პალატაში. მის გვერდით იმყოფებოდა დედამისიც, რომელიც დაჭრილს უვლიდა. ჭრილობასა და მძიმე ოპერაციას იმდენად შეეცვალა სტავრო, რომ ერეკლეს, მეგობრის ცნობაც კი გაუჭირდა. თვალები ჩასცვენოდა, უპეები ჩაშავებოდა, სახეზე კი წვერი მორეოდა.

გოგას დანახვაზე სტავრო შეკრთა. მერე კი გაოცებულმა გახედა ერეკლეს და ჰკითხა: ეს ვინ არისო?

— გეცნობა? — ერეკლე უმალ მიხვდა, ვისაც მიამსგავსა დაჭრილმა მისი სტუმარი.

— მეცნობა, — უპასუხა სტავრომ, მერე კი დედას სთხოვა: ერეკლესთვის რამდენიმე სიტყვა მაქვს სათქმელი და მარტო დაგვტოვეო.

დედამ უხმოდ დაუქნია თავი და პალატიდან გავიდა.

— ესაა შენი სტუმარი? — სტავრომ გოგას მიაპყრო მზერა.

— ესაა, — დაუდასტურა ერეკლემ.

— გასაოცარია... გაჭრილი ვაშლივით ჰგავს იმ ნაბიჭვარს, — ჩაილაპარაკა სტავრომ.

— ეს იმ აფხაზის ძმაა.

— აფხაზია? — ჰკითხა სტავრომ.

— არა, ქართველი. გოგა ჰქვია. თბილისელია.

— როგორ?! — გაუკვირდა სტავროს. — ერთი ძმა ქართველია და მეორე — აფხაზი?

— ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ასეა.

— მაგრად ჰგავს. ერთმანეთისგან ვერც გაარჩევ.

— რა მოხდა ახალ ათონში? — ჰკითხა ერეკლემ.

— ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც მაშინ მოვილაპარაკეთ. ახალ ათონში ნაცნობ აფხაზთან ჩავედი. რომანი ჰქვია. მოძველებიჭო ტიპია. შავებთანაც აქვს ურთ-

იერთობა. კარგად მიმიღო. წავიქეიფეთ. სუფრაზე აგიტაცია-პროპაგანდა დაიწყო. გამიკვირდა: კაცი შავს აწვება და რა პოლიტიკა აუტყდა-მეთქი?!

— რას გეუბნებოდა? — დაინტერესდა ერეკლე.

— რას მეტყოდა?.. ხომ ხედავ, რაც ხდებაო. ქართველები გვიპირისპირდებიან... ხიპიში თუ ატყდა, არ გაბრიყვდე და მაგათ არ მიემხროო. მაგათ ყველას დავახვევინებთ აფხაზეთიდან და ტყუილად არ გაიფუჭო თავიო. მე ვუთხარი, რომ არც ეგ ამბები მაინტერესებს და ვინმესთან რქენაობასაც არ ვაპირებ-მეთქი. ამასობაში სუფრას კიდევ რამდენიმე აფხაზი შემოუერთდა. ცოტა რომ შეთვრნენ, საქმეზე გადავედი. ისე, „მეჟდუ პროჩიმ“ ვთქვი, რაულ ხიჟბას ხომ არ იცნობთ-მეთქი? შევატყვე, რომ გაუკვირდათ. ერთმანეთს გადახედეს. მერე რომანმა მკითხა: შენ თუ იცნობ მაგ კაცსო? — არა-მეთქი, მაგრამ ვიღაცები მაწუხებენ, — ჩვენთან მაყუთი აქვს წაგებული და გვემალება!.. — მერე შენ რა შუაში ხარო? — გაუკვირდათ იმ აფხაზებს. მეც ავუხსენი, რომ ჩემი ნაცნობი ჰგონიათ და მთხოვენ, შეგვახვედრეო.

— დაიჯერეს?

— ვერ გეტყვი. ყოველ შემთხვევაში, არაფერი მაგრძნობინეს, — განაგრძო სტავრომ, — რომანმა მითხრა: რაღაც გეშლება, არ არის ხიჟბა ის კაცი, რომელიც მაყუთს წააგებს და მერე დაიმალებაო. არ მოვეშვი. ისევ იმ თემაზე გავაგრძელე ლაპარაკი, იქნებ რამე წამოვაცდენინო-მეთქი. ისიც ვთქვი, რომ ახალ ათონში ნათესავები ჰყოლია და იქნებ, მათი დახმარებით მივაწვდინო იმ კაცს სიტყვა-მეთქი, მაგრამ აფხაზები მასზე საუბარს გაურბოდნენ. მოკლედ, არაფერი გამოვიდა და მეც შევეშვი. უკვე გასაგები იყო, რომ იმაზე მეტს მაინც არაფერს მეტყოდნენ.

— ხიჟბა სად ნახე? — ჰკითხა ერეკლემ.

— თვითონ მომაკითხა. მეორე დღეს ნაცნობ აფხაზთან ერთად დამადგა თავზე.

— რომელ აფხაზთან? მე ხომ არ ვიცნობ?

— არა მგონია. გაგრელია, დიმა ჰქვია. სანატორიუმი „ისკრა“ იცი?

— ვიცი.

— იქ მუშაობს. ადმინისტრატორი თუ რაღაც ამდაგვარია.

— არა, ასეთს არავის ვიცნობ, — თავი გააქნია ერეკლემ.

— საღამო იყო, როცა ეგენი რომანის სახლში მოვიდნენ. შევატყვე, რომანს არ ესიამოვნა მათი სტუმრობა. რაღაც, საეჭვოდ ეჭირათ თავი. რომანი სახლიდან გაიყვანეს და მანქანაში ებაზრნენ. არ ვიცი, რაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ რომანი უკმაყოფილი იყო. რაღაცაზე უარს ეუბნებოდა. ბოლოს, შეთანხმდნენ და რომანმა დამიძახა.

— იცნობ ამ კაცს? — მანქანაში ჩაჯდომისთანავე მანიშნა ერთ-ერთზე.

— მაგას — არა, დიმას ვიცნობ-მეთქი, — ვუპასუხე მე.

დიმა ცალყბად მომესალმა. რაღაცაზე გაბრაზებული ჩანდა.

— ეგ არის ის კაცი, რომელსაც შენ ეძებო, — მითხრა რომანმა და ხიჟბაზე მანიშნა... უკვე ვთქვი, რომ ძალიან მაგრად ჰგავს შენს ძმაკაცს. მაგრამ სხვანაირი თვალები აქვს, მგელივით გიყურებს, თითქოს უნდა გეცეს და ყელი გამოგღადროს. სადმე გავიდეთ და „პა ხოდუ“ ვიბაზროთო, — თქვა ხიჟბამ. დიმამ მანქანა დაქოქა და გაგრის მიმართულებით წავიდა.

— რისთვის მეძებდი? — მკითხა ხიჟბამ.

— გეძებდი? — გავიკვირვე. — არ მიძებნიხარ, „პროსტო“, სუფრაზე ვახსენე შენი სახელი.

— აკი გეძებდაო?! — რომანს მიუბრუნდა ხიჟბა.

— ჰო, გეძებდა. შენს ნათესავებთან უნდოდა მისვლა, — უხალისოდ დაადასტურა რომანმა.

— რას ხლართავ?! — ბრაზით მომიგდო ხიჟბამ. — ხან ერთს ამბობ, ხან — მეორეს!

— სახიპიშო არაფერია, — ვუპასუხე. მერე კი ჩემი ვერსია შევუგდე.

ამასობაში ქალაქგარეთ გავედით. ხიჟბამ მანქანა გააჩერებინა დიმას, მითხრა, — გადმოდი, სუფთა ჰაერზე მიყვარს ლაპარაკიო.

ტრასიდან ტყეში შევუხვიეთ.

— ვინ იყვნენ ის ტიპები? — განაგრძო ხიჟბამ.

— „მაიაკელი“ სომხები გკითხულობდნენ, — ვუპასუხე მე.

— და გითხრეს, რომ მათთან მაყუთი მაქვს წაგებული?

— ჰო, ეგრე თქვეს.

ხიჟბა გამომცდელად ჩამაცქერდა სახეში და ცივად მომახალა:

— ვისთან ხარ შეკრული?.. ძაღლებმა მოგაგზავნეს თუ პროკურატურამ?!

მეც აღარ დავუთმე: ასეთ ხალხთან „ნაგლობით“ თუ გაიტან თავს: „დავაი“, რა, ძაღლების დედაც და იმ სომხებისაც!.. შენ თვითონ გაარკვიე შენი თავნის ამბები, მე მაგრად მკიდია, ვინ და რამდენი წააგო-მეთქი. ამის თქმა იყო და ხიჟბამ დამარტყა. მეც ვხიე. როგორც კი ჩხუბი ატყდა, დიმა ჩვენკენ გამოიქცა და მე დამაყარა; მერე იმათ რომანიც მიეშველა... მოკლედ, მიწაზე დამაგდეს და მაგრად მირტყეს. ხიჟბა პისტოლეტის ტარს მირტყამდა და გაცოფებული მიყვიროდა: მითხარი, ვინ მოგაგზავნა ჩემთან, თორემ აქვე დაგბრიდავო!.. მივხვდი, რომ ეგენი ჩემს დანდობას არ აპირებდნენ. ცემით მომკლავდნენ. როგორღაც მოვახერხე ფეხზე წამოდგომა. ერთი ვხიე ხიჟბას და გავიქეცი. ჩვენგან მარჯვნივ ღრმა ხევი იყო. ვიფიქრე, იქამდე თუ მივასწარი, დავემალები-მეთქი, მაგრამ ვერ მოვახერხე. ხიჟბამ ტყვიები დამადევნა. ორი თუ სამი ტყვია ამაცილა. შემდეგი კი მომარტყა. უკვე ხევის პირას ვიყავი, როცა ტყვია მომხვდა. თითქოს ურო ჩამარტყესო — ფეხები მაშინვე მომეკვეთა და ხევში გადავვარდი. ტკივილი არ მიგრძნია, არც გონება დამიკარგავს, მაგრამ ისეთი სისუსტე მომეძალა, რომ ძლივს გავფოფხდი. შორს ვერ წავედი. იქვე ბუჩქნარს შევაფარე თავი. აფხაზები ხევის ნაპირს მოადგნენ და ყაყანი ატეხეს. ხიჟბა ამბობდა: ჩავიდეთ და მოვძებნოთ, ვიდრე მაგის „ტრუპს“ არ ვნახავ, ვერ მოვისვენებო. დიმა კი პასუხობდა: რა მოძებნის ამ ბუჩქნარში?! თავი დაანებე, ნაღდად დაიბრიდა, ვერ დაინახე, ტყვია თავში მოხვდა? მაგის გადარჩენის შანსი არ არსებობსო!.. კიდევ ცოტა ხანს იკამათეს და მერე უკან გაბრუნდნენ. მათი წასვლის შემდეგ ბუჩქებიდან გამოვფოფხდი. არ ვიცი, რამ მომცა ამდენი ძალა — სისხლი ნიაღვრად მცემდა თავიდან. ნატყვიარი ყურის ზემოთ მქონდა. ყველაზე მეტად, ხევიდან ამოსვლა გამიჭირდა. ორჯერ ჩავვარდი უკან. მაინც არ ვჩერდებოდი. ვხვდებოდი, რომ გავთიშულიყავი, ნაღდი სიკვდილი მელოდა. მაგრად ვიწვალე და მაინც ამოვძვერი ხევიდან. მერე ტრასამდეც მივფოფხდი და გავითიშე. რა მოხდა მერე, არ ვიცი. აზრზე საავადმყოფოში მოვედი. ოპერაცია უკვე გაეკეთებინათ.

— ექიმმა რა გითხრა? — ჰკითხა ერეკლემ.

— ბეწვზე ხარ გადარჩენილი: ერთი მილიმეტრიც საკმარისი იქნებოდა, რომ ტყვია ტვინს შეხებოდა; მერე ველარაფერი გადაგარჩენდა, ან დაიღუ-

პებოდი, ან კიდევ, დაინვალიდდებოდიო.

— ნაბიჭვარი!.. მთელი ცხოვრება რომ დამჭირდეს, იმ არაკაცს მაინც მოვძებნი! — კბილები გაახრჭიალა გოგამ.

— დამშვიდდი, ვერსად წაგვივა, — უთხრა ერეკლემ, მერე კი ისევ სტავროს მიუბრუნდა: — მილიციამ დაგკითხა?

— დღეს დილით იყვნენ მოსულები.

— რა უთხარი?

— რა უნდა მეთქვა?! აზრზე არა ვარ, ვინ მესროლა, ნასვამი ვიყავი და ვიღაც ტიპებთან ჩხუბი მომივიდა-მეთქი.

— აფხაზები ახსენე?

— არა... რუსები იყვნენ, თანაც — „მესნები“ კი არა, ჩამოსულები, — უპასუხა სტავრომ.

— ესე იგი, შენი ნაცნობი აფხაზი „ისკრაში“ მუშაობს?

— თუ ძმა ხარ, შეეშვი მაგ ბაზარს. იმ ნაბიჭვრებს მე თვითონ უნდა „გავუიასნო“, ვინცა ვარ!

— შენ იმაზე მეტი გააკეთე, ვიდრე საჭირო იყო. მადლობა ღმერთს, რომ ცოცხალი გადარჩი. იმ ნაბიჭვრებს კი მაგრად ვანანებინებ თავიანთ ახვრობას, — თქვა ერეკლემ.

— მოდი, მაგაზე ნუ ვიკამათებთ. ისედაც მტკივა თავი. მაგათ რაც მოელით, ისედაც „იასნია“, მაგრამ უჩემოდ ნუ შეეხები. მოიცადე, ვიდრე ფეხზე ავდგები. დანარჩენს მერე მივხედავთ, — სთხოვა სტავრომ.

— კარგი, — დაეთანხმა ერეკლე, — ჯერჯერობით არ შევეხები და ძებნასაც არ დავუწყებ.

— მაინც რისთვის ეძებ იმ ტიპს? — გოგას ჰკითხა სტავრომ.

— მაგ დამპალმა დედ-მამა დამიხოცა!

— გამოდის, რომ სამივეს სერიოზული მიზეზი გვქონია მაგის მოსაძებნად, — სტავრომ ცოტა ხანს მოითმინა და მერე დაამატა: — არ გეწყინოთ, ბიჭებო, მაგრამ ჯობია, წახვიდეთ. სათქმელი უკვე გითხარით. ექიმმა ბევრი ლაპარაკი ამიკრძალა, — ისედაც დასუსტებული ხარო.

— კარგი. მერე კიდევ მოგინახულებთ, — თქვა ერეკლემ და გოგას ანიშნა, წავიდეთო.

სახლში დაბრუნებამდე ერეკლეს ერთი სიტყვაც არ უთქვამს. ჩაფიქრებული მართავდა მანქანას. გოგაც არაფერს ამბობდა. მას ჯერაც ვერ მოენელებინა, რომ სტავრო მისი მიზეზით კინაღამ დაიღუპა.

— პირობა პირობაა, მაგრამ მართლა არ აპირებ იმ კაცის მოძებნას? — სახლში მისვლისთანავე ჰკითხა გოგამ ერეკლეს.

— ჯერ არა. ახლა არ ივარგებს მათი ძებნა. დავაფრთხობ და შეიძლება, საერთოდ გადაიკარგონ. ეს შენ არ გეხება, გოგა. იმ ნაბიჭვრებმა ჩემს ძმაკაცს ესროლეს, თანაც — „ბესპრედელურად“. ხომ შეეძლოთ, მხოლოდ სიტყვით მოეშორებინათ თავიდან ან უბრალოდ, ეცემათ! მაგრამ — არა. არაფრის გულისთვის, კაცი სასიკვდილოდ გაიმეტეს.

— მაგ კაცს მე მივხედავ. არ მინდა, ჩემი გულისთვის კიდევ ვინმე დაზარალდეს.

— ახლა ზედმეტია მაგაზე ბაზარი. როცა დრო მოვა, მე თვითონ გეტყვი, როგორ უნდა მოვიქცეთ, — უპასუხა ერეკლემ. — ახლა კი უკეთესი იქნება, თუ დავიძინებთ. ხვალ რამდენიმე საქმე მაქვს მოსაგვარებელი.

გოგას აზრადაც არ მოსვლია დაძინება. დიდხანს ჩაცმული იწვა ლოგინზე და ფიქრობდა. მერე ადგა, სასტუმრო ოთახში დაბრუნდა, დარწმუნდა, რომ ერეკლეს უკვე ეძინა, მისი საქაღალდიდან ფურცელი და ფანქარი აიღო და წერას შეუდგა.

„ვიცი, რომ სწორად არ ვიქცევი. არ იმსახურებ ჩემგან ასეთ რამეს, მაგრამ უნდა გამიგო, ერეკლე. სხვა გზა არ მაქვს. ისედაც ბევრი უსიამოვნება მოგაყენე და არ მინდა, ვინმეს ჩემი მიზეზით დაუშავდეს რამე. ჩემს საქმეს მე თვითონ მივხედავ და რაც საჭიროა, იმას გავაკეთებ. ძმურად გთხოვ, ძებნას ნუ დამიწყებ და ჩემს შეჩერებასაც ნუ ეცდები“.

წერის დამთავრების შემდეგ, გოგამ ბარათი მაგიდაზე დატოვა, რათა ირაკლის გაღვიძებისთანავე მოხვედროდა თვალში და სწრაფი ნაბიჯით გავიდა სახლიდან...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

სიყვარულის ელექტრონული სქემა

მარი ჯაფარიძე

ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოვიღე, ზედ მიწერილ მისამართს დავხედე, შემდეგ კარზე მიმაგრებულ ნომერს შევადარე და როცა დავრწმუნდი, სწორ მისამართზე ვიყავი, ზარის ღილაკს თითი მივაჭირე. ზარმა რაღაცნაირი, „ჩახლეჩილი ხმით“ დარეკა თუ დაიხრიალა.

ორიოდე წუთი გავჩერდი და როცა მივხვდი, კარის გაღებას არავინ აპირებდა, ისევ დავრეკე. ხრიალი განმეორდა და მალე კარის იქიდან ფეხის ხმაც მომესმა. შემდეგ ზარივით ხრინწიანმა ხმამ იკითხა:

— ვინ არის?

— ბინის თაობაზე ვარ მოსული. თქვენ აქირავებთ ბინას?

— ერთი წუთით, — მიპასუხა და შემდეგ ნაბიჯების ხმა გავიგონე, ოღონდ ახლა ეს ხმა კარს შორდებოდა. კარგა ხნის შემდეგ კარს მიღმა იატაკმა გაიჭრიალა და გავიგონე, როგორ გადატრიალდა გასაღები საკეტში.

ხრინწიანი ხმის პატრონი ტანდაბალი, მოხუცი ქალი აღმოჩნდა, რომელსაც საკმაოდ ექსცენტრიკული გარეგნობა ჰქონდა: ღრმად დეკოლტირებული, „მხიარული“ ფერებით მოჩითული სარაფანი ეცვა, თავზე გაქუცული შლაპა ეხურა, რომელსაც ხახვის ჩასაყრელი ბადურისგან პირბადე ჰქონდა გაკეთებული. ფეხზე დიდი ფლოსტები ეცვა. მთელ ამ „ანსამბლს“ აგვირგვინებდა დიდი დიოპტრიის მინებიანი სათვალე, რომელიც არაბუნებრივად ადიდებდა ქალის თვალებს.

— რა გქვია? — კარის გაღებისთანავე მკითხა ქალმა, რომელსაც რატომღაც, დანახვისთანავე, ტუტსი დავარქვი.

— ლადო, — რაც შეიძლება ხმამაღლა ვთქვი ჩემი სახელი და თან დიასახლისისკენ გადავიხარე, კარგად რომ გაეგონა.

— ნუ ყვირი, ლადო, მშვენივრად მესმის. მოდი და დაათვალიერე ბინა, თუ გინდა.

რამდენიმე წუთი მოვანდომე ბებოს ბინის დათვალიერებას. ზებუნებრივი და უჩვეულო არაფერი შემინიშნავს. ერთადერთი პატარა ოთახი იყო, კიდევ — მოზრდილი მიკროტალღური ღუმლის სიდიდის სამზარეულო და მოცუცქნული სააბაზანო. ოთახში კედლები ფლომასტერით იყო მოხატული. მოხუცმა თქვა, რომ ეს მისი შვილიშვილის ნახელავი იყო, რომელიც ადრე იქ ცხოვრობდა. კედლებზე არსებული ნახატების სიუჟეტებით თუ ვიმსჯელებდი, აშკარა იყო, რომ ბებოს შვილიშვილი სექსუალური „განხრით“ ნაადრევად ჩამოყალიბებულიყო.

ვიდრე ნახატებს ვათვალიერებდი, ბებო თავისი ბინის ღირსებებსა და სხვა ბინებთან შედარებით უპირატესობაზე მელაპარაკებოდა.

— გაზი მაქვს! იცი, ეს რას ნიშნავს?!.

თავი დავუქნიე, რადგან ვიცოდი, ბუნებრივი აირი რასაც ნიშნავს.

— არ იცი! გაზი ეს არის ცხელი წყალი მუდმივად!

თავი დავუქნიე. ცხელი წყალი კარგია.

— სარეცხი მანქანა გაქვს?

— არა, არ მაქვს. ყველაფერი მაქვს, მაგის გარდა.

— მე კი მაქვს. სამზარეულოშია, ხომ ნახე წეღან? დენის გეშინია?

ვუთხარი, რომ დენის არ მეშინია, რადგან ცხოვრება ხანდახან დენზე უფრო მეტად „ურტყამს“.

— ჰოდა, თუ არ გეშინია, მაშინ შეგიძლია, სარეცხი მანქანა იხმარო. ტელევიზორიც მაქვს და რადიოც, — ტუტსიმ საჩვენებელი თითი მაღლა ასწია, — მაგრამ სჯობია, რადიოს მოუსმინო, ვიდრე ტელევიზორს უყურო. იცი, რატომ?

მოვემზადე ვრცელი ლექციის მოსასმენად იმის შესახებ, რომ ქვეყანა გადაგვარდა და ტელევიზორში მხოლოდ სექსსა და ძალადობას უჩვენებენ. ჩემთვის გასაგებია, რომ როცა კარგი სმენა გაქვს, ხოლო თვალებზე 2 უზარმაზარი „ბატისკაფი“ გადევს, რადიოს მოსმენა სჯობია, მაგრამ ყველაფერი თურმე გაცილებით პრაგმატულად აიხსნება: რადიო ცოტა ელექტროენერგიას წვავს!

ბინის დათვალიერებას მოვრჩი და გავიფიქრე, რომ უკეთეს ვარიანტს ჯერჯერობით ვერც ვინატრებდი. მთავარი — თავისუფლებაა, რომელიც გუშინ დილით ჩემმა, ახლა უკვე ყოფილმა ცოლმა მომანიჭა. ახლა ამ 12 კვადრატულ მეტრ ფართობს ავითვისებ და მერე ვნახოთ...

— რა ღირს თქვენი „აპარტამენტები“? — ვკითხე ტუტსის.

— 150 ამერიკული დოლარი, — სათვალის ზემოდან გადმომხედა ბებომ.

— ცოტას არ დაუკლებ? — შევევაჭრე ყოველი შემთხვევისთვის.

— სტუდენტი ხარ?

— არა. რატომ მეკითხებით? — შევუბრუნე კითხვა.

ტუტსიმ საჭიროდ არ მიიჩნია, ჩემი სოციალური სტატუსის შესახებ თავისი ვერსია აეხსნა, ხელი ჩაიქნია და ფასის დაკლებას დამთანხმდა:

— კარგი, 120 დოლარი იყოს... ოღონდ, 1 თვის ფული წინასწარ მომეცი.

120-მა დოლარმა ჩემი ჯიბიდან მის მუჭში გადაინაცვლა და წასვლის წინ ბებომ ბოლო ინსტრუქტაჟიც ჩამიტარა.

— მაშ ასე, სარეცხი მანქანის შესახებ გითხარი... კატის შესახებ არ მითქვამს.

— რომელი კატის შესახებ? — გამიკვირდა.

— ნებისმიერი კატის შესახებ... აქ კატის შემოყვანა არ შეიძლება: კატებს ვერ ვიტან.

ტუტსი დავამშვიდე, რომ კატები არც მე მიყვარს... ნუ, შეიძლება, ხანდახან რომელიმე ფისუნიამ შემოირბინოს, მაგრამ მხოლოდ ერთი ღამით ან რამდენიმე საათით და ეგაა.

ბებო უკვე ზღურბლთან იყო მისული, რომ უკან მობრუნდა და გამაფრთხილა:

— დაიმახსოვრე: ბევრი ელექტროენერგია არ დახარჯო! 5 ლარზე მეტი უკვე შენი გადასახდელი იქნება.

თავი დავუქნიე. რად მინდა დენი?! სიბნელეშიც მშვენივრად ვიგრძნობ თავს, არც სანახავია რამე, გარდა კედელზე შესრულებული ნახატებისა.

სახლში მოვშინაურდი, ფანჯრიდან ხედს გავხედე, დივანზე წამოვწექი... მერე მოვიწყინე... რა უნდა გააკეთოს მარტოხელა მამაკაცმა შაბათს საღამოს? რა და... გარეთ უნდა გავიდეს, კარგი გოგო გაიცნოს და შინ მოიყვანოს. ჰოდა, ამ გეგმის განხორციელებას სასწრაფოდ შევუდექი. თუმცა ტუტსისთან ლაპარაკმა ბევრი დრო დამაკარგვინა და როდესაც ბარში მივედი, აღმოჩნდა, რომ იქ ყველა კარგი გოგო უკვე დაკავებული იყო — სხვა მარტოხელა მამაკაცებს დაესწროთ ჩემთვის. ცოტა ხნით

სიყვარული დამანგრეველი არასოდეს იქნება — ამამი დარწმუნებული ვარ

ბარის „სტოიკასთან“ ჩამოვჯექი, რამდენიმე ჭიქა ვისკი დავლიე, ქალთა დარჩენილ კონტინგენტს თვალი გადავავლე და ჩემი უეცარი და მოულოდნელი გათავისუფლების აღნიშვნა სხვა დროისთვის გადავდე.

ყოველი შემთხვევისთვის, მაღაზიაში შევიარე, 1 კოლოფი სიგარეტი და 1 ბოთლი ვისკი ვიყიდე და ვინაიდან გაზაფხულის თბილი საღამო იყო, სახლამდე ფეხით გავლა გადავწყვიტე.

სახლთან მისულმა გაჩერებაზე, მერხზე მჯდომი გოგონა შორიდანვე შევნიშნე. ნაბიჯი შევანელე და გოგონას გავუსწორდი... თუმცა მას ჩემთვის რომ არ შემოეხედა, ალბათ არ შევჩერდებოდი და ისე გავივლიდი. გოგონას თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე და სლუკუნებდა.

ვის შეუძლია, ქალის ცრემლებს გულგრილად უყუროს?! პირადად მე, ნამდვილად, არ შემიძლია. ამიტომ მივუახლოვდი და მის გვერდით ჩამოვჯექი.

— გაბრაზებული ხართ? ვინმემ გაწყენინათ?.. ხომ არ გაგაცილოთ?.. რაიმეთი დაგეხმაროთ?..

მე კითხვებს ვუსვამდი, გოგონა კი ხან თანხმობის ნიშნად, თავს მიკრავდა, ხან უარყოფის ნიშნად, აქეთ-იქით იქნევდა. ჰოდა, ასეთი „დიალოგი“ გამოგვივიდა: „გაბრაზებული ხართ?“ — დიახ, „ვინმემ გაწყენინათ?“ — დიახ, „ხომ არ გაგაცილოთ?“ — არა. „რაიმეთი დაგეხმაროთ?“ — რაღაც, გაურკვეველი მოძრაობა გააკეთა თავით, რომელიც ასე „გადავთარგმნე“: „სცადე“.

ბოლოს და ბოლოს, მომწყინდა ეს ყველაფერი და პირდაპირ ვკითხე:

— წასასვლელი არსად გაქვთ?

ისეთი თვალებით შემომხედა, მივხვდი, წასასვლელი არ ჰქონდა. კიდევ, იმასაც მივხვდი, რომ მართალია, მისი გარეგნობა თვალში საცემი არ იყო, მაგრამ თუ დააკვირდებოდი, მშვენიერი გოგონა გახლდათ. თან რაღაცნაირად, ძალიან ახლობელი მომეჩვენა. ყოველგვარი „სხვა“ და „ისეთი“ აზრის გარეშე შევთავაზე, ჩემთან წამოსულიყო. დამთანხმდა.

ლელა სამზარეულოში შემომყვა და იმ ერთადერთ ტაბურეტზე ჩამოჯდა, რომელიც საგანგებოდ მისთვის დავტოვე, მე კი სარეცხ მანქანას მივეყრდენი, ოღონდ სადენი წინასწარ გამოვაძვრინე შტეფსელიდან.

მოვატყუე ტუტსის... დენის მხოლოდ ელექტრიკოსებს არ ეშინიათ, მე კი „ელექტრიკი“ არ ვარ... ქურთუკის ჯიბიდან ვისკი ამოვიღე და ლელას შევთავაზე. უარი არ უთქვამს. 2-3 ჭიქა ისე დავლიეთ, მნიშვნელოვანი არაფერი გვითქვამს ერთმანეთისთვის. შემდეგ ჩემს ახალ ნაცნობს ლოყები აუწითლდა და ჩემი ნაქირავები ბინის ინტერიერის ყველა დეტალის მიმართ ჯანსაღ ინტერესს ამჟღავნებდა.

— ეს შენ დახატე? — მიმითითა კედელზე შესრულებულ ნახატზე.

— არა, ეს ჩემმა „ყოფილმა“ დახატა, — მოვატყუე.

ლელამ უნდობლად შემომხედა. მისი თვალები ძალიან მომეწონა. არ დაიჯერა და ნუ დაიჯერა. დღეს არავის მოტყუებას არ ვაპირებ. უბრალოდ, ვხუმრობ და ვნახავ, რა გამოვა. ლელა ყურადღებით აკვირდებოდა ნახატებს.

— იტყუები: ამ ნახატებზე სექსი კი არა, გარყვნილებაა გადმოცემული. ამას ქალი ვერ დახატავდა; დარწმუნებული ვარ, შენი დახატულია და აღიარე.

— რა განსხვავებაა სექსსა და გარყვნილებას შორის? — დავინტერესდი მისი შეხედულებით.

— მე რატომ მეკითხები? შენი ნახატებია და შენ ამიხსენი, რომელზეა გადმოცემული სექსი და რომელზე — გარყვნილება.

— ლელა, მე ხატვა არ მეხერხება. მე „ელექტრიკი“ ვარ. შემიძლია, ელექტროსქემა დავხაზო. გინდა?

— არ მინდა, იმიტომ, რომ მატყუებ.

„ნუ დაიჯერებს, რა ვქნა? ისიც კარგია, რომ თავისი სადარდებელი დაავიწყდა და აღარ ტირის“. ეს გავიფიქრე თუ არა, ეტყობა, თვალი ეცა — მაშინვე გუნება გაუფუჭდა. ნახატების თვალიერება მოსწყინდა და სამზარეულოში დაბრუნდა.

— კიდევ დამისხი.

— ახლა დათვრები... ხვალ კი სახეზე შეგეტყობა, რომ ნაბახუსევი ხარ — თვალები ჩაგიშავდება და ცხვირიც გაგიწითლდება, — გავაფრთხილე, ყოველი შემთხვევისთვის.

— და რატომ გგონია, რომ დილითაც მნახავ? — მკითხა ლელამ.

არ მინდოდა, ასეთ დელიკატურ საკითხზე გამემახვილებინა მისი ყურადღება და შევთავაზე, უბრალო, ელექტრონული სქემის დახმარებით მოგვეხდინა სექსისა და გარყვნილების ერთმანეთისგან გამიჯვნა.

— კარგი, ვცადოთ, — დამთანხმდა.

— წარმოიდგინე, რომ ელექტრობაში არსებობს „ნული“ და „ფაზა“. როდესაც „ფაზა“ და „ნული“ ერთ შტეფსელშია, ეს სექსია... თუ გინდა, ამას სიყვარული დავარქვათ ანუ — ელექტრობა... ხომ არსებობს ასეთი გამოთქმა: მათ შორის ნაპერწკალი გაკრთაო?! ჰოდა, ესაა სწორედ, რასაც ახლა გეუბნები: „ფაზა“ და „ნული“ თითქოს სხვადასხვაა, მაგრამ როდესაც ერთად არიან, ნამდვილი სასწაული ხდება — ნათურები ინთება, ძრავები ამოქმედდება და ა.შ. ეს გასაგებია, ხომ?

ლელამ მთხოვა, სასმელი კიდევ დამესხა. ჭიქები შევავსე. ერთმანეთს მივუჭახუნეთ და ელექტროენერგიის, სიყვარულისა და სექსის სადღეგრძელო დავლიეთ.

— გარყვნილებაზე რას იტყვი? —

ძირს დაგებულ ნოხს ფეხი წამოვკარი და იატაკზე გავიშხლართე. ლელამაც თავი ვერ შეიკავა და ზემოდან დამეცა

მკითხა ლელამ.

— გარყვნილება მაშინაა, როცა ორი „ნული“ ერთადაა ან — ორი „ფაზა“, — ვპასუხობ.

— რას გულისხმობ — გეებს?

— ნუ, არ მინდა, ასე გავაუბრალოო ყველაფერი, თუმცა, რასაც შენ გულისხმობ, მე ეგ გარყვნილებად მიმაჩნია. მაგრამ ეს ჩემი სუბიექტური აზრია. საქმე სხვა გახლავს: როცა ორი „ნულია“, არაფერი ინთება და არაფერი ბრუნავს, ამიტომ, ელექტროენერგიასაც ვერ ვიღებთ. არც სექსია ამ დროს და სიყვარულზე ხომ აღარაფერს ვამბობ. მიუხედავად ამისა, მათ ერთ შტეფსელში ყოფნა არ შეუძლიათ — იმ შტეფსელში, სადაც სიცოცხლე არაა, რადგან ელექტრონები არ მოძრაობს. ამ შტეფსელში ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, თითი შეყოს...

— გასაგებია. ორ „ფაზაზე“ რას იტყვი?

— ორი „ფაზაც“ — გარყვნილებაა, რადგან როცა ორი „ფაზა“ ერთადაა, ისინი ერთმანეთს, შტეფსელსა და ყველაფერს წვავენ, რაც გზაზე შეხვდება. იქ არაა სიყვარული და ამას ვერც ელექტროენერგიას დაარქმევ. ეს კატასტროფაა, ხანძარია, ვნებაა...

— ჰოდა, რადგან ვნებაა, გამოდის, სიყვარულიც ყოფილა?! — იმედიანი თვალები შემომანათა ლელამ.

— სიყვარული დამანგრეველი არასოდეს იქნება — ამაში დარწმუნებული ვარ. ამიტომ ვნებას ყოველთვის სიყვარულს ვერ ვუწოდებთ. აქედან გამომდინარე, ვნება არის გარყვნილება.

ჭიქები ისევ შევავსე და ვნებისა და გარყვნილების სადღეგრძელო დავლიეთ.

— სულ ესაა? — მკითხა ლელამ. მივხვდი, რომ საუბრის შეწყვეტა არ უნდოდა. არც მე მინდოდა და ამიტომაც განვაგრძე:

— არა, შეიძლება, სხვადასხვა ვარიანტიც განვიხილოთ. მაგალითად, ორი „ფაზა“ და ნული, ან სამი „ფაზა“ და ნული.

ლელამ ხელი აიქნია.

— ეს უკვე ნამდვილად გარყვნილებაა!

— საიდან მოიტანე?! მომისმინე, ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში, როდესაც ორი ან სამი „ფაზა“ და ნულია, ელექტროენერგიას ვიღებთ და ასეთი ენერგიით გაცილებით დიდი ძრავების ამუშავებაა შესაძლებელი. მაგრამ მე შენთვის ჯერ არ მითქვამს, რომ კიდევ არსებობს „მიწა“.

ლელამ აზრის დასრულების საშუალება არ მომცა. მივხვდი, რომ ის სიყვარულში დამატებითი ფაზების არსებობის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. ჩემ მიერ აგებული სიყვარულის ელექტრონული სქემა თვალსა და ხელს შუა იშლებოდა. ლელა ისე გაერთო ამ ყველაფრით, რომ ხელი ჩამავლო, ოთახში გაყვანა მომინდომა და თან მთავაზობდა, გვენახა, რომელ შტეფსელში იყო „სიყვარული“ და რომელში — არა. მე ვიუარე, მაგრამ ის არ მეშვებოდა და ხელჩაკიდებულს მიმათრევდა. უეცრად,

იატაკიდან ავდექი, ჩემი ჭიქა ავიღე და სასმელი გადავკარი.
– ახლა შენ მაგრად უნდა მიიტყიპო, საყვარელო...

ძირს დაგებულ ნოხს ფეხი წამოვკარი და იატაკზე გავიშხლართე. ლელამაც თავი ვერ შეიკავა და ზემოდან დამეცა. მისი გაბუსხული ტუჩები ჩემს ტუჩებთან აღმოჩნდა, სულ ახლოს იყო... მისი ჩამოშლილი თმა კი სახეზე მელამუნებოდა.

თავი ხელში ავიყვანე და ჩუმად ვთქვი:

— ჩემო პატარავ, შენ ძალიან მთვრალი ხარ.

ლელა სწრაფად წამოდგა, ტანისამოსი ჩამოიფერთხა, სამზარეულოში გავიდა და ტაბურეტზე დაჯდა. მე კი ასე, იატაკზე მჯდარი ვუყურებდი.

ლამაზი გოგოა, მე კი — ნამდვილი იდიოტი.

ლელამ ბოთლში დარჩენილი სასმელი ჭიქებში ჩამოასხა, იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო, ნიკაპი ხელისგულზე ჩამოდო და შემომხედა. რამდენიმე წუთის განმავლობაში ერთმანეთს ვუყურებდით. როგორც იქნა, სიჩუმე დაარღვია:

— შენ ხომ ასეთი ჭკვიანი ხარ და სიყვარულისა და გარყვნილების შესახებ ყველაფერი იცი? ჰოდა, მაშინ რატომ ხარ მარტო? ზიხარ აქ და იმ თემებზე ლაპარაკობ, რაზეც წარმოდგენა არა გაქვს.

— უბრალოდ, მე ჩემი „ფაზა“ ვერ ვიპოვე — ესაა და ეს. მე „ნული“ ვარ, ლელა, „მუშა სადენი“ ვარ და მე ვიღაცამ უნდა ამანთოს, ჩემ შიგნით ელექტრონები გაატაროს. თუმცა დიდი ხნის განმავლობაში ვიყავი ერთსა და იმავე შტეფსელში, ჩემნაირ „ნულთან“. შემდეგ გადავწყვიტე, „ფაზა“ გავმხდარიყავი, რომ მდგომარეობა გამომესწორებინა, მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა ეს გადაწყვეტილება მივიღე, ჩემს შტეფსელში არსებულმა „ნულმაც“ „ფაზად“ გადაქცევა გადაწყვიტა და ორივე გადავიწვით. ახლა ცალ-ცალკე ვიფერფლებით: მე აქ ვარ, ის — იქ. ხოლო იმის შესახებ, თუ ვის რაზე არა აქვს წარმოდგენა, გეტყვი: შენ ტირილ-ტირილით რომ დადიხარ შუაღამისას...

— თქვი, თქვი, დაასრულე ერთი!.. — თითქოს დამემუქრა და თავი გააქნია.

იატაკიდან ავდექი, ჩემი ჭიქა ავიღე და სასმელი გადავკარი.

— ახლა შენ მაგრად უნდა მიიტყიპო, საყვარელო... უბრალოდ, კაცი უნდა ადგეს და მიგტყიპოს... ისიც კრეტინია, ვინც შენ სახლიდან გამოგაგდო, მაგრამ შენ მაინც მისატყეპი ხარ.

— არავის გამოვუგდივარ, მე თვითონ წამოვედი. მეც „ფაზასთან“ დაკავშირებული პრობლემა მქონდა.

არ ვიცოდი, რა მეთქვა. ავდექი და ვუთხარი:

— ადექი ახლა, შენს „ფაზასთან“ გაგაცილებ, თორემ თუ ახლა არ წახვალ... — სიტყვა შუაზე გავწყვიტე და გავჩუმდი.

— თუ არ წავალ — რა?

— თუ არ წახვალ, მაშინ ავდგები და მიგტყეპ... ახლა და აქვე — იმისთვის, რომ შუაღამისას გარეთ აღარ იხეტიალო და წესიერ ადამიანებს სიმშვიდე არ დაურღვიო.

შევნიშნე, რომ ტუჩები აუთრთოლდა და თვალები ისევ ცრემლით აევსო. ადგა, შემოსასვლელი კარისკენ წავიდა, მერე შემობრუნდა და მითხრა:

— ნამდვილი იდიოტი ხარ!

შემდეგ კარის გაჯახუნების ხმაც გავიგონე. ისევ სარეცხ მანქანას მივეყრდენი. მგონი, ლელა მართალი იყო: ნამდვილი იდიოტივით მოვიქეცი. ის მაინც შემეძლო, რომ გამეცილებინა და ამ შუაღამისას მარტოს არ ეხეტიალა.

ალბათ ჩემი „ყოფილიც“ მართალია: რამდენ ხანს უნდა ელოდოს, ვიდრე მუშა სადენი ელექტრონების გატარებას დაიწყებს — 1 წელი, 2 თუ 10? ან იქნებ, მთელი ცხოვრება?.. ასეთ შემთხვევაში, სჯობია, გადაიწვას.

დღევანდელი დილა და ტუტსი გამახსენდა. აი, ეს ქალი „ბედნიერების ფორმულაა“. თვითონაა „ფაზაც“ და „ნულიც“. მთავარია, რომ ელექტროენერგია დიდი რაოდენობით არ დახარჯოს, რადგან ეს არაპრაქტიკულია, ძვირი ჯდება და არავის სჭირდება. არავის!

დივნამდე ძლივს მივლასლასდი. არ მეძინებოდა. სიამოვნებით დავლევდი რაიმე „გრადუსიანს“ და უგონოდ დავთვრებოდი. დავივიწყებდი სექსსაც, სიყვარულსაც და, ბოლოს და ბოლოს, მივხვდებოდი, რომ ბუნებაში არც ერთი არ არსებობს. დავივიწყებდი ვნებასაც, რომელიც სექსისა და სიყვარულის შესახებ დაწერილ წიგნებში არსებობს. მხოლოდ ელექტროენერგიის შესახებ მემახსოვრებოდა, რომელიც ნამდვილად არსებობს და რომელსაც შეუძლია, მოგკლას!

სამზარეულოში გავედი და სარეცხი მანქანის წინ გავჩერდი. დავიხარე და იატაკიდან სადენი ავიღე.

აი, არსებული სიტუაციიდან მშვენიერი გამოსავალი ვიპოვე! სადენი გამოვწიე, დავიხარე და შტეფსელის ძებნა დავიწყე. ტუტსის ალბათ არ გაუხარდება... თუმცა ფული უკვე წინასწარ მაქვს გადახდილი, ის კი ბინას ხელახლა გააქირავებს და ვიღაცას მაინც მოვუტან სარგებლობას.

არც გამიგონია, ის როგორ შემოვიდა და მომიახლოვდა. მოულოდნელობისგან შევხტი, როდესაც ხელები მხრებზე დამადო. თითქოს დენმა დამარტყა. თვალები დავხუჭე და სადენი ხელიდან გამივარდა. ის კი ფეხის წვერებზე აიწია და ყურში ჩამჩურჩულა:

— სად აპირებდი ჩემს მიტყეპვას?

— აქ, სარეცხ მანქანაზე, მაგრამ დენი გადმოდის... — ხელები წელზე შემოვხვიე და სარეცხის მანქანაზე დავსვი...

— მაშინ მიდი, ჩართე! ■

შეხვედრები სტალინთან

ფრაგმენტები ვლადიმირ კარპოვის წიგნიდან „გენერალისიმუსი“

1941 წლის 22 ივნისს, დილის ოთხის ნახევარზე გერმანიის სამხედრო ავიაციამ ერთდროულად, უკრაინის, ბელორუსიისა და ბალტიისპირეთის ქალაქები დაბომბა. გამთენიისას, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა ჟუკოვმა გააღვიძა აგარაკზე მყოფი სტალინი, რომლის განკარგულებითაც, კრემლში პოლიტბიურო შეიკრიბა. სტალინმა მოლოტოვს დაავალა, გერმანიის ელჩი, ფონ შულენბურგი გამოეძახებინა: მას ჯერ კიდევ ჰქონდა ომის თავიდან აცილების იმედი... ელჩთან შეხვედრის პირველივე წუთებიდან მოლოტოვი მიხვდა, რომ ეს იმედი ფუჭი იყო...

დასაწყისი იხ. „გზა“, №27-50

როგორ დაიწყო ომი

— წითელი არმიის არანაირი კონცენტრაცია გერმანიის საზღვართან არ ხდება, — განაცხადა მოლოტოვმა. — ჩვეულებრივ მანევრებს ვატარებდით, რომლებიც ყოველწლიურად ხორციელდება. მაგრამ ამ მანევრების გამო რაიმე განცხადება რომ გაკეთებულიყო, მზად ვიყავით, ეს საკითხი განგვეხილა. საბჭოთა მთავრობის სახელით უნდა განვაცხადო, რომ ბოლო წუთამდე გერმანიის მთავრობას ჩვენთვის არანაირი პრეტენზია არ წამოუყენებია. გერმანია საბჭოთა კავშირს თავს დაესხა, მიუხედავად ჩვენი მშვიდობიანი პოზიციისა. დილის 4 საათზე გერმანიის ჯარი, ყოველგვარი მიზეზისა და საბაბის გარეშე, თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. გერმანიის მხრიდან ნებისმიერი მცდელობა, ეს ქმედება რაიმე საბაბით ახსნას, საბჭოთა კავშირს სიცრუედ და პროვოკაციად მიაჩნია, მაგრამ თავდასხმის ფაქტს ვერსად გავექცევით.

— ჩემთვის მოცემულ ინსტრუქციებს ვერაფერს დავუმატებ, — უპასუხა შულენბურგმა. — დამატებითი ინსტრუქციები არ მიმიღია არც საელჩოს, გერმანული ფირმებისა და დაწესებულებების თანამშრომელთა ევაკუაციასთან დაკავშირებით. გთხოვთ, დამრთოთ ნება, საბჭოთა კავშირიდან, ირანის გავლით, თანამშრომლების ევაკუირება მოვახდინო. საზღვრის გადაკვეთა შეუძლებელია, რადგან რუმინეთი და ფინეთი, გერმანიასთან ერთად უნდა ჩაებან მოქმედებაში. გთხოვთ, ლოიალურად მიუდგეთ გერმანელ მოქალაქეთა ევაკუაციის საკითხს. გერმანიაში საბჭოთა საელჩოსა და სხვა დაწესებულებების თანამშრომელთა ევაკუაციასაც ლოიალურად მოეპყრობიან.

მხარეები ევაკუაციის საკითხზე შეთანხმდნენ. შემდეგ მოლოტოვმა ელჩს ჰკითხა:

— რისთვის დადო გერმანიამ თავდაუსხმელობის პაქტი, თუკი ასე იოლად დაარღვევდა მას?

— ნათქვამს ვერაფერს დავუმატებ, — უპასუხა ელჩმა. — 6 წლის მანძილზე ვცდილობდი, გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრული ურთიერთობისთვის შემეწყო ხელი, მაგრამ ბედს ვერაფრით გაექცევი...

შულენბურგმა ისიც დასძინა, რომ პირადად, ყოველთვის იყო საბჭოთა რუსეთის მეგობარი და ძალზე წუხდა იმის გამო, რომ ვერ მოახერხა, წინ აღდგომოდა საბედისწერო გადაწყვეტილებებს. მაგრამ მოლოტოვს ეს სიტყვები თითქოს აღარც ესმოდა; მის გონებაში მხოლოდ ერთი სიტყვა „ფეთქავდა“: ომი, ომი, ომი...

მერე ის კრემლის დერეფანს ძალზე სწრაფად, თითქმის სირბილით მიუყვებოდა... სტალინის კაბინეტის კარი გააღო და პირდაპირ ზღურბლიდან თქვა:

— გერმანიის მთავრობამ ომი გამოგვიცხადა!

ხანგრძლივი პაუზა ჩამოვარდა. პოლიტბიუროს წევრები დუმდნენ. დუმდა სტალინიც. სიჩუმე პირველად ჟუკოვმა დაარღვია, რომელმაც თქვა:

— ნება მოგვეცით, დაუყოვნებლივ დავატეხოთ შემოჭრილ მტერს მოსაზღვრე ტერიტორიებზე ჩვენს ხელთ არსებული ყველა ძალა და მისი წინსვლა შევაჩეროთ.

როგორც ჩანს, მომენტის სიმძიმის ოდნავ განმუხტვის მიზნით, მარშალმა ტიმოშენკომ დასძინა:

— კი არ შევაჩეროთ, არამედ — გავანადგუროთ!

სტალინი წამოდგა და მტკიცედ თქვა:

— მომეცით დირექტივა.

როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენი სამხედრო გეგმები ეფუძნებოდა რამდენჯერმე გაცხადებულ დოქტრინას, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობდა: თუ მტერი საბჭოთა ქვეყანას თავს დაესხმებოდა, ის ჩვენი მიწიდან განიდევნებოდა და საკუთარ ტერიტორიაზე განადგურდებოდა; ამასთანავე, ბრძოლა იმგვარად წარიმართებოდა, რომ რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლი გაგვეღო, ხოლო მტრის ზურგში ჩვენი კლასობრივი მეგობრები დაგვეხმარებოდნენ. ამ დოქტრინის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა სტალინის მიერ გამოთქმული პრინციპი: „სხვისი მიწის არც ერთი გოჯი არ გვჭირდება, მაგრამ არც ჩვენს მიწას დავთმობთ“.

7 საათსა და 15 წუთზე საჯარისო ნაწილებს დაეგზავნათ თავდაცვის სახკომის დირექტივა, რომელშიც ნათქვამი იყო:

„1. ჯარებმა მათ ხელთ არსებული ყველა საშუალებით შეუტიონ მტრის ძალებს და გაანადგურონ ისინი იმ რაიონებში, სადაც საბჭოთა საზღვარი დაარღვიეს. შემდგომი განკარგულების მიღებამდე, სახმელეთო ძალებმა სახელმწიფო საზღვარი არ გადაკვეთონ.

2. სადაზვერვო და საბრძოლო ავიაციამ დაადგინონ მოწინააღმდეგის ავიაციის დისლოკაციისა და სახმელეთო ძალების ადგილსამყოფელი. ავიაციამ მძლავრი დარტყმებით გაანადგუროს აეროდრომებზე განლაგებული, მტრის ავიაცია და სახმელეთო ძალების ძირითადი დაჯგუფებები. ავიადარტყმები მივაყენოთ გერმანიის ტერიტორიაზე 100-150 კმ-ით შეჭრით; დავბომბოთ ქალაქები — კენიგსბერგი და მემელი. რუმინეთისა და ფინეთის საჰაერო სივრცეში, საგანგებო განკარგულებამდე, არ შევიჭრათ“.

ამ ბრძანების მიცემისას არც სტალინმა, არც თავდაცვის სახკომის ხელმძღვანელობამ არაფერი იცოდნენ იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა მოსაზღვრე რაიონებში. ყურადღება მიაქციეთ იმას, თუ რაოდენ არარეალურია დირექტივაში დასახული ამოცანები: იმ მომენტისთვის, საბჭოთა თვითმფრინავების აუარებელი რაოდენობა ჩვენს აეროდრომებზევე უკვე განადგურებული იყო, ასე რომ, კენიგსბერგისა და მემელის დასაბომბავად ნამდვილად, ვერ გამოდგებოდა...

უფრო მეტიც: საბჭოთა ჯარებმა წინადღეს — 21 ივნისს გაგზავნილი დირექტივის შესრულებაც ვერ მოასწრეს, რომლის თანახმადაც, მათ სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ გამაგრებულ რაიონებში საცეცხლე წერტილები უნდა დაეკავებინათ: ეს დირექტივა მათ დიდი დაგვიანებით მიიღეს, რადგან გვიან ღამით დასავლეთის საზღვრის გაყოლებაზე თითქმის ყველგან დარღვეული იყო კავშირგაბმულობა, იქ წინასწარ შეგზავნილი, გერმანელთა დივერსიული ჯგუფების მიერ, რომლებიც აგრეთვე, კავშირგაბმულობის ნაწილების ჯარისკაცებსა და მეთაურებსაც კლავდნენ.

ამის შედეგად, გენერალური შტაბისა და მის დაქვემდებარებაში მოქმედი შტაბების განკარგულებები ნაწილებამდე დაგვიანებით მივიდა და ქვედანაყოფები სახელმწიფო საზღვართან მხოლოდ 4-6 საათის შემდეგ დაიძრნენ — ე.ი. უკვე მას შემდეგ, რაც მტრის ავიაცია საჰაერო სივრცის სრულ ბატონ-პატრონად ქცეულიყო და წითელი არმიის მოძრავ კოლონებსაც უპრობლემოდ ბომბავდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მე - ფსიქოლოგი



ინგა ჯაყელი

დასაწყისი იხ. „გზა“ №40-50

კიდევ ერთი ახალი პაციენტი...

12 საათისთვის ახალი პაციენტი მყავდა დაბარებული. არ დაუგვიანია. ზუსტად დანიშნულ დროს შემომიღო კაბინეტის კარი. საერთოდ, ფსიქოლოგთან პაციენტი არასოდეს იგვიანებს. მით უმეტეს, თუ თავად გადაწყვიტა მასთან მისვლა. ეს იმის ნიშანია, რომ უჭირს პრობლემასთან მარტო გამკლავება და სიმძიმისგან გათავისუფლებას ჩქარობს...

ორმოციოდე წლის მამაკაცი იყო: მაღალი, სუსტი, სათვალიანი. თუმცა, ეს სათვალე უხდებოდა და მისი სახის განუყრელ ნაწილად ქცეულიყო...

— დაბრძანდით! — შევეგებე და სავარძლისკენ მივუთითე, თავადაც იქვე ჩამოვჯექი. — ყავა თუ ჩაი?

— ჩაი მირჩევნია! — მითხრა და მძიმედ ამოიხვნეშა.

ფიქრიას პაციენტისთვის ჩაის, ჩემთვის — ყავის მომზადება დავავალე.

— მე ეკა ვარ, მონიავა... თუმცა ალბათ უკვე იცით! — ვცადე მძიმე პაუზის დარღვევა.

კაცი აშკარად ნერვიულობდა და თითქოს არ იცოდა, ღირდა თუ არა ჩემთან გულის გადაშლა.

— მე არჩილი ვარ, ნიუარაძე... ფიზიკოსი! — რატომღაც პროფესიაც მიაყოლა სახელსა და გვარს.

— იცით, მართლა ჰგავხართ ფიზიკოსს! — გამეცინა და, როგორც იქნა, მასაც გაეღიმა...

ფიქრიამ ჩაი და ყავა შემოიტანა.

— მამაკაცები იშვიათად მოდიან ჩემთან და საერთოდ, ფსიქოლოგთან. რატომღაც, ამას სისუსტის აღიარებად მიიჩნევენ. არადა, სიმართლე თუ გინდათ, კაცები მართლა ქალებზე სუსტები არიან და უფრო უჭირთ მძიმე სტრესებთან გამკლავება. რომ გაბედეთ მოსვლა, ეს უკვე ბევრს ნიშნავს და იმედია, გამოსავალსაც ადვილად ვიპოვით! — შესავალი გავუკეთე ჩვენს ურთიერთობას და ახლა უკვე არჩილზე იყო დამოკიდებული, როგორ გავაგრძელებდი იმას, რასაც მისთვის შვება უნდა მოეტანა...

რაღაც უცნაურად შემომხედა, უფრო — ეჭვით; თითქოს გამოხედვით მეუბნებოდა: ვითომ ერთად მივხვდებით იმას, რაზეც ამდენი მიფიქრია და დასკვნა ვერ გამიკეთებიაო?!.

— უნდა მენდოთ, რაკიღა მოხვედით! — ისევ შევუძახე...

— საქმე ისაა, რომ მთლად კაცი არა ვარ“ — უეცრად შემაწყვეტინა და დამაბნია. ახლა მე შემეპარა ეჭვი მის ნორმალურობაში, რასაც უმალ მიხვდა:

— გიჟი არ გეგონოთ... არც თქვენ დაგიშავებთ რამეს და არც სხვას. მე მხოლოდ საკუთარი თავის გამეტება შემიძლია და ამიტომაცაა, ღამის თვითმკვლელობამდე რომ მივედი და ეს რომ არ ჩამედინა, ამიტომ გადავწყვიტე თქვენთან მოსვლა...

— მომიყევით ის, რასაც გულში ვეღარ იტევთ და რამაც შეიძლება, სიცოცხლეზეც ხელი აგაღებინოთ...

— არ გამაწყვეტინოთ, რა! — მთხოვა და თავი სავარძლის საზურგეზე გადააგდო. თვალები დახუჭა... — სადაცაა, 40 წლის გავხდები. ცოლიც მყავს, ორი მოზრდილი ქალიშვილიც... მათ რომ ჰკითხოთ, ჩინებული მეუღლე და მამა ვარ, არადა... კაციც არა ვარ, არა!.. ვიცი, რომ ნაშვილები ვარ. მამაჩემიც ფიზიკოსი იყო. გვიან დაქორწინებულა. არცაა გასაკვირი, რომ საკუთარი შვილი ვერ გაუჩნდათ. როცა ერთმა „კეთილისმყოფელმა“ წამომაძახა, რომ ნაშვილები ვიყავი, მამამ სიმართლე მითხრა — უკრაინის ბავშვთა სახლიდან წამოვუყვანივარ. იქ მისი დეიდაშვილი მუშაობდა. მისგან კი მხოლოდ ის იცოდა, რომ მოხუც ბებიას ჩავუბარებივარ რამდენიმე თვის ჩვილი. დედა გაქცეულა და დაკარგულა. მამა არც იმან იცოდა ალბათ, ვინ იყო... 15 წლისამ გავიგე, რომ ნაშვილები ვიყავი. მეწყინა, მაგრამ ტრაგედიად არ მიქცევია ეს ამბავი, რადგან უკვე სხვა პრობლემები მქონდა — ვგრძნობდი, რომ ჩემს სხეულში ქალი იყო ჩასახლებული. ჩემი თანაკლასელი ბიჭი შემიყვარდა. ის ნიჭიერი, მაგრამ ზარმაცი იყო და როგორც გოგოებს სჩვევიათ, მე ვუწერდი დავალებებს. როცა რაიმეს ვერ იგებდა, ვუხსნიდი და მასწავლებლებთან წარმოქმნილ პრობლემებს ვუგვარებდი... ამას მიფასებდა. თავის საუკეთესო მეგობრად მთვლიდა. ყველგან თან დავყავდი: ფეხბურთზე, სანადიროდ, სათევზაოდ და, რაც მთავარია... ქალებში... ეჭვიანობა მაგიჟებდა, როცა თავის შეყვარებულზე მიყვებოდა. როცა დავინახავდი, ვინმეს კოცნიდა, ცრემლს ვერ ვერეოდი და ვიმალებოდი... სიყვარულის გამხელას ვერ ვუბედავდი. ვერ გაიგებდა. მე მისთვის ძმა ვიყავი და მორჩა... სკოლა რომ დავამთავრეთ, იმანაც ფიზიკის ფაკულტეტზე შემოიტანა საბუთები. სწავლა არ უნდოდა, მაგრამ იცოდა — მშობლები უმაღლესი განათლების გარეშე დარჩენას არ აპატიებდნენ და რადგან, მისთვის სულერთი იყო, ჩემთან ერთად გადაწყვიტა სწავლა: როგორც სკოლაში „მათრევდი“, ინსტიტუტშიც ასე „გამათრიე“ და სათანადოდ დაგიფასებ, ცხოვრების ბოლომდე ძმები ვიქნებითო!.. — მეუბნებოდა. იმ წუთში გამიხარდა. ბედნიერი ვიყავი, რომ ისევ მექნებოდა მასთან ყოველდღე შეხვედრის ბედნიერება, მაგრამ ახლა ვხვდები — არ უნდა დამეშვა ეს. რაც მალე დავშორდებოდი, მალე დავივიწყებდი და იმ უბედურებამდე მაინც არ მივიდოდი, რომელიც ახლა მჭირს...

— ის არ იქნებოდა, სხვა იქნებოდა! — მაინც წამომცდა და ტუჩებზე ხელის მიდებით გამაჩუმა:

— სსს-უ!.. მოკლედ, ინსტიტუტშიც სულ უკან დავდევდი... დასასვენებლადაც ერთად დავდიოდით. ერთხელ უგონოდ მთვრალი მოვათრიე შინ და... საწოლში ჩავუწექი. ამდენი წლის დაგროვილ სინაზეს გასაქანი მივეცი — გიჟურად ვეფერებოდი... ისიც ამყვა — ნათიას თუ თათას მეძახდა... მეორე დღეს მეკითხებოდა: — გაფიცებ ყველაფერს, წუხელ ვინ იწვა ჩემთან ან როგორ მოვახერხე რამე, უგონოდ მთვრალმაო?!. — მე არავინ დამინახავს, როგორც ჩანს, სიზმარი ნახე-მეთქი! — უხეშად მოვიშორე თავიდან. — შენ სიზმარი უძახე და აბა, მე მკითხეო! — მოიქექა ქეჩო... მე კი ახალი სადარდებელი და საოცნებო გამიჩნდა ამის შემდეგ — იმ ღამის მოგონებით ვცხოვრობდი. ვოცნებობდი, რომ მიხვდებოდა ჩემს საწუხარს, არადა — სულ სხვა რამეს „მიხვდა“... ჩვენზე ორი წლით უმცროსი და ჰყავდა — ლელა. რადგან სულ მათ ოჯახში დავდიოდი, იმასაც და მის მშობლებსაც უფიქრიათ, რომ ლელა მომწონდა და ვერ ვბედავდი გამხელას. ერთხელ ლევანმა მხრებზე ხელი გადამხვია, გვერდზე გამიყვანა და მითხრა: — ვეჭვობ, ჩემს დაზე უნდა იყო შეყვარებული და ჩემი გერიდება, თავს იკავებ, მაგრამ იცოდე, რომ მეც და ჩემს მშობლებსაც არაფერი გვაქვს შენი საწინააღმდეგო; ისედაც ძმები ვართ და ამის შემდეგ კიდევ უფრო დავახლოვდებითო... აღმოჩნდა, რომ ლელასაც ეგონა, ის მომწონდა... მონუსხულივით ვიყავი და კიდევ უფრო სულელური ნაბიჯი გადავდგი: ლელა ცოლად შევირთე. მისი ოჯახიც გახარებული იყო, ჩემი მშობლებიც... მე და ლევანმა საერთო სახლი ავიშენეთ, ცალ-ცალკე სადარბაზოებით. ფაქტობრივად, ერთი ოჯახი ვართ... მაზოხისტივით ვცხოვრობ. თავი მეზიზღება, როცა ცოლთან ვწვები. ლევანის ცოლი მტრად მიმაჩნია და თუ თავი არ მოვიკალი, ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება, ის გავიმეტო სასიკვდილოდ... არის გამოსავა-

ლი ამ სიტუაციაში? — მკითხა და როცა თვალები გაახილა, ცრემლები გადმოუგორდა. კაცი ტიროდა!..

— ლევანი დღემდე ვერაფერს ხვდება? — ვიკითხე დაბნეულმა. ასეთ შემთხვევასთან მართლა არასოდეს მქონია შეხება.

— რომ ხვდებოდეს, ტყვიას დამახლიდა და დავისვენებდი... ჩემნაირებს ტელევიზორში რომ უყურებს, იქაც კი აგინებს. ის ჩვეულებრივი ქართველი მამაკაცია, რომელიც ჩემნაირების ტანჯვას ვერასოდეს გაიგებს...

— ამ წუთში ვერაფერს გირჩევთ! — გულახდილად ვუთხარი. — ნურც თქვენ ამაჩქარებთ. ხვდებით ალბათ, რომ ასეთ დროს მზა რეცეპტი არ არსებობს... ვიურთიერთოთ, ვიმეგობროთ და იქნებ, ბოლოს და ბოლოს, გამოსავალიც ვიპოვოთ... — ვთქვი და ცოტა მომეშვა...

— აუცილებელია ჩემთვის თქვენთან ურთიერთობა, რომ მართლა არ დავიჭედო ტყვია შუბლში!..

მომდევნო შეხვედრის დრო დავნიშნეთ.

გავიდა თუ არა, ნინუცა შემოვიდა:

— ვინ იყო ეს მომხიბლავი ინტელიგენტი?

— აუ-უ! — შუბლში შემოვირტყი ხელი. — კინოდრამატურგი რომ ვიყო, 150-სერიიან სერიალს გამოვაცხობდი მაგის გაჭირვებაზე, დავხეთქავდი ბრაზილიელებს გულზე! — მერე კი დავწრილებით მოვუყევი მეგობარს ნიჟარაძის გამაოგნებელი ამბავი.

— ჰო-ო, მძიმე კი არა, უმძიმესი სურათია. ისე, წესით, დიდი ხნის წინ უნდა მოეკლა თავი მაგ უბედურს...

— თავის მოკვლა გამოსავალი არ არის!

— აბა, რისთვის უნდა იცოცხლოს?! — მხრები აიჩეჩა ნინუცამ და მგონი, მართალიც იყო...

ნიჟარაძის ამბავი ნიკასაც მოვუყევი, გვიან ღამით რომ დამირეკა. უკვე ჩასულიყო ბათუმში:

— ეგ ისედაც მკვდარია და აცადე, ბარემ ბოლო წერტილიც დასვას! — მწარედ შეაგინა გაოგნებულმა.

— ვალდებული ვარ, დავეხმარო! — არ ვნებდებოდი.

— შენ რა უნდა უშველო, ნუ გამაგიჟე!.. ჰოლანდიაში საგზური გამოუწერე, სადაც მისნაირებს მიჰყავთ „პარადი“ — იქ თუ ეშველება.

— მგონი, მართალი ხარ, — დავყარე ფარ-ხმალი.

— მოდიხარ ამ შაბათ-კვირას ბათუმში? ვკვდები შენი მონატრებით! — შემეხვეწა ნიკა.

— მეც მენატრები! — ვუთხარი, მაგრამ ვერაფერს დავპირდი...

მეორე დღეს, სამსახურში მივედი თუ არა, ფიქრიამ მაშინვე მომახსენა, რომ კიდევ ერთი პაციენტის — თეა რუხაძის ახლობლები მეძებდნენ და მთხოვეს, როგორც კი მოვიცლიდი, დავკავშირებოდი. ტელეფონის ნომერი დაეტოვებინათ. ის თემურ რუხაძეს ეკუთვნოდა, თეას მამას. სწორედ მან მოიყვანა ჩემთან 2 წლის წინ ქალიშვილი — 22 წლის ულამაზესი გოგონა...

თემურ რუხაძეს საკუთარი ბიზნესი აქვს და ყოველთვის ჰქონდა იმის საშუალება, რომ ცოლ-შვილისთვის არაფერი მოეკლო. თეა მისი უფროსი ქალიშვილია და თავიდანვე, ძალიან ამაყობდა მისით, განსაკუთრებულადაც უყვარდა: 17 წლის ასაკში შეეძინა და 39 წლის კაცს 22 წლის შვილი რომ ჰყავდა, ამას ყოველთვის ხაზს უსვამდა.

უკვე 5 წლის ასაკში შეატყვეს გოგონას, რომ პრობლემები შეექმნა: ოთახში მარტო აღარ ჩერდებოდა, დილაობით ხშირად, ატირებული იღვიძებდა... მხოლოდ დედ-მამასთან გრძნობდა თავს დაცულად და მშვიდად. ამის გამო თემურმა ცოლს სამსახურისთვისაც დაანებებინა თავი. ეშინოდათ, გონებრივადაც ვერ განვითარდებოდა, მაგრამ თეა ნიჭიერი გოგონა აღმოჩნდა — სწავლა არ უჭირდა, სკოლაშიც და ინსტიტუტშიც საუკეთესო იყო. აი, ადამიანებთან ურთიერთობა ძალიან უჭირდა. მეგობრებიც თითქმის არ ჰყავდა და, რაც მთავარია, დამდუღრულივით გაურბოდა ბიჭებს. გათხოვების ხსენებაც არ უნდოდა. არადა, ულამაზეს გოგოს, უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავდა და არც ოჯახი იყო წინააღმდეგი, გათხოვილიყო...

მოიტაცა კიდეც ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა, მაგრამ შუა გზიდან მობრუნება მოუხდა: ისტერიკაში ჩავარდნილ გოგოს ეპილეფსიური გულყრა დაემართა და ლამის ხელში ჩააკვდა გამტაცებლებს... გადარჩა, მაგრამ ამ შემთხვევის შემდეგ ინსტიტუტში სიარულზეც უარი თქვა და სახლში ჩაიკეტა. მშობლებმა სწორედ მაშინ მომმართეს...

თავიდან მეც არ მენდობოდა და ერთ საღამოს ისტერიკაც დაიმართა:

— რით ვერ გაიგეთ, რომ გიჟი არა ვარ და არც ფსიქიატრი მჭირდება?! მე მსხვერპლი ვარ და ამას მხოლოდ ღმერთი თუ გამოასწორებს... დამანებეთ თავი, თორემ თავს მოვიკლავ, იცოდეთ!..

ჰოლანდიაში საგზური გამოუწერე, სადაც მისნაირებს მიჰყავთ „პარადი“

ხმით, მოთქმით ტიროდა, მაგრამ ვაცადე, დამშვიდება არ მიცდია: უკეთესი იყო, თავად დაცლილიყო ემოციისგან, იმ უარყოფითი ენერგიისგან, რომელიც ასე წვავდა და ანადგურებდა მის გულსა და გონებას...

ტირილი რომ შეწყვიტა, მხოლოდ მაშინ ვცადე მასთან დალაპარაკება.

— თეა, ჩვენ ყველანი მსხვერპლი ვართ, გარკვეულწილად. შენ ადამიანთა საზოგადოება ცხოველთა გარემოცვაზე უკეთესი ხომ არ გგონია?!. უფრო მეტიც — ცხოველებისგან თავის დაცვა უფრო ადვილიც კია, რადგან ისინი ინსტინქტურად მოქმედებენ, ახალ-ახალ ეშმაკობებს არ იგონებენ და შესაბამისად, იცი, რას უნდა მოელოდე მათგან — რომელი მხრიდან და რა დროს დაგესხმიან თავს. ადამიანის ქმედებასა და ბოროტებას კი წინასწარ ვერასდროს გათვლი... ყველაზე მეტი მსხვერპლი სწორედ ადამიანთა ბოროტების შედეგია... თავის მოკვლა არაა საუკეთესო გამოსავალი. ჩვენი რელიგიის მიხედვით ხომ სული უკვდავია და მარტო სული რომ დარჩები, კიდევ უფრო მეტად დაიტანჯები...

შევატყვე, რომ მისმენდა და უფრო გავთამამდი:

— ჭკვიანი გოგო ხარ და ისიც გაგონილი გექნება, რომ გაზიარებული სატკივარი ნაკლებად მტკივნეულია...

— ეგ ფიზიკურ ტკივილზეა ნათქვამი...

— არა მგონია. ფიზიკურ ტკივილს, ძალიანაც რომ მოინდომოს, საკუთარ თავზე სხვა ვერ აიღებს. სული კი შეიძლება, გადაარჩინო და სხვათა შორის, მე გიჟების ექიმი კი არა, სულების ექიმი ვარ და დავიტრაბახებ, რომ საკმაოდ წარმატებულიც.

— არ შემიძლია ჩემი შიშის მიზეზის გამხელა! — ისეთი ხმით თქვა თეამ, მივხვდი — სულ ცოტაც და ალაპარაკდებოდა...

— მაინც უნდა სცადო... არ შეგეშინდეს, რომ შენი ნების წინააღმდეგ წავალ და ვინმე გაიგებს იმას, რასაც თავად არ ინდომებ...

— ბიძაჩემს ხომ იცნობ — თაზოს!

— როგორ არა?! — გამახსენდა თემურ რუხაძის უმცროსი ძმა, რომელიც ყოველთვის განსაკუთრებით აქტიურობდა, როცა საქმე თეას პრობლემებს ეხებოდა. მისი გამტაცებელიც ლამის დანაზე წამოაგო, როცა პირისპირ შეხვდა... ისიც ვიცი, რომ ორჯერ დაოჯახდა და ორივე ცოლს გაეყარა. ბინები ცოლყოფილებს დაუტოვა და ახლა ხან თემურთან ცხოვრობს, ხანაც — მეორე ძმასთან...

— შენი პრობლემები მაგას უკავშირდება?! — არ მესიამოვნა, რაც გავიფიქრე.

— 5 წლის ვიყავი, პირველად რომ გამაუპატიურა!..

— ხომ არ გეშლება, თეა?! — ეჭვი შემეპარა: 5 წლის ბავშვი ასეთ დროს, ვერც გადარჩებოდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონით: 8(99).71.89.39.



რომანი

სიკვდილის სურნელი

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი

— უკაცრავად, ეს ადგილი თავისუფალია? — შემომესმა მოულოდნელად...

მას სწორედ ისეთი ხმა აღმოაჩნდა, როგორიც წარმომედგინა: მელოდიური, ოდნავ შესამჩნევი, რბილი აქცენტით. ხმა ზედ ჩემს ყურთან გაისმა, მაგრამ იმდენად არაბუნებრივად, რომ შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ტელევიზორის ეკრანიდან აღწევდა ჩემამდე. იქნებ ამიტომაც არ ვუპასუხე მის შეკითხვას ან სულაც იმიტომ, რომ უეცრად მოხდა ეს ყველაფერი და მზად არ ვიყავი...

— მაპატიეთ... ნებას დამრთავთ, რომ თქვენ გვერდით დავჯდე? — თავაზიანად, მაგრამ თითქოს დაჟინებით მოითხოვდა მამაკაცი.

ჟურნალი დავხურე, თან ისე, რომ საჩვენებელი თითი სანიშნივით ფურცლებშუა ჩავტოვე, შემდეგ რომ არ მეძებნა, რომელ გვერდზე შემაწყვეტინეს კითხვა და ნელა ავწიე თავი.

— რა თქმა უნდა. დაბრძანდით... — გულღიად წარმოვთქვი და ნაძალადევი ღიმილიც მივაყოლე.

მშვენივრად ვიცოდი, ვინც იდგა ჩემ წინ და ცოტათი მეშინოდა კიდეც, მისთვის თვალებში შემეხედა. ასე მეგონა, ჩემი მზერა გამყიდდა, ამიტომ კიდევ უფრო გულღიად დავამატე:

— ბოდიშს გიხდით, კითხვამ შემიყოლია... თან, არც მიფიქრია, მე თუ მომმართავდით, რადგან ადგილი თავისუფალი იყო, — ჩემთვის კი გავიფიქრე: „თუ გავითვალისწინებთ იმას, ვაჟბატონო, რომ უკვე ორი საათია, თვალს არ მაშორებ, უნდა გცოდნოდა, ეს ადგილი თავისუფალია თუ დაკავებული“... თუმცა, სხვა რაღა უნდა ეკითხა ასეთ შემთხვევაში? რა ვიცი, ეს უკვე მისი პრობლემაა და არა ჩემი.

ჟურნალი კვლავ გადავშალე და ცხვირი შიგ ჩავრგე, მისი არსებობა რომ დამეივიწყებინა. როგორც კი მამაკაცი დაჯდა, ჩემამდე მაშინვე მოაღწია რაღაც უჩვეულო სურნელმა, ძალიან ნაზმა და სასიამოვნომ. თითქოს თამბაქოს და რომელიღაც ველური ყვავილის არომატი იყო ერთმანეთში შერეული. წამით თავბრუ დამეხვა ამ სურნელისგან. ნეტავ, რა უნდა, რისთვის მომიჯდა გვერდით? სხვა ადგილი ვერ ნახა ამხელა აეროპორტში? კარგა ხანია, მიზანში ამომიღო. ხომ არ გადავჯდე? ვინ იცის, რა კაცია... რას გადამეკიდა?! ძალიან უცნაური მეჩვენება...

ის იყო, მტკიცედ გადავწყვიტე, სადმე სხვაგან გადავმჯდარიყავი, რომ ჩემ გვერდით კვლავ გაისმა უკვე ნაცნობი მელოდიური ხმა:

— თუ თავხედობაში არ ჩამითვლით, რამე ხომ არ დაგვეღლია? შემიძლია, სასმელი შემოგთავაზოთ...

ამის გაგონებაზე მთელი სხეულით შევხტი და უეცრადვე გავქვავდი, თითქოს რაღაც მიუღებელი შემომთავაზეს. ამ კაცმა შემოსვლისთანავე მიიქცია ჩემი ყურადღება და აგერ, უკვე ორი საათია, დაძაბული ვაკვირდები მის ყოველ მოძრაობას. რატომ? მომეწონა? ა-რა�ა! აბა? შემეშინდა? რატომ ვნერვიულობ ასე? ჰო, ალბათ უფრო შემეშინდა, რადგან ამდენი ხანია, დაჟინებით მომჩერებია, ახლა კი ეყო თავხედობა და გვერდით მომისკუპდა. ესეც არ იკმარა და სასმელიც კი შემომთავაზა! რას შემომიჩნდა?! ამ ვიღაცის გამო ორი საათია, ეკლებზე ვზივარ! ერთი დროზე გამოაცხადონ ჩასხდომა, რომ გავიდე აქედან!.. არადა, რამდენჯერმე მეც შევათვალიერე მალულად... ისე, ერთი შეხედვით, ცუდი ტიპი არ ჩანს, საკმაოდ სიმპათიურია. ნეტავ, სადაურია? კარგად კი ლაპარაკობს ინგლისურად, მაგრამ აშკარაა, რომ უცხოელია. რას ვიცინებ, ქართველი რომ აღმოჩნდეს! ჰგავს კი ქართველს? კი ჰგავს... ცოტათი... იქნებ იტალიელია ან ესპანელი? ისე აცვია, ალბათ მდიდარიცაა! თუმცა არა! ეგრე რომ იყოს, მეორე კლასის მოსაცდელ დარბაზში არ ამოყოფდა თავს. იქნებ ჩემი გულისთვის გადმობარგდა აქეთ? ჰა-ჰა-ჰა! რა სასაცილოა ეს ყველაფერი! კი, როგორ არა! ჩემ გამო მოხვდა აქ, კუდში დამდევდა! ეჰ, ქეთი, ქეთი... რა მიამიტი ხარ ამხელა გოგო! 26 წლის გახდი და ვერა და ვერ ისწავლე ჭკუა!

გარეგნობაც არა აქვს ჩვეულებრივი. მერე რა, რომ საშუალო სიმაღლისაა?! სამაგიეროდ, კარგი პროპორციებით გამოირჩევა, სპორტსმენივით შეკრული სხეული აქვს, მაღალი შუბლი, შავი თვალები, მოხდენილი ცხვირი პატარა კეხით და მგრძნობიარე ნესტოებით, თხელი, მაგრამ მამაკაცური ტუჩები... კანის ფერი?.. ერთი შეხედვით, გარუჯული გეგონება. იქნებ მართლაც ასეა? არა, როგორც ჩანს, დაბადებიდან ასეთია...

— მაპატიეთ... როგორც ჩანს, თქვენთვის არასასიამოვნოა ჩემი საზოგადოება... ასეა? თუ გსურთ, წავალ, — ფიქრი მისმა ხმამ გამაწყვეტინა.

აი, ახლა კი უნდა ვუპასუხო, თორემ უზრდელობაში ჩამეთვლება! გამშრალი ტუჩები გავილოკე და ოდნავ აღელვებული ხმით ვუპასუხე:

— ა-რა... რატომ უნდა წახვიდეთ? — ამის მეტი ვერაფერი მოვახერხე.

— ესე იგი, არ გინდათ, წავიდე?

მისმა კონტრშეკითხვამ დამთრგუნა. ვერაფრით შევძელი, მისკენ შევტრიალებულიყავი და თვალებში შემეხედა. საშინელება ის იყო, რომ ვიგრძენი, როგორ ვწითლდებოდი, რადგან მისი დაჟინებული მზერა სახეს მიწვავდა. რა მემართება? ჟურნალისტი მაინც არ ვიყო! ისეთ გიჟებთან და გადარეულებთან მქონია ურთიერთობა, ამან როგორ უნდა დამძაბოს? იქნებ იმის ბრალია, უცხო ქვეყანაში რომ ვარ, თანაც სრულიად

მარტო? დარწმუნებული ვარ, იდიოტივით გამოვიყურები! რაღაც თუ არ ვიღონე, ალბათ გული წამივა... რამდენიმე წამში თავი ხელში ავიყვანე და უცნობს შევხედე, თუმცა მაშინვე ავარიდე თვალი. ახლოდან გაცილებით შთამბეჭდავად გამოიყურებოდა. იქნებ რეჟისორია და აქ, აეროპორტში ფილმს იღებენ? როლისთვის ხომ არ მოვეწონე? მაგარ შთაბეჭდილებას კი დავტოვებდი ჩემი სულელური ქცევით. იქნებ, უბრალოდ, დროის გაყვანა სურს, სანამ თვითმფრინავში ავა და თავის გზას გაუდგება? ნეტავ საით მიფრინავს?

— მაპატიეთ, მაგრამ მე თქვენ არ გიცნობთ... — ვთქვი ბოლოს და ბოლოს.

— მერე რა? არც მე გიცნობთ, მაგრამ სულაც არა ვარ თქვენი გაცნობის წინააღმდეგი. არ შეიძლება, არ შეგემჩნიათ, რომ ზუსტად ორი საათი და ათი წუთია, თქვენ წინ ვზივარ, გიყურებთ და თქვენთან მოსვლა ვერ გადამიწყვეტია.

— მართლა?! — ახლა კი თამამად ავწიე თავი და ასევე თამამად შევხედე, იმდენად გამაკვირვა მისმა გულახდილობამ.

— მართლა, მართლა. თქვენ რა, უარყოფთ, რომ ეს შეამჩნიეთ? — გააგრძელა უცნობმა. — ვფიქრობ, ორივე ვხვდებით, რაც ხდება. ასე არ არის?

უეცრად ისე ავნერვიულდი, ქვედა ტუჩის კვნეტა დავიწყე, თან შეშფოთებული ვაცეცებდი თვალებს აქეთ-იქით.

— მიპასუხეთ, მომეჩვენა თუ მართალი ვარ? — ჯიქურ გამიმეორა მამაკაცმა.

— რას გულისხმობთ? — მივხვდი, რომ საბოლოოდ მიმამწყვდია კედელთან.

— რომ ორივემ ვიცით, რაც ჩვენ შორის ხდება.

— და რა ხდება ჩვენ შორის? — წყნარი, მაგრამ დახშული ხმით ვიკითხე. ცოტაც და შეიძლებოდა, ავღრიალებულიყავი. ალბათ საშველად მოვუხმობდი მთელ მოსაცდელ დარბაზს.

— კეთილი... თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ ბოლო ორი საათის განმავლობაში არაფერი განსაკუთრებული მომხდარა და თქვენ მშვიდად კითხულობდით თქვენს ჟურნალს, შესაძლებელია, ასეც იყო. შეგიძლიათ, იმის მტკიცებაც დაიწყოთ, რომ არც ერთხელ ჩემკენ არ გამოგიხედავთ. არც ამაში შეგეკამათებით... უბრალოდ, მე ამის დრო არ მაქვს, — უცნობმა თავისი მოკლე სიტყვა დაამთავრა, წამოდგა და გასასვლელისკენ გაემართა.

რა უხერხულად ვიგრძენი თავი!.. დამნაშავედაც კი... თითქოს რაღაც ძალიან ლამაზი გავაფუჭე, დავამახინჯე. იმ წუთში, არ ვიცი, რა მეტაკა. ადგილიდან წამოვხტი და უცნობს გავეკიდე.

— მოიცადეთ! — დავუძახე და გავჩერდი.

ისიც გაჩერდა, მოტრიალდა და გამომცდელად შემომხედა. აშკარად რაღაცას ელოდა ჩემგან.

— გისმენთ, — ძალიან მშვიდი ხმით წარმოთქვა.

ცხოვრებაში ასე არასდროს მოვქცეულვარ უცხო მამაკაცებთან, თუ არ ჩავთვლი ჩემს საქმიანობას, როცა მოუხელთებელ რესპონდენტებთან ურთიერთობა მიწევდა. მაგრამ ეს სულ სხვა შემთხვევა იყო... ამიტომაც აღარ ვიცოდი, რა მეთქვა. მხოლოდ ვიდექი და პირდაღებული უსიტყვოდ მივჩერებოდი სიმპათიურ იტალიელს თუ ესპანელს. ნეტავ, რისთვის წამოვხტი? რა მინდოდა? რატომ გავეკიდე? იმიტომ, რომ... იმიტომ... იმიტომ... იმიტომ, რომ უნდა ვკითხო, რატომ დაინტერესდა ჩემით, ვინ არის და რა უნდა! როცა ჩემივე კითხვის პასუხს მივაგენი, შვებით ამოვისუნთქე.

— მგონი, რაღაც უნდა გეთქვათ ჩემთვის, — თავდაჭერილი მოთმინებით შემახსენა უცნობმა.

— ჰო... — დიდი ნერწყვი გადავაგორე და ტუჩები კვლავ გავილოკე. — ბოდიშს გიხდით, ცუდად გამომივიდა. თუ შეიძლება, ამიხსენით, რატომ გამომელაპარაკეთ, რა გინდოდათ?

— რა მინდოდა? — უცნაურად ჩაიღიმა წარბებაწეულმა. — მე მგონი, ეს აუხსნელადაც იოლი მისახვედრი იყო, — და გამჭოლი მზერა მესროლა.

მისმა შემოხედვამ იმდენად იმოქმედა ჩემზე, თვალები სად წამეღო, არ ვიცოდი. უსიამოვნო სიცივემ დამიარა სხეულში. ამას მე ვინ ვგონივარ?! ვიგრძენი, როგორ შემეცვალა სახის გამომეტყველება.

— ასე ნუ ნერვიულობთ, გთხოვთ... — მამაკაცი მომიახლოვდა და მკლავზე შემეხო. — ლამისაა, გული წაგივიდეთ... რა გითხარით ამისთანა? იმედია, არ ფიქრობთ, რომ თქვენი არამიწიერი სილამაზით გაოგნებული, ამდენი ხალხის წინაშე ძალას ვიხმარ თქვენზე?.. უბრალოდ, მინდოდა, თქვენი მარტოობის იმპერია დროებით მაინც დამემსხვრია, სანამ ჩასხდომას გამოაცხადებდნენ. ეს იყო და ეს. თქვენც ხომ უაზროდ გაგყავდათ დრო?! ვიფიქრე, ერთად ყავას დავლევთ-მეთქი. რას იტყვით? მგონი, არც ახლაა გვიან.

ერთადერთი, რაც მისი ტირადიდან გავიგე, „არამიწიერი სილამაზე“ იყო. რას ნიშნავს ეს? დამცინის? არა მგონია... იქნებ მართლა მოვეწონე? რა არის აქ დაუშვებელი?! მეც ხომ ვიცი, რომ ლამაზი ვარ.

— მაგრამ რატომ მაინცდამაინც მე? — როგორც იქნა, ნახევრად ჩურჩულით ვიკითხე.

— იმიტომ, რომ უცებ დავამყარეთ ერთმანეთთან კონტაქტი, ერთი შეხედვით — როგორც კი თვალი თვალს მოხვდა. ასე არ იყო? წამოდით, ბარში გავიდეთ და იქ გავაგრძელოთ საუბარი.

— კარგი, — ყოყმანით ვთქვი და მორჩილად გავყევი... არადა, მისმა პასუხმა არ დამაკმაყოფილა... მაინც ვერ გავიგე, რა უნდოდა ჩემგან.

— რას დალევთ? — მკითხა ახალმა ნაცნობმა, თავისუფალ მაგიდას რომ მივუჯექით.

— ყავას, — დაუფიქრებლად ვუპასუხე.

— ორი ყავა, თუ შეიძლება, — შეუკვეთა მან ოფიციანტს, მერე მე მომიბრუნდა და უცნაური ღიმილით მომაჩერდა.

— როგორ ფიქრობთ — რა თემაზე შეიძლება ილაპარაკოს ორმა სრულიად უცნობმა ადამიანმა?

დაბნეულმა ჯერ მხრები ავიჩეჩე, შემდეგ ოდნავ ჩავახველე და გაუბედავად ვთქვი:

— ჩემი აზრით, ჯერ ერთმანეთს უნდა გაეცნონ.

— ჰო, რა თქმა უნდა, — გაიცინა, — ეტიკეტის ეს წესი საერთოდ გამომრჩა მხედველობიდან. მე ტიმ ალვარესი მქვია. თქვენ?

— ტიმ ალვარესი? ესპანელი ხართ?

— გახლავართ... თქვენ?

— მე... მე ქეთი მქვია, ქეთი კანდელაკი და საქართველოდან ვარ. გაგიგონიათ ასეთი ქვეყანა?

მომეჩვენა, თითქოს ტიმს სახე შეეცვალა, უცნაურმა ჩრდილმა თუ გაკვირვებამ გადაურბინა სახეზე.

— საქართველო? ეს... ეს... მგონი, ვიცი... „ვარდების რევოლუცია“ რომ მოხდა, ის ქვეყანაა, არა?

— დიახ, დიახ, — გახარებული დავეთანხმე, მესიამოვნა, საქართველოს შესახებ რაღაც მაინც რომ იცოდა.

— მე ესპანელი ვარ, მაგრამ შეერთებულ შტატებში ვცხოვრობ, იქ დავიბადე. იმედია, ჩემი მოსაწყენი ბიოგრაფიის მოყოლას არ მომთხოვთ.

— არა, რა საჭიროა?! — უხერხულად გავიღიმე და თვალები დავხარე.

მომეჩვენა, რომ ჩემი მოულოდნელი ნაცნობი რაღაცას მიმალავდა. ბევრი რამ იყო უცნაური...

მაგალითად, მისი აქცენტი. აშკარად ეტყობოდა, რომ ინგლისური მისი მშობლიური ენა არ იყო. თუმცა ჩემთვის ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი ნაცნობობა რამდენიმე წუთში დამთავრდებოდა და ზედმეტი შეკითხვებით რატომ უნდა შემეწუხებინა ან ის, ან საკუთარი თავი?

— აი, ყავაც მოგვიტანეს, — შესძახა ტიმმა. — ნაღებით გირჩევნიათ თუ შაქრით?

— უშაქროდ და უნაღებოდ, თუ შეიძლება.

— რატომ? მწარე ყავა გულზე მოქმედებს. ნუთუ არ იცით? თუ თქვენს ქვეყანაში ასეა მიღებული?

დამნაშავესავით გავიღიმე. ხომ არ ვეტყოდი, ტკბილს იმიტომ არ ვსვამ, რომ დიეტაზე ვარ და წონას ვუფრთხილდები-მეთქი?

— ასე ვარ მიჩვეული... ტკბილი არ მიყვარს, — კეკლუცად ვთქვი და ყავის ფინჯანი ჩემკენ მოვწიე.

— სამშობლოში მიფრინავთ? — მკითხა ტიმმა.

— დიახ, სამშობლოში.

— აქ რას აკეთებდით?

— სამსახურებრივ მოვალეობას ვასრულებდი.

— ბიზნესვუმენი ხართ?

— არა, ჟურნალისტი. ემიგრანტებზე უნდა დავწერო მასალები და ამისთვის გამომიშვეს.

— ა! გასაგებია... მეუღლე გყავთ? ან მეგობარი მამაკაცი?

— არა, არა, არც ერთი და არც მეორე, — მის შეკითხვაზე გამეცინა.

— რატომ? ასეთი ლამაზი ქალი ასე ეულად დადიხართ?

— ხდება ასეც... ჩემი საქმე ძალიან შრომატევადია... პირადი ცხოვრებისთვის ვერ ვიცლი.

— გასაგებია... მაშინვე ვიგრძენი ეს, როგორც კი დაგინახეთ.

— იგრძენით? როგორ?

— საოცარი სევდის სურნელი მოდიოდა თქვენგან.

— რისი? — მეგონა, ინგლისური სიტყვების მნიშვნელობა კარგად ვერ გავიგე-მეთქი.

— სევდის... რა, პირველად გესმით ეს გამოთქმა? სევდის სურნელი.

— თქვენ წარმოიდგინეთ, კი... თქვენ საით გაგიწევიათ? — სასწრაფოდ სხვა თემაზე გადავიტანე საუბარი, ჩემი „სევდის სურნელის“ გაშიფვრა რომ არ დაეწყო.

— მე კი მეგონა, ჰოლივუდში გადაღებაზე მეოცნებე ქალიშვილი იყავით.

— რატომ? ამერიკაში სხვა საოცნებო არაფერია? — ღიმილი ვერ შევიკავე.

— თქვენნაირი გოგონები აქ ძირითადად, ამისთვის ჩამოდიან.

— რას ნიშნავს, ჩემნაირი გოგონები? — კოპები შევკარი.

— მომხიბვლელები... — მოკლედ ამიხსნა ტიმმა. — ძალიან გეჩქარებათ საქართველოში?

— ხვალ იქ უნდა ვიყო, რომ დაწერა და გამოქვეყნება მოვასწრო.

— და ეს თქვენთვის ასე მნიშვნელოვანია?

— რა თქმა უნდა, მე ხომ ამაში მიხდიან ფულს, თან, მივლინებაც მეწურება.

ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, ასეთი რამ რატომ მკითხა-მეთქი, მაგრამ ვერაფერი ვუთხარი.

— რას იტყოდით, თქვენთვის დარჩენა რომ შემომეთავაზებინა?

ყურებს არ დავუჯერე. გამომცდელად მივაჩერდი ახალგაცნობილს. ის გაუნძრევლად იჯდა, სერიოზული სახით მიყურებდა და ჩემს პასუხს ელოდა.

— რა გინდათ ჩემგან? — ხმადაბლა ვკითხე, ცოტა არ იყოს, შიშმა შემიპყრო.

— მინდოდა, დღეს ჩემთან დარჩენილიყავით, — ნაკვთი არ შერხევია მამაკაცს სახეზე.

— მაგრამ ხომ გითხარით, ხვალ თბილისში უნდა ვიყო-მეთქი! ეს აუცილებელია. თან ვიზასაც ვადა გასდის, თან ბილეთის პრობლემაც შემექმნება.

— ამას მე მოვაგვარებ... ყველაფერს ერთად, თუკი დარჩებით.

ალბათ ძალიან შეშინებული სახე მქონდა, რადგან ტიმმა უეცრად გაიღიმა, თავი ეშმაკურად გადააქნია და მითხრა:

— ნუ ნერვიულობთ, ეს, უბრალოდ, სულელური ფანტაზია იყო და სხვა არაფერი. ისე გითხარით, თქვენი რეაქცია მაინტერესებდა. სიმართლე გითხრათ, მეც მეჩქარება. ხვალ მეც აუცილებლად, აქედან შორს უნდა ვიყო. ჩემი საქმეები სწორედ რომ ვერ მოიცდის, თუმცა... ვეჭვობ, ორივეს მოგვიწევს დარჩენა.

— რას ამბობთ! საიდან მოიტანეთ?!

— აბა, გარეთ გაიხედეთ! ხედავთ, რა ამინდია? ასეთ ამინდში ნიუ-იორკში ძაღლსაც არ გააგდებენ ქუჩაში.

ეს ნამდვილი ქართული გამოთქმა უცნაურად მომხვდა ყურში. როგორ, ამერიკაშიც ასე ამბობენ, როცა გარეთ ცუდი ამინდია? თუმცა, მისი ნათქვამისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიმინიჭებია.

მთელი საუბრის განმავლობაში პირველად გავიხედე გარეთ და... ისე წვიმდა და ამავდროულად, ისეთი ნისლი იდგა, თვალთან თითს ვერ მიიტანდა ადამიანი. არადა, რამდენიმე საათის წინ მზიანი ამინდი იდგა, ვინ წარმოიდგენდა, ასე თუ შეიცვლებოდა?!

— წავალ და ვეცდები, რამე გავიგო. ხომ დამელოდებით აქ? — მკითხა ტიმმა.

— ჰო, რა თქმა უნდა, — დაბნეულმა ვუპასუხე.

მარტო დარჩენილი, თავზარდაცემული მივჩერებოდი წვიმით დასველებულ უზარმაზარ ფანჯრებს. ცრურწმენების მჯეროდა და აღელვება ეგრევე დამეტყო. ჯერ კიდევ დილით მეგონა, რომ ყველაფერი კარგად მიდიოდა. ისეთი კარგი მასალა მოვაგროვე, ერთი სული მქონდა, თბილისში როდის ჩავიდოდი, როდის დავწერდი და ჟურნალში გამოვაქვეყნებდი. ფოტოებიც ჩემი ძვირად ღირებული აპარატით გადავიღე, რათა კარგი ხარისხის ყოფილიყო. დაგვიანებას არა უშავს, მაგრამ ღამე სად უნდა გამეთია? სასტუმროს ნომერი ჩავაბარე. აქ რა იყურყუტებს მთელი ღამე?! იქნებ ჩემს რესპონდენტებს მივადგე? იმედია, უარს არ მეტყვიან და ერთი ღამით შემიფარებენ. ჰო, ასე მომიწევს ალბათ. აბა, მართლა ამ უცხოელთან ხომ არ დავრჩები?! გამეღიმა, თან შიშმა ამიტანა. ეს ბიჭი რაღაცას მიმალავს. მე ყველაფერი მათქმევინა, თვითონ კი არაფერი მითხრა — ვინ არის, საიდან? რას საქმიანობს? რატომ გამომეცნაურა? მანიაკი ხომ არ არის? იქნებ იცოდა, ფრენა რომ გადაიდებოდა?.. კითხვები დამიგროვდა. რატომ მთხოვა დარჩენა? იქნებ თავიდან მართლა უწესო გოგოდ მოვეჩვენე, მაგრამ შემდეგ მიხვდა, რომ ასეთი არ ვარ და გადაიფიქრა? დაბრუნდება კი? ეს კითხვა დავსვი თუ არა, მივხვდი, რომ ძალიან მინდოდა მისი კიდევ ერთხელ ნახვა. მივხვდი და ჩემივე თავის შემრცხვა...

— ვწუხვარ, მაგრამ ვერაფრით გაგახარებთ, ქეთი... — მომესმა მოულოდნელად ზურგიდან. — უამინდობის გამო ფრენა ხვალამდე გადაიდო.

— რას ამბობთ! ეს შეუძლებელია! იქ მელოდებიან!.. რა გაცინებთ?

— გელოდებიან, მაგრამ მოცდა მოუწევთ. მე ღმერთი ხომ არა ვარ, ღრუბლები გავფანტო და მზე ამოვიყვანო! თქვენ რა გგონიათ, მეც მექმნება პრობლემები, მაგრამ სულაც არ ვნანობ, რომ ასე მოხდა. სამაგიეროდ, თქვენ გაგიცანით, თან კარგი პარტნიორიც ვიშოვე დროის მოსაკლავად. არც თქვენ გაქვთ სხვა არჩევანი, — ხაზგასმით წარმოთქვა ტიმმა და მარჯვენა ხელისგული ჩემს ლოყას ჩამოუსვა.

ამ მოულოდნელმა შეხებამ ძალიან შემაკრთო, მაგრამ რატომღაც, თავი არ გამიწევია. ღმერთო, იქნება და მანიაკია?!. ან...

— გამოტყდით, რომ... — რაღაცის თქმა დავაპირე, მაგრამ ახალმა ნაცნობმა შემაწყვეტინა:

— რომ ეშმაკთან შეთანხმება დავდე? — მხიარულად წამოიძახა. — გგონიათ, ასეთი რამეები შემიძლია? თუნდაც თქვენი მომაჯადოებელი სილამაზის გამო? არა, ჩემო კარგო, ამ კონკრეტულ შემთხვევაში სრულიად უძლური ვარ. მე არ „შემიკვეთავს“ ცუდი ამინდი, თუმცა რაღაცას მაინც გამოვრჩები ამის გამო.

— თქვენ რა, გგონიათ, რომ მე... — წინადადება ვერ დავასრულე, გავფითრდი.

— არაფერიც არ მგონია, — ძალიან მშვიდად მიპასუხა მამაკაცმა, — უბრალოდ, გთავაზობ, რომ ეს ღამე ჩემთან

ერთად გაატარო.

— გაგიჟდით?! ასეთი აზრი საიდან დაგებადათ? ერთი საათიც არ გასულა, რაც ერთმანეთი გავიცანით. მე თქვენ ამერიკელი ხომ არ გგონივართ! მე ქართველი ვარ!

— მერე რა?! ცუდს რას გთავაზობთ? თქვენთან ასე არ არის მიღებული? მაშინ ძალიან დიდხანს შემიძლია გეხვეწოთ, რომ ეს გააკეთოთ. ჩვენ ხომ მთელი ღამე წინ გვაქვს. ძალას, რა თქმა უნდა, ვერ დაგატანთ, მხეცი კი არა ვარ. თუ ახლავე გამომიცხადებთ, რომ გეზიზღებით და ჩემი დანახვაც არ გინდათ, სხვა არაფერი დამრჩება, გარდა იმისა, რომ გაგეცალოთ.

სწორედ ამ დროს მიკროფონში ხმა გაისმა:

— ლედი და ჯენტლმენებო! გთხოვთ ყურადღებას!

დინამიკს სასოწარკვეთილი მივაჩერდი, თან გულში ღმერთს შევთხოვდი, რომ თვითმფრინავში ჩასხდომის შესახებ გამოეცხადებინათ. რა ბედნიერი ვიქნებოდი ამის გამგონე! ტიმს ნიკაპი ხელზე დაეყრდნო და ინტერესით მომჩერებოდა. მას მშვიდი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე.

— ...ყველას ბოდიშს გიხდით...

დანარჩენის მოსმენა არც იყო აუცილებელი, ისედაც ნათელი გახდა ყველაფერი. მეორე დილამდე ფრენა ყველა რეისზე გადაიდო... რა დამერხაა?!

— აბა, მე რას გეუბნებოდით? — დამცინავად შემომხედა მამაკაცმა. — ღმერთი ჩემ მხარესაა, ასე რომ, წინააღმდეგობის გაწევას აზრი არა აქვს.

ახლა კი ამიტანა კანკალმა, თითქოს მართლა არ მრჩებოდა სხვა გზა და ღამე ამ უცხო კაცთან ერთად უნდა გამეტარებინა. არადა, აეროპორტის ხელმძღვანელობა ვალდებული იყო, ყველა მგზავრი სასტუმროში დაებინავებინა.

— მაპატიეთ, — ნიშნის მოგებით აღვნიშნე, — მე მგონი, უამინდობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ღამე ერთად გავატაროთ. უნდა დაგტოვოთ, კარგად ბრძანდებოდეთ.

— რა თქმა უნდა, მართალი ხართ. დიდი მადლობა სასიამოვნო კომპანიისთვის! ნახვამდის, ქეთი... იმედია, არაფერი გაწყენინეთ.

— ნახვამდის, ტიმ. გმადლობთ ყავისთვის, — კეკლუცად გავუღიმე და გავტრიალდი.

მივდიოდი და ფეხები უკან მრჩებოდა. ვიცოდი, რომ ამ კაცს ცხოვრებაში ველარასდროს ვნახავდი. ეს კი უკვე მიქმნიდა დისკომფორტს... სანამ კარს მივუახლოვდებოდი, ვერ მოვითმინე და უკან მივიხედე. ის ისევ მაგიდასთან იდგა და თვალს მაყოლებდა. ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა...

და მივხვდი, რომ სულაც არ მინდოდა მასთან განშორება... მაგრამ უკან დასაბრუნებელი მიზეზიც არ მქონდა... ხოლო თუკი უმიზეზოდ დავბრუნდებოდი, მისი წინადადება უნდა მიმეღო... რა მიშლიდა ხელს? ქალიშვილი ნამდვილად, არ ვიყავი, რომ პირველი ღამის შემშინებოდა... არც იმის საშიშროება მემუქრებოდა, რომ ამ ერთი ღამის ამბავს ვინმე ჩემი ნაცნობი თუ ახლობელი გაიგებდა; დარწმუნებული ვიყავი, რომ ნიუ-იორკის ფარგლებს არ გასცდებოდა. მაშინ რაღა რჩებოდა? ის, რომ არ ვიცნობდი? მერე რა?! სამაგიეროდ, მოგვწონდა ერთმანეთი. ეს სულაც არ ნიშნავდა ცოტას...

და იმის მაგივრად, რომ გზა გამეგრძელებინა, უკან დავბრუნდი...

ტიმს კმაყოფილების ღიმილმა გაუპო ბაგე, რამდენიმე მსუბუქი ნაბიჯი გადმოდგა და მარჯვენა ხელი წელზე მომხვია...

რამდენიმე წამის შემდეგ ის უკვე ყურში ჩამჩურჩულებდა:

— რომ იცოდე, როგორ გამახარე, რომ არ წახვედი, ქეთი... გთხოვ, დარჩი ამაღამ ჩემთან... პირობას გაძლევ, არ ინანებ.

— ჰო... ვრჩები... — ჩავილაპარაკე. — თქვენ ხომ იცოდით, რომ დავრჩებოდი...

— მე მხოლოდ ის ვიცოდი, რომ არ შეგეძლო წასვლა... — ორაზროვნად ჩამჩურჩულა და ყურის ბიბილოზე ნაზად მაკოცა...

შემდეგ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც სიზმარში. ჯერ ბარგი ჩავაბარეთ შემნახველ საკანში, მერე ტიმმა ტაქსი გამოიძახა. საზიზღრად წვიმდა. თან, ისე იყო იქაურობა დანისლული, ერთი მეტრის მოშორებით წვიმის წვეთები არც კი ჩანდა. ტაქსის მძღოლი ქოლგით ხელში მოგვიახლოვდა, სალონამდე მიგვაცილა და კარი გამოგვიღო. ჩავსხედით. კვლავ ვიგრძენი ტიმის ოდეკოლონის არომატი. კვლავ დამეხვა თავბრუ... და საერთოდ, ეს მამაკაცი დანახვის წუთიდან მახვევდა თავბრუს. ამაში მხოლოდ ახლა გამოვუტყდი ჩემს თავს...

ძალიან ახლოს აღმოვჩნდით ერთმანეთთან, იგი მხრით მეხებოდა... სალონში ბნელოდა, თან, სასიამოვნო მელოდია ისმოდა. მძღოლს რადიო ჰქონდა ჩართული... სრულიად ინტიმური ატმოსფერო შეიქმნა...

მოულოდნელად ტიმმა მკლავი გადამხვია.

— გაიყინე? — მზრუნველად ჩამჩურჩულა.

— ცოტათი, — ვუპასუხე და მოვიკუნტე.

— ქეთი, ნუ გეშინია, არ გაწყენინებ... გპირდები... ცუდს არაფერს გაგიკეთებ, — ხმადაბლა წარმოთქვა და უფრო მჭიდროდ ჩამიხუტა.

პასუხი არ გამიცია, თავი მივაბრუნე და ფანჯარაში გავიხედე, თუმცა გარეთ არაფერი ჩანდა.

— სად მივდივართ? — ვიკითხე, რადგან გამიკვირდა, მძღოლმა მისამართი რომ არ გვკითხა.

— ჩემს ბინაში.

— შენ რა, აქ ბინა გაქვს?

— მთლად მასეც ვერ ვიტყოდი, მაგრამ როცა აქ ჩამოვდივარ, ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილას ვჩერდები. ამ კაცმა იცის მისამართი.

— საიდან?

— რომ გითხრა, არ გამიბრაზდები?

— არა.

ტიმმა ჩაახველა, მერე ჩემი მხრიდან, ხელი აიღო, ოდნავ განზე გაიწია და გაუბედავად წარმოთქვა:

— წელან, ამბის გასაგებად რომ გავედი და მითხრეს, ფრენა გადაიდოო, ტაქსი დავიქირავე და მისამართიც მაშინ ვუთხარი.

— ე.ი. მძღოლი ჩვენ გველოდა?

— ჰო.

— მაგრამ რა იცოდი, რომ დაგთანხმდებოდი?

— ვიცოდი... თუმცა ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, მარტოც რომ დავრჩენილიყავი, ტაქსი ხომ მაინც დამჭირდებოდა!

— ა! მართალი ხარ, ეგ ველარ მოვისაზრე.

„ღმერთო, რას ვაკეთებ?! რამ გამაგიჟა?! — ვფიქრობდი ჩემთვის. — მივყვები სრულიად უცხო მამაკაცს სრულიად უცხო ბინაში. მთლად შევიშალე. თავგადასავლები მაკლია?!..“ მაგრამ შინაგანად მაინც ვეთანხმებოდი ჩემს გადაწყვეტილებას. მასთან ერთად მზად ვიყავი, სადაც მოისურვებდა, იქ წავყოლოდი. „საინტერესოა, ხვალ რას ვიტყვი ამ ყველაფერზე? იმედია, არ ვინანებ ჩემს საქციელს“, — გავიფიქრე, მაგრამ მეორე წამს უსიამოვნო ფიქრები უკუვაგდე... ჯერ ხომ არ დამდგარა „ხვალ“. მანამდე კი საოცრება გრძელდება...

ცოტა ხანში ტაქსი ოთხსართულიანი შენობის წინ გაჩერდა, რომელიც კერძო სასტუმროს უფრო წააგავდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ. „გზა“, № 43-50

მარი ჯაფარიძე

გონდაკარგულ ანას ექიმები შემოეხვივნენ, იქვე, პალატაში გადაიყვანეს და თავისუფალ საწოლზე დააწვინეს. დამამშვიდებელი ნემსი გაუკეთეს და ურჩიეს, რომ 1 საათი არ ამდგარიყო.

ანას თვალები დახუჭული ჰქონდა, გონებაში კი ის სიტყვები ჩაესმოდა, რომელიც ბოლოს გაიგონა: „არ მომკვდარა... არ მომკვდარა... არ მომკვდარა“... იმეორებდა დაუსრულებლად. მერე მურთაზზე გაბრაზდა... ყველა ახლობელი, ვინც კი საავადმყოფოში იყო, მის საწოლთან იდგა, მაგრამ ხმას არავინ იღებდა. მხოლოდ მურთაზის ცოლი სლუკუნებდა და სიჩუმეს მისი ხმა არღვევდა.

ყველას თვალებში ინტერესი ჩანდა. თუმცა ფიქრობდნენ, რომ ბიძაშვილის გამო ინერვიულა და ამიტომ დაკარგა გონი.

ცოტა ხანში ანა წამოდგა. ყველას სთხოვა, პალატიდან გასულიყვნენ. მხოლოდ მურთაზის ცოლი დატოვა.

— ერთი სათხოვარი მექნება, — უთხრა მას, როცა მარტონი დარჩნენ. ქალმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. — რაც მე მითხარი, სხვასთან არავისთან წამოგცდეს, კარგი?

— კარგი, — ამოისლუკუნა ქალმა.

— შენ რაც იცოდი, ყველაფერი მითხარი თუ კიდევ იცი რამე?

— მეტი არაფერი ვიცი. დანარჩენი მურთაზმა იცის.

ანა დერეფანში გამოვიდა და რეანიმაციის განყოფილებისკენ გაემართა. კარი ჩაკეტილი იყო. ზარის ღილაკს მიაჭირა თითი. ექთანმა გამოყო თავი.

— განყოფილების უფროსთან შემიშვით, თუ შეიძლება, სალაპარაკო მაქვს, — სთხოვა მშვიდი ტონით.

— დამელოდეთ, — ქალმა კარი ცხვირწინ მიუჯახუნა.

რამდენიმე წუთის შემდეგ კი კარი ფართოდ გააღო და ანას ნება დართო, შესულიყო.

ახალგაზრდა მამაკაცი ნებივრად გადაწოლილიყო სავარძელში და კომპიუტერის კლავიატურაზე აკაკუნებდა.

— მე მურთაზის ბიძაშვილი ვარ, — თქვა ანამ და დაელოდა, ვიდრე ექიმი ინებებდა, მისთვის სკამი შეეთავაზებინა.

— მურთაზი ვინაა?

— თქვენი ახალი ავადმყოფი — კლდიდან რომ დაგორდა, ის! — ანა გააღიზიანა მამაკაცის საქციელმა.

— ა-ა, კი, ბატონო, დაბრძანდით.

— მაინტერესებს, თუ არის მისი საშველი?

— მდგომარეობა თითქმის უიმედოა, — მამაკაცმა სათვალე მოიხსნა და იქვე დადო, — მხოლოდ სასწაულის იმედი უნდა გვქონდეს.

— ახლა უგონოდაა?

— დიახ, რაც ჩვენთან შემოიყვანეს, გონზე არ მოსულა.

— მაგრამ ხომ შეიძლება, რამდენიმე წუთით მაინც დაუბრუნდეს ცნობიერება?

— დიახ, თეორიულად ეგ შესაძლებელია.

— ჰოდა, ამ დროს მე იქ უნდა ვიყო, აუცილებლად უნდა ვიყო მასთან... არ მაინტერესებს, თქვენ დამრთავთ ამის ნებას თუ არა, მაინც მის გვერდით ვიქნები... 2 წუთითაც რომ მოვიდეს გონზე, საკმარისი იქნება, — ანამ სათქმელი ერთი ამოსუნთქვით მიაყარა ექიმს. ტუჩები უთრთოდა, თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

— რისთვის იქნება საკმარისი? — ვერაფერი გაიგო ექიმმა.

— ეს პირადი საკითხია, ძალიან პირადი, ექიმო: მან ისეთი საიდუმლო იცის, რომელიც ჩემთვის სიკვდილ-სიცოცხლის ტოლფასია. ამიტომ, 2 წუთითაც რომ მოვიდეს გონზე, მის გვერდით უნდა ვიყო, რომ ვათქმევინო.

— არა, ამის უფლებას ვერ მოგცემთ: ინტენსიური თერაპიის პალატაში უცხო ადამიანის შესვლა არ შეიძლება. ავადმყოფთან ვერ დაგტოვებთ.

— გთხოვთ, — ანას ხმა ჩაუწყდა, ცრემლმა გზა იპოვა და ღაწვზე ჩამოუგორდა...

ანა ექიმის პირისპირ იჯდა, თვალგაშტერებული, მამაკაცს თვალს თვალში უყრიდა და უხმოდ ტიროდა.

— ასეთი მნიშვნელოვანია? — დაფიქრებით თქვა ექიმმა.

— დიახ, ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანია.

— არა, არ შემიძლია, ამის ნებას არ მომცემენ...

— ძალიან დიდ თანხას გადავიხდი, თუ ამის ნებას დამრთავთ, — ანამ სხვანაირად რომ ვერაფერი გააწყო, გადაწყვიტა, ექიმი მატერიალურად დაეინტერესებინა.

— თანხა თქვენი ავადმყოფის მკურნალობისთვისაც ბლომად გექნებათ გადასახდელი, — შუბლი შეიჭმუხნა მამაკაცმა.

— ამ თანხას დავფარავ და მაგის გარდა, თუ ნებას მომცემთ, მის გვერდით ვიყო, დამატებით, კიდევ 10 ათასს გადავიხდი, 50 ათასს... თუ გნებავთ — 100 ათასს... — თანდათან უწევდა „სტავკას“.

— დაწყნარდით, გოგონა, დამშვიდდით. როგორც ჩანს, ამ კაცმა იცის, განძი სადაა ჩამარხული, — ისე ჩაიცინა ექიმმა, რომ ანას არ სწყენოდა.

— დიახ, ამ კაცმა იცის, ჩემი განძი სადაა... მან ჩემი შვილის ადგილსამყოფელი იცის...

— შვილის?! — გაოცებით შეხედა კაცმა.

— დიახ, ექიმო. მან ჩემი შვილი გაყიდა, გააშვილა თუ უბრალოდ, გასხვისა, ესეც კი არ ვიცი. დღეს მისი მეუღლისგან გავიგე, რომ თურმე ასე ყოფილა. აქამდე მეგონა, სამშობიაროში გარდაიცვალა. თურმე ტყუილი ყოფილა... ის ახლა 10 წლის იქნება. მურთაზი რომ მოკვდეს, შესაძლოა, მე მას ვერ მივაგნო. ამიტომ ჩემთვის აუცილებელია მასთან ყოფნა, რომ ვკითხო, სად წაიყვანა, ვის მისცა ჩემი გოგონა?!.

— მდაა, — ჩაილაპარაკა მამაკაცმა, — გასაგებია.

ანა კითხვით სავსე მზერით უყურებდა და ელოდა, რა გადაწყვეტილებას მიიღებდა ექიმი.

— კარგი. შეგიძლიათ, მასთან იყოთ, ოღონდ, აი, ეს ხალათი ჩაიცვით, — და

საკიდრიდან თეთრი ხალათი ჩამოხსნა და მიაწოდა. — თუ ვინმე დაინტერესდება, იქ რას აკეთებთ, ჩემთან გამოუშვით.

— გმადლობთ, — ჩაილაპარაკა ანამ და კაბინეტიდან გავიდა.

3 დღე და ღამე იჯდა მურთაზის საწოლთან. არც დღე ეძინა და არც ღამე. თვალის მოხუჭვის ეშინოდა, ვაითუ სწორედ მაშინ მოვიდეს გონზე და მე ვარ გავიგოო?! — ფიქრობდა. სახეზე მიტკლის ფერი ედო, თვალის უპეები ჩაუშავდა, მაგრამ ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა. ამ 3 დღის განმავლობაში საჭმელიც კი არ უჭამია.

თავში ათასგვარი აზრი უტრიალებდა. ცდილობდა, წარმოედგინა, როგორი იქნებოდა ახლა მისი შვილი... სად, როგორ პირობებში ცხოვრობდა... ვინ იცის, იქნებ ისე უჭირს, რომ პურიც კი ენატრებაო?! — ფიქრობდა და გული ეკუმშებოდა. თან გონებაში გეგმას ადგენდა — როგორ მოიქცეოდა იმ შემთხვევაში, თუ მურთაზი გონზე მოუსვლელად მოკვდებოდა...

ასეც მოხდა: მეოთხე დღეს მურთაზს გული გაუჩერდა... ანა პანიკაში იყო, თვალს არ აცილებდა მომაკვდავს. მაინც ებღაუჭებოდა ბოლო იმედს — იქნებ, სიკვდილის წინ ერთი წუთით მოსულიყო გონს?..

ექიმმა მურთაზს სახეზე ზეწარი გადაეფარა, ანას მხრებში ხელი მოჰკიდა და კარამდე მიაცილა. ქალი ქვითინებდა, მხრები უცახცახებდა.

თითმის 2 დღე და ღამე, გადაბმულად ეძინა ანას. დილით ადრე გაიღვიძა. თავი აღარ სტკიოდა, მხნედ იყო. სანამ ადგებოდა, მანამ გონებაში უახლოესი რამდენიმე დღის გეგმა დასახა.

პირველ რიგში, სვანეთში, მურთაზის დაკრძალვაზე უნდა წასულიყო. იქიდან დაბრუნებულს კი უამრავი საქმე ელოდა.

ბიძაშვილის გასვენების ხარჯი ანამ იკისრა, რადგან ოჯახს ამის საშუალება არ ჰქონდა. დიდი ხნის უნახავი ნათესავები ეფერებოდნენ, მის ამბებს კითხულობდნენ...

— კი, მაგრამ ამ 3 კვირის წინ რომ ვიყავი ჩამოსული, მაშინ სად იყავით? მაშინ რატომ არავინ მომიკითხეთ? — ჰკითხა ბიცოლას, როცა, როგორც იქნა, სალაპარაკოდ დაიმარტოხელა.

— მურთაზის შიშით ვინ გაბედავდა შენთან მოსვლას?! ყველა ნათესავი გაფრთხილებული ჰყავდა, ვინც შენთან ურთიერთობას გაბედავდა, შავ დღეს დააყრიდა.

— ჰმ, — ჩაიცინა ანამ, — მაინც ვერ გავიგე, ეს კაცი რას მერჩოდა, — თავი გადააქნია დანანებით.

სვანეთიდან წამოსვლის წინაღამეს ანას გაახსენდა, რომ სხვენში ერთი ძველებური სკივრი ედგათ, სადაც დედა ძველ ნივთებსა და ტანისამოსს ინახავდა.

— დე-ე, ის სკივრი კიდევ გვაქვს სხვენში?

— კი, შვილო, აბა, სად წავიდოდა?! რად გინდა? რამ გაგახსენა ახლა სკივრი?

— წავიღებ თბილისში, რესტავრაციას გავუკეთებ და შემოსასვლელში დავდგამ, მოუხდება... ანტიკვარია, ბოლოს და ბოლოს.

ანა სხვენში ავიდა და სანთლის შუქზე სკივრის დაცარიელება დაიწყო. თან, ძველ ნივთებსა და სურათებს ათვალიერებდა. რაღაც გაყვითლებული ფურცლები მოჰყვა ხელში. გაშალა. ერთად დაკეცილი 2 ფურცელი იყო. ორივე, გაურკვეველ ენაზე დაწერილი ტექსტით იყო დაფარული.

ანამ კარგა ხანს ათვალიერა ფურცლები, ხან წაღმა დაიჭირა, ხან — უკუღმა, მაგრამ ვერაფერი გაუგო. როგორც იქნა, სკივრის დაცლას მორჩა და ძლივს ჩაათრია ქვევით.

— რა ჯიუტი ხარ! — სიყვარულით საყვედურობდა დედა. — რად გინდა ეს ჯაბახანა?

— მინდა! ნახე, ამისგან რა მაგარ რამეს გავაკეთებ!.. დე-ე, ეს რა არის? შენი შენახულია? — სკივრში ნაპოვნი ფურცლები გაუწოდა.

— არა, პირველად ვხედავ.

— უი, აბა, რა არის, მაჩვენეთ? — საუბარში ნინოც ჩაერთო. იმანაც კარგა ხანს ათვალიერა ფურცლები, მერე კი იქვე მიყარა.

ის ქაღალდის 2 ფურცელი ყველამ მიივიწყა, ანას გარდა. ფიქრობდა, რომ ძველ არაბულ ენაზე იყო დაწერილი. ამ ენაზე მოლები ჯადოებს აკეთებენ ხოლმე — ეს ანამ იცოდა და ამაზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა.

მეორე დღეს სკივრი ძლივს ჩატიეს მანქანის საბარგულში და თბილისისკენ გამოეშურნენ.

იმავე საღამოს ანა დავითთან მივიდა.

კარი ბიძამისმა გაუღო და რაღაცნაირად, უხერხულად შეიშმუშნა.

— რა იყო, არ გესიამოვნა ჩემი დანახვა? — ანამ ოთახში შეაბიჯა. სამზარეულოდან რაღაც ხმა ისმოდა. ანამ იქით გააპარა თვალი.

— მარტო არა ხარ? — ეშმაკური მზერით გაბურღა კაცი.

— არა, — უხერხულად ჩაახველა დავითმა.

ამ დროს სამზარეულოდან შუახნის, ლამაზი, ტანმაღალი ქალი გამოვიდა.

— გამარჯობა! მე ანა ვარ, — ხელი გაუწოდა.

— გაგიმარჯოს! მე დალი ვარ, — ღიმილით უპასუხა ქალმა. უხერხულობა არ დასტყობია.

დავითი უფრო დაძაბული იყო, დანაშაულზე წასწრებული ბავშვის გამოხედვა ჰქონდა.

— მოდი, ანა, — მოუხმო დალიმ. — როგორც ვხვდები, დავითის დისშვილი ხარ, ხომ? — უცებ გაუშინაურდა ქალი.

— კი, ვარ. თქვენ...

— მე დავითის მეგობარი ვარ, — სიტყვა გააწყვეტინა ქალმა, — მართალია, დათო ამბობს, რომ შეყვარებულები ვართ, მაგრამ ახლა ეგ სიტყვა მოდაში აღარაა, უფრო — ბოიფრენდსა და გელფრენდს იყენებენ ხოლმე.

— მე თქვენი არსებობის შესახებ არაფერი ვიცოდი, თქვენ კი, როგორც ჩანს, კარგად მიცნობთ, — ანას პირველი შეხედვითვე მოეწონა ქალი.

— დიახ. მე და დავითი უკვე 5 წელია, ვმეგობრობთ. ამ ხნის განმავლობაში საკმაოდ ბევრი რამ გავიგე თქვენ შესახებ.

ანამ დავითს საყვედურით გადახედა. იმან თავი ჩაღუნა.

— მინდოდა, ერთმანეთი გაგეცნოთ, მაგრამ ვერ მოვახერხე, — ისე ჩაიბურტყუნა, ძლივს გაარჩევდი, რა თქვა.

ქალებმა გაიცინეს.

დალიმ ყავა მოადუღა. ანამ ის იდუმალებით მოცული ფურცლები მხოლოდ ამის შემდეგ გამოაჩინა.

დავითმა დახედა თუ არა გაყვითლებულ ფურცლებს, მაშინვე თქვა, რომ მათზე წარწერები ძველ არაბულ ენაზე იყო შესრულებული.

— როგორ ფიქრობ — შეიძლება, ეს ჯადო იყოს? — ჰკითხა ანამ.

— არაფერია გამორიცხული. ხვალ წავიდეთ, მოლას ვაჩვენოთ.

— მოლების მეშინია, დავით, — რაღაცნაირად, ჩამქრალი ხმით თქვა ქალმა. — და მომავლისაც მეშინია...

— რა მოხდა, ჩემო პატარავ? ასეთი არ მახსოვხარ, ასე მაშინაც არ ყოფილხარ, როცა ყველა იმედი გადაწურული გქონდა.



— დავით, ჩემი შვილი ცოცხალია, იცი? — უცებ თქვა და გაჩუმდა.

— რა-ა? მე მგონი, შენ ახლა ბოდავ, — დავითმა შუბლზე ხელი მიადო. — თითქოს სიცხე არ უნდა გქონდეს. ახლა ეგ უნდა აიკვიატო?!.

— კიდევ რა ავიკვიატე?

— კიდევ? არ გახსოვს? ამბობდი, — მეშინია, რომ მე და გოჩა არასოდეს დავქორწინდებითო და მართლაც, ასე მოხდა... მერე აიჩემე, — ამერიკაში რომ წავალ, მილიონერზე გავთხოვდებიო და ეგეც აგისრულდა. ახლა კიდევ ახალი აკვიატება გაქვს?

— ეს აკვიატება არაა, — გაეღიმა ქალს, — ეს სიმართლეა. მურთაზს გაუშვილებია ჩემი გოგონა. ისარგებლა იმით, რომ შენ საავადმყოფოში იწექი, მე ვერაფერს გავიგებდი, ექიმს მოელაპარაკა თურმე და მე რომ მშობიარობის შემდეგ გამომწერეს, ბავშვი სამშობიაროში დაუტოვებიათ და მერე გაუშვილებიათ.

— რას ამბობ, ეგ მართალია?!

— კი, მართალია, მურთაზის ცოლმა მითხრა.

— იმიტომ დაეცი უგონოდ და იმიტომ ეჯექი თავთან მომაკვდავ ბიძაშვილს?..

— ჰო, იმიტომ.

— მერე, ახლა რას აპირებ?

— ახლა გოგონა უნდა მოვძებნო! — მტკიცედ თქვა ანამ.

— მაგაში ეჭვიც არ მეპარება, მაგრამ როგორ?

— რაღა თქმა უნდა, სამშობიაროდან დავიწყებ ძებნას და შენ დამეხმარები აუცილებლად.

— როდიდან ვიწყებთ?

— ხვალ დილიდან!

იმ ღამით დალი წავიდა, ანა კი დავითთან დარჩა. არც ერთს არ ეძინა... ორივე ჩუმად იწვა და თავისთვის ფიქრობდა.

დავითი იმაზე ფიქრობდა, რომ ამ პატარა გოგოს ამდენი რამის გადატანა მოუხდა ცხოვრებაში, ანა კი — იმაზე, როგორ მოეხერხებინა შვილის პოვნა.

„ჰმ, ლევანი?.. ლევანი არც გამხსენებია, არადა, ის ხომ მისი შვილიცაა! ახლაღა გამახსენდა... არ ვეტყვი, ცოდვაა: რომ ვერ მივაგნო, მერე გულში ხინჯად დარჩება და სჯობია, არ იცოდეს“, — დაასკვნა ბოლოს და თავს პირობა მისცა, რომ ცდუნებას სძლევდა და ლევანს არაფერს ეტყოდა მანამ, სანამ ბავშვს არ მიაგნებდა. მერე კი მამასაც სრული უფლება ექნებოდა, სცოდნოდა, რომ შვილი ჰყავს.

ანას გამთენიისას ჩაეძინა და სიზმარში ნახა, რომ თეთრ ხალათში გამოწყობილი კაცი სისხლიანი ხელებით ებღაუჭებოდა დედიშობილას. ტანზე ხელებით სისხლიან კვალს უტოვებდა, ცდილობდა, სახეზე მისწვდომოდა და ჩამოეკაწრა, მაგრამ იქამდე ვერ აღწევდა. ანა კი გაუნძრევლად იდგა და ხან იცინოდა, ხან — ტიროდა...

შეშინებულს გამოეღვიძა. უკვე გათენებულიყო. დავითის ხმა სამზარეულოდან ისმოდა.

დილით, სამშობიაროში მისულმა ძალიან ინერვიულა. ის ექიმი მოიკითხა, რომელმაც ამშობიარა. ბატონი ემზარი ადგილზე დახვდა. ექიმის კაბინეტში შესვლისას, დავითმა ჯერ ანა გაატარა, მერე თვითონაც შევიდა და კარი მჭიდროდ დახურა.

— გისმენთ, — სათვალის ზემოდან გადმოხედა ემზარმა.

— რა თქმა უნდა, ვერ მიცანით, არა? — ჰკითხა ანამ.

ამ კაცის მიმართ საოცარ ზიზღს გრძნობდა.

— ვერა, — უთხრა ექიმმა და სახეზე დააკვირდა. — თუმცა ასეთი ლამაზი გოგონა ნანახი რომ მყავდეს, არ დამავიწყდებოდა, — გაეარშიყა კიდეც.

— ამ 10 წლის წინ თქვენ მამშობიარეთ, მაგრამ ალბათ მართლა არ გემახსოვრებით.

— ახლა რაზე შეწუხებულხართ?

— ახლა ჯერ მინდა, კიდევ ერთი დეტალი გაგახსენოთ და მერე მოსვლის მიზეზსაც აგიხსნით. მაშინ მე 3 კვირით ადრე ვიმშობიარე. ბავშვი დღენაკლული იყო. ჩემმა ბიძაშვილმა ფული გადაგიხადათ, რომ ჩემთვის გეთქვათ, თითქოს ბავშვი გარდაიცვალა, შემდეგ კი ბავშვი გააშვილეთ. ესაა ის დეტალი, რომელიც თქვენთვის მინდოდა მეთქვა. ახლა კი მოსვლის მიზეზს გაგიმხელთ: ყველა წვრილმანი უნდა გაიხსენოთ და მითხრათ, ვინ წაიყვანა ჩემი შვილი.

ემზარს ფერი ეცვალა. როგორც ჩანს, მაშინვე გაიხსენა ეს შემთხვევა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა:

— თქვენ რაღაც გეშლებათ, ასეთი რამ ჩემს პრაქტიკაში არ ყოფილა.

— გაიხსენეთ, თორემ ძალით გაგახსენებინებთ! — ანას ხმაში მუქარა გაისმა.

— მემუქრებით?

— თუ გნებავთ, ასე გაიგეთ.

— არა, ვერ ვიხსენებ, — მაინც მტკიცედ იდგა პირველად ნათქვამზე.

— ბატონო ემზარ, თქვენთვის ჯობია, რომ გაიხსენოთ, — საუბარში დავითი ჩაერთო, — ვინაიდან ამ შემთხვევაში, არაფერი გემუქრებათ. ჩვენ წავალთ, თქვენ მიერ მოცემული ინფორმაციის საფუძველზე ბავშვს მოვძებნით, თქვენ კი განაგრძობთ ცხვოვრებას ჩვეულებრივი, დამძიმებული სინდისითა და „ჭუჭყიანი“ ხელებით. თუ ასე არ მოიქცევით, მაშინ იძულებული ვიქნები, ის კაცი მოგიყვანოთ, ვინც მაშინ ფული გადაგიხადათ და თუ ესეც არ გაჭრის, მაშინ არც იმაზე დავიხევთ უკან, რომ ფიზიკურად გაგისწორდეთ. თუ დამჭირდება, ძალიან სასტიკად მოგექცევით, გაწამებთ და მაინც გათქმევინებთ...

დავითმა სათქმელი მშვიდად თქვა, ემზარს ცოტა გონზე მოსვლა აცალა და განაგრძო:

— თუ ყველაფერს იტყვით, ფულად ჯილდოსაც მიიღებთ. მესმის, რომ ეს ძალზე მოულოდნელია და მოსაფიქრებლად დრო გჭირდებათ. ამიტომ, ჩვენ ახლა წავალთ და ხვალ საღამოს პასუხისთვის მოვალთ. ანა, წავიდეთ, — ბრძანებასავით გაისმა დავითის ხმა.

ქალმა უკანმოუხედავად დატოვა კაბინეტი.

ნერვიულობისგან ტუჩებს იკვნეტდა... დავითს დაემშვიდობა და საჭეს მიუჯდა.

ცოტა ხანში ქალაქს გასცდა და სართიჭალისკენ აიღო გეზი. გაგონილი ჰქონდა, რომ იქ ერთი ცნობილი მოლა ცხოვრობდა და მასთან მისვლა გადაწყვიტა. კითხვა-კითხვით, ბოლოს და ბოლოს, საჭირო მისამართს მიაგნო.

ანას მოლა სულ სხავანაირად ჰყავდა წარმოდგენილი. რატომღაც ეგონა, რომ თავზე ჩალმა უნდა ხურებოდა, ტანზე კი შავი მოსასხამი სცმოდა, თეთრი წვერულვაშითა და იდუმალი გამომეტყველებით ყოფილიყო... მას კი ჩვეულებრივი, შავგვრემანი, წვერიანი მამაკაცი შერჩა ხელში.

— რაზე შეწუხებულხართ? — ჰკითხა კაცმა.

— აი, ეს ვიპოვე სახლში და მაინტერესებს, რა წერია. მითხრეს, რომ თქვენ შეგიძლიათ ამის ახსნა, — სხვენში ნაპოვნი ფურცლები გაუწოდა.

მამაკაცმა დახედა.

— ჯადოა, — მტკიცედ თქვა.

— მერე?.. კიდევ რა შეგიძლიათ მითხრათ?

— ეს საშიში ჯადოა, რომელიც 3 ფურცელზე იწერება.

— მე მხოლოდ 2 ვნახე, — შეშინებულმა თქვა.

— გასაგებია, რადგან ამ ჯადოს ძალა მხოლოდ მანამდე აქვს, სანამ მესამე ფურცელი ამ ორთან ერთად არაა. როგორც კი სამივე ერთად მოიყრის თავს, ჯადო მოიხსნება. შენ მხოლოდ პირველი და ბოლო ფურცელი გაქვს, შუა ფურცელი აკლია.

— გამოდის, თუ იმ ფურცელს ვერ ვიპოვი, ჯადოს მოხსნას ვერ შევძლებ?

— ვერა, — მამაკაცმა თავი გააქნია, — თუ იმ ადამიანს, ვინც ეს გააკეთა, შენი დაღუპვა აქვს გადაწყვეტილი, მაშინ მესამე ფურცელს დაწვავდა, თუ არა და, სადმე იქნება და უნდა მოძებნო. მეტს ვერაფერს გეტყვი. თუ იპოვი, ჩემთან მოდი და გეტყვი, მერე როგორ უნდა მოიქცე.

ანა გაოგნებული ბრუნდებოდა თბილისში. საფიქრალად დრო თავზე საყრელი ჰქონდა...

ეგონა, რომ ამერიკიდან თბილისში დაბრუნებული, საქმეს მოჰკიდებდა ხელს და სანამ ბოლომდე არ მიიყვანდა, არ მოეშვებოდა, მაგრამ ახლა საქმემ უკანა პლანზე გადაიწია. ახლა მისი პირველი მიზანი — შვილის მოძებნა იყო, პარალელურად — ამ ავადსახსენებელი მესამე ფურცლის პოვნა...

„იმიტომაცაა, რომ ვერ გავიხარე, პირად ცხოვრებაში არ მიმართლებს; თუ მამაკაცი ჩემს ქმრობას გადაწყვეტს, კვდება, — ფიქრობდა ქალი და გული ბრაზით ევსებოდა. — კი, მაგრამ ვის სჭირდებოდა ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის ჯადოს გაკეთება?.. ვის შეეძლო ეს, ფურცლები აეტანა სხვენში და სკივრში დაემალა?.. ვინ იცის, რამდენი წელია, იქ დევს, ჩვენ კი არაფერი ვიცოდით ამის შესახებ“.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გზა ეკონომიკური

„ძმურად“ გაყოფა

„ათენში ორი თვის ჩამოსულმა თბილისელმა ანამ თბილისელი ნანა ნაგვის საყრელთან გაიცნო.

— ქართველი ხარ? — ჰკითხა ანამ.

— ჰო, ამ დასახლებაში 6 წელია, ვმუშაობ, ნაცნობები სომეხ ნანას მეძახიან, ღიმილით უპასუხა ნანამ, თავი ამაყად ასწია და ბრილიანტისთვლიანი საყურეები დემონსტრაციულად შეარხია. იმედი მიეცა ანას, გვერდით ქართულად დამლაპარაკებელი მეყოლებაო. გადიოდა დრო, ანა ყოველდღე ხედავდა, ნანა ნაგვის საყრელიდან როგორ ეზიდებოდა სახლში „რამერუმეებს“. ერთხელ ანაც გაბრიყვდა და ნაპოვნ ფუთას წაეპოტინა. სად იყო და სად არა, ნანა გაჩნდა.

— ქალო, ვერ გაიგე?! აქ ყველაფერს მე ვანაწილებ! — დასჭექა და გახსნა ანას ნაპოვნი ფუთა. დაობებული პირსახოცებიდან ორი ანას მისცა.

— რადგან შენ იპოვე, დანარჩენი ჩემია, — გაანაწილა ნანამ.

აქ „არასერიოზული“ რა უნდა იყოს? მე ვარ არასერიოზული. ხომ შეიძლება, მეც გავიკეთო ბრილიანტები, ქერად შევიღებო და დავიკულულო თმა, ამაყადაც ვიარო, მაგრამ ნაგავზე დაყრილი დაობებული პირსახოცები ვიღაცას „ძმურად“ გავუყო? ახლა კი ვიცი, ანას და ნანას დაქლიბულ-დამანიკიურებულ ბრჭყალებს ვერ გადავურჩები. თამრო“.

უფასო მგზავრი

„როგორც ყოველკვირა, ახლაც, ხუთშაბათ დილით, გულისფანცქალით მომლოდინემ, კვლავინდებურად ვიყიდე „გზა“. მეტროთი მგზავრობისას იმდენი ვიხალისე, გვერდით მჯდომი, ძვირფასბეწვიან ქურქში შეფუთული და თავმომწონე ქალბატონის ირიბი გამოხედვების ნაკლებობას არ ვუჩიოდი, მაგრამ ჩემმა მხოლოდ ერთმა, პირდაპირმა და „იაზვობაშეპარულმა“ გადახედვამ ძუკნა ძაღლივით (უკაცრავად) დააშიმინა. „ვაგზლის მოედნიდან“ გამოვედი, საათს დავხედე და მივხვდი, რომ სამსახურში მაგვიანდებოდა. არადა, ნამდვილად არ მქონდა, თქვენთვის უკვე ნაცნობი, ცხვირიანი დედაბრის ბუზღუნისა და შესაბამისად, ჩემი იძულებითი შურისძიების თავი. მღელვარე ფიქრების გასანეიტრალებლად და სამსახურში მალე მისასვლელად, მხსნელად მომევლინა 75 ნომერი „მარშრუტკა“, საბარგულთან ფეხისდასადგმელითურთ. მისკენ მივძუნ-

მარი ჯაფარიძე

თემა — თემად, მაგრამ მკითხველების საყურადღებოდ ერთი რამ მინდა, ვთქვა: რატომღაც თქვენში ერთურთის მიმართ აგრესიამ იჩინა თავი. ეს კი მე არ მომწონს და არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებ, რომ ერთმანეთს დაერიოთ. საბერძნეთში მყოფმა ემიგრანტებმა, იმის ნაცვლად, რომ ერთმანეთს ხელი ჩასჭიდონ და იმეგობრონ, ლამის ერთმანეთი დაჭამონ. თან მეუბნებიან, ვალდებული ხარ, ემიგრანტები აგვიტანოო. სულაც არ ვარ ვალდებული, „გზის“ ფურცლები „ქურდული გარჩევის“ ასპარეზად ვაქციო. თუ ვინმეს მიმართ პრეტენზია გაქვთ, ნება იბოძეთ და „გზის“ საშუალებით კი არა, უშუალოდ ერთმანეთთან გაარკვიეთ. უკვე ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ზოგიერთი თავის ნამდვილ სახეს მხოლოდ ახლა აჩენს. მაპატიეთ ასეთი პირდაპირობისა და დატუქსვისთვის, მაგრამ თუ არ მეთანხმებით, მომწერეთ და თქვენს აზრს სიამოვნებით გავითვალისწინებ. ბიჭოს! ასე კარგა ხანია, არ „აშხვფოთებულვარ“. ახლა კი თქვენს მესიჯებს გავეცნოთ.

არასერიოზული საქციელი

ისთვის საჭირო დრო. ისე „გავზანგდისფერდი“, რომ მხოლოდ ჩემი ქათქათა ფეხები მახსენებს, რომ თეთრი რასის წარმომადგენელი ვარ. „დაგავორით“ დილის 8-დან საღამოს 5 საათამდე უნდა გვეშრომა, მაგრამ „პრარაბმა“ დროს გაუსწრო და დილის 7-დან საღამოს 9 საათამდე გვაძრობს ტყავს. ერთ თვეში მხოლოდ 1 დღე დაგვასვენა, საჭმელს კვირაში 3-ჯერ გვაჭმევს და „თავისმა კაცმაც“ ვერ გაუძლო ამ ტრეფიკინგს და გაექცა. მერე მე ამიდუღა ტვინი, დღეში 13 საათი მცხუნვარე მზეზე ოფლისღვრამ. ლამის ყველა სიმღერა დამავიწყა, 2 სიმღერის გარდა. დილით კავსაძის გმირის სიმღერით ვაღვიძებდი თავს: „ადექ მუშავ შეენ, ნუ გძინავს შენ, ნუ ხვრინავ შენ“ და საღამოს პოტიეს და დეგეიტერის „ინტერნაციონალით“ ვიმშვიდებდი „დანაღმულ“ ნერვებს: „აღსდექ, კრულვითა დაღდასმულო, ქვეყანავ, მშიერ მონების“... თან მზისგან გადატყავებულ სხეულზე კვნესით ვისვამდი 1 ქილა მაწონს. ბოლო-ბოლო ეს ნერვები აფეთქდა და გამანადგურებელი ტირადის შემდეგ (ერთხელ ხომ მაინც მოვიოხე გული), „პრარაბს“ გამოსამშვიდობებელი რევერანსი ჩავუტარე. იცოცხლე, მანამდე დაწუნებულ ბიჭებს ეხვეწა ეს წურბელა, მაგრამ მოსაკლავი თავი ვის ჰქონდა? უბანი ისედაც აღშფოთებული იყო ამ ექსპლოატატორზე. ჰოდა, 2 დღის შემდეგ მომადგა კარზე. მე მეზობელთან ვიყავი და მოლაპარაკება დედაჩემთან მოუხდა. მე დედა მყაავს?! მიმიქარავს საქმის გამრჩევი და კაი დამრტყმელი კაცი. მთვარის გრავიტაციასავით მოქმედების სინდისმიძინებულთა აზრების მოქცევა-მიმოქცევის ციკლურ ცვლილებებზე. 10 წუთში მოასწრო და სამართლებრივ-ზნეობრივ-რელიგიურ-ექსტრემალურ-დიპლომატიურ-ისტორიულ-კრიტიკული დებულებების ისეთი სიტყვები ჟესტიკულაციით „წაუკოკისპირულა“ დალენჩებულ კაცს, რომ მეზობლები სიცილით კვდებოდნენ. ამ მოულოდნელი რევოლუციით ევოლუციაქმნილმა, ჩემმა ექსმწვალებელმა რამდენჯერმე უხმოდ გაშალა ხელები და გახსნა „სალაპარაკო პუნქტი“ (აბა სიტყვას ვინ ათქმევინებდა?), როგორც იტყვიან, მომაკვდავი გედის პარტია წაუცეკვა და ხვეწნით მომიბრუნდა: — კახავ, რომ მცოდნოდა, ეგეთი კაი და ჭკვიანი ცოლი გყავდა, ცოტა ადრე გამოგიშვებდი ხოლმე. აჰა, ეს 50 ლარიც შენ, საჩუქრად და შევრიგდეთ, თუ კიდენა ზედმეტი საათები მოგიწევს მუშაობა, აგინაზღაურებ, ჯოო! (ხომ ხედავთ, კახეთში ჯო ბაიდენი რა პატივში გვყავს, ერთმანეთს სულ „ჯოოებით“ მივმართავთ). უბანი სიცილით ერთმანეთს აწყდებოდა. ამ კაცს ჩემი სუპერდედიკო ჩემი ცოლი ეგონა. ეეჰ, მართლები ყოფილან ძველები, — „კაცი ბერდებოდა და ჭკუა უკანალში მისდიოდაო“, რომ ამბობდნენ. არადა, მართლა მაგრად გაუკვირდა, რომ ეს „შორტებსა“ და ზიზილ-პიპილა ზედატანში გამოწყობილი ქალი (60 წლის კაცისთვის კი — გოგო!) დედაჩემი იყო. ჰოოდა, რას ვამბობდი? ისევ ვმუშაობ, თუმცა ის გულისმომაკვდინებელი სიმღერები უკვე დავივიწყე და როგორც ხედავთ, „გზავნილებისთვის“ და თქვენთვის სიყვარულის ასახსნელადაც ისევ გამოვნახე დრო. ფუი, ეშმაკს! თვალი არ მეცეს, თორემ დედაჩემს შელოცვების სწავლაც მოუწევს. გაუჭირდება თუუ?! მონაღვთისა, „გზისა“ და „პრარაბისა“, ენიგმა. .შ. ისე, თუ ისევ დავიკარგე, „გზაში“ ასეთ ეპიტაფიას ნუ დამამადლით: „და გზა უვალი, შენგან ნაგები, ენიგმავ ჩვენო, მაინც დარჩება“. ბოლო-ბოლო მგზავნელი ვარ და გზას ვაგებ, ტოო, თორემ „უგზოობა“ ჩვენს მტერს! ენიგმა“.

ტყუილი „აბორტი“

„ოინი კი არა, ოინბაზობის მთელი კასკადი მაქვს მოსაყოლი. ჰოდა, სმენა იყოს და გაგონება! ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩვენი დედაქალაქის ქუჩებს მერიის ახლანდელი სიამაყე, ყვითელი „სანდრაბუსები“ არ ამშვენებდა და ე.წ. „მარშრუტკებს“ დიდი „პარადი“ ჰქონდა მოწყობილი, რკინიგზის სადგურიდან ვაკისკენ ერთი სამარშრუტო ნომერი დადიოდა. უამრავ რიგით თუ დიპლომიან მძღოლს შორის იყვნენ მავნებლობით გამორჩეული და გულუბრყვილობით დაჩაგრულებიც. ერთ-ერთ ასეთ ასაკოვან კაცს ბიჭები ხშირად აწვალებდნენ. ხან რას უჩალიჩებდნენ და ხან — რას. ასე მაგალითად, ერთ მშვენიერ დღეს, როცა ჩვეულებისამებრ, მისი „აბაროტის“ დრო მოვიდა, ბიჭებმა ტრაფარეტის წინ ჩუმად სხვა ტრაფარეტი ჩაუდეს, წარწერით — ყვარელი. დაიძრა ჩვენი „მსხვერპლი“, მაგრამ რად გინდა? ისე გაიარა ვაკის რაიონი, ერთი ღვთისნიერი მგზავრი არ გამოჩენილა, მისთვის ხელი რომ დაექნია. არადა, წესით ამ დროს ისეთი გადატენილი უნდა ყოფილიყო „მარშრუტკა“, რომ სუნთქვაც კი შეუძლებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ნურას უკაცრავად, არც ერთი მგზავრი არ ახარებდა მძღოლის გულს. მხოლოდ შეხედავდნენ საქარე მინაზე მიმაგრებულ წარწერას და ცივად არიდებდნენ თვალს. გაგიჟდა კაცი, იფიქრა, ვინ შემომხედა დღეს ცუდ თვალზე, ვინ დამთარსა, მე იმის ასე და ისეო. ამ ფიქრებში იყო გართული, მგზავრმა რომ გააჩერა. ავიდა გახარებული და გაბრწყინებული სახით „მარშრუტკაში“ და კომფორტულად მოთავსდა. მე შენ გეტყვი და ადგილი არ იყო თუ რა?! — მეგონა, აქეთ არ დადიოდით, ძალიან კი გამახარა თქვენმა დანახვამ, ჯო, — გულწრფელად თქვა კახელმა მგზავრმა. მძღოლმა თავი დაუქნია და ისევ თავის უცნაურ „აბაროტს“ ჩაუფიქრდა. ასე ერთი კაცის ამარა ჩავიდა სადგურამდე და როცა გაჩერებაზე მივიდა, მგზავრს გამოხედა. ის კი იჯდა მშვიდად და გაზეთს კითხულობდა. — მოვედით, ბატონო, შეგიძლიათ ჩაბრძანდეთ. მგზავრმა მიმოიხედა გარშემო და გაკვირვებულმა იკითხა: — ყვარელში ვართ, უკვე? ყვარელის გაგონება და მძღოლის წონასწორობიდან გამოსვლა ერთი იყო. გამოეკიდა კაცს. მერე კი ტრაფარეტს დახედა და მიხვდა, რატომ მოუწია იმ „აბაროტზე“ „გაკატავება“. გავიდა დრო და ეს საწყალი მძღოლი ისევ ამოიღეს მიზანში. ამჯერად, არც მეტი, არც ნაკლები, სრულიად შიშველი ფოტომოდელი ლამაზმანის ფოტო ჩაუდეს. დაიძრა ისევ „მარშრუტკა“. ჩაიარა პირველ თავშეყრილ მგზავრთა ჯგუფთან. გააჩერა ქალმა, აღშფოთებული სახით გააღო „მარშრუტკის“ კარი, უკაცრავად და ერთი გემრიელად მიაფურთხა ჩვენს მძღოლს და მიაძახა, შე ტუტუცო და გაფუჭებულო კაცოო და მიუჯახუნა კარი. იგივე ქმედება რამდენჯერმე განმეორდა. შეხედავდნენ ტრაფარეტზე და იწყევლებოდნენ, ილანძღებოდნენ, იფურთხებოდნენ და იგინებოდნენ მგზავრები, შე გათახსირებულო, უზრდელო, უსინდისო კაცოო, ესმოდა გაოცებულ მძღოლს, სრულიად დაუმსახურებლად. ბოლოს, როგორც იქნა, დაბრუნდა წარუმატებელი და შეიძლება ითქვას, „ტრაგიკული აბაროტიდან“ და როცა ტრაფარეტის წინ აფარებული, „სირცხვილდაკარგული“ ლამაზმანი იხილა, კინაღამ ინფარქტმა დაარტყა. ასეთ დღეში ჩააგდეს საწყალი კაცი და მატერიალურ ზარალთან ერთად, ნერვების დაწყვეტამდე მიიყვანეს. თუმცა, ახლა ყველა ღიმილით იხსენებს ამ ამბებს. იკუშკები“.

ნათლია

„თემამ წლების წინანდელი ამ-

ბავი გამახსენა: ერთხელ, ბედობა დღეს, „სოფლის ნათლიამ“ გადაწყვიტა სუფრის გადაფენა გზაზე კი არა, არამედ, ეზოში, ხეების ძირში. წინააღმდეგობა ამ ხეებივით აღიმართა ტრადიციების მოყვარულ წინაპართა მხრიდან: ბედობააო, ვისი ბედი დაგვებედებაო, ვისი ფეხი შემოაბოტებსო და ა.შ. ჰოდა, ჩემმა ძამიამ განუცხადა მეზობლებს, ვქეიფობთ, ოღონდ თქვენი ფეხი არ ვნახო ჩემს ეზოშიო. ერთი ალაგეზე შემოშლიგინდა ცხენით, მეორემ კიბე გადმოაყუდა და ისე გადმოალაჯა, მესამემ ველოსიპედი და ცხვირ-პირი ერთად დაიმტვრია, მეოთხე კი ხოხვით გადმოძვრა პარტიზანივით და რაც მთავარია, იღლიებში ამოჩრილ არყის ბოთლებს ძალიან გაუფრთხილდნენ. თინეიჯერი შინაბერა“.

ფრანგულ-ქალური ხუმრობა

„სწორედ დღეს ვესაუბრე დაქალს პარიზში და მისთვის მოწყობილი ოინი გამახსენდა. ის საოცრად მორცხვი და ჩუმი გოგოა, მე კი — ეშმაკის ფეხი. ერთხელ, ბიბლიოთეკაში წიგნებისა და დისკების დასაბრუნებლად მივედით. მაშინ მარიმ ფრანგული კარგად არ იცოდა და გახუმრება გადავწყვიტე. ბიბლიოთეკარს ფრანგულად გავესაუბრე, მარის კი ვუთარგმნე, რომ დისკებს ზემოთ იბარებდნენ და ადმინისტრაციის სართულზე მივუთითე, მე სამკითხველოში შევაფარე თავი. ცოტა ხანში განგაში ატყდა და რას ვხედავ? ჩემი მარიკოსთვის დაცვას ხელები გადაუგრეხია და კიბეზე სასტიკი კრიმინალივით მოარბენინებს. მეც მათკენ გავქანდი და მთელი ჩემი ფრანგულ-ქალური შარმის გამოყენება დამჭირდა დაცვის გულის მოსალბობად. მას მერე ის ბიჭები საშვს აღარ მიმოწმებენ და თბილი ღიმილით მიღებენ კარს. მარიკუს, პარიზს რომ ვეწვევი, ეიფელიდან მოგიხდი ბოდიშს. პარიჟანკა“.

მამა-შვილი

„ერთი ამბავი გამახსენდა, რომელიც ჩემმა მეგობარმა მიამბო. ჩვენს უბანში ერთი ქალი ცხოვრობდა, რომელიც ქმარს რქებს ადგამდა და სახლში მისი არყოფნის დროს საყვარლებს მასპინძლობდა. ერთხელ ამ ქალს ჩემი მეგობარი ესტუმრა სახლში. დიდი ამბით შეიპატიჟა, მობრძანდი, ჩემი ქმარი შინ არ არისო. ჩემი მეგობარი მასთან შამპანურებითა და უამრავი ტკბილეულით ხელდამშვენებული მივიდა. ქალმა ყავა შესთავაზა, მერე დასხდნენ და ლაპარაკი გააბეს. არ გასულა დიდი ხანი და კარზე ზარის ხმა მოისმა. ქალმა ჩემი მეგობარი უკანა გასასვლელიდან გაისტუმრა, მაგიდაც აალაგა, რომ არაფერი ეეჭვა ქმარს. გააღო კარი და ცოტა დამშვიდდა, რადგან იქ მორიგი თაყვანისმცემელი დახვდა. შემოიპატიჟა ისიც. ჩემი მეგობარი თურმე ფანჯრიდან ადევნებდა თვალს ამ ყველაფერს. რაღა უნდა ექნა? ქალი აახიეს. თან — ვინ? ადგა და შინ წავიდა, გულდაწყვეტილი. ღამით მამამისმა სახლში მისვლა დააგვიანა. დილით კი ეკითხება: — მამი, წუხელ სად იყავი, ასე გვიან რომ მოხვედიო? კაცებმა ვსვით და ცოტა შემაგვიანდაო. ჩემს მეგობარს გაეცინა და უთხრა, მე კი დაგინახე, კარგ და გემრიელ ყავას როგორ მიირთმევდიო. კაცს გაუკვირდა, მაგრამ მერე ჩემმა მეგობარმა ყველაფერი მოუყვა და ერთად ბევრი იცინეს. იცოდე, დედაშენთან არაფერი წამოგცდეს, თორემ კარგი დღე არც ერთს არ დაგვადგებაო, გააფრთხილა მამამ. კნოპკა“.

ფსევდოცოტნე

„მოკლედ, გავგიჟდი ქალი და ამ მაღალი ტექნოლოგიებისა და დაბალი მორალის (ზედსართავები ნაღდად არ შემშლია) XX საუკუნეში, იდეალური მამაკაცის მოდაგასულ სტერეოტიპზე შევაჩერე არჩევანი. ოპტიმიზმი არ მტოვებდა, რომ ჩვენს დროში და ჩემს პროვინციულ ქალაქშიც აღმოჩნდებოდა ვინმე ასეთი. ვისზე ვსაუბრობ? რა თქმა უნდა, შუასაუკუნეების ქართულ ფენომენზე, ცოტნე დადიანზე. არც სხვათა ღვაწლს ვაკნინებ, მაგრამ ცოტნე?! „ვეფხისტყაოსნის“ ავთანდილისგან განსხვავებით ის რეალური გმირია, რომელმაც მხოლოდ ქართველური გულითადობით და მეგობრებისადმი ნებაყოფლობითი თავგანწირვით, თვით მონღოლებიც კი მოხიბლა (ჰმ, მონღოლიც რომ რუსზე მაღლა იდგება?!). ჩემი აზრების მოსმენისას ოჯახის წევრები და მეგობრები უიმედოდ იჩეჩავდნენ მხრებს, — დარჩენილხარ გასათხოვარიო, მეუბნებოდნენ. პაპაჩემი ქალაქგარეთ ცხოვრობს მარტო და მასთან ხშირად დავდივარ. რამდენიმე წელია, პაპას მეზობელთან დასასვენებლად ერთი მცხეთელი ბიჭი ჩამოდის. ამდენი ხანია მიცნობს, მაგრამ მაინცდამაინც წელს გადაირია — შენაო, ჩემი ცხოვრების ფეიერვერკი ხარო, ჩემის ღრმა სიყვარულით, შენი გამონათების იმედი მაქვსო და მოკლედ, „დავდნი ღორიი ქონივითაო“, მაგრამ ისეთი ბრგე იყო და სუფთად გაპარსული, რომ გაპუტტულ და უფერულ ლომს ჰგავდა და არა — ჩემს ნაოცნებარ ცოტნეს. ავდექი და ჩვენებური მეხი, ქოქოლა და დარდუბალა მივაყარე და ოქროს ზოდივით დავემალე, მაგრამ ატეხილმა გრძნობამ ბაბუა-ჩემის მოციმციმე არითმიასავით შეაწუხა და ჩემი მეგობრების გადაბირება დაიწყო (ვაი, ცოტნე, მაშ ამ „აგიტატორში“ გაგცვლიდა ელექტრა?). გავიდა 2 დღე. დილით ბაბუაჩემმა სიცილით გამაღვიძა, ეზოში ჩამო ჩემო იადონო, რა სანახავი გაჩვენოო. ბუზღუნით ჩავედი ეზოში და რას ვხედავ? ზის მხოლოდ შორტში გამოწყობილი ეს „უხეირო ლომი“ ბალახში (სანქციის გარეშე, ბოსტნიდან გადმოპარული), სუფთად გაპარსულ მთელ ტანზე თაფლი წაუსვამს და თავზემოთ მოზუზუნე ფუტკრებს დამანჭული „როჟით“ უქნევს ხელებს. სიცილი ამიტყდა. — აბა, რა ვქნა, შენთან საკომუნიკაციოდ სხვა ენა ვერ გამოვნახე, თურმე ცოტნე დადიანზე ეცემიო... გაიყიდნენ შენი მეგობრები ლუდზე და „სნიკერსზე“ და იმას კიდევ, ჩემზე მეტი კი არაფერი უქნიაო. ჩრდილში დავჯექი და თავიდან ბოლომდე მოვუყევი ჩემი ცოტნეს ისტორია. ჰოდა, გაუტყდა გული ბიჭს, მასე ვერ გავქაჩავ, თავი ცოცხალი მინდა, რომ ცოლ-შვილში გავიხარო, ცივილიზაციის ინტერესებისთვის მაინც მიწყალობე გული, რომ შენისთანა მაღალი ზნეობის შვილებით გავანებივროთ სამყაროო, მაგრამ ვერ მივართვი. ერთი კია, მეგობრებისა და „ცოტნეს“ სინქრონულმა ოინმა, ჩემი იდეალების პროფილაქტიკა მოახდინა. დაობლდა ჩემი მიზანი, რომ ცოტნეს ვიპოვი. გოგოებო, კიდევ ვინ ეძებს ცოტნე დადიანს? მთლად მას ვერა, მაგრამ მის უიღბლო იმიტატორს გამოგიგზავნით. ისეთი თაფლიანი ბიჭიაააა... შეკვეთებს „გზის“ საშუალებით მივიღებ. გაიხარეთ, თქვენა. მე კი ისევ გასათხოვარი ვარ, თვალი დაუდგეს გასაშლელ კოკორსაა... .შ. მარიი, მომენატრეთ შენ და შენი სამგზავნელო. გაკოცეთ, სადაც გამიხარდება. პროვოკაციებს არ ვიყოთ! ელექტრა“.

დაზარალებული პატრული

„ოო, მე და დეიდაშვილმა ერთ

მოკლე ჩართვა

რომელმა წიგნმა იქონია ჩემზე ყველაზე დიდი გავლენა?

ბავშვობაში ძმის რჩევით და მერე საკუთარი სურვილით, „გრაფი მონტე-კრისტოს“ 3 ტომი სულმოუთქმელად წავიკითხე და მართლაც აღფრთოვანებული დავრჩი. შემდეგ ჯავახიშვილის „ქალის ტვირთმა“, მოგვიანებით კი „მთვარის მოტაცებამ“ და საერთოდ, კონსტანტინე გამსახურდიამ გამაოცა. ისე კი, ბევრი მსოფლიო ბესტსელერის კითხვისას გამცრუებია იმედი და არ აღმოჩენილა ის, რასაც ველოდი. თანამედროვეობის — მით უმეტეს. სვანის ასული.

ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მარკესის ნაწარმოებმა „მარტოობის ასი წელიწადი“. ეს ჩემი უსაყვარლესი ნაწარმოებია. ასევე ძალიან მომეწონა ეგზიუპერის „პატარა უფლისწული“. თაკო.

ძალიან მიყვარს „შავი სატანა“. ფშავური ცხოვრების ადათ-წესებზე აგებული, საოცრად მძიმე და ტრაგიკული წიგნია. ბევრი ძველი ქართული ტრადიციაა გადმოცემული. ჭრიჭინა.

ყველაზე ძალიან „ფარი და მახვილი“ მიყვარს. პატრიოტული რომანია. კიდევ, „ნანგრევებზე“ მიყვარს უზომოდ. რომელი ერთი ჩამოვთვალო? ექსტაზი.

„დიდოსტატის მარჯვენაზე“ ვაბოდებ. ჩემზე დიდი გავლენა იქონია. ასევე ვაჟა-ფშაველას ყველა ნაწარმოები მიყვარს. მისი შემოქმედება ჩემზე დიდ გავლენას ახდენს. სოფი19.

კომპიუტერი წიგნს რომ ვერასდროს ჩაანაცვლებს, ფაქტია. კითხვა მეტყველების განვითარებას უწყობს ხელსო და (შომავალი დამოუკიდებელი ჟურნალისტი ვარ) მეც ვკითხულობ, ვკითხულობ და ვკითხულობ! ლენინის ანდერძს ვასრულებ. ჰოდა, იმას ვამბობდი, რომ წიგნი, რომელმაც გავლენა იქონია ჩემზე, არის: „მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი“. ამ ქალმა დამანახვა, რომ ქართველებსაც შეგვიძლია! მიყვარს კითხვა და ქიშმიში. მის საქართველო. რუისპირი.

ძალიან ბევრმა წიგნმა იმოქმედა ჩემზე, მაგრამ „გმირთა ვარამი“, როგორც ქართული ისტორიული რომანი, განსაკუთრებით მომწონს. ვეტიროდი, როცა ვკითხულობდი! ელისო.

აუ, ჩემისთანა მკითხველი თუა სადმე, გამომეხმაუროს. იმდენი წიგნი მაქვს წაკითხული, ლენინს შეშურდებოდა. ყველაზე მაგარი „ფაიფურის თოჯინა“ და ჯემალ ქარჩხაძის „მდგმურია“. ძაან მაგარია ორივე. ჰო, კინაღამ დამავიწყდა, გოჩა მანველიძის „მგლები“ უმაგრესია. ნაინა.

ძალიან მომეწონა მარკესის „ჩემი სევდიანი მეძავების გახსენების ჟამს“ სკყ.

საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჰიუგოს რომანმა „კაცი, რომელიც იცინის“. ერთი წელია რაც წავიკითხე და დღესაც შთაბეჭდილებში ვარ. საოცარი იყო... ახლა კოელიოს „ვერონიკამ სიკვდილი გადაწყვიტას“ ვკითხულობ და ესეც მომწონს. სწეეტ-გირლ.

ძელებს ბებო), სულ ჩამხადა კაბა, მაგ სასიკვდილეეეემ! :) ახლა, რაშია საქმე: ბებოს ჰყავს ვეებერთელა ღორი. იმხელაა, რომ ვხედავ, გული მისკდება, არ გადასანსლოს ვინმე. თან იქ ღორის გარეთ გაშვება არ იციან, საღორეში ჰყავთ დამწყვდეული და ეს ჩვენი ღორუნაც იმიტომ არის იმხელა. ჰოდა, ბებო როცა საჭმელს აჭმევს, ეს ღორი კიდევ უფრო ამართლებს თავის სახელს. საცოდავ ბებოს არ აცდის საჭმლის ჩასხმას და ეჯიკავება. ამ ჯიკავ-ჯიკავში კი ჩახადა კაბაც, თურმე. თან ეს ღორი დაუკოდავია და გიჟდება, როცა კაბიანს ხედავს. ჰოდა, ამას მოთქვამდა ბებოც. ჯერ ხომ ამაზე ვიცინე და მერე იმაზე, დეიდამ რომ ბრძნულად ურჩია — დედა, დავკოდოთ ეგ ღორი, სიბერეში არ გაგაუპატიუროსო. :) ოჰ, რამდენი ვიცინეეეე! P.S. არასერიოზული საქციელი არა, მაგრამ ნათქვამი კი არის. იქნებ არც ნათქვამი და დეიდა მართალიც იყოს, ჰაა? ბებო, უფრთხილდი ღორუნას, გაუპატიურებას ვინ ჩივის, გრიპი არ აგკიდოს. :) იასამანი“.

მეორე „კრუგი“

„ვფიქრობ, ყვეეელაზე არასერიოზული საქციელი ამ ხუთშაბათს ჩავიდინე... ჩვეულებრივ, ყოველ ხუთშაბათს დილით, სახლიდან გამოსვლისთანავე გაზეთების ჯიხურს მივაშურებ ხოლმე, შემდეგ ჩავსკუპდები „სანდრაბუსში“ და „უნისაკენ“ ჰერი-ჰერი... ამ ხუთშაბათსაც, იგივე მარშრუტით ვმოქმედებდი... ავტობუსში ავცუნცულდი, გადავფურცლე „გზავნილეთის“ გვერდი და შევუდექი კითხვაასს... სად იყო და სად არა, კონტროლიორები ამოცუნცულდნენ და ბილეთის წარდგენის თხოვნა-მოთხოვნაზე რეაქცია არ მქონია. როგორც ჩანს, რამდენჯერმე დაუძახია და რომ ვერაფერი გამაგებინა, ჩემ გვერდით მჯდომი გოგონასთვის უთქვამს, უჯიკეო. იმანაც მიჯიკა და ისე მივაწოდე ბილეთი, არც შემიხედავს. თავი რომ ავწიე, დაგრძელებული კისრით ცდილობდა დაენახა, რას ვკითხულობდი ამისთანას. რააას და პარიჟანკას ცუღლუტი ცუგრიკას ამბავს... გადავედი შემდეგ ჩვენი მონატრებული ელექტრას გზავნილზე და როგორ გინდა, გაჩერებები ათვალიერო ამ დროოოს? ჰოოოდა, რომ არ მინდოდა, იმიტომ იყო, რომ ისედაც სანდრაბუსის უსასრულო მარშრუტით შეწუხებული, რაღაც, ამ დღეს ძააალიან მოკლე მეჩვენა და თავი რომ ავწიე და არე-მარეს გადავხედე, მეორე „კრუგზე“ არ წავსულვააარ?! ჰოდა, იმიტომ იყო, რომ ბოლო ლექციას ძლივს მივუსწარი და ლექტორმა, რაღას მოდიოდი, შვილოო... ნორმალური ვარ ახლა მეეე? ეეეეჰ, SWEET-GIRL“.

ბებია როგორაა?

„ამ კვირის „გზა“ რომ წავიკითხე, კანიბალკას მესიჯმა მეც ძალიან დამასევდიანა და დამაფიქრა. ამისთვის თქვენ ორივეს მადლობა. ახლა, თემას რაც შეეხება: არასერიოზული საქციელიო?! ამ თემაზე ჩემს გზავნილს მზის სინათლე რომ ელირსოს, სერიოზული კონკურენციის გამკლავება მოუწევს ალბათ. მოკლედ, მე რომ მასწავლებლად არ გამოვდგები, ეგ დიდი ხანია ვიცი, მაგრამ უძაღლო ქვეყანაში კატას „მაყეფებენ“ და... მოკლედ, ჯერ ჩემს ძმას ვამზადებდი ინგლისურში (კრახით დასრულდა ეს მცდელობა), მერე მეზობლის ბავშვს. არ იყო ცუდი მოსწავლე, მეც ასე თუ ისე, ვასწავლიდი. ჰოდა, ერთხელ აწმყო განუსაზღვრელი დრო ავუხსენი, გრამატიკაში და დავალებას ვაწერინებდი. თარგმანში ერთ-ერთი ასეთი წინადადება იყო: „დადის ბებიაშენი მაღაზიაში?“ ნინიკოც ამ წინადადებამდე დაუბრკოლებლად თარგმნიდა და ყურადღებას არ ვაქცევდი. უცებ, მეკითხება: „ბებიაშენი როგორ არის?“ მე მხოლოდ დაბნეული ღიმილით ვუპასუხე. თან ვფიქრობდი, ვინ ბებიაჩემი, რა ბებიაჩემი? მიდი, დავალებას მიხედემეთქი. ცოტა ხანში ნინიკომ გამიმეორა, ბებიაშენი როგორაარ? აქ უკვე მოვირგე მასწავლებლის როლი (სათვალის ზემოდან გადმოვხედე მკაცრად) და ვუთხარი — დროს ნუ კარგავ, დავალებას მიხედე, რა დროს ბებიაჩემია-მეთქი. ზუსტად დავალებას რომ ვწერ, იმიტომ გკითხეო, მიპასუხა ყურებამდე გაკრეჭილმა. რომ ჩავიხედე წიგნში, მერე კი გავწითლდი, პომიდორივით. თურმე ნინის ინგლისურად აინტერესებდა, როგორაა „ბებიაშენი“ და არა — ჩემი უსაყვარლესი ბებიკო. ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩამაგდო ნინიმ იმის გამო, რომ ერთი სიტყვა არ დაამატა ქართულ წინადადებას. ეკითხა, როგორაა „ბებიაშენი“ ინგლისურადო, ვაა?! ამის შემდეგ მოუცლელობა მოვიმიზეზე და მოსწავლე სხვას გადავაბარე. თუმცა, უნდა გამოვტყდე, ასე იმიტომ მოვიქეცი, არასერიოზული მასწავლებლობა რომ არ დაებრალებინათ ჩემთვის. ასე დასრულდა ჩემი წარუმატებელი მცდელობა, მასწავლებელი ვყოფილიყავი. ჩუში“.

ქურდები

„ზაფხულობით ბიძაშვილებთან ერთად ვისვენებდი ხოლმე. ერთხელ, ღამე საშინ-

სიკვდილის კი ამ მეშინია, ოღონდ ამ მინდა ამ დროს იქ ვიყო

ლად წვიმდა და შუქიც ჩაქრა. დავწექით მე და ჩემი ბიძაშვილი ბელა, მაგრამ ვერ ვიძინებთ. შუაღამემდე ვილაპარაკეთ და ბოროტი გეგმაც შევიმუშავეთ. ავდექით და ჩამოვუყეივით მეზობლებს: ერთგან ჭის ვედრო ავხსენით, მეორე სახლიდან ქვაბი წამოვიღეთ, მესამედან — ქოთნის ყავილი... თან ყველგან ვტოვებდით წინასწარ დაწერილ და ფაილში ჩადებულ ფურცლებს: „მცირედით ვიწყებთ, მაგრამ ადამიანების გატაცებით დავამთავრებთ! გვიფრთხილდით! იუდას ქალი“. ეს „იუდას ქალი“ რომელიც სერიალის კრიმინალი გმირი იყო და მაგ დროს ხშირი იყო ქურდობების დროს ავტოგრაფად „იუდას ქალის“ მიწერა. მერე კი გალუმპულები და ტალახში ჩურჩხელასავით ამოვლებულები ავედით სახლში და დავიძინეთ. დილით წვიალ-კივილმა და ბიცოლას ხმამ გაგვაღვიძა, წუხელ ქურდები ყოფილან ჩვენს ქუჩაზეო. მე და ბელამ სასწრაფოდ ჩავიცვით და სეირის საყურებლად გავედით. მთელი ქუჩა შეგროვილიყო და მიდიოდა გარჩევები. თან ისე გვწყევლიდნენ, დღემდე ყოველთვე ექიმს ვესინჯები, არაფერი ამიხდეს-მეთქი... ეს ამბავი დღემდე არავინ იცის, ჩემი და ბელას გარდა. ისეთი შედეგები მოჰყვა, გამხელა ვერ გავრისკეთ. ჰო, მართლა, ნაქურდალი მეორე დღეს ერთ-ერთი გაქურდული მეზობლის ყანაში დავტოვეთ და შემოდგომაზე იპოვეს. :) კიდევ, ერთ-ერთ მეზობელ ქალს უთვალავი ქათამი ჰყავდა, მაგრამ ისეთი ძუნწი იყო, ერთს არ დაკლავდა. სხვის სახლში კი იცოცხლე, ორ დედალს შეახრამუნებდა. ჰოდა, ამ ქალს ნათესავი გოგო ჰყავდა სახლში სტუმრად. ეს გოგო ყოველდღე 2 ქათამს დაიჭერდა, ჩვენთან მოიყვანდა, დავკლავდით და ვქეიფობდით, თან ამ ქალს დავპატიჟებდით და ვაჭმევდით. ეს კიდევ, მადლობებით გვიკლებდა... იმ ზაფხულს თუ ნახევარი არა, ქათმების მეოთხედი მაინც გავწყვიტეთ. :) მიყვარხართ და გეფერებით, თქვენი კანიბალკა“.

აი, სიძეეეე!

„სიდედრის მკვლელობისთვის არც ისე ცოტა ადამიანი ზის ციხეში, მაგრამ ამო გოგიანმა საკმაოდ გონებამახვილურად განახორციელა ეს აქტი. :) ამოს ერთხელ თავისი სიდედრი ეწვია, რძალთან და ერთი თვის ჩვილთან ერთად. ახალგაზრდა ქალები საყიდლებზე წავიდნენ. სახლში ამო, მისი სიდედრი და ჩვილი ბავშვი დარჩნენ. სიდედრმა პატარა დააძინა და სიძეს უთხრა, წავალ, აქვე, ფოსტიდან დავრეკავ და სახლში მალე დავბრუნდებიო. წასულა და 15 წუთის შემდეგ მართლაც დაბრუნებულა. სადარბაზოს რომ მიუახლოვდა, ზემოდან ხმა მოესმა: — დედიჯან, ეს ოხერი ტირის, ვერ ვაწყნარებ, სად ხარ ამდენი ხანი, სად დაიკარგეო? და მე-7 სართულის აივნიდან, ჩვრებში გახვეული ჩვილი გადმოუგდო... ექსპერტის დასკვნაში წერია, რომ ქალს ადგილზევე გაუსკდა გული და სწორედ ამიტომ ვერ დაინახა, რომ „პილიონკებში“ მუთაქა იდო და არა ბავშვი. მიუხედავად ამისა, ამო მაინც გაასამართლეს და 5 წლით გამოამწყვდიეს ციხეში... ლაით-ნიგერშა“.

ფუმფულა საიდუმლო

„ბავშვობიდან დღემდე უზომოდ მიყვარს ცხოველები. მადლობა ღმერთს, მშობლებიც ისეთი მყავს, არასოდეს მიშლიდნენ, სახლში რომელიმე მათგანი მყოლოდა. მგონი ცხოველი არ დარჩენილა, სახლში რომ არ მყოლოდა. დათვი ბალუთი დაწყებული (რომელიც ბოროტმა ადამიანებმა თუთუნის ჭამით მომიკლეს), ზღარბით, მტრედითა და ბუთი დამთავრებული. თან ყველა გაწვრთნილი უნდა გვყოლოდა... ახლაც, მამაჩემი გიტარაზე რომ უკრავს, ჩემი ჯერუკა ისე ამღერდება ხოლმე, ლამისაა, მის ლასკალაში გაგზავნაზე ვიფიქრო. მოკლედ, როცა თბილისში გადმოვედი, ჩემი ცხოველებისადმი სიყვარული ლამის ჩაკვდა. აქ მე-4 სართულზე ძაღლსაც ვერ იყოლიებ და თავიდან დეპრესიაც დამემართა, მაგრამ თავს ზოოპარკში სიარულით ვირთობდი ხოლმე. ამას წინათ, ჩვენს სადარბაზოსთან ატუზული, საკმაოდ ლამაზი ფისო შევნიშნე და როგორ გამომეპარებოდა? მოვეფერე, შემდეგ სასუსნავიც მოვუკითხე და თავისი ფუმფულა ბეწვისა და კუდის გამო სახელიც კი დავარქვი — ფუმფულა. მას შემდეგ ჩემი სახლში დაბრუნება და კატის სადარბაზოს შესასვლელში დახვედრა ერთი იყო. ამაცილებდა და კართან მელოდებოდა. ეს რომ ჩემს ბიძაშვილს, რამაზს ვუთხარი, აცივდა და მოდი, სახლში შემოვიყვანოთო, მითხრა. შეიფერა ფისუნიამ პატივისცემა და ისე გათამამდა, რომ გუშინ ჩემს ლოგინზეც წამოსკუპდა. ჩვენი მეორე თავსატეხი ისაა, რომ ამ ყველაფერზე მარგო ბებიას საშინელი რეაქცია აქვს და ჩვენც საგულდაგულოდ ვმალავთ ფუმფულას, მაგრამ ამდენი ჭამით ისე გაიწია სიგრძე-სიგანეში, სად გინდა, დამალო? ამას წინათაც შემობორიალდა და ვეფერები დიდის ამბით, რომ მისი რისხვა მოდიიის... ისეთი სისწრაფით შევუძახე ლოგინის ქვეშ, ნეკნები თუ მთელი შერჩებოდა, არ მეგონა. თან ფეხებით ვფარავ... მარგო ბებიამ წამოდიო, რომ მითხრა, ვიფიქრე, ეჰ, ფუმფულ, აღარ აგცდება ცოცხით გვერდების აწითლებამეთქი, მაგრამ ჩემდა გასაკვირად, ცხვირიც არ გამოუყვია. საშიშრობას, რაც მარგო ბებიას გამოჩენას ახლავს თან, „კატური ინტუიციით“ აშკარად გრძნობს და ისე იმალება, ჩვენც ველარ ვპოულობთ ხოლმე, მაგრამ როდემდე გაგრძელდება ეს კუკუდამალობანა, არ ვიცი. თან დღეს ყველით სავსე ცელოფანი გაქრა. ბებოს მაღაზიიდან იმწუთის ამოტანილი ჰქონდა და შენახვა ველარ მოასწრო... მე და რამაზმა კი გადავხედეთ ერთმანეთს ეშმაკურად და მივხვდით, ფუმფულას მსუნაგობას, მაგრამ რაღა ეშველებოდა? თან, ცელოფნიანად შეუთრევია დივანის ქვეშ, არ დამინახონო... SWEET-GIRL“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„მარტო მყოფმა (მეხუთე სართულზე ვცხოვრობ), მუსიკა ჩავრთე, პულტი მიკროფონად დავიჭირე და დავიწყე მოლხენა, მაგრამ... ფეხი გადამიბრუნდა (მაღლებზე ვიყავი აპლაკული) და ეს პულტიანი ხელი ვგლიჯე ფანჯარას. საღამოს კი ორპირ ქარს დავაბრალე ყველაფერი, მაგრამ მეეჭვება, ვინმეს დაეჯერებინა, ჩემი დაჩეხილი ხელის დანახვის შემდეგ. დამავოი“.

„ფატი და მაია პირველ სართულზე მუსიკას უსმენდნენ, ყავას სვამდნენ და ჭორაობდნენ. მეორე სართულზე მამამთილს ეძინა. მეზობელმა გამოიარა და დაინახა, რომ მეორე სართულზე მრიცხველს ცეცხლი ეკიდა. ავიდნენ, ჩააქრეს ცეცხლი. იურას ჰკითხეს: კი, მაგრამ ოთახები კვამლით არის სავსე და სუნი როგორ ვერ გაიგეო? იმხელა ხმაზე ჰქონდათ ჩართული მუსიკა, ამათ ხელში რას გავიგებდიო? აშკარად სერიოზული მიზეზია, არა? ჭრიჭინა“.

„მამაოს სახლი ვაკურთხებინეთ. მამაო ძალიან მხიარული და კარგად მოსაუბრე კაცია. კარგი ამბები მოგვიყვა და გადავწყვიტე, თქვენთვის მომეწერა. თან, თემასაც შეეფერება. მუხიანში ბავშვს ვნათლავდი. ლოცვას ვკითხულობდი და გაიხადე-მეთქი, ბავშვს მივმართე. მოვიხედე უკან და ბავშვიც და ნათლიაც შიშვლები დამხვდნენ. გაოგნებულმა, ჩაიცვით-მეთქი ვთქვი და ორივემ ჩაცმა დაიწყო. ძლივს ავუხსენი ნათლიას, რომ არ უნდა გაეხადაო. ერთხელ ტაძარში ორი გოგო და ბიჭი შემოვიდნენ, გოგონებს თავსაბურავი არ ეფარათ და მივუთითე, დაეფარებინათ. შეეედი ტაძარში და რას ვხედავ? სამივეს თავსაბურავი აფარიათო“.

„გაგანია სიცხეში, ლამის დედიშობილა დამსვენებლებით გადაჭედილ პლაჟზე, დუბლიონკითა და ჩექმებით რომ გაიჩითება ათლეტური აღნაგობის, სიმპათიური, 20 წლის ბიჭი და ძმაკაცებს უკურთხებს იმის გამო, რომ ნაძლევი წააგო და მეტად სასაცილო სიტუაციაში ამოჰყო თავი, ეს არასერიოზული საქციელი არ არის? დაიხოცა ხალხი სიცილით და ჩვენს გამძლე რაინდს კი, წურწურით ჩამოსდიოდა სიმწრის ოფლი. შეიძლება, ძმაკაცის ასე გამეტება? სვანნ“.

„არასერიოზული? მდა�ა... ეგ ის არაა, სხვებს რაიმეს რომ მოუყვები და შუბლთან თითს რომ დაიტრიალებენ? ისე კი, არასერიოზულსაც გააჩნია. ქუჩაში რომ სტვენით დავდივარ, ეგეც შედის სათვალავში? ჰოოო... რააავი აბა, ისეთი სუნი მომდის, სერიოზულობის ნატამალი არ მცხია, როცა არ მჭირდება, თორემ თქვენ უნდა ნახოთ, დიიიიდ ბიძიებს როგორი სერიოზულობით ვესაუბრები... ვაააი, ჩემს პატრონს?! თეთრი ყვავი“. ■

„გზავნილების“ მომდევნო თემად გთავაზობთ — „მეგობრისთვის თავგანწირვა“. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com რაც შეეხება „მოკლე ჩართვას“, ამჯერად გთავაზობთ კითხვას: „რა იცვლება ქორწინების შემდეგ?“

„დედამ თუ მიგატოვათ, მამას მაინც არ უნდა მიეტოვებინეთ“

„მორწმუნე ადამიანები მიმტევებლები უნდა ვიყოთ“

„გზის“ №50-ში დაიბეჭდა 17 წლის უცნობის მესიჯი. იგი გვწერდა, რომ დედამ 10 წლის ასაკში მიატოვა და საყვარელთან ერთად გადაიკარგა. „ის ბიჭი ჩემი უახლოესი ნათესავი, ჩემი ბიძაშვილი იყო. მაშინ პატარა ვიყავი და ვერ მივხვდი, რა მოხდა. ახლა ამ ამბავს რომ ვაანალიზებ, სიკვდილი მინდა... დედას გაპარვას მეორე უბედურებაც დაერთო თავს — მამამ თქვა: ქუჩაში თავს ვერ გამოვყოფო და... გაქრა“. უცნობი და მისი დები ბებიამ აღზარდა. ყველაზე მეტად, ბიჭი იმას განიცდის, რომ ახლობელი ადამიანები დედის საქციელს ყოველ წამს ახსენებენ და ამის გამო სკოლაშიც ყოველდღე უწევს ჩხუბი. „მეგობრები თითქმის აღარ შემრჩა. უკვე ადამიანებთან ურთიერთობაც მიჭირს. თანაც, იძულებული ვარ, ოჯახს მივხედო და ზოგიერთი ნაგავი ამის გამოც დამცინის, ოჯახის კაცს მეძახის...“ უცნობს და მის დებს რამდენიმე ხნის წინ დაკარგულმა დედამ დაურეკა და სთხოვა, — მნახეთო. მისმა ზარმა შვილები ააფორიაქა. „აღარ ვიცი, რა ვქნა. თავში ათასი აზრი მიტრიალებს და სიგიჟის პირას ვარ“.

ლიკა ქაჯაია

სვანი:

„ჩემო პატარა, როგორ მინდა, დაგეხმარო. შენმა ამბავმა გული მატკინა. ამქვეყნად ბევრი უსამართლო ადამიანია და ეს ბუნებრივიცაა — ყველა კეთილი ვერ იქნება. სამწუხაროდ, შენ ისეთი ხალხის გარემოცვაში იმყოფები, რომლებმაც არ იციან, რომ ადამიანებს გულისტკენა კი არა, სითბო და სიყვარული სჭირდებათ. ჩემო კარგო, ხომ გაგიგონია, — რაც უფრო რთულია ცხოვრება, მით უფრო ძლიერი უნდა იყოო. დედასთან აუცილებლად მიდი. მართალია, ცუდად მოგექცათ, მაგრამ თუ ძალიან ცუდადაა, უნდა ნახო და გაიგო, შენგან რა უნდა. ალბათ, პატიებას გთხოვს. ნურავის მისცემ შენი დაჩაგვრის უფლებას. ღმერთი გფარავდეს“.

ლუნა:

„გეფიცები, გაოცებული ვარ დედაშენის საქციელით. საინტერესოა, ასეთი რა ნახა იმ კაცში, რომ მისმა სიყვარულმა შვილებისადმი სიყვარული გადაწონა? თან, ნათესავს გაჰყოლია... რა ვიცი, მართლა არ მესმის მისი! ისე, არც მამა მოგექცათ კარგად — კი არ უნდა გადაკარგულიყო, არამედ ორმაგი სიყვარული უნდა გამოემჟღავნებინა თქვენ მიმართ და ის სითბო, რაც დედამ დაგაკლოთ, მას უნდა ამოევსო. სხვის ლაპარაკს ყურადღებას ნუ მიაქცევ. ახლა, როგორც არასდროს, უნდა გაძლიერდე და დებს მიხედო. მიუხედავად იმისა, რომ დედა ცუდად მოგექცათ, ის მაინც თქვენი მშობელია და აუცილებლად უნდა ნახოთ. არ არსებობს ქალი, რომელსაც საკუთარი შვილი არ უყვარს. მჯერა, მას თქვენი არსებობა წამითაც არ დავიწყნია. ყველაფერი კარგად იქნება, ვილოცებ თქვენთვის. გკოცნი და მეც მიყვარხარ“.

GOLD GIRL:

„ის, ვინც დაგცინის, თავადაა სასაცილო! მერე რა, რომ საოჯახო საქმეებს აგვარებ და ოჯახის კაცს გეძახიან? მერწმუნე, ამაში სათაკილო არაფერია... მიუხედავად იმისა, რომ დედაშენის საქციელმა ბევრი ტკივილი მოგაყენა, ის მაინც დედაა შენი და უნდა ნახო. წარმატებებს გისურვებ! შენთან მეც დიდი სიამოვნებით ვიმეგობრებდი“.

უცნობი:

„ჩემო კარგო, ძალიან კარგი ადამიანი ხარ, ის კი, ვინც შენზე ან შენი ოჯახის წევრებზე რაიმე ცუდს იტყვის, უბრალოდ, უსაქმურია და თავში იოტისოდენა ტვინიც არ აქვს. ყურადღებას ნურავის მიაქცევ და ისე მოიქეცი, როგორც საჭიროდ მიიჩნევ. იცოდე, არავის აქვს შენს ცხოვრებაში ცხვირის ჩაყოფის უფლება. გირჩევ, დედაშენი ნახო, რათა შემდეგ მისი უნახაობა არ ინანო. შეიძლება, ყველაფერი არ აპატიო, მაგრამ გულიდან ნაწილობრივ მაინც ჩამოიცილებ იმ ლოდს, რომელიც ასე გამძიმებს. წარმატებებს გისურვებ!“

პატარა ქალუკა 21:

„ოჯახის შენახვა ღადაობის თემა კი არა, ნამდვილი კაცობაა. 17 წლის ბიჭი კი არა, ახლა უფროსები ვერ ინახავენ ოჯახს და ამიტომაც, ნურავის ღადავს, მწარე რეპლიკებს ნუ მიაქცევ ყურადღებას. უსაქმურების ლაპარაკი ბუზების ბზუილად ჩათვალე. ჩემო კარგო, შეცდომისგან არავინაა დაზღვეული. ზოგჯერ ადამიანს ავხორცი ვნება იპყრობს, ეს სიყვარული ჰგონია და მის გამო ყველაფერზე მიდის, მაგრამ მთავარია, ოდესმე მიხვდეს, რომ ჭაობში იძირება და შეცდომა აღიაროს, მოინანიოს. შენი დედიკო ამას მიხვდა. ჩვენი ვალია, ერთმანეთს მივუტევოთ შეცოდებანი. თამამად იმოქმედე, ნუღარ ყოყმანობ და დედა გაახარე. ვინ იცის, იქნებ, ეს თქვენი ბოლო შეხვედრაა...“

გადარეული:

„ძალიან მეცოდები. დედამ თუ მიგატოვათ, მამას მაინც არ უნდა მიეტოვებინეთ. მეგობრებიც ცუდი გყოლია, რადგან დაგცინიან. წესით, დედა არ უნდა ნახო“.

ნაკო:

„ჩემო ძვირფასო, არაჩვეულებრივად მესმის შენი. ნუ გაიკითხავ დედას თავისი ცოდვებისთვის, მას უფალი ისედაც მიუზღავს სამაგიეროს. შეეცადე, შეცდომა აპატიო. არ გთხოვ, გაუგო, უბრალოდ, აპატიე მხოლოდ იმიტომ, რომ შენი მშობელია. მთავარია, დამშვიდდე და მისი პატიება შეძლო. ამდენს თუ გაუძელი, ცოტაც მოითმინე და იმ ხალხს, ვინც დღეს დაგცინის, დაუმტკიცე, რომ ღირსეული ადამიანი ხარ. შენთან მეგობრობა გამახარებს“.

ჭრიჭინა:

„ჭრიჭინა ამაყობს შენით! მე უკვე შენი მეგობარი ვარ! ჩემო ძვირფასო, ადამიანი, რომელიც მხოლოდ იმიტომ დაგცინებს, რომ ოჯახს უვლი, შენი მეგობრობის ღირსი არაა. აბა, უსაქმურად ყოფნა და ოჯახის წევრების მიმართ უპატივცემლობაა კარგი?.. მართალია, დედაშენის საქციელს გამართლება არ აქვს, მაგრამ შენ მაინც უნდა ნახო. იცოდე, გულში ცუდი არ ჩაიდო, ყველაფერი კარგად იქნება“.

მაიკო:

„უცნობო, გთხოვ, გამომეხმაურე, შენთან მეგობრობა მინდა. ამ ნომერზე: 8(98)94.38.68 მომწერე და გპირდები, შენი საუკეთესო მეგობარი გავხდები“.

სვანის ასული:

„სწორედ ამიტომ ვამბობ, ადამიანის ცხოვრებაში, ემოციებისა და გულის კარნახის გარდა, პასუხისმგებლობის გრძნობაც არსებობს-მეთქი, თუ შვილები გყავს, მით უმეტეს... დედაშენი ნამდვილად, გასაკიცხია და არც მამაშენის მესმის — კარგი, იმწუთას, ცხელ გულზე მიიღო არასწორი გადაწყვეტილება, მაგრამ მერე, თუ რა თქმა უნდა, ახლაც ცოცხალია, უკან უნდა დაბრუნებულიყო... შენ კი

ნამდვილი ოჯახის კაცი ხარ და ამით უნდა იამაყო! მერწმუნე, ცხოვრებისეული გამოცდილება და სხვებზე ზრუნვა მომავალში ძალიან გამოგადგება, ღირსეული კაცი დადგები. იცოდე, გატუტუცებული ბავშვების აზრებს ყურადღებას ნუ მიაქცევ და ნამდვილი მეგობრები ეძებე. დედაშენს კი, თუ მართლა ასე ძალიან ცუდადაა, შეცდომის გამოსწორების უკანასკნელი შანსი უნდა მისცე. სამწუხაროდ, შვილები მშობლებს არ ირჩევენ“.

გუზლუნა:

„დედამ შენივე ბიძაშვილის გამო მიგატოვა? ეგ როგორ? საინტერესოა, შენი ბიძაშვილი რამდენი წლის იყო? მამაშენის მესმის, მის ადგილას მეც ასე მოვიქცეოდი — სახლიდან შორს გადავიკარგებოდი. ვიღაც იტყვის: მერე, შვილებიო? შვილებმა ხომ მამის გარეშეც გაიკვალეთ გზა და მისი ტანჯვა-წამება ბევრს ვერაფერს შეგმატებდათ... დედაშენის ნახვას ჯობია, მამა მოძებნო და შეცდომა სწორედ მას აპატიო (თუ რა თქმა უნდა, ცოცხალია), დედაშენი კი შებრალებას არ იმსახურებს. მომიტევეთ, თუ ძალიან მკაცრი ვარ, მაგრამ რა ვქნა, ასეთი ვარ და სხვანაირად არ ძალმიძს, პირადად მე, უცნობის ადგილას ასე მოვიქცეოდი“.

მეამგოხე სული:

„ჩემო კარგო, შენი ცხოვრება ტკივილითა და ტანჯვითაა სავსე, მაგრამ ასე ნუ განიცდი. ადრე თუ გვიან, ცხოვრებაში ერთხელ მაინც, დემონი ადამიანს იმონებს და გონებას უმღვრევს. პატიება უნდა შეგეძლოს. დარწმუნებული ვარ, ახლა დედაშენი ნანობს და წუხს საკუთარი საქციელის გამო. არასწორად მოიქცა, როცა შვილებზე არ დაფიქრდა და მათი ბედი განგებას მიანდო, მაგრამ მაინც, ის უნდა ინახულოთ. ვიცი, გულის სიღრმეში ძველებურად გიყვარს. შესაძლოა, პატიებას არც იმსახურებს, მაგრამ მერე, იმაზე ფიქრი, რომ თქვენს უნახავად დალია სული, უფრო დაგტანჯავს... ხალხი დაუნდობელი ბრბოა და იცოდე, ვინც დაგცინის, უსაქმური გონებასუსტია, შენ კი გმირი ხარ! მერწმუნე, უფალი მოწყალე თვალით გადმოგხედავს და ბედნიერიც იქნები“.

დამავიო:

„შენმა ამბავმა შემზარა. მიკვირს დედაშენის — რა გული უნდა ჰქონდეს, რომ 3 პატარა ანგელოზი მიატოვო და საყვარელს გაეკიდო? ჩემო კარგო, გთხოვ, აუცილებლად მიდი მოძღვართან და ბაილაპარაკე. ზოგიერთი ნაგავს კი ნუ მოუსმენ. რაც შეეხება დედაშენს, კარგი იქნება, თუ მის სანახავად მიხვალ. ალბათ, საკუთარი ცოდვების მონანიება უნდა. გაგიჭირდება, მაგრამ გირჩევ, ყველაფერი აპატიო. იყავი მიმტევებელი და უფალი დაგეხმარება“.

გრუზინკა:

„მიუხედავად იმისა, რომ დედამ ძალიან დიდი დარტყმა მოგაყენა, მაინც უნდა მიხვიდე და ნახო. მორწმუნე ადამიანები მიმტევებლები უნდა ვიყოთ. ჰო, უსაქმურების ნაბოდვარი ყურად არ იღო. იცოდე, არც ერთი სამუშაო არაა სათაკილო“.

მაკა 20:

„ძალიან კარგია, რომ დაობლებულ ოჯახს ზურგი არც შენ აქციე. ნახე დედა, რათა მასთან ბოლომდე მართალი იყო. მეც მინდა შენთან მეგობრობა“.

კახელი თხუნელა:

„მარ, სალამი. დიდი ხანია, „გზას“ ვკითხულობ (*მგონი, იტყუები! რატომ? — მაშინ უნდა იცოდე, რომ ამ რუბრიკის ავტორი მარი არ გახლავს და მარის ნომერიც წესით, დაზეპირებული უნდა გქონდეს.* — *ავტ.*) და მინდა, თქვენს დიდ ოჯახში მიმიღოთ (კეთილი იყოს შენი მობრძანება „გზაში“). უცნობო, მეც თითქმის შენნაირად ვარ, მაგრამ ვიღაცებს ზედმეტს არ ვათქმევინებ. მინდა, ვიმეგობროთ. მეც მიმატოვა დედ-მამამ. გამაგრდი“.

ვანი, *18 წლის:*

„საყვარლის გამო დედამ მეც მიმატოვა და მართალია, ის 5 წელია, მეხვეწება, საცხოვრებლად ჩემთან გადმოდი და არაფერი მოგაკლდებაო, მაგრამ მის გამო მამას და გამზრდელ ბებიას ხელს ვერ ვკრავ. არა, დედასთან რომ გადავიდე, დარწმუნებული ვარ, ისინი არც კი გამიჯავრდებიან, აუცილებლად გამიგებენ, მაგრამ ამის სურვილი თავად არ მაქვს. აბა, რატომ უნდა მიყვარდეს ადამიანი, რომელმაც ძალიან პატარა მიმაგდო და უკვე გაზრდილი, ასე თუ ისე წარმატებული შვილის დაბრუნება მოინდომა?.. უცნობო, არ ვიცი, რა გირჩიო. არ მინდა, ცუდად გამომივიდეს და ცუდ გზაზე დაგაყენო, მაგრამ შენ ადგილას დედას არ ვნახავდი, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მას იმ ტკივილს, რომელიც წლების წინ მომაყენა, ვერაფრით ვაპატიებდი. თუ შენ მიტევება შეგიძლია, მაშინ აუცილებლად მიდი და ნახე. დაე, ცოდვები მოინანიოს და იმქვეყნად განწმენდილი წავიდეს. მაინც დედაა და ცოდოა ჯოჯოხეთში მოსახვედრად. წარმატებები!“

■

ღირს თუ არა ძველ „სასტავში“ ახალგაცნობილის მიღება

„ნინომ ჩვენი ურთიერთობა საბოლოოდ დაამახინჯა...“

ვანე, *16 წლის:*

„გამარჯობა. იმედია, რჩევებს არც ჩემთვის დაიზარებთ. გამუდმებით კონფლიქტი მაქვს საყვარელ ადამიანებთან და არ ვიცი, ამის მიზეზი მე ვარ თუ ისინი. სულ 4 დაქალი ვიყავით და ერთმანეთის გარეშე წუთითაც ვერ ვძლებდით, ურთიერთს საკუთარ ტკივილსა და დარდს დაუფარავად ვუზიარებდით, ფულს ერთად ვხარჯავდით, ერთმანეთის სიამოვნებისთვის ყველაფერს ვაკეთებდით, მაგრამ მას მერე, რაც ნინო „ჩაგვისასტავდა“, ამ ურთიერთობას ბზარი გაუჩნდა.

რატომღაც, ნინომ ჩვენი დაშლა გადაწყვიტა და ეტყობა, საამისო გეგმაც კარგად მოხაზა. მან ჯერ ნატა ამოიღო მიზანში და თქვა, რომ მას რაღაც პრობლემები ჰქონდა და ამას საგულდაგულოდ გვიმალავდა, რომ თავისი გასაჭირის შესახებ მხოლოდ ნინოს უამბო და ა.შ. რა თქმა უნდა, ნატაზე ძალიან გავბრაზდით და ამის გამო ვუსაყვედურეთ კიდეც. მართალია, ის ამბობდა, ეს სისულელე საიდან მოიტანეთო, მაგრამ რატომღაც, ნინოსი უფრო დავიჯერეთ; მერე აქცენტი მარიზე გაკეთდა. ნატამ გვითხრა, რომ ის სოფოს (ასევე ჩვენს მეგობარს) შეყვარებულს „ეჩალიჩებოდა“ და რატომღაც, ესეც მხოლოდ ნინომ შეამჩნია. მოკლედ, იყო მთელი რიგი გაუგებრობები, რის გამოც, ჯერ ვჩხუბობდით, მერე კი ასევე ნინოს დამსახურებით, ერთმანეთს ვურიგდებოდით და ამისთვის ახალ დაქალს მადლობას ვეუბნებოდით... ერთხელაც, როცა ჩემზე თქვა, რომ მეზობლის ნათესავი მიყვარდა და ამას საგულდაგულოდ ვმალავდი, სწორედ მაშინ გავაცნობიერე, რომ ნინო რაღაცას ურევდა და ვცადე, ყველასთვის თვალი ამეხილა, მაგრამ ამაოდ, მეგობრებმა არ დამიჯერეს და ისიც კი მითხრეს, რომ უნამუსო ვიყავი, რადგან მის „ღვაწლს“ არ ვაფასებდი... ეს ყველაფერი ვითომ გადავყლაპე, „დანაშაული“ ვაღიარე და ისე ვიქცეოდი, თითქოს არაფერი მომხდარა, მერე კი ნინოს ჩავუსაფრდი, რათა მისი მორიგი ხრიკი გამომემეზეურებინა. შემდეგი მსხვერპლი სოფო იყო. ნინომ მასზე თქვა: ვერასდროს გათხოვდება, რადგან ქალიშვილი არ არისო და დაიწყო ჭორაობა, ზურგს უკან მეგობრის ლანძღვაგინება, რამაც გამაცოფა და ყველას ყველაფერი პირში მივახალე, მერე კი საკუთარი დანაშაულიც ვაღიარე. ვთქვი, რომ არ ვიყავი მართალი, როცა მათზე რაღაც ეჭვი მეც გამიჩნდა... სამწუხაროდ, ჩვენი მეგობრული ურთიერთობა საბოლოოდ დამახინჯდა, დავიშალეთ და დღეს ერთმანეთს ძალიან იშვიათად ვნახულობთ. ამ ყველაფრის გამო გული ძალიან მტკივა და აღარ ვიცი, რა ვქნა. ბევრ რამეში საკუთარ თავსაც ვადანაშაულებ, მაგრამ... იქნებ, დამეხმაროთ და მირჩიოთ, როგორ აღვადგინო დაშლილი სამეგობრო?“

■

P.S. ***მაშ ასე, თუ მავნეს წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81 მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.***

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. ვარ 37 წლის, სიმპათიური გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაურეთ.

2. ვისაც ჩემი გაცნობა გსურთ ან ჩემ მიმართ რაიმე პრობლემა გაქვთ, აგერ ვარ მეე... :) ეს ჩემი ნომერია და მომწერეეთ. მარო, ქალებში გამომჭიმე. ASHLEY PCD.

3. ვარ 22 წლის, ლამაზი გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30-38 წლამდე ასაკის, სერიოზულ მამაკაცს.

4. ვეხმაურები 14.05.2009 ნომრის მე-5 განცხადების ავტორს.

კაცები

6. გავიცნობ თავისუფალ, სულით ლამაზ გოგოს. 25/172/65, ლაშა.

7. ვეძებ საცოლეს (გვანჯები და ქაჯები თავს ნუ შეიწუხებთ).

8. მეგობრობისთვის, სიჩუმისთვის მინდა გავიცნო. კარგი, ძლიერი, მიმღები, დაუვიწყარი, ლამაზი ახალი წელი მინდა... ჩვეულებრივი გიორგი ვარ.

9. დათო, 38 წლის, უცოლო.

ვეძებ

10. ვეძებ დავით ინაძეს. ცხოვრობს ბოლნისში. თუ რაიმე იცით დათოს შესახებ, გთხოვთ დამიკავშირდეთ. ჟურნალ „გზის“ საშუალებით. ძალიან გთხოვთ.

11. ვეძებ ჩემს მეგობარს, ათენში მცხოვრებ სოფო ვაჭარაძეს. გამომეხმაურეთ. ნათია.

სხვადასხვა

• მართალია, ცოტა დამიგვიანდა პასუხი, მაგრამ თეთრ ყვავს მინდა ვუთხრა: ილინი არ არის ის ტიპი, რაიმე თავში აუვარდეს. მიყვარს ძაან ეგ გოგო! ფეშენა.

• ცაზე ღამე ამოსულა მთვარე, ირგვლივ სხედან პაწაწინა ვარსკვლავები.

• უი, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამიხარდა, აზიელი რომ შემეხმიანა. საჯარო ბიბლიოთეკაში ვნახე კიდეც. ვაუ, მაგარი იყო, მაგრამ ცოტა მოვიწყინე. გაკოცეთ. ედელვაისი.

• პაწუ17-ს: ნუ, რა უნდა გელაპარაკო, თუ ხვდები, რომ სხვის საქმეში აფათურებ ხელებს? არაფერს არ გეტყვი, რადგანაც შენი დონის ნამდვილად არ ვარ. იდუმალი-ქალი.

• წლები გავიდა, უკვე დიდი ვარ. აღარ მეპატიება ბავშვური ხუშტურები (ცოტა ცუდად რომ ვთქვათ). ხატი, მანაველო, გილოცავ დაბადების დღეს, დაი. მიყვარხართ. მპუაა. ედელვაისი.

• მისტერ, შენ თქვი რომ მე-2 შეყვარებულის არსებობას დავუმალავდიო და მე გეკითხები: თუკი ერთს შეყვარებულს უწოდებ, რაღა საჭიროა 2 და 3?

• იდუმალ-ქალს: როცა შორს მივალ, საგანძურის მალვას ვუნდები, მშვიდად ვიქნები, როცა განძი სკივრში იქნება, მიყვარს, როდესაც მოგზაური შინ დავბრუნდები და ხელუხლებლად მხვდება ჩემი ავლადიდება, მაგრამ ძვირფასო, როგორ შევძლო შენი შენახვა, თუმც მირჩევნიხარ უძვირფასეს თვალ-მარგალიტებს, ჩემი ლხენა ხარ, ჩემი დარდიც ახლა შენა ხარ, გტოვებ და ვიცი, ავაზაკებს ვერ აგარიდებ, შენს დასამალად თავშესაფარს დიდხანს ვეძებდი, მკერდში დაგმალე, სანდო სკივრად სხვა რა ვინატრო, შენ ხან ნებივრობ, ხან წახვალ და გადიხვეწები, ან იქნებ ვცდები და ჩემს გულში არც კი ბინადრობ, მოგიპარავენ, მე ხომ ვიცი, ქვეყნად რა ხდება, შენ თუ გიხილავს, ანგელოზიც ქურდი გახდება. იდუმალო, ნუ მიბრაზდები, მე მართლა სერიოზულად ვფიქრობ შენზე. გთხოვ, გამიგე, O.K? შენი თაყვანისმცემელი.

• მოგესალმებით ყველას. ჟურნალ „გზის“ ერთგული მკითხველი ვარ. ზოგიერთი ახვარი გამოდის და ისეთ რაღაცას წერს, რომ ჟურნალს აბინძურებს. გადარეული.

• გაუმარჯოს იმ პირებს, ვინც სიკეთეს მიპირებს. ცოცხალი ვარ, ჩემთანაა, რომ მოვკვდები — მიტირებს. გადარეული.

• კიდევ ერთს ვიტყვი: ჩემი ჰობია ვალები, ღვინო, დუდუკი, ქალები. გადარეული.

• CRAZY GIRL, მე არ დამვიწყებიხარ

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

ლამაზო და ძაან მაგრადაც მიკალქალ. SWEET-ი და GREEN GIRL-ი გავიცანიი. ლალოლა, ულამაზესი ხარ. თოლია, პირადში გიცნობ? ASHLEY PCD.

• ოე, ნაგლი, შენ რაღაც, ჩემი აპკით ძაან დაინტერესდი. რა იყო, დამწყები გინეკოლოგი ხარ და პაციენტებს ეძებ თუ ლესბოსელი ხარ და ცოლობა უნდა მთხოვო? ყველა ვარიანტში არ გაგიმართლა, რადგან თუ გინეკოლოგი დამჭირდა, პროფესიონალს მივმართავ და შენ ჩემს ტრუსამდე არც მიგასუნინებ. არც ქალები მიზიდავს, ნორმალური, ჰეტეროსექსუალი ვარ. ასე რომ, აუდე აქედან, სოფლელოო. რომელი ყანიდან ხარ? მგონი მეგრელი მგელო (გველო) ხარ და არ ვცდები. ASHLEY PCD.

• აუ, მეოცნებე, შენმა ჩანახატმა დაგლიჯა! აუ, სპონგე, რა ჩასაყლაპი ნიკი გაქვს! SPONGE BOB გამახსენდა. შარშან SPONGE BOB-ის ჩანთა და მაისური მქონდა. ASHLEY PCD.

• მგზავნელებო, არ გინდათ, 30-ში შევიკრიბოთ და გავაჯაზოთ? აუ, იცით, რა მაგრად მიხარია ახალი წლის მოსვლა? სულ მეჯინგლებელლსება. :) მატიტელა, მადლობა. ASHLEY PCD.

• ჯეჯე, ლამაზო, მიხარია, რომ არ გწყენია. აუ, ბერბიჭა იმენა PLAYBOY გახდა. :) ჯიგაარ... პაწუ17, ჩასაყლაპი ჩანხარ. ლ77, შენც დაგლოცოს უფალმა, ანგელოზო. ASHLEY PCD.

• სოფი19, CRAZY GIRL, კოზანოსტრა, FILLIPO, SWEET GIRL, GREEN GIRL, ოსვალდ, ჩემი სიხარულები ხართ. ნამდვილი მამაკაცი და ლუნა, სად დამეკარგეთ? ASHLEY PCD.

• ცხრათვალავ, ბერბიჭ, ძალიან საყვარლები ხართ, ძალიან მომწონს თქვენი შაირობა. ცისიას გამოჩენამ კი უფრო გაახალისა სიტუაცია. ბრავო ცისია, მაგარი იყო. იასამანი.

• პაწუ17-ს: მინდა ერთი რჩევა მოგცე. არასოდეს ჩაერიო საქმეში, რომელიც შენ არ გეხება და მით უმეტეს, შენთვის უცხო ადამიანს, რომელსაც არ იცნობ და არ იცი ვინაა, არასოდეს უთხრა ისეთი რამ, რისი უფლებაც არ გაქვს. კი არ გიბრაზდები, მეგობრულ რჩევას გაძლევ. მე რაც შემეხება, სათანადო ძალაც მაქვს და უნარიც, რომ ჩემს საქმეებს თავად მივხედო. ჩემი და იდუმალის ურთიერთობა მხოლოდ ჩვენ გვეხება და თავად მივხედავთ ერთმანეთს, გავეცნობით თუ არა. დათა თუთაშხია, თაყვანისმცემელი.

• დიდი სიყვარულით მოვიკითხავ აბასთუმანში მყოფ მგლებს, კობას, გოგას, გიორგის, მინდიას და ყველა ღირსეულ მამაკაცს. მაგრად მიყვარხართ და გაფასებთ. მგელი მგლობას არ მოიშლის, ან მოკვდება ან იმეფებს, ის არ მოშინაურდება და ძაღლივით არ იყეფებს. ნანაფოთი.

• შენ რა დაგრჩა ჩემგან?/ ნაფერები ლოყები,/ ორი მორცხვი კოცნა,/ ვერსად რომ ვერ მოჰყვები,/ მე რა მისახსოვრე?/ სულიც უღვთო ხანძარი,/ დაფლეთილი გული,/ დანგრეული ტაძარი,/ სხვა რა მოვიგონო,/ სულ ეს არის, რაც არის... დეჟ-ა-ვიუ.

• ნუ ეჭვიანობ ცხრათვალავ, ცოტა მიტყდება ეგ პონტი, შენს გულში ბუდე დავიდე, ვერ შემაშინებ დეპორტით. მე შენი სახით მოვუგე, ფორტუნას დიდი ჯეკპოტი. ბერბიჭავ, გაკოცე.

• ნაგლო, როცა რამეს მკადრებ, დაიმახსოვრე, ჩემგან კარგად: როცა ვინმე მენაგლება, ვუბრუნდები ბუმერანგად. ისე მეძებ, თითქოს ჩემთან დაგრჩენია შენი ტანგა. ბერბიჭა.

• ცისია, მგონი არ ხუმრობ, შენ მადას ვენაცვალეო, დღეს ბავშვებს სხვაგან ვაკეთებ, შენ რიგი გიწევს ხვალეო, ჩემს სიტყვას საქმე მოჰყვება, არ მითხრა, დავიღალეო. ბერბიჭა.

• ჩემო ტკბილო ხალხო, როგორ მყავხართ? მოვიკითხავ ყველას. ლუნა, იკუშკები, ქალი ცდუნება, ბერბიჭა და გრუზინკა, ძალიან შემაყვარეთ თავი. გკოცნით ირმა91, ქუთაისიდან.

• თაზო, გოჩა ვარ, შენი სიძე. დაბადების დღეს გილოცავ. სულ გახარებული ყოფილიყავი. გფარავდეს უფალი და გჯეროდეს მისი. არაფერი არ იჯავრო, ყველაფერი კარგად იქნება.

• ჰმ, მარტოსულო, ბანძ ტერმინებს მხოლოდ ბანძუკებთან ვიყენებ. აბა, შენნაირ, ბიჭების ხამ და ხეპრე გომბიოს მეტაფიზიკაზე რომ ვესაუბრო, რამეს გაიგებს? უკვე სუპერგოგო.

• პაწუ17, ალბათ როგორც ძუკნას, მხოლოდ ძუკნების ენა გესმის. მართლა სოფლუშკა და ვიღაცების გოშია ხარ და ტოლი ნახე, ღაწირაკო. ვინ მოგაქსია? უკვე სუპერგოგო.

• ჭრიჭინა და სოფი19, გენაცვალეთ, ჩემი პატარა ანგელოზები ხართ. ASHLY, ნუ მაღვიძეს დილით, საძაგელო, თორემ გიჩივლებ. :) გაკოცე. GREEN GIRL.

• გმადლობთ სიხარულებო, მოლოცვისთვის. ლუუნ, კამი, პარი, იკა, სარვიეტა, ეშლი, ყველას, ყველას გეფერებით. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ. მარი, ნუ იმალები, შენც! ტირიფი73.

• თაზო, ლალი ვარ, კიდევ მინდა მოგიკითხო. შენს ბიჭს ქუდი ვუყიდე თბილი და დიდი ბურთი გავუგზავნე. ზოიას გავატანე, ჩემთან იყო ჩამოსული. ალბათ გეცოდინება.

• მე (ნიკი) ვარ. მინდა, სასტავში შემოვიდე და თქვენთან ვიმეგობრო. ყველანი კარგები ხართ და მაგრად მომწონხართ. გკოცნით.

• სკარლეტ, სიხარულო, გილოცავ დაბადების დღეს. გაიხარე და იდღეგრძელე. გისურვებ ყოველივე კარგს. კოზანოსტრა.

• თაზო, აბა შენ იცი, რა ყოჩაღად იქნები. დაბადების დღეს გილოცავ. გამაგრდი. დედა.

• სო-ნი და გლუკოზა, უღრმესი მადლობა, რომ ჩემი ცხოვრების უმძიმეს წუთებში ჩემ გვერდით იყავით. თქვენ მე სიცოცხლე მაჩუქეთ. გაიხარეთ, მიყვარხართ. ოლეგარიო.

• „გზავნილები“ მაგარი რამეა. ხომ ასეა? გადარეული.

• აუუ... მეც მომიყენა თვალზე ცრემლი კანიბალკამ და „გზავნილები“ სულიერ არსებადაც წარმომიდგა, რომელიც გრძნობს, სწყინს ან უხარია.

• ძალიან მომწონს იკუშკების, ბერბიჭას, ელექტრას (გამიხარდა შენი დანახვა), ენიგმას (რატომ დაიკარგე?) მხიარული, გულიანი მესიჯები. აუ, კამელია მომენატრა. :(ფეშენა.

• მარ, გარანტია თუ გაქვს, რომ თავში არ ამივარდება, კი, ბატონო, ეგრე გააგრძელე. ვფიცავ, არ ვიმსახურებ (ნიჩურტები)! ნუ, ნისიაზე ჩამწერე და... :) დათო.

• თოლია, რომ მომწერ, ნიკი მიაწერე და გიპასუხებ. მემე, მკვეთრი მეტამორფოზებით მგავხარ. აზიელო, დაუვიწყარი შეხვედრა იყო. კიდევ როდის გავიმეოროთ? გაკოცე. ენიგმა.

• საღამო მშვიდობის, გზავნილქვეყნის მაცხოვრებლებო, როგორ ხართ, ნაცნობებო და უცნობებო? მომენატრეეეთ... მიყვარხართ ძა

ქალი ცდუნება, მაესტრო, კოზანოსტრა და სკარლეტი გეხუტებათ ყველა მგზავნელს, შორიდან! ასე, მეც გეხუტებით. ვერმახტი.

• ცხოვრებას ლამაზ ფერებში რთავენ, სიტყვა მომწყურდა გულზე მომდგარი, სისულელეა, მოიკლა თავი, საშინელება — დარჩე ცოცხალი, ოცნების ბილიკს მივყვები ფრთხილად, ამ სიჩუმეში სევდაა დიდი, დაბალ ხეს მუდამ მაღალი ჩრდილავს, ცხოვრება მაინც თავის გზით მიდის... ძალიან ცოტა რჩება სარწმუნო და გელოდება ტვირთი ორწილი, ვისაც უფალმა ნიჭი არგუნა, ადევს უნიჭო კაცთა ბორკილი, ხშირად ცხოვრებას ლამაზად რთავენ, მზიან დღეებამდე ჯერაც შორია, ძალზე ძნელია, მოიკლა თავი, დიდი გაძლება — დარჩე ცოცხალი. სოფი19.

• მარ, აქამდე ვერ გწერდი, ანგარიშზე არ მქონდა. იმედია, არ დამაგვიანდა და მესიჯებს დამიბეჭდავ. მიყვარხართ. ყველას მოგიკითხავთ. არც ერთს არ გიცნობთ, მაგრამ ძალიან შემიყვარდით. თიკუნია999.

• მარიკო, რა უბედურებაა გზავნილეთში? ასე მგონია, სულ სხვაგან, საგიჟეთში ვარ. ძველი „გზავნილები“ მენატრება. კარგი იქნება, თუ იმათ მესიჯებს დაბლოკავ, ვინც ასეთ არეულობაში იღებს მონაწილეობას. ჩემი აზრით, ასე უფრო სამართლიანი იქნები. გენაცვალე, გაიხარე! მე დავბრუნდი. პიკოლო.

• ძალიან გთხოვთ, ეს მესიჯი დამიბეჭდოთ. ქალბატონი (ოსი) ლიას მესიჯით გაოცებული ვარ. ჩვენ აქ ჩვენი ნებით ჩამოვედით და მადლობის მეტი ბერძნებთან არაფერი გვეთქმის. ნინო.

• ყური მიგდეთ მეგობრებო,/ თქვენი ნახვა მწყურია,/ სადაც თქვენ ხართ, ყველაფერი/ მუდამ მხიარულია./ რა ძნელია უთქვენობა,/ გული მტკივა ძალიან,/ სუპერსთარო, მგზავნელები/ შემიკრიბე, ძამია/ სანამ პირში სული მიდგას,/ თქვენთან ყოფნა მწადია,/ ვპასიურობ, არ გწერთ, მაგრამ,/ რომ მიყვარხართ, ცხადია./ როცა ჟურნალ „გზას“ ვკითხულობ,/ მიბრწყინდება გუნება/ და ყველას ერთად გაფასებთ,/ თქვენი ქალი ცდუნება.

• მარი, დამიჯერე ჩემო კარგო, წვიმიანი ამინდი არაფერ შუაშია. კანიბალკას მესიჯი ნამდვილად გულის ამაჩუყებელია. მოდით ძველებო, გააცოცხლეთ „გზავნილები“, რომ მუდამ სითბო სუფევდეს. მიყვარხართ ყველა. თაკო.

• მგზავნელებო, ყველანი ძალიან მიყვარხართ, სულში ჩაგეხუტეთ ყველას. სამწუხაროდ, ხშირად მოწერას ვერ ვახერხებ, მაგრამ სულით და გულით თქვენთან ვარ. შემოგევლეთ ყველას. თქვენი გულისტუზა.

• დიდი სიყვარულით მოვიკითხავ (ჩემს სეხნიას) მარის და (როგორ მიყვარს ეს სახელი და ეს ადამიანი) ყველა მგზავნელს. რომ იცოდეთ, როგორ მიხალისებთ ცხოვრებას.

• ოო, მისტერ, რატომ გვაყენებ შეურაცხყოფას მანდილოსნებს? ქალზე რომ თქვა, არეულად აზროვნებო, ეს იგივეა, კაცს უთხრა, მამაკაცური ღირსება არ გაგაჩნიაო. მოგეწონება? დარწმუნებული ვარ, არა და დაშოშმინდით, თორემ მერე სხვანაირად ვილაპარაკებ (ველური თოლიების ენაზე). ლ.77, სად უნდა გავფრინდე? თქვენი ვარ სამუდამოდ. მიყვარხართ. თოლია.

• ახლა ვკითხულობ „მობილი-ზაციას“ და ვერ ვიგებ, რატომ კაპასობენ და ჭამენ ერთმანეთს. ხალხო, გაუფრთხილდით ერთმანეთს, ნუ დააგლეჯთ ერთმანეთს ნერვებს, ძალიან მომწონს ბერბიჭას პასუხები. ეტყობა, კაცური კაცია. არც თეთრი ყვავია ცუდი და არც დანარჩენი მგზავნელები. ყველას გეფერებით შორიდან და მიყვარხართ. ყველაზე ძალიან მარის გაცნობა მინდა, იმიტომ რომ ამდენი ადამიანი დააკავშირა ერთმანეთს „გზავნილებით“. რომ დავბრუნდები საქართველოში, საჩუქარი ჩემზე იყოს. გაუფრთხილდით ერთმანეთს და მარის ნერვებსაც. ბოლმის ამონთხევა ვისაც გინდათ, სხვა საშუალება მოძებნეთ და „გზავნილებში“ ნორმალურად დაამესიჯეთ. იტალია. თამარი.

• ლან, მადლობა გენაცვალე. მადლობა, გაცოცხლებული წარსულისთვის, ბედნიერების და მონატრების ცრემლებისთვის. თითქოს ხელახლა განვიცადე ყოველი ლამაზი წუთი, რომელიც ერთად გვქონია ძველ, ჭეშმარიტ მგზავნელებს. ჩვენ ხომ ერთად გადავდგით პირველი ნაბიჯები „გზაში“. მენატრება შენი ნიკი გზავნილის ბოლოს, ილინის ხმაურიანი შემოქროლება ჟურნალში, ჩვენი რაინდებისა და ფერიების სითბო და ხალისი. მტკივა უთქვენობა, როცა ჟურნალს ვფურცლავ და ამაოდ დაგეძებთ. სულ ვწერ იმ იმედით, რომ ჩემ გვერდით ისევ იქნება თქვენი სახელები. მე თქვენ მიყვარხართ და გელოდებით! შენს დაბრუნებას მივესალმები, მეგრელთა თვალებსატუტა ასულო. მარად შენი ფრანგი ჰერცოგინია, პარიჟანკა.

• მე ერთი ჟურნალი ვიცი, სამოთხის კარია ღია, იქ მართლა გვარზე ხტის კვიცი და სხვებიც თავის გზით ვლიან. იქ მლიქვნელს ახსნიან ნიღაბს, მაბეზღარს აჭრიან ენას, პოეტი იქ უფრო ურევს და ბევრის როდი აქვს წყენა. იქ მართლა ფასდება ჭკუა, იქ გულიც ფასდება ბავშვის, კრიტიკა ბოღმას არ იტევს, პოეტებს არ უყვართ ტაში, მესიჯს უბეჭდავენ მცოდნეს, უმეცარს იგნორით სჯიან, იქ აღარ სჭირდებათ ცოტნე, თაფლი კი სუყველას სცხია. პონტები ისეთი ვიცი, მრჩეველი მრჩეველზე თვალე, ნარჩევებს აძლევენ რჩევებს, ბავშვებს, კაცებს თუ ქალებს, პროვოკატორის გვერდზე მეფობს სამართალი წმინდა, კეისარს კეისრისას, ღმრთის — ღმერთს, დევიზიც ასეთი გვინდა. არცა აქვთ მეგობრის შიში, კაცს ვეღარ შეხვდები მტრიანს, ერთურთზე არ ყრიან ჭორებს, ზურგს უკან არავის თხრიან. იცით? იმ ჟურნალს „გზა“ ჰქვია თურმე, იმ ფურცლებს გზავნილნი ჰქვია, გინდათ, ასეთ „გზას“ ვმგზავრობდეთ? მაშ, შევქმნათ, არ არის გვიან! ჩემო ინტელექტის ნაკრძალო ჟურნალო და მის სრულუფლებიან წევრთა საზოგადოებავ, დაბრუნდა უძღები შვილი იგი ლიმონა. გეხუხუტუნეთ ყველას. მარად თქვენი ლიმონა-მანიუ.

• რა გინდა, თამრო ხარ თუ სატანა? რასა მჭამ „გზის“ ყოველ ახალ ნომერში? ჯერ ერთი, მე ცხინვალიდან არ ვარ და არც ნამყოფი ვარ იქ, რომ იცოდე და იქნებ საქართველოს ისტორია წაიკითხო და კარგად გაარკვიო, ცხინვალი ვისი მიწაა. ცხინვალი შენნაირმა ნაციონალისტებმა წაართვეს საქართველოს. მე თბილისელი ვარ. უწიგნურო, ახალი წელი მოდის და ნუ ილანძღები. გამოართვი მარის ჩემი ნომერი და გაგაგებინებ, სადაური ოსიც ვარ. ღმერთმა გაპატიოს, რასაც ჩემზე გაიფიქრებ. ოსი ლია.

• მარ, ე.ი. უტელეფონოდ დაისვენე, ხომ? სხვათა შორის, თვეში ერთხელ საჭიროა ასეთი თავისუფლება. ტელეფონი რომ გამიფუჭდა, მეც ვისვენებდი, მაგრამ უშენოდ რა გვეშველება? აბეზარა.

• ქალო, სირცხვილია, შინ შედი, ნიავი ურცხვად გეხება და გლოკავს, ქალო, ეგ ღიმილი ჯოკონდასნაირი, ვიღაცას ქუჩაში მოკლავს.

• დიდი ხანია, თქვენი მკითხველი ვარ და როგორც იქნა, დადგა დრო და მეც გიერთდებით. მარიამულო, რაღაცის თქმა მინდოდა შენთვის, მაგრამ ვერ გიბედავ. მარ, გიყვარვარ? ჰა, მარ? მე მიყვარხარ მარიამულ, ჩემი გულის მესაიდუმლე ხარ. მე ვარ მარ, ალბათ მიცანი.

• თქვენ რომ იცოდეთ, რამხელა სიხარულს გვანიჭებთ თქვენი ჟურნალის არსებობით. მინდა, დიდხანს იარსებოს „გზამ“ და „გზავნილებმა“. მინდა, ყოველივე კარგი ვუსურვო თქვენს კოლექტივს. ჩვენი ასეთი მხარდაჭერისთვის და ყოველივეს მოსმენისთვის. მე თქვენ ძალიან მიყვარხართ. თითოეული მგზავნელი, ჩვენს მარისთან ერთად. გკოცნით, გეხვევით.

• ღამე მოაბიჯებს, ჩუმი ნაბიჯებით, შენ მენატრები მართლა გაგიჟებით. ჩუმად მოგეპარე, ჩუმი ნაბიჯებით, ახლა შენთან მინდა, მართლა გაგიჟებით. დრუნც, ძალიან მენატრებიიი!

• კაცო, გიყურებთ და ვგიჟდები, რა! ჯერ ერთი წერდა, ერთი გოგო მიყვარს, მაგრამ რად მინდა სხვისი „ნახმარი“ ქალიო, მერე მეორე ამბავი იყო და, სულ გადავირიე, მოიტაცეს გოგო და უკვე გვიანი იყოო... ვერ გავიგე, მე ვარ ცოტა დაცოცებულზე თუ ესენი არიან შაფრიკინებულები? რა სხვისი ნახმარი, რის გვიან იყო, თქვენ კარგად თუ ხართ, ა?! ქალი თუ გიყვარს, 30 წლის ბოზობის სტაჟი რომ ჰქონდეს, იმასაც კი მოიყვანს კაცი! სად იზრდებით, ან რა შეგნებით? რა იდეალები გაქვთ, მაგიჟებთ, ე! თუ ადამიანი გკიდია, ბარემ ხმამაღლა თქვი, თორემ აი მიყვარდა და სხვამ იხმარა რა უბედურებაა? თეთრი ყვავი.

• პეპი პეი, ჩემო კარგო, ვიყავი ჩათელი. ახლა იშვიათად შევდივარ ხოლმე. უფრო სიტუაციის დაკვირვების მიზნით. შენ რა ნიკით ხარ? მოვიკითხავ ყველას, ვისაც ვახსოვარ. გკოცნით. SWEET-GIRL.

• დიიიდი სიყვარულით მოვიკითხავ ჩემს საყვარელ ციყვუნიებს, გრეენუკას,

რომელიც დამეკარგა ამ ბოლო დროს, უთბილეს ადამიანებს, ნაინას და ICE-LADY-ს და რატომ ICE? მე უფრო პირიქით მგონია. შემოგევლეთ თქვენ. SWEET-GIRL.

• თიკუნია77, რაკი ჟურნალიდან მიცნობ, ე.ი. ძველი მგზავნელი ხარ. ჰოდა, მითხარი რომელი და პრობლემა არაა. პირადში მოგწერ და ვიმეგობროთ. მიყვარს იუმორამტანი ხალხი. ბერბიჭა.

• გამარჯობა ხალხო, როგორ ხართ? რა არის, რა ქაოსია? მე ძველი მგზავნელი ვარ და შორიდან ვადევნებ თვალყურს. მიყვარხართ, გაკოცეთ, ძველო მგზავნელებო. პიკოლო.

• როცა სიცოცხლე მიხაროდა, გული სითბოსგან დამიცალე, როცა სიგიჟემდე შემიყვარდი, შენთან სიახლოვე ამიკრძალე, ოცნება ჰქვია, რაც გამაჩნდა, ყველა ამირიე დამიშალე.

• სვანი კაცი სვანურ ქუდში ხომ ლამაზად ჩანს, არასოდეს გიღალატებს, თუ ენდობით სვანს. გაუმარჯოს ყველა იმ სვანს, ვინც სვანურ ქუდს ღირსეულად ატარებს. სვანუკა.

მიყვარხარ

• სახსოვრად დამრჩა შენგან სურათი, მე მიყვარს იგი, რადგან შენია, ან სხვა რა გზა მაქვს, რომ არ მიყვარდეს, შენგან მის მეტი რა დამრჩენია?! პატუ, ძამია, დამიტოვე დიდი ტკივილი და მოუშუშებელი იარა. უზომოდ მენატრები და მაკლიხარ. შენი გულჩამკვდარი დაიკო, თეონა.

• ჩემს სიხარულს მინდა ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს. დრუნც, სიგიჟემდე მენატრები. მინდა იცოდე, რომ სიშორემ უფრო შემაყვარა შენი თავი. ჩემი დაუვიწყარი სიყვარული ხარ! გაკოცეეე...

• მარი, გამარჯობა. მინდა, სიყვარულით მოვიკითხო ჩემი დაიკო და დისშვილები, ლაშა და ვახო ბაგაშვილები. მონატრებაა, ყველაფერი რომ თქვენს თავს მახსენებს.

• მომენატრე და უკვე ვეღარ ვძლებ, როგორც არასდროს, ისე მჭირდები, მუდამ გახსოვდეს ეს ერთი რამე, მე შენ არასდროს დამავიწყდები! ეძღვნება ჩემს დიდ სიყვარულსა და მონატრებას, ჩემს სიხარულს, თორნიკე ქურციკიძეს. თოკ, მაგრად მომენატრე. მალე ჩამოდი, რაა. მიყვარხარ. შენი (და თქვენი) გულისტუზა.

• გიო მიყვარხარ, ძალიან, ძალიან, ძალიან!

• გოჩას მინდა ვუთხრა, რომ ძალიან, ძალიან მიყვარს. გოჩ, უშენოდ ვერც წარმომიდგენია ცხოვრება. გოჩ, მიყვარხარ. შენი პატარა, სვანი გოგო, ქეთი.

• გიჟუნია, ძალიან მენატრები და მიყვარხარ. ჩემი ცხოვრების აზრი ხარ. მე და თემო სულ შენს ხსენებაში ვართ. ძალიან ძნელია უშენობა. გკოცნი უთვალავს. სუსუ.

• ზურა შამადუხაშვილო, მთელი ცხოვრება გეძებდი. გიპოვე და მაინც მარტო დავრჩი. მაინც მირჩევნია, შენი ცალმხრივი სიყვარულით სავსემ ვიარო, ვიდრე ცარიელი დავრჩე. დადუკა.

გილოცავ!

• თაზო, არ ვიცი, დაიწერება თუ არა ჩემი წერილი. იმედია, არაფერი შემშლია. კიდევ ერთხელ გილოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელობას გაუფრთხილდი. გკოცნი და გეფერები, შენი დაიკო.

• თაზო, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობასა და გამძლეობას. გაუძელი, წინ ძალიან ბევრი წლები გაქვს, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად გასატარებელი. აბა, შენ იცი.

• თაზო, გილოცავ ბარბარობასა და დაბადების დღეს. გისურვებ, მალე ყოფილიყავი ჩვენ გვერდით. გისურვებ ჯანმრთელობას. მაგრად მოგვენატრე ყველას. თემომ და დათომ მოგიკითხეს, კეთილი სურვილებით. შოთა.

• ლუკა ახვლედიანს ვულოცავ დაბადების დღეს და ბარბარობას. გაიზარდე დიდი ბიჭი. უფალი გფარავდეს, შენს ირაკლი მამიკოსთან, მირანდა დედიკოსთან და ელენიკო დაიკოსთან ერთად.

• თაზო, მე შენ მიყვარხარ, ჩემო სიცოცხლევ, რა დამავიწყებს შენს ლამაზ თვალებს, მე მოგილოცავ დაბადების დღეს და დაესწარი მრავალჯერ ამ დღეს. ღმერთი გფარავდეს. სუსუ.

• ლუკა ახვლედიანს ვულოცავ დაბადების დღეს და ბარბარობას. ღმერთი გფარავდეს. გაიზარდე დიდი ბიჭი. ნანა ბებო.

• ხარაგაულში, სოფელ ისლარში, კაკო ჭიპაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, 15 დეკემბერს. ვუსურვებთ დაოჯახებასა და უფლის წყალობას. ვოვა და მიშიკო ხიჯაკაძეები.

• მარ, ბარბარობის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავ. უფალი გფარავდეს მუდამ, მგზავნელებთან ერთად. შოკოლადა.

• დეიდას სიხარულო, წმინდა ბარბარე გფარავდეს. ნუცი, გაკოცე პატარა გულში და ლამაზ თვალებში. შენი შიკო დეიდა, შოკოლადა.

• დაბადების დღეს გილოცავ. მრავალს და მრავალს დაესწარი. გისურვებ ჯანმრთელობასა და გამძლეობას. ჩვენ ყველას ძალიან გვიყვარხარ. ელენე.

• თაზო, ლალი ვარ, შენი დეიდაშვილი. პირველ რიგში დაბადების დღე მინდა მოგილოცო, ღმერთის მფარველობა გქონოდეს და გჯეროდეს უფლის. ნუ გეშინია, ყველაფერი მოგვარდება.

• თაზო, დაბადების დღეს გილოცავ. ღმერთის მფარველობა არ მოგკლებოდეს. ჩვენ კი დიდი გულისტკივილით, თვალცრემლიანი ვხვდებით 18 დეკემბერს. გკოცნი. ზოია დეიდა.

• ჩვენო სვეტლანა, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებთ ულევ სიხარულსა და სიყვარულს, შენი უახლოესი მეგობრები, ირაკლი, ამალია, ნინო, ნატალი და ზაზა.

• ჩემს უსაყვარლეს შვილს, ნიკა ხურციას, 14 დეკემბერს ვულოცავ დაბადების დღეს. ნიკუშ, მრავალს დაესწარი, ჯანმრთელი და ბედნიერი. საამაყო და სასახელო ვაჟი ყოფილიყავი, მშობლების ამაგის დამფასებელი. გფარავდეს უფალი და დედა ღვთისმშობელი. მიყვარხარ ძალიან. შენი დედიკო, ნანა. იდუმალი ქალი.

• ჩემს საყვარელ და მონატრებულ დას, ნანა წიქორიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 15 დეკემბერს. გისურვებ ულევ სიხარულს, შენს საყვარელ ხალხთან ერთად. მირანდა.

• სვეტლანა ეფრიკიანს დაბადების დღეს ულოცავენ ირაკლი კომახიანი, ზაზა სტალმახი და მეგობრები. უსურვებენ ულევ ბედნიერებას და სიკეთეს.

• ვატო ელოშვილს 12 დეკემბერს ვულოცავ დაბადების დღეს. ASHLEY PCD.

• ანი, გილოცავ დაბადების დღეს, 25 დეკემბერს. მინდა გისურვო ჯანმრთელობა და საუკეთესო მომავალი. უფალი გფარავდეს. ხათუნა და დათო.

• ზურა შამადუხაშვილო, ყველაზე ლამაზი დღე, შენი დაბადების დღე მინდა მოგილოცო. მრავალს დაესწარი. დადუნა, მარი, ზღარბუნიები.

• ჩემს საყვარელ რძალს, მანანა ბენდელიანს 14 დეკემბერს დაბადების დღეს ვულოცავთ და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და ულევ სიხარულს, ქმარ-შვილთან ერთად.

• გიჟუნია, ძალიან მიყვარხარ. დაბადების დღეს გილოცავ სიხარულო, მრავალს დაესწარი, ოღონდ მომავალში შენს ოჯახთან ერთად. აბა, შენ იცი, როგორ ყოჩაღად იქნები. სუსუ.

• ნათია ტურაშვილ-ლიპარტელიანს ვულოცავ დაბადების დღეს. უფლის წყალობასა და ჯანმრთელობას ვუსურვებ ჩემს მონატრებულ და საყვარელ რძალს. სულ ბედნიერი მეგულებოდე, შენი ქმარშვილითა და ყველა ახლობლით, შემოგევლე. ცისანა დეიდა.

• ნიკოლოზობის ბრწყინვალე დღესასწაულს ვულოცავ ჩვენი ოჯახის ახლობლებს, ნიკოლოზ იაშვილს, ნიკოლოზ კაკაშვილს, ნიკოლოზ ქვაჭრელიშვილს და ნიკოლოზ მუჯეჯიანს. ამ დღის ძალი და მადლი არ მოგშლოდეთ. გკოცნით. ცისანა.

• დაბადების დღეს, 19 დეკემბერს ვულოცავ ჩემს უსაყვარლეს დაქალს, ელისო თათელიშვილს. ვუსურვებ ყოველივე საუკეთესოს. ულოცავს ასევე მისი ნათლული, გიო მახარაძე. თიკო.

• ჩემო საყვარელო შვილო, თეონა, გილოცავ დაბადების დღეს, 20 დეკემბერს.

შენზე ლოცვით გავატარებ. უსაშველოდ მენატრები. შენი სიყვარული მაძლებინებს ამ უცხო ქვეყანაში. ულევ სიხარულს, სიკეთეს გისურვებ, უფლის წყალობას, გამართლებას ცხოვრებაში. გკოცნის შენზე მონატრებული, შენი დედიკო, ანა ხარაზოვი.

• თეონა ნუცუბიძეს: სიხარული, სიყვარული დაგბედებოდეს, სიკეთე და ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს. იმედი და უფლის რწმენა გინათებდეს გზებს, გეფერებით და გილოცავთ დაბადების დღეს. შენი დედიკოს, ანა ხარაზოვის მეგობრები.

• ჩემს მონატრებულ დედას, ნანას, შვილებს, სალომესა და ლევანიკოს ვულოცავ ბარბარობას. ღმერთმა დაგლოცოთ და ათასი კარგი დღე მომელოცოს. გკოცნით თქვენი დედა, ლიკა.

• ჩემს მეგობრებს ვულოცავ ბარბარობას. ღმერთმა დაგლოცოთ და მთავარია, გამძლეობა გვქონოდეს, ერთმანეთის სიყვარული და პატივისცემა. გკოცნით და გეფერებით. ლიკა.

• ჩემი შვილის, სალომეს ნათლულს, ქეთი ნიკურაძეს და მის ოჯახს ვულოცავ ბარბარობას. ყოველი კარგი დღე მომელოცოს. გახარებული და ბედნიერი მყოლოდით. ლიკა.

• სოფელ თეთრიწყლებში დაბადების დღე მინდა მივულოცო ტარიელ ფიცხელაურს. ჩემო ტარიელ, გისურვებ ამ ლამაზი დღის მრავალჯერ შეხვედრას, ჩვენს საყვარელ ნანასთან ერთად. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ. ორივე მენატრებით ძალიან. თამრიკო.

• ჩემს შვილს, ეროსი ჩიტოშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჩემო შვილო ყველაფერს საუკეთესოს, ცხოვრებაში. სულ გახარებული და ბედნიერი მენახე. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს. ბედნიერ მომავალს გისურვებ. გკოცნი და გეფერებით. დედას შვილებო, მენატრებით უზომოდ.

• სოფელ ლალისხურში დაბადების დღე, 24 დეკემბერი მინდა მივულოცო ჩემს მონატრებულ შვილს, მზია რკინაული-ქოთილაიძეს. ჩემო სიხარულო, გისურვებ ყოველივე კარგს, რაც შეიძლება დედამ უსურვოს შვილს. ეს ლამაზი დღე ყოველთვის სიხარულის მომტანი ყოფილიყოს შენთვის. მრავალს დაესწარი, შენს ქმარ-შვილთან, და-ძმებთან და დისშვილებთან ერთად. უფალი გფარავდეთ ყველას. მიყვარხართ და მენატრებით ტკივილამდე. თამრიკო.

• ჩემს მონატრებულ შვილს, მაკა თათვიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 30 წლის შესრულებას. ჩემო სიყვარულო და მონატრებულო შვილო, გისურვებ ყოველივე კარგს, შენს საყვარელ ხალხთან ერთად. გკოცნის შენი მონატრებული დედა, გულიზა.

• ათენში გაცნობილ ირინა დევიძეს ვულოცავ დაბადების დღეს და 39 წლის შესრულებას. გისურვებ ყოველივე კარგს, შენს საყვარელ ქმარ-შვილთან ერთად. გაუმარჯოს ყველა დეკემბერში დაბადებულს. გილოცავს გულიზა მამასახლისი.

• ია, ჩემო კარგო, გილოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, საყვარელ ქმარ-შვილთან ერთად. გისურვებ მალე შენს ოჯახთან ჩახუტებას. გილოცავს გულიზა მამასახლისი.

• ჩემს საყვარელ სალომე ყუფარაძეს დაბადების დღეს ვულოცავ. გაიხარე დეი, მენატრებით. გკოცნი. შენი დეიდა, ელისო.

• ჩემი ძამია ლი ჰარვი ოსვალდის თამადობით, ყველა იუბილარს დაბადების დღეს გილოცავთ, ჯიგრებოო, წყალობა, სულის სიხარული და ჩვენი თავი ნუ მოგიშალოთ ღმერთმა. ლიმონა.

• მონატრებულ რძალს, მაკა ხურცილავა-ლომიძეს: მაკა, შვილო, გილოცავ დაბადების დღეს, მრავალს დაესწარი შენი ოჯახით. შენ ჩემი შეძენილი შვილი ხარ. გაიხარე, შენს ქმართან ერთად და უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს. ცაზე რამდენი ვარსკვლავიც არის, თქვენთვის იმდენი სიკეთე მინდა. მენატრებით. შენი დედამთილი, მაია ლომიძე.

• მაკა ხურცილავა-ლომიძეს: მაკა, გილოცავთ დაბადების დღეს, დაესწარი მრავალს. გისურვებთ ულევ სიხარულსა და სიყვარულს. ღმერთმა გაგაჩინა ლამაზო არსებავ და თანაც სახელად გიწოდა ქალი. გფარავდეს უფალი. ირინა და კახა დევიძეები.

• ჩემს მონატრებულ შვილიშვილებს, მაგდა და ანზორ გეწაძეებს ვულოცავ დაბადების დღეს, 14 დეკემბერს. ორივეს ვუსურვებ კარგ სწავლასა და ბედნიერ მომავალს. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ, ჩემო სიხარულებო. გკოცნით და გეფერებით, თქვენი ბებო, ჟუჟუნა ცუცქირიძე.

• ჩემს 12 წლის უნახავ შვილიშვილს, დათო ბოჭორიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 11 დეკემბერს. ვუსურვებ ულევ სიხარულსა და სიყვარულს. გფარავდეს უფალი. გკოცნი და გეფერები, შენი ბებო, ჟუჟუნა ცუცქირიძე.

• ჩემს საყვარელ დაქალს, ელისო თათელიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 19 დეკემბერს. ვუსურვებ ყოველივე საუკეთესოს, ცხოვრებაში. მენატრები, ჩემი პაწუკა ქალი და გელოდები. თიკო.

• ია ჯალიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ყველაფერ კარგს, საყვარელ ქმარ-შვილთან ერთად და მალე დაბრუნებას. მეგობარი ნიურა.

• მაია ცაბაძე, გილოცავ დაბადების დღეს. გაიხარე, მაგრად მიყვარხარ. შენი გიჟი გოგო. ეთიკო.

• ჩემს მონატრებულ შვილიშვილს, ლანა ბენიძეს ვულოცავ 14 წლის იუბილეს, 12 დეკემბერს. ჯანმრთელობას, სიხარულს, ლამაზ ბავშვობასა და ბედნიერ მომავალს გისურვებ, ჩემო ანგელოზო. უზომოდ მენატრები. დოდო ბებო.

• ჩემს ულამაზესსა და უსაყვარლეს შვილს, ლანა ბენიძეს დაბადების დღეს ვულოცავ, მთელი სულით და გულით. გისურვებ ჯანმრთელობას, კარგ სწავლას, ულამაზეს ცხოვრებას, შენს ოჯახთან და ყველა საყვარელ ადამიანებთან. შენზე უაზროდ მონატრებული დედა.

• იამზე ფანცულაის დაბადების დღეს ვულოცავ. ღმერთმა მრავალი გაგითენოს დაიკო, ღმერთი გფარავდეს. გეფერები და გკოცნი, შენი დაიკო. მიყვარხარ და მენატრები. თეა.

• ნიკა გაბარაშვილს, ჩემს უცნობ შვილიშვილს, ვულოცავ 19 დეკემბერს, დაბადების დღეს. ჩემო სიხარულო, წმინდა ნიკოლოზი ყოფილიყოც შენი მფარველი. გკოცნი ბევრს. ლია ბუნტური.

• ზესტაფონის რაიონის სოფ. მეორე სვირში, ჩემს საყვარელ დისშვილს, ამური კვინიკაძეს, 17 დეკემბერს ვულოცავ დაბადების დღეს! შეგეწიოს წმინდა ბარბარეს ძალი და მადლი. გკოცნი, შენი დეიდულა ციალა.

• დაბადების დღეს, 12 დეკემბერს ვულოცავ ჩემს უნახავ შვილთაშვილს, ლუკა მაისურაძეს და მის დედიკოს, 22 დეკემბერს, მაკა მაისურაძეს. ვულოცავ დიდი მონატრებით. ჩემს გოგონას, ლია მაისურაძეს: მენატრებით და მიყვარხართ, გფარავდეთ უფალი.

• ტყიბულში კიკნაველიძე შაკუნას 23 დეკემბერს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს. სულ ასეთი ლამაზი და ჭკვიანი ბიჭი ყოფილიყავი, რომ შენი მშობლები, ლალი და მერაბი გაგეხარებინოს. უდარდელი ცხოვრება გქონოდეს. შენი ბიცოლა, ლამზირა.

• ჩემს მონატრებულ შვილებს ვულოცავ დაბადების დღეებს. თამუნა და ნათია როსტიაშვილებს და ჩემს ანგელოზს, ნათია ხუბაშვილს. გისურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას. თქვენი დატანჯული დედა. გკოცნით და გეფერებათ, ლია ძებოშვილი.

• ათენში დროებით მცხოვრებ ნათელა მაღლაკელიძე-თევდორაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ღმერთმა მოგცეს შეძლება. გისურვებ დიდხანს სიცოცხლეს, საყვარელ ქმარ-შვილთან და შვილიშვილებთან ერთად. მარინულა.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი. ■

ფაიმ-აუფი

უცნაური ადამიანები

ტექსტის ამკრები

2008 წლის 16 ნოემბერს იტალიელმა მიშელ სანტელიამ კომპიუტერზე 67-ე წიგნის ტექსტის აკრება დაასრულა. საინტერესო ისაა, რომ მიშელი წიგნის („ოდისეა“, „მაკბეტი“, ბიბლია) ტექსტებს სხვადასხვა ენაზე (ძველჩინურად, ძველბერძნულად, იდიშზე და ა.შ.), ასოებგადაშლილ კლავიატურაზე კრებდა და თანაც, ტექსტების აკრებას ბოლო ფურცლიდან იწყებდა.

რკინის დიეტა

1959 წლიდან ფრანგი მიშელ ლოტიტო სიამოვნებით მიირთმევს რკინასა და მინას. 1966 წლიდან დღემდე მან 18 მოტოციკლეტი, სუპერმარკეტის 15 კალათი, 7 ტელევიზორი, 2 საწოლი, კომპიუტერი და სხვა ნივთები შეჭამა. 1997 წელს, მის მიერ შეჭმული რკინის რაოდენობამ 9 ტონას გადააჭარბა.

კოვზები სახეზე

10 წლის ბრიტანელ ჯოი ალისონს შეუძლია, სახეზე 16 სადილის კოვზი „მიიწებოს“.

ტარაკნების მჭამელი

ბრიტანელი კენ ედვარდსი ტარაკნებს მიირთმევს. ლონდონში გამართულ ერთ-ერთ ფესტივალზე მან წუთში 36 მწერი შეჭამა.

პლასტიკური ქირურგიის მსხვერპლი

ამერიკელი სინდი ჯექსონი პლასტიკური ოპერაციების მოყვარულია. 52 წლის ქალმა უკვე 47 ოპერაცია გაიკეთა.

გოგონა „ჩემოდნიდან“

ამერიკელმა ლესლი ტიპტონმა ყველა გააოცა — გოგონას 7,4 წამი დასჭირდა, რათა ელვით შეკრული ჩემოდნიდან ამოსულიყო.

ქალის ხმა

ლონდონში ყოველწლიურად მყვირალა ადამიანების კონკურსი ტარდება. გაიმარჯვებს ის, ვინც ყველაზე ხმამაღლა დაიყვირებს. 2000 წელს ჯილი დრეიკმა გაიმარჯვა — მისმა ხმამ 129 დეციბელს გადააჭარბა (შედარებისთვის: რეაქტიული თვითმფრინავის ძრავას ხმა 139 დეციბელია).

ჩინური დალალები

მსოფლიოში ყველაზე გრძელი თმა ჩინელ კსი კვიპინგს აქვს. 1973 წლიდან გოგონას თმა აღარ შეუჭრია და წელს მისი დალალების სიგრძემ 5 მეტრს გადააჭარბა.

მოლაპარაკე

2004 წელს ლუის კოლეტმა 48 საათი ილაპარაკა. მოგვიანებით, მისი რეკორდი ერთმა ინდუსმა მოხსნა, რომელმაც შეუსვენებლად, 120 საათი იყბედა. 62 წლის ლუისმა ივარჯიშა და ახალი რეკორდი დაამყარა — 124 საათი ლაპარაკობდა. ■

დაბადების დღე და მფარველი პლანეტა

ორშაბათი (მფარველი პლანეტაა მთვარე) — ამ დღეს მგრძნობიარე და მოსიყვარულე ადამიანები იბადებიან, მაგრამ მათ ხშირად ეცვლებათ გუნება-განწყობილება. ისინი გურმანები არიან და უმეტესწილად, მზარეულის პროფესიას ირჩევენ.

სამშაბათი (მფარველი პლანეტაა მარსი) — მებრძოლი სულის პატრონები, ენერგიულები, ფეთქებადები არიან. უყვართ მბრძანებლობა და არასდროს დადიან სხვის ჭკუაზე.

ოთხშაბათი (მფარველი პლანეტაა მერკური) — ნიჭიერი ადამიანები არიან, სხარტი გონება აქვთ. უყვართ ლაპარაკი და მეგობრებთან ერთად გართობა.

ხუთშაბათი (მფარველი პლანეტაა იუპიტერი) — მოგზაურობა მათთვის უმთავრესია. იზიდავთ ავანტიურა. სამართლიანები არიან, მაგრამ ზოგჯერ, ზედმეტად მორცხვობენ.

პარასკევი (მფარველი პლანეტაა ვენერა) — ამ დღეს შემოქმედი ადამიანები იბადებიან და უმეტესად ხელოვნებას ემსახურებიან. სიყვარული მათთვის უმთავრესია. გემოვნებით და ელეგანტურად იცვამენ.

შაბათი (მფარველი პლანეტაა სატურნი) — ფილოსოფოსები, მეცნიერები და მასწავლებლები შაბათს იბადებიან. შეგიძლიათ, მათ საიდუმლო თამამად გაანდოთ და რჩევაც ჰკითხოთ.

კვირა (მფარველი პლანეტაა მზე) — ამ დღეს შემოქმედი ადამიანები იბადებიან. ისინი დასახული მიზნისკენ ჯიუტად მიიწევენ და იმარჯვებენ კიდეც. ■

უიღბლო იღბლიანები

ტერორისტების მსხვერპლნი

ინგლისელი ცოლ-ქმარი — ჯეისონ და ჯენი კიორნს-ლოურენსები 2001 წლის 11 სექტემბერს, ნიუ-იორკში იმყოფებოდნენ და სავაჭრო ცენტრიდან ახალი გამოსულები გახლდნენ, როცა შენობა ტერორისტებმა ააფეთქეს; 2005 წლის 7 ივლისს ისინი ლონდონში ჩავიდნენ და ძლივს გადაურჩნენ ტერაქტს, რომელმაც 57 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, 2008 წლის ნოემბერში კი მუმბაიში დასასვენებლად ჩასულებიც ვერ ასცდნენ თავგადასავალს — ტერორისტებმა ქუჩაში ცეცხლი გახსნეს და ცოლ-ქმარი ტყვიებს სასწაულებრივად გადაურჩა. საინტერესო ისაა, რომ წყვილმა მოგზაურობა მაინც არ შეწყვიტა. ისინი ამბობენ, — ექსტრემალურ სიტუაციებს უკვე შევეჩვიეთო.

ქალს გემზე უბედურება მოაქვს

1911 წელს ვიოლეტა ჯესოპი ტრანსოკეანურ ლაინერ „ოლიმპიკზე“, მიმტანად მოეწყო. ცოტა ხანში ლაინერი ბრიტანეთის სამხედრო გემს შეეჯახა. მართალია, არავინ დაშავებულა, მაგრამ „ოლიმპიკს“ ხანგრძლივი რემონტი დასჭირდა. ცოტა ხანში ვიოლეტამ „ტიტანიკზე“ დაიწყო მუშაობა. მასთან ერთად, ახალ გემზე „ოლიმპიკის“ კაპიტანი, ედვარდ სმიტიც გადავიდა. „ტიტანიკს“ რა ბედიც ეწია, ყველასთვის ცნობილია, მაგრამ ჯესოპი გადარჩა. მოგვიანებით ქალმა გემ „ბრიტანიკზე“, მედდად დაიწყო მუშაობა. მალე გემი აფეთქდა და ჩაიძირა, ვიოლეტა კი გადაარჩინეს. ქალი 71 წლის ასაკში გულის უკმარისობით გარდაიცვალა და მისი ფერფლი ზღვაში ჩაყარეს.

პრეზიდენტების სიკვდილის მომსწრე

რობერტ ტედ ლინკოლნი აშშ-ის პრეზიდენტის — ლინკოლნის ვაჟი და თავადაც ჩინოვნიკი იყო. 1865 წლის 14 აპრილს, 22 წლის რობერტი მამასთან ერთად, თეატრში იმყოფებოდა, როცა მსახიობმა ჯონ ბუტმა პრეზიდენტი სიცოცხლეს გამოასალმა; 1881 წლის 2 ივლისს რობერტი (მაშინ სამხედრო მინისტრი იყო) პრეზიდენტ ჯეიმს გარფილდს ახლდა. ზღვაზე დასასვენებლად გამგზავრებულ პრეზიდენტს ორჯერ ესროლეს და მისი გადარჩენა ვეღარ მოხერხდა; რამდენიმე წლის შემდეგ, ლინკოლნ-უმცროსი პრეზიდენტ მაკქინლის მეორედ არჩევის ინაუგურაციაზე მიიწვიეს. მის თვალწინ ბელორუსმა ანარქისტმა ლიავონ ჟოლგუსმა პრეზიდენტი მოკლა. ამ ფაქტის შემდეგ ლინკოლნმა სახელმწიფო სამსახურზე უარი თქვა.

ქალს მეტეორიტი დაეცა

1954 წლის 30 ოქტომბერს დედამიწისკენ მომავალი მეტეორიტი სამ ნაწილად გაიყო, ერთ-ერთმა მათგანმა ენ ხოჯესის სახლის სახურავი გახვრიტა და პირდაპირ ქალს დაეცა თავზე. მოგვიანებით, ქალმა ქვის გაყიდვით გამდიდრება მოინდომა, მაგრამ ამერიკის სამხედრო სამსახურის თანამშრომლებმა მას მეტეორიტის ნატეხი ჩამოართვეს. მრავალი სასამართლო პროცესის შემდეგ, ქვა ალაბამის მუზეუმს გადასცეს.



ტსუტომუ იამაგუჩი

7-ჯერ მეხდაცემული

სტატისტიკის მიხედვით, 3000-დან 1 შანსი არსებობს, რომ ადამიანს მეხი დაეცეს. როი სალივანს კი მეხი 7-ჯერ დაეცა და სიკვდილს შვიდივეჯერ გადაურჩა. 71 წლის ასაკში, სიყვარულით დატანჯულმა უბედურმა მამაკაცმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ამერიკის ყველაზე უიღბლო ქალი

ჯეინ როჯერსს ამერიკის ყველაზე უიღბლო ქალს ეძახიან: მას მეხი ორჯერ დაეცა; ჩავარდა საკანალიზაციო ლიუკში; გაძარცვის მიზნით, თავს ქურდები დაესხნენ; ჯირითის დროს ტყვია ესროლეს; მეუღლე ახრჩობდა; ერთხელ ქუჩაში, ღამურები დაესხნენ თავს და სერიოზული იარები დაუტოვეს...

ორი ატომური აფეთქების მომსწრე

1945 წლის 6 აგვისტოს, ტსუტომუ იამაგუჩი ჰიროსიმაში იმყოფებოდა და ატომური ბომბი მისგან 3 კმ-ის მოშორებით აფეთქდა. მამაკაცი ცოტა ხნით დაბრმავდა. რამდენიმე დღეში იგი მშობლიურ ქალაქ ნაგასაკიში გაემგზავრა და თანამშრომლებს აფეთქების შესახებ უყვებოდა. ამ დროს მისი სამსახურიდან 3 კმ-ში მეორე ატომური ბომბი აფეთქდა და ტსუტომუ სიკვდილს ისევ გადაურჩა. ის ახლა 100 წელსაა მიღწეული და ატომურ აფეთქებებზე წიგნებს წერს. ■

ვაჟიტრა მედია

მედია-დანაზოგი

ანტიკრიზისული პროექტი

მათ უკვე ნახეს ჩვენი ფასები

თქვენ?

14-21 დეკემბერი

NewPC
კომპიუტერები
და აქსესუარები

Hp Printer All in one laserjet M1120

კომბინირებული აპარატი:
ლაზერული პრინტერი,
სკანერი, ასლგადამღები

ფასი: ~~380~~ 340

ფასი: ~~250~~ 220 **LG RT-21FC2**

მხოლოდ 1 კუპონად!
დიაგონალი 21 დიუმი (54სმ)
ფორმატი 4:3
სტერეო ხმის სისტემა TV/AV AUT, IN
ელ. ენერგიის მოხმარება 100w/სთ, 240V, 50hz
მართვის პულტი
დამატებითი ფუნქციები: ტაიმერი; თამაშები; ხმის გათიშვა

„სიტყვა და საქმის" პირველ მკერდზე დაბეჭდილია კუპონი,

მიიტანეთ 2 კუპონი მაღაზია „NewPC"-ში
ალმაშენებლის 96 ტელ: 95 40 40

კუპონი მიიტანეთ მაღაზია „მეგატექნიკის" მაღაზიებში
მარჯანიშვილის 16; პეკინის 11 ტელ: 24 46 46 /47

ანონსი

საახალწლო
სუფრის მთავარი
მკვეთება: გოჭი —
გარანტირებული
ხარისხის
პროდუქტი.

მომავალი ორშაბათიდან

21-29 დეკემბერი

იხილეთ „მედია-დანაზოგის" ახალი შემოთავაზება

დიდი და
პატარა
ნაძვის
ხეები და
სათამაშოები

ხელოვნური ბაზისული ფასი

ნიკო გომელაურის თავხედი და ცელქი მუზა



მსახიობისა და პოეტის, ნიკო გომელაურის „ერუდიტში“ ჩაწერა დიდი ხანია, მინდოდა, მაგრამ რატომღაც, ამ რუბრიკაში სტუმრობას ყოველთვის თავს არიდებდა. ცოტა ხნის წინ, რუსთაველის გამზირზე მდებარე წიგნის მაღაზია „ბიბლუსში“ მას მკითხველებთან შეხვედრა ჰქონდა. იქ თხოვნა კიდევ ერთხელ გავუმეორე. ამჯერად, უარი აღარ უთქვამს და ინტერვიუსთვის „თავისუფალ თეატრში“ მიმიპატიჟა.

„ჩემი ნაჩუქარი წიგნი უდიერად ეგდო...“

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგივრ

— ნიკო, ბოლო დროს ძალიან პოპულარული ხარ და ამაზე გუშინდელი დღეც მეტყველებს — „ბიბლუსში“ ახალგაზრდების ტევა არ იყო.

— კარგია, თუ მოზარდები ბევრ წიგნს წაიკითხავენ, წიგნთან ურთიერთობის კულტურა ექნებათ. ეს შეხვედრა ლამის, პოეზიის საღამოდ იქცა. ახალგაზრდებს ჩემი ბევრი გამოუქვეყნებელი ლექსიც გავაცანი, ისინი კი ინტერესით მისმენდნენ.

— ერთ-ერთმა მწერალმა ინტერვიუში თქვა, — არა მგონია, ჩემი მუზა დიდი პატიოსანი ვინმე იყოსო. შენი მუზა როგორია?

— (*იცინის*) არც შეიძლება, მუზა პატიოსანი იყოს. ჩემს მუზას როგორ დავახასიათებ? (*პაუზის შემდეგ*) თავხედია, ძალიან თავხედი.

— როდის მოდის ხოლმე?

— როცა თავად უნდა, მაშინ მოდის და თავხედი სწორედ ამიტომაა. ის ხშირად ცელქობს კიდეც, თავისუფალია. სიმართლე გითხრა, არ ვზივარ და არ ვუხმობ, მაგრამ დიდი ხნით მაინც არ მტოვებს.

— თავად რას კითხულობ?

— ბოლო დროს პუბლიცისტიკას და ბიოგრაფიულ ლიტერატურას ვკითხულობ. ქართველი პოეტებიდან გალაკტიონი, მუხრან მაჭავარიანი და ვაჟა-ფშაველა მიყვარს.

— პროზაიკოსებიდან ვის გამოარჩევ?

— ქართული პროზა ძალიან ღარიბია... უცხოელი ავტორებიდან პუშკინი, დოსტოევსკი, შექსპირი, დიუმა მომწონს. თავის დროზე, ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ანტონ ჩეხოვის შემოქმედებამაც; კიდევ, სახარება მიყვარს ძალიან. ერთხელ ჩემს მეგობარ ბულგარელ გოგონას სახარება ვაჩუქე. ის ათეისტი იყო და ვიფიქრე, — ეგებ, მოექცეს-მეთქი. მის სახლში რომ მივედი, შევამჩნიე, ჩემი ნაჩუქარი წიგნი უდიერად ეგდო. მოვიპარე და უკან წამოვიღე.

— „აშუღური პოეზია ჩვენში XVII საუკუნის II ნახევარში შემოვიდა“, — წერდა გიორგი ლეონიძე. აშუღი მუსლიმანურ ქვეყნებში მგოსანს ეწოდებოდა, რომელიც თარზე უკრავდა და ზედ საკუთარ ლექსებს ამღერებდა. რას ნიშნავს არაბულად სიტყვა „აშუღი“?

— არ ვიცი.

— მიჯნურს. ბრიტანეთის რომელმა პრემიერმა მიიღო ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში?

— უინსტონ ჩერჩილმა.

— რომელი ქართული ფილმის გმირები არიან ბოლოკა და ბეთჰოვენა?

— „ღიმილის ბიჭების“.

— ჩვენამდე მოაღწია დემეტრე I-ის მიერ შექმნილმა საყოველთად ცნობილმა საგალობელმა, რომელსაც მისი პირველი სიტყვების გამო „შენ ხარ ვენახი“ უწოდეს. ვის ეძღვნება ის?

— არ ვიცი. ალბათ, საკუთარ დედას მიუძღვნა.

— „შენ ხარ ვენახი“ ღვთისმშობელს ეძღვნება. სად მოახდინა იესო ქრისტემ პირველი სასწაული?

— სად მოხდა, აღარ მახსოვს, მაგრამ ვიცი, რომ წყალი ღვინოდ გადააქცია.

— დიახ, ეს გალილეაში, ერთ-ერთ ქორწილში მოხდა. ქარვის სიუხვის გამო, რომელ ზღვას ერქვა „ქარვის ზღვა“?

— არ ვიცი.

— ბალტიის ზღვას. რომელი ოპერა დაწერა ჯუზეპე ვერდიმ შექსპირის პიესის მიხედვით?

— „ოტელო“.

— შემდეგი სიტყვები დაალაგე ისე, რომ ანდაზა გამოვიდეს: ტკბილი, კარს, სიტყვა, გააღებს, რკინის.

— „ტკბილი სიტყვა რკინის კარს გააღებს“.

— რას უწოდებდნენ ევროპულ ქვეყნებში ლაშქრობაში მონაწილე სკანდინავიელებს?

— ჯვაროსნებს ხომ არა?

— არა, მათ ვიკინგებს უწოდებდნენ. სად არის ის საოცარი წერტილი, სადაც ყველა მხრიდან სამხრეთია და შეიძლება, დედამიწის გარშემო ადგილზე ერთი შემობრუნებითაც „იმოგზაურო“?

— ჩრდილოეთ პოლუსზე.

— ეს ულამაზესი ქალბატონი ცნობილი ქართველი პოეტის ქალიშვილი და სახელგანთქმული რუსი მწერლის მეუღლე გახლდათ...

— ნინო ჭავჭავაძე.

— ვინ არის ავტორი სიტყვებისა: „თავს არ მოიკლავს ქართველი, არა,/ ის შეიძლება ბრძოლაში მოკვდეს,/ ერთი იმედით, სიცოცხლე მარად,/ გაგრძელდეს ქვეყნად და განმეორდეს“?

— ლადო ასათიანი.

— ისინი ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქენი არიან, მაგრამ მათი სამშობლო საქართველოა.

თითქმის 400 წლის წინ გადასახლებულებს, მშობლიური ენა არ დაუკარგავთ...

— ლაპარაკია ფერეიდანში მცხოვრებ ქართველებზე.

— ის ილია ჭავჭავაძესთან მეგობრობდა და დაწერა წიგნი — „საქართველოს გული“. ამასთანავე, „ვეფხისტყაოსანი“ გერმანულად თარგმნა. ვისზეა ლაპარაკი?

— ვერ გიპასუხებ.

— არტურ ლაისტზე. „წელს გადავწყვიტე მეცხვარეობა დამეწყო და ამ ხელობის შემწეობით მომევლო მთა და ბარი, გამეცნო ხალხი და გამომეცადა ის შიშით და სიამოვნებით სავსე ცხოვრება, რომელიც მწყემსს განუშორებლივ თან სდევს. რასაკვირველია, პირველი ჩემი ნაბიჯი განურჩევლად ყველამ მასხარად აიგდო, რადგანაც ამბობდნენ, რომ მებატონეს და მასთან სახელიანი კაცის შვილს უბრალო მეცხვარეობა არ ეკადრება“, — ალექსანდე ყაზბეგის რომელ ნაწარმოებში ვკითხულობთ ამ სიტყვებს?

— თუ შეიძლება, გამიმეორე. (*გამეორების შემდეგ*) „ნამწყემსარის მოგონებებში“. ხომ არ ვცდები?

— ნამდვილად ასეა. რა მდებარეობს ახლა იმ ადგილზე, სადაც ბიბლიური სოდომი და გომორა იყო?

— არ ვიცი.

— მკვდარი ზღვა. ნატო ვაჩნაძე პირველი მეუღლის გვარს ატარებდა. მისი ქალიშვილობის გვარი თუ იცი?

— არა.

— ის ანდრონიკაშვილი გახლდათ. ამერიკის ეს პრეზიდენტი ახალგაზრდობაში მოჯამაგირედ, ტყისმჭრელად და ფოსტის მოხელედაც კი მუშაობდა. დაასახელე იგი.

— ასეთი ამბები ლინკოლნზე მსმენია.

— სად არის დაკრძალული ალექსანდრე ჭავჭავაძე?

— არ ვიცი.

— შუამთის მონასტერში. შილერი „მსოფლიო სიბრძნის“ ბოლო სტროფში წერს: „ორი რამ მართავს მსოფლიოს: სიყვარული და...“

— ან ფული, ან შიში.

— „...შიმშილი“. იტალიაში გამოუშვეს ყავის ფინჯანი დაბნეული ადამიანებისთვის. ის ელექტრიფიცირებულია და როცა მასში სითხე საჭირო დონეს აღწევს, მელოდიური ზარი გაისმის. ამ ჭურჭელმა საკმაოდ უჩვეულო გასაღების ბაზარი პოვა. ვინ ყიდულობდა მას?

— ალბათ, უსინათლო ადამიანი.

— დიახ. რას აკეთებდა ბალზაკი, როცა საკუთარ თავზე ლაპარაკობდა?

— რა ვიცი, რაიმე უჩვეულოს, ალბათ.

— გენიალური ადამიანებისადმი პატივისცემის ნიშნად, ქუდს იხდიდა.

— ე.ი. მიიჩნევდა, რომ თავად იყო გენიალური ადამიანი, არა?

— ალბათ. რომელ ქართულ ფილმშია აღწერილი ხეჭეჭურის ნერგებისთვის წასული ბაბუა-შვილიშვილის საინტერესო თავგადასავალი?

— „ნერგებში“.

ქართველი პოეტებიდან გალაკტიონი, მუსრან მაჭავარიანი და ვაჟა-ფშაველა მიყვარს

— სპორტის ამ სახეობის სამშობლო ინგლისია. ბოლო წლებში ძალიან პოპულარული გახდა კანადაში, აშშ-ში, ურუგვაიში და ჩინეთში, მაგრამ ყველას მიაჩნია, რომ ის რუსეთშია „დაბადებული“...

— (*ფიქრობს*) ჰოკეი ხომ არა?

— დიახ. რა ჰქვია მიწისქვეშა სამეფოს მბრძანებელს ბერძნულ მითოლოგიაში?

— ვიცოდი, მაგრამ ველარ ვიხსენებ.

— ჰადესი. მარტოხელა მამაკაცს სახლი გაუქურდეს. როგორ ფიქრობ, შეიტყობდა თუ არა ამ ამბავს აგარაკზე მყოფი მისი ცოლ-შვილი?

— (*იცინის*) მარტოხელა მამაკაცს ცოლ-შვილი არ ეყოლებოდა. ასეთი კითხვები არ მაბნევს.

— რომელი ქართველი მეფის მამას და შვილს ერქვა ბაგრატი?

— უნდა დავფიქრდე. (*პაუზის შემდეგ*) წარმოდგენა არა მაქვს.

— გიორგი I-ის. სარდინია, სიცილია, კორსიკა, ხმელთაშუა ზღვაში მდებარე ამ კუნძულებიდან რომელია ყველაზე პატარა?

— ვერ გიპასუხებ.

— კორსიკა. ვინ არის მოთხრობის — „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“ ავტორი?

— არ ვიცი.

— იაკობ გოგებაშვილი. რომელი იმპრესიონისტი მხატვრის შთაგონების წყარო იყო ბალეტი?

— ედგარ დეგას.

— რა ჰქვია ინდიელის ფეხსაცმელს?

— მოკასინი.

— რომელია ხმელთაშუა ზღვისა და ატლანტის ოკეანის დამაკავშირებელი სრუტე?

— გიბრალტარი.

— რომელ წიგნზე სრულდება საქართველოს პრეზიდენტის ფიცის დადების ცერემონია?

— საქართველოს კონსტიტუციაზე.

— „როცა მიმტკიცებენ, ბალახი მწვანეა,/ ყინული ცივია,/ პლატონი ბრძენია,/ კაცი დაბადებით პატიოსანია,/ პირდაღებული ვარ და მრცხვენია...“ — ვისი პოეზიიდანაა ეს სიტყვები?

— (*ფიქრობს*) შოთა ნიშნიანიძის.

— ალექსანდე დიუმა (მამა), ალექსანდრე პუშკინი, ლესია უკრაინკა, ჯორჯ ბაირონი — ჩამოთვლილთაგან, რომელი არ იყო საქართველოში ნამყოფი?

— საქართველოში ბაირონის ყოფნაზე არაფერი მსმენია.

— ეს ინგლისელი მწერალი ქალი I მსოფლიო ომის დროს მოწყალების დად მუშაობდა. მას დეტექტიური ჟანრის 60-მდე რომანი აქვს შექმნილი.

— აგათა კრისტი.

— საქართველოს რომელ კუთხეში მდებარეობს სამთავისის საეპისკოპოსო?

— ქართლში.

— დაასრულე ლეონარდო და ვინჩის ცნობილი გამონათქვამი: „ფერწერა ეს პოეზიაა, რომელსაც ხედავენ და პოეზია — ეს ფერწერაა...“

— (*ფიქრობს*) „...რომელსაც ისმენენ“.

■

ანეკდოტები

* * *

— ექიმო, მხედველობა გამიფუჭდა.

— რაზე ატყობ?

— აი, აგერ, მაგიდაზე 2 ბუზი რომ ზის, ხომ ხედავ, ექიმო?

— ვხედავ!

— მე კი ვერ ვხედავ.

* * *

— უნდა გიჩივლოთ! თქვენ რომ ჩრჩილის წამალი მომყიდეთ, არაფრად ვარგა!

— რატომ, არ კლავს?

— კლავს კი არა, ჩრჩილები მას ჰალვასავით, გემრიელად ჭამენ!

— ჭამონ მერე, გაძღებიან და ტანსაცმელს აღარ მიეკარებიან!

* * *

— გაიგე, ჩვენი შალიკო სამსახურიდან რომ გააგდეს?

— რატომ?

— სწორედ იმ დროს შეუსწრეს, როცა პაციენტთან სექსუალურ კავშირს ამყარებდა.

— ეჰ, სადღა ვიპოვით ეგეთ კარგ ვეტერინარს?!

* * *

ახალბედა მხატვარმა მენატურე ქალს აკოცა. იმას ვითომ, ეწყინა:

— შენ რა, ყველა ნატურას კოცნი?

— არა, შენ პირველი ხარ.

— ბევრი გყავდა?

— თევზი, ხახვი, თეფში... შენ მეოთხე ხარ!

* * *

ქალური დაკვირვება: „ცხოვრება აღსავსეა სიძნელეებითა და ნერვების წყვეტით, კაეშნითა და სიძულვილით, იმედგაცრუებითა და ღალატით, მაგრამ ბოლოს, პოულობთ სწორედ იმ პარიკმახერს, რომელიც თქვენს გემოვნებას ბოლომდე აკმაყოფილებს“.

* * *

— ქალიშვილო, არ გეშინიათ, შინ ასე გვიან რომ ბრუნდებით?

— როგორ არ მეშინია — დღეს არც პასპორტი წამომიღია და არც ცეცხლსასროლი იარაღის ტარების დამადასტურებელი მოწმობა.

* * *

შვილი მამას ურეკავს:

— მამიკო, გავთხოვდი!

— გავთხოვდი-გამოვთხოვდი არ ვიცი, საღამოს ცხრა საათზე სახლში იქნები დარჭობილი.

* * *

— რა გტკივათ? — ეკითხება ექიმი პაციენტს.

— გული, კბილი, წელი, მუხლები, კუჭი...

— კიდევ, კიდევ?

— რაღაც, ისედაც ვერ ვგრძნობ თავს კარგად...

* * *

— დედიკო, მამიკო დაბრუნდა სამსახურიდან. პირველად რა ვუჩვენოთ, ჩემი დღიური თუ შენი ახალი კაბა?

* * *

— ეს რა სამართებლებს უშვებენ, ეს შობელძაღლები, 2 დღის წინ ვიყიდე და უკვე აღარ პარსავს, — ბრაზობს ქმარი.

— რა ვიცი, კარტოფილსა და სტაფილოს კარგად თლის და... — უკვირს ცოლს.

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. იოსებ სტალინის პირად კოლექციაში ინახებოდა პელაგია სემიონოვას მიერ დამზადებული საკანცელარიო ნივთები: სამელნე, კალამი, საშრობი და ა.შ. რით იყო განსაკუთრებული ეს ნივთები?

2. „ოტ ილიჩა დო ილიჩა, ბეზ ინფარქტა ი პარალიჩა“, — ვის გამოუთქვა ხალხმა ეს ლექსი?

3. „იგი ხარბი კაპიტალისტი და ამავდროულად, გულწრფელი კომუნისტია. მისი გმირები მზად არიან, იდეის გამო კაცი მოკლან, თავად კი ჭიანჭველასაც ვერ დაადგამს ფეხს“, — ამბობდა უინსტონ ჩერჩილი ამ მწერლისა და დრამატურგის შესახებ. დაასახელეთ იგი.

4. დაასახელეთ პოეტი, რომელმაც 1810 წელს დარდანელის სრუტე გადაცურა.

5. რა არის ღოროტოტო?

6. რას შეისწავლის სპელეოლოგია?

7. რა არის პლებისციტი?

8. შონ კონერი თვეში ერთი დღე სახლიდან არ გამოდის. მსახიობს ტრისკაიდეკაფობია სჭირს. რისი ეშინია მას?

9. რა გამოიგონა სამხრეთ-აფრიკელმა პატიმარმა, ვიქტორ ორვილმა ციხის საკანში იატაკის ფილებზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად?

10. რა ერქვა ძველ რუსეთში ვალდებულებას, რომლის ძალითაც, ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში, მოვალე სესხის გამცემის ყმა ხდებოდა?

11. რამდენი ნულით იწერება კვადრილიონი?

12. დაასრულეთ გოეთეს სიტყვები: „მას, ვინც გადაწყვეტს, შეისწავლოს ყველა კანონი...“

* * *

„ნოვი რუსკის“ ქალიშვილს ღარიბი ოჯახის შესახებ თემის დაწერა დაავალეს. მანაც, დაწერა: „იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი ოჯახი. მათი მსახურები კიდევ უფრო ღარიბები იყვნენ, ხოლო მათ მძღოლს საერთოდ არაფერი ებადა“.

* * *

ციხის კამერაში შესულ ექიმს პატიმარმა შესჩივლა:

— ექიმო, ტანი მეფხანება.

— რამდენი წელი გაქვს მისჯილი?

— შვიდი.

— ჰოდა, რა გენაღვლება, იჯექი და იფხანე.

* * *

გამომძიებელი:

— თქვენს ქმარს გაკვეთისას კუჭში იმდენი საწამლავი აღმოაჩნდა, რვა კაცს ეყოფოდა!

— ეჰ, ძალიან ღორმუცელა იყო, ცხონებული!

* * *

ნარკუშა განგრეულ კაიფშია. ჰგონია, რომ საკუთარ სახლში მივიდა და თითი ზარს მიაჭირა. კარს შუახნის მამაკაცი უღებს:

— ვა, ბიძა, აქ მე ვცხოვრობ? — ეკითხება გაკვირვებული ნარკუშა.

— არა, ძმაო, აქ მე ვცხოვრობ!

— ბოდიშს გიხდი!

წავიდა. იარა, იარა და შეცდომით, ისევ იმ ბინას მიადგა, ზარი დარეკა. კარი ისევ იმ კაცმა გაუღო.

— ვა, ბიძა, აქ მე ვცხოვრობ?

— არა, ძმაო, აქ მე ვცხოვრობ!

— ბოდიშს გიხდი!

წავიდა. იარა, იარა და ისევ იმ ბინას მიადგა.

— ვა, ბიძა, აქ მე ვცხოვრობ?

— არა, ძმაო, აქ მე ვცხოვრობ!

— აუ, რა ყველგან შენ ცხოვრობ, ტო!..

* * *

ბეჰემოთი მუხაზე მიძვრება. ხის კენწეროზე ჩამომჯდარი ყვავი თავზე დასჩხავის:

— ვაი, შენს პატრონს, უბედურს! სად მოძვრები, რომ მოძვრები? სად გინახავს, ბეჰემოთი ხეებზე დაძვრებოდეს?!

— ვაშლი უნდა ვჭამო... — გაბუტული ხმით ამბობს ბეჰემოთი.

— რა უნდა მერე მუხაზე ვაშლს? შე დეგენერატო, როდის აქეთ ისხამს მუხა ვაშლებს?!.

— ჯიბეში მაქვს...

* * *

შვილიშვილმა ბებია ექიმთან მიიყვანა. გასინჯვის შემდეგ ექიმი პაციენტს ეუბნება:

— თქვენ, ბებო, გათხოვება გესაჭიროებათ!

— რაღა დროს ამის გათხოვებაა?! — შეიცხადა შვილიშვილმა.

— ენა გააჩერე, ექიმმა შენზე უკეთ იცის! — ხმას აუწია ბებიამ.

* * *

ფანჯრის რაფაზე ქალია ჩამოკიდებული, მიხო კი თითებზე ჩაქუჩს ურტყამს, დაბლა რომ ჩააგდოს. ამ ყველაფერს შაქრომ მოჰკრა თვალი და მიხოს ასძახა:

— რას სჩადიხარ, მიხო, ასეთი რა დაგიშავა მაგ ქალმა?

— ქალი კი არა, ჩემი სიდედრია.

— მართლა?!. ნახე, ეს შობელძაღლი კატასავით რო ებღაუჭება ფანჯრის რაფასა!

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ინვალიდმა ქალმა, რომელსაც ხელები ჰქონდა ამპუტირებული, ეს ნივთები ფეხის თითებით დაამზადა და ბელადს საჩუქრად გაუგზავნა.
2. ანასტას მიქოიანს, რომელსაც ლენინის ბელადობიდან მოყოლებული, ბრეჟნევის გენერალურ მდივნობამდე არაფერი დაშავებია (მთავრობაში მას სერიოზულად არავინ აღიქვამდა და ამის გამო ნაკლებად ერჩოდნენ. სტალინის მმართველობისას, მიქოიანს მიამიტი მასხარის როლი ჰქონდა მორგებული).
3. ბერნარდ შოუ.
4. ბაირონი.
5. საყვირის მაგვარი ჩასაბერი საკრავი.
6. გამოქვაბულებსა და მღვიმეებს.
7. საერთო-სახალხო კენჭისყრა.
8. ცამეტი რიცხვის.
9. კროსვორდი.
10. კაბალა.
11. თხუთმეტით.
12. „...დრო აღარ დარჩება მათ დასარღვევად“.

ჩვენი ფოტო მაღვრეა

შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.



ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ 1. მუქთახორა; 2. თვალი; 3. ხოხობი; 4. ქობულეთი; 5. პროლოგი; 6. გაზაფხული; 7. რუხი; 8. ზაქი; 9. აფრა; 10. მირკანი; 11. ხიდი; 12. ბეგი; 13. მილიონი; 14. მინდია; 15. ომანი; 16. მითი; 17. მიმიკა; 18. იუკო; 19. მული; 20. ალიბი; 21. ფლეიტა; 22. ფონეტიკა; 23. ნესტი; 24. კორსანტია; 25. დაკა; 26. დანია; 27. არინა; 28. გინება; 29. ურა; 30. ფინია; 31. ლიმა; 32. მედია; 33. არესი; 34. ასი; 35. ჩია; 36. ძე; 37. პინია; 38. კნოპი; 39. დინასტია; 40. ჭიხვინი; 41. კალანდაძე.

სურათებზე: 1. მეგ რაიანი; 2. ჩაზ პალმინტერი.

ვოროსკოპი

(17-23 დეკემბერი)

ვერძი:
გირჩევთ, სხვისი საქმეების მოგვარებას შეეშვათ და საკუთარ პრობლემებს მიხედოთ. მიზანმიმართულად და თავდაჯერებულად იმოქმედეთ. შეეცადეთ, შეფთან ურთიერთობა არ გაიფუჭოთ.

ჯუჯი:
გარშემო მყოფებისთვის ავტორიტეტი ხართ და ნუ გაგიკვირდებათ, თუ რჩევისთვის ხშირად მოგმართავენ. დასვენების დღეები საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ.

ტყუპი:
კარგი პერიოდია ახალი საქმეების დასაწყებად, ცოდნის გასაღრმავებლად, ხანმოკლე მოგზაურობისთვის. კვირის ბოლოს მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან ერთად, შინ იმხიარულეთ.

ჯიგრგხალიტი:
ახალი იდეები კვირის მეორე ნახევრიდან განახორციელეთ. ნუ იქნებით ეგოისტი. ასაკოვანი ნათესავების მიმართ მეტი ყურადღება და მზრუნველობა გამოიჩინეთ.

ლომი:
რომანტიკულ განწყობილებაზე ხართ. კარგი პერიოდია ახალი სასიყვარულო ურთიერთობის დასაწყებად. მეტი ყურადღება დაუთმეთ გარეგნობასა და ჩაცმულობას.

ქალწული:
კოლეგების დახმარებით დასახულ მიზანს იოლად განახორციელებთ. ძალების აღსადგენად ხშირად დაისვენეთ და დიდხანს იძინეთ. შაბათ-კვირას ბავშვები საჩუქრებით გაანებივრეთ.

სასწორი:
თუ არ გსურთ, გარშემო მყოფებს თქვენზე შთაბეჭდილება შეეცვალოთ, საეჭვო რეპუტაციის მქონე ადამიანებთან ურთიერთობა შეწყვიტეთ. დასვენების დღეები ოჯახის წევრებს დაუთმეთ.

ბრიტანელი:
ამ კვირაში საოჯახო საქმეების მოგვარებით იქნებით დაკავებული. უცხოებთან ურთიერთობისას სიფრთხილე გამოიჩინეთ. კვირის ბოლოს თავს ძველი სიყვარული შეგახსენებთ.

ღრუბელი:
ყველაფერი ისე იქნება, როგორც გსურთ. მთავარია, კოლეგებთან ურთიერთობისას დიპლომატია, ხოლო ახლობლებთან სითბო და ყურადღება გამოიჩინოთ.

თხიგს რქა:
მოულოდნელად გამდიდრდებით და ყველა სურვილის ასრულებას შეძლებთ. მოერიდეთ ცნობილ, პოპულარულ ადამიანებთან კონფლიქტს, სამართალდამცავებთან ურთიერთობას.

ბრიწყუნა:
ინტუიციის წყალობით, ახალ საქმეებს ადვილად განახორციელებთ. ბავშვების ჯანმრთელობის მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ. კვირის ბოლოს იმიჯის შეცვლაზე იზრუნეთ.

თევზები:
თუ სამსახურში დაწინაურება გსურთ, მიზნის მისაღწევად ყველა ხერხი გამოიყენეთ. კარგი პერიოდია სამომავლო გეგმის შესადგენად. შესაძლოა, საყვარელმა ადამიანმა იმედი გაგიცრუოთ.

პატარები გენიოსობენ

გაზეთ „კვირის პალიტრის“ არქივიდან

3 წლის ნათია მამასთან ერთად, სააბაზანოში შევიდა. მან გრძელტარიან ჯაგრისს მოჰკრა თვალი და მამას ეკითხება:

— მამიკო, ეს რისთვის არის?

— ეს უნიტაზის ჯაგრისია, — აუხსნა მამამ.

— უნიტაზს ჯაგრისი რად უნდა, მასაც კბილები აქვს? — გაიოცა ნათიამ.

2 წლის და 5 თვის ქეთი გურგენიძის დეიდა ქლიავს რეცხავს. პატარა ქეთი ეკითხება:

— რას შვრები?

— ქლიავს ვრეცხავ.

— უნდა შეჭამო და დაქლიავდე?

ტელეფილმში სიტყვა „ლოცმანი“ ახსენეს. პატარა ნიკუშა გრძელიშვილის მამამ ჩაილაპარაკა: — საინტერესოა, სიტყვა „ლოცმანი“ საიდან მოდის და რას ნიშნავსო?..

— რას და აი, საკუთარ თავს რომ ლოცავს, დიდი ამბით, — აუხსნა ნიკუშამ.

4 წლის მარიამ ღაჭავა და 6 წლის ანი ჯიღაური შინ მიდიან. ავტობუსმა ხიდზე გადაიარა. მარიამს ლექსი გაახსენდა და ხმამაღლა თქვა: — მტკვალი მღვლიე და მტკვალი ანკალა... — მერე კი ანის მიუბრუნდა და ეკითხება:

— ანი, შენ ლადო ასათიანს იცნობდი?

— არა, — პასუხობს ანი.

— აბა, ეს ლექსი შენ ლომ მასწავლე, ლადო ასათიანმა არ გასწავლა?

3 წლის გიორგი სიფრაშვილს მამამისის მეგობრები ეუბნებიან:

— მოდი, ძმაკაცები ვიყოთ!

— ბევლი უნდა დავლიოთ? — დაინტერესდა ბიჭი.

6 წლის ანუკა ოჩხიკიძეს დედა აბანავებს. ანუკა ტირის: თვალები ამეწვაო, დედა კი ეუბნება: — თვალები დახუჭე და აღარ აგეწვებაო.

— თვალებს კი დავხუჭავ, მაგრამ ყურებსაც ხომ ვერ დავხუჭავ, ბებია ყურებში მასხამს წყალს...

სპეციალური კროსვორდი

გ	ა	ე	რ	თ	ე	თ	დ	ა	დ	ა	ი	ს	ვ	ე	ნ	ე	თ	გ	ზ	ა	ს	თ	ა	ნ	ე	რ	თ	ა	დ
რ	ი		რ	ა	მ	ე	ე	ა		ს	ნ	ე	ი		ი	Ყ	ვ	რ	ე	რ	ე	ძ	ი	ა	რ	ნ	ი	ნ	

შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.

გ. ხმლის, ხანჯლის ან თოფის ჩამოსაკიდი თასმა; **ა**. საბერძნეთის დედაქალაქი; **ე**. ატმოსფერული მოვლენა; **რ**. რისამე მარაგი; **თ**. ქალაქი, სადაც 1943 წლის 30 ნოემბერს (ჩერჩილის დაბადების დღეს), ერთმანეთს შეხვდნენ სტალინი, ჩერჩილი და რუზველტი; **ე**. მცენარე ან ცხოველი, რომელიც გავრცელებულია მხოლოდ გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში; **თ**. დაბა აღმოსავლეთ საქართველოში; **დ*.** მოსკოვის საფეხბურთო კლუბ „სპარტაკისა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი მეკარე; **ა*.** მთა, სადაც წარღვნის შემდეგ გაჩერდა ნოეს კიდობანი; **დ*.** ამერიკული ავტომობილი; **ა*.** ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიის ძალით მიერთება, დაპყრობა; **ი*.** დოდო აბაშიძის პერსონაჟის სახელი ფილმში „პირველი მერცხალი“; **ს*.** ყველაზე დიდი ქალაქი ავსტრალიაში; **ვ*.** ქალის პირბადე; **ე*.** რომელ უღელტეხილს გადაივლიდნენ ცხინვალის გზით რაჭაში მიმავალი მგზავრები; **ნ*.** სოკოების მეფედ წოდებული სოკო; **ე*.** მეგრული კერძი, ღომში მოხარშული და ჩაზელილი სულუგუნი; **თ*.** ვალიკო მიზანდარის მშობლიური ქალაქი; **გ*.** შავი ფერის ქვა, რომელსაც ავი თვალისაგან დასაცავად ატარებენ; **ზ*.** ყველაზე დიდი მტაცებელი თევზი; **ა*.** თვითმფრინავის სადგომი; **ს*.** საქართველოს მაღალმთიანი კუთხე; **თ*.** ქართველი მომღერალი ქალი, ანსამბლ „ივერიის“ ყოფილი სოლისტი, ქეთევანის როლის შემსრულებელი მიუზიკლში „ჩხიკვთა ქორწილი“; **ა*.** შოთა, ილია, ..., ვაჟა და გალაკტიონი. ჩაწერეთ გამოტოვებული სახელი; **ნ*.** ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **ე*.** მდინარე დასავლეთ საქართველოში; **რ*.** ფრანგი მოქანდაკე, სახელგანთქმული „მოაზროვნეს“ ავტორი; **თ*.** თავის ქალის ზედა ნაწილი; **ა*.** რა ერქვა კაცს, რომელიც გიორგი კუჭატნელს შემოაკვდა; **დ*.** ხანი, ჟამი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

დ*. დათვი; **ა*.** ავარა; **ი*.** იხვი; **ს*.** სკიპტრა; **ვ*.** ვისოცკი; **ე*.** ექსცესი; **ნ*.** ნეი; **ე*.** ეშმაკი; **ჩ*.** ჩოსერი; **ვ*.** ვაუჩერი; **ე*.** ელბა; **ნ*.** ნიუტონი; **ს*.** სიქა; **Ყ*.** Ყღენტი; **Უ*.** უეფა; **რ*.** რვეული; **ნ*.** ნახირი; **ა*.** ავიცენა; **Ლ*.** Ლისიპე; **თ*.** თასმა; **ა*.** ალიონი; **ნ*.** ნამაზი; **ე*.** ენძელა; **რ*.** რაინი; **თ*.** თემიდა; **ა*.** ავენიუ; **დ*.** დრაკონი.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:
თავის სიმსუბუქე ფეხის სიმძიმეა.

იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

4	7	3	5	8	6	1	9	2
8	6	9	1	2	4	7	5	3
2	5	1	9	3	7	4	6	8
6	1	8	2	4	5	9	3	7
3	4	2	7	6	9	8	1	5
7	9	5	3	1	8	6	2	4
9	8	6	4	5	2	3	7	1
5	3	4	6	7	1	2	8	9
1	2	7	8	9	3	5	4	6

1	7	5	6	9	3	2	4	8
2	9	3	8	4	7	5	6	1
8	4	6	1	5	2	3	9	7
6	8	2	4	7	1	9	3	5
5	3	7	9	2	8	6	1	4
4	1	9	3	6	5	7	8	2
3	2	1	7	8	6	4	5	9
9	5	8	2	3	4	1	7	6
7	6	4	5	1	9	8	2	3

6	2	8	4	1	9	7	5	3
1	9	7	5	3	6	2	8	4
4	5	3	8	7	2	9	6	1
3	7	2	1	8	5	6	4	9
9	4	5	2	6	7	1	3	8
8	6	1	3	9	4	5	7	2
2	3	6	9	5	8	4	1	7
7	8	4	6	2	1	3	9	5
5	1	9	7	4	3	8	2	6

* **მარტივი**

	7				8	1	9	
	6			2				7
4		3		7	1			5
7		6		1				4
	3			6	2		1	
2			3			5		9
8			7	9		6		1
3				8			5	
	1	9	2				7	

** **საშუალო**

4					1		3	7
2	1		8		7	4		
	7				9		1	
5		2	9					6
		8		3	5	7		
9				8		2		3
	9		7				2	
		6	4		2		7	1
7	2		5					8

*** **რთული**

	8				4			7
9				1			6	
					5			4
	3		2					8
4				8				5
6				9	1		7	
2			1					
	6			4				1
3			7				4	

ფოტოკუჩიოზები



„კვირის პალიტრის“ კოლექცია

„დიდი მხატვრები“

წიგნების სერია

რჩეულ ფერმწერებზე - შედევრები და ისტორიები

მონე

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის სპეციალური ფასი 15 ლარი!

„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ! წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით „ელვა.ჯი“-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ

კოლექციის I-II წიგნი - ვან გოგი და გოგენი შეგიძლიათ შეიძინოთ იანვრის მეორე ნახევრიდან წიგნის მაღაზიებში!

-107/46

-90